საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№18 (253)
21 - 27 მაისი, 2014
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## წულუკიანის მოტივები და ალასანიას ყულაბა 9

8

ვერც უსუფაშვილი, ვერც ბერძენიშვილი და ძმანი მათნი, დღეს რომ ქრისტეს ძვლის მკვნეტელობას პროგრესად აცხადებენ, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების პირობებში, მსგავს თავხედობას სიზმარშიც ვერ გაბედავდნენ



# უსუფაშვილმა ბიბლიას ბოროტება უწოდა

გიორგი თავდგირიძე: 10



# ირაკლი ალასანია «ნატომოძრაობის» გზას განაგრძობს

«თავდაცვის მინისტრს უნდა ესმოდეს – თეორიულადაც რომ დავუშვათ ნატოს თანხმობა ამ წინადადებაზე, შეიარაღებული ძალები თურქეთიდან შემოვიდოდა, ვინაიდან აშშ-ის ჯარების განთავსება საქართველოში ძალიან ძვირად ღირებული ოპერაციაა»



მამა დავითი (ქვლივიძე):

## ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით, ვფიქრობ, აფხაზეთი და სამაჩაბლო სამუდამოდ დავკარგეთ! 14

«არც სომხეთში მიუღიათ ანტიდისკრიმინაციული კანონი, არც აზერბაიჯანში და არც ჩრდილოეთ კავკასიაში. ამის შემდეგ ჩვენთან ურთიერთობა რომელ კავკასიელს მოუნდება? ამას გარდა, ანტიდისკრიმინაციული კანონის დამტკიცების გამო აფხაზეთი და ოსეთი სამუდამოდ დავკარგეთ, რადგან აფხაზებიც და ოსებიც კავკასიური მენტალიტეტის ხალხია. მათთვის მიუღებელია ამგვარი ცხოვრების წესი...»

4



რიგითმა ამერიკელებმა რომ იცოდნენ, როგორ დაიღუპნენ ადამიანები ოდესის პროფკავშირების სახლში და მათ „ედინაია უკრაინას“ მომხრეები „შებოლილ ასეულს“ და „შებრაწულ კოლორადოს ხოჭოებს“ უწოდებენ, ნულანდს მისი ბუნდოვანი ფორმული-რებებისთვის, ალბათ, ობსტრუქციას მოუწყობდნენ.

უკრაინელი მიმომხილველი ანა მიხაილენკო:

# ჩვენთან სახელმწიფო გადატრიალება მოხდა

## ტყუილს მოკლე ფეხი აქვს, ექსპრეზიდენტს – გრძელი ენა



«მიშას მაიდანი კი არა, მუამარ კადაფის ბედი არ ასცდება» 11

## «მაიდანი» ბაქოში და უსამართლობა თბილისში

«ვაშინგტონმა შეიძლება ხელი შეუწყოს აზერბაიჯანში რეჟიმის შეცვლას» 6

## ახალი არჩევნები გაბერილი სიებით ჩატარდება

«არჩევნების გაყალბების სურვილი ახალ ხელისუფლებასაც გაუჩნდა» 13

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## საქართველოში მენინგიტის 107 შემთხვევა აღირიცხა

**დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელ ხათუნა ზახაშვილის განცხადებით, 24 აპრილის შემდეგ საქართველოში მენინგიტის 107 შემთხვევა აღირიცხა.** „ენტეროვირუსული მენინგიტური შემთხვევები მთელ საქართველოშია. შემთხვევათა უმრავლესობა თბილისშია აღრიცხული. ბავშვების გარდა, მენინგიტი მოზრდილებშიც გვხვდება. ერთეული შემთხვევები 24 აპრილიდან გამოვლინდა. 10 მაისიდან კი დაიწყო ინტენსიური მატება. სულ 107 შემთხვევაა რეგისტრირებული და არც ერთი მძიმე არ ყოფილა. მენინგიტის შემთხვევები ზაფხულშიც გაგრძელდება, თუმცა, ვფიქრობთ, ნაკლები ინტენსივობით“, — განაცხადა ზახაშვილმა. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე შემთხვევა სკოლებშიც გამოვლინდა, ეს სწავლის შეწყვეტის საფუძველი არ არის.



## მშობლის მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება

**ოჯახში ძალადობის ნიშნით ჩადენილ ადმინისტრაციულ გადაცდომებთან დაკავშირებული ნორმები ზუსტდება. შესაბამისი ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შედის.**

ცვლილებების მიხედვით, მშობლების ან მათი შემცვლელი პირების მიერ არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდის, სწავლების, საცხოვრებლით, საკვებითა და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით მოვალეობათა განზრახ შეუსრულებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ითვლება.

ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ ხშირია შემთხვევები, როცა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებულ დახმარებას მშობლები არამიზნობრივად იყენებენ და ბავშვებს კვების, საცხოვრებლის, სწავლის, აღზრდის ნორმალური პირობები არ აქვთ.

**გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მონაცემებით, 2013 წელს საქართველოში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ბავშვების მაჩვენებელმა 27% შეადგინა. 2011 წელს ეს მაჩვენებელი 25% იყო. კვლევის მიხედვით, საქართველოში ნახევარ მილიონ ადამიანს, განსაკუთრებით ბავშვებსა და დედებს, კვების დეფიციტი აქვთ. კვების დეფიციტის გამო საქართველოში ყოველწლიურად 350-მდე ბავშვი იღუპება.**



## პირველკლასელთა ონლაინრეგისტრაცია დაიწყო

**რეგისტრაციის პროცესი 20 მაისს 09:00 საათზე დაიწყო და ერთ თვეს გაგრძელდება.**

ონლაინრეგისტრაციის გავლა განათლების და მეცნიერების სამინისტროს და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდებზეა შესაძლებელი.

რეგისტრაციას გადის მშობელი, რომელსაც შესაბამის ფორმაში შეჰყავს მოსწავლის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მშობლის პირადი ნომერი, ასევე ტელეფონის ნომერი, რომ რეგისტრაციის წარმატებით დასრულების შესახებ მოკლეტექსტური შეტყობინება მიიღოს.

სისტემა მხოლოდ იმ ბავშვებს არეგისტრირებს, რომელთაც 2015 წლის 1 იანვრამდე 6 წელი უსრულდებათ.

# ლევან ვასაძე პარლამენტის დაშლას ითხოვს



**„დემოგრაფიული განვითარების ფონდის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ბიზნესმენი ლევან ვასაძე ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუქმებას ითხოვს.**
**ლევან ვასაძის განცხადებით, ანტიდისკრიმინაციული კანონი საერთაშორისო პროგრამის ნაწილია, რომელიც მიმართულია ოჯახური და სულიერი ღირებულებების დეგრადაციისა და გარყვნისკენ.**

„17 მაისი არის უწმინდესის მიერ გამოცხადებული ოჯახის სიწმინდისა და მშობლების პატივისცემის დაცვის დღე. ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ დღეს ყველაფერი ჯერჯერობით მშვიდობიანად მიმდინარეობს. ვიყავით სამებაში, ვიდექით პარაკლისზე, რომელიც პატრიარქმა გადაიხადა, მაგრამ საზეიმო და გასახარებელი ბევრი არაფერი გვაქვს, რადგან საქართველოს პარლამენტმა ქართული ტელევიზიების თანადგომით ერთხმად მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელსაც არ უჭერს მხარს ქართველების 99 პროცენტზე მეტი, და ჩაიდინეს სრულიად ანტიდემოკრატიული ქმედება. ეს კანონი არის საერთაშორისო პროგრამის ნაწილი, რომლის მიზანი ოჯახური და სულიერი ღირებულებების დეგრადაცია და გარყვნაა, ეს არის პირველი ნაბიჯი, რომელსაც, თუ არ შევაჩერეთ და არ შევატრიალეთ, მოჰყვება მეორე, მესამე და მეოთხე, კიდევ უარესი ნაბიჯები, და შემოვა თითოეული თქვენგანის ოჯახში. უარეს შემთხვევაში, მე მოვითხოვ მის სრულ ალტერაციას და ისე გადაკეთებას, რომ მან ასახოს ქართველი ერის ნება და არ იყოს თავსმოხვეული ანტიდემოკრატიული საკანონმდებლო აქტი, რომლის გატარების შემდეგაც ჩვენ გვმოძღვრავენ ჩვენი ხელისუფალნი, რომ თურმე ეს არის საერთო საკაცობრიო მონაპოვარი. ეს პარლამენტი სასწრაფოდ არის დასაშლელი და ასარჩევია ახალი“, — აღნიშნა ლევან ვასაძემ.

ბიზნესმენი კატეგორიულად მოითხოვს ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუქმებას ან გადაკეთებას. მისივე თქმით, იგი ყოველთვის მზად არის, პარლამენტის თავმჯდომარეს ამ საკითხზე ესაუბროს, გამოიწვიოს იგი დებატებში და დაუმტკიცოს მისი ნაბიჯების არადემოკრატიულობა. მისივე ინფორმაციით, საქართველოში ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებასთან დაკავშირებით, კონფერენციის ორგანიზატორებს მომზადებული აქვთ რეზოლუცია, რომელსაც ხელს აწერს 20-მდე საერთაშორისო ორგანიზაცია.

## სამინისტროების თანამშრომელთა პრემიები და სახელფასო დანამატები

**2013 წელს 14 სამინისტროს მიერ თანამდებობის პირებზე პრემიის სახით, საერთო ჯამში, 5 729 131 ლარი, ხოლო სახელფასო დანამატის სახით 3 135 038 ლარი გაიცა.**



კერძოდ, 2013 წელს თავდაცვის სამინისტრომ 108 თანამდებობის პირზე ჯამურად 1 325 776 ლარის ოდენობის პრემია და სახელფასო დანამატი გასცა, საგარეო საქმეთა სამინისტრომ — 1 182 251 ლარი, იუსტიციის სამინისტრომ 44 პირზე — 1 070 738 ლარი, ეკონომიკის სამინისტრომ — 1 086 648 ლარი, ფინანსთა სამინისტრომ — 824 184 ლარი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 46 პირზე — 715 686 ლარი, ჯანდაცვის სამინისტრომ — 498 950 ლარი, ენერგეტიკის სამინისტრომ 17 თანამდებობის პირზე — 452 250 ლარი, სასჯელაღსრულების სამინისტრომ 26 პირზე — 420 817 ლარი, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 17 პირზე — 343 198 ლარი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 18 პირზე — 303 775 ლარი, დევნილთა სამინისტრომ 40 პირზე — 258 928 ლარი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 23 პირზე — 195 570 ლარი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 5 პირზე — 185 398 ლარი.

## მთავრობა თანამდებობრივი სარგოებისა და პრემირების ერთიან წესს შეიმუშავებს

**საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით, მთავრობა თანამდებობრივი სარგოებისა და პრემირების ერთიან წესს შეიმუშავებს.**

გადაწყვეტილება პრემიერმა მთავრობის წევრთა, თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოხელეთა ხელფასებისა და პრემიების საკითხისადმი ფართო საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით მიიღო.

„ერთხელ და სამუდამოდ ჩვენს ქვეყანაში უნდა შეიქმნას სისტემა, რომელიც მოაწესრიგებს საჯარო მოხელეებისა და თანამდებობის პირების ხელფასების, დანამატებისა თუ პრემიების საკითხს. ეს უნდა იყოს გამჭვირვალე სისტემა, რომ ჩვენი ქვეყნის არც ერთ მოქალაქეს არ დარჩეს პასუხგაუცემელი კითხვა. სისტემა უნდა იყოს სტანდარტიზებული, თუმცა ითვლისწინებდეს განსაკუთრებით მძიმე და დიდ რისკთან დაკავშირებული საქმიანობის სპეციფიკურობას. ვიცი, რომ ამ საკითხზე უკვე დაწყებულია მუშაობა და პირველი ეტაპი უკვე წარმატებით გავლილია, ამიტომ ეს პროცესი უმოკლეს ვადებში უნდა დავასრულოთ“, — ნათქვამია ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაში.

# პარლამენტი ხელფასების გაზრდასა და ახალი მანქანების შეძენას გეგმავს

**პარლამენტი ხელფასების გაზრდას და ავტოპარკის განახლებას გეგმავს. თანხა გამოიყოფა მომავალი წლის გაზრდილი ბიუჯეტიდან, რომელიც 54 მილიონ 695 ათასი ლარი იქნება, რომელიც წლევანდელზე 2 მილიონ 604 ათასი ლარით მეტია; საკანონმდებლო ორგანოში მომუშავეთა რაოდენობა კი 840 ადამიანით განისაზღვრება.**



„მომავალი წლის ბიუჯეტის ზრდა 5 პროცენტზეა გათვლილი, ანუ ბიუჯეტი 2 მლნ 600 ათასი ლარით გაიზრდება. ამ თანხიდან 2 მლნ 300 ათასი განისაზღვრა სახელფასო ფონდში, 300 ათასი კი — სხვა ხარჯებისთვის. საუბარი არ არის მხოლოდ დეპუტატების ხელფასების ზრდაზე, არამედ აპარატზეც. ამ დროისთვის უცნობია, რამდენით გაიზრდება ხელფასები, მაგრამ არ გვაქვს ვალდებულება, რომ ამ ეტაპზე ზრდის რაოდენობა დავაკონკრეტოთ“, — განაცხადა პარლამენტის ვიცესპიკერმა მანანა კობახიძემ, რომელიც ვარაუდობს, რომ მომავალ წელს პარლამენტში, შესაძლოა, შტატებიც გაიზარდოს. „ამ თანხაში განვიხილავთ შტატების გაზრდის შესაძლებლობასაც. ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი გვთხოვს, რომ მოწვეულ სპეციალისტს უფლებამოსილება გაუგრძელდეს. მსგავს დღეშია სხვა კომიტეტებიც. საკმარისი შტატები არ არის და კომიტეტები მუდმივად მოწვეულ სპეციალისტზე არიან დამოკიდებულნი. აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პარლამენტის წევრების ხელფასებს თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ სხვაობა არის. ეს სწორი მიდგომა არ არის, ისევე, როგორც ის, რომ პარლამენტის აპარატის თანამშრომლებზე მეტი ხელფასები სამინსიტროებში დასაქმებულ ადამიანებს აქვთ. არსებული მდგომარეობა გარკვეულ ცვლილებას საჭიროებს“, — აღნიშნა მანანა კობახიძემ.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ლალი მოროშკინამ, შესაძლოა, შვეიცარიას თავშესაფარი სთხოვოს

**სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მრჩეველი ლალი მოროშკინა სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ დარღვევებზე საუბრობს. ამის შესახებ მან სოციალურ ქსელში დაწერა.**

მოროშკინა წერს, რომ სისტემაში მიმდინარე პროცესებზე პროტესტი სასამართლოში, შსს-ში, სახალხო დამცველთან, კახი კალაძესთან, უფლებადამცველებთან და ჟურნალისტებთან გამოხატა.

მოროშკინას განცხადებით, თუ პრემიამიღებული ზონდერები არ დააბრუნებენ საბიუჯეტო თანხებს და არ წარდგებიან სასამართლოს წინაშე, შიმშილობას გამოაცხადებს და შვეიცარიას თავშესაფარს სთხოვს.







# «ამერიკული გაზაფხული»

## — მასობრივი აქციის მონაწილეებმა ობამას გადადგომა მოითხოვეს




**„ამერიკული გაზაფხული" — ასე უწოდეს აქტივისტებმა თეთრი სახლის წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლების სერიას. პირველი მიტინგი ვაშინგტონში გაიმართა. აქციის მონაწილეები ქუჩაში გამოვიდნენ ლოზუნგებით: „დააპატიმრეთ ობამა!" და „ობამა დამარცხდა!".**

დემონსტრანტების მთავარი მოთხოვნები იყო პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტისა და გენერალური პროკურორის გადადგომა, აგრეთვე, უცხოეთში აშშ-ის ყველა სამხედრო ბაზის დახურვა. აქციის ორგანიზატორი, ყოფილი სამხედრო ოფიცერი, პოლკოვნიკი ჰარი რაილი დარწმუნებულია, რომ „ამერიკული გაზაფხული" მალე მთელ ქვეყანას მოედება.

პოლკოვნიკი ჰარი რეილი პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციას ამერიკის შეერთებული შტატების „მამების" პრინციპების დარღვევასა და კონსტიტუციის უგულვებელყოფაში ადანაშაულებს. თეთრი სახლის მეთაურის, აგრეთვე, ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენისა და სენატორ ჰარი რიდის გადადგომა აქციის მონაწილეების მოთხოვნის მხოლოდ ნაწილია.



ჰარი ვან ბომელი

## «უკრაინა და საქართველო ნატოს წევრები ვერ გახდებიან»

**ჰოლანდიის პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატის ჰარი ვან ბომელის აზრით, უკრაინაში კრიზისი იმ „ისტორიული შეცდომის" შემდეგ დაიწყო, როდესაც 2008 წელს ნატო უკრაინას თავის რიგებში მიღებას დაჰპირდა.**

დეპუტატის თქმით, თვითონ და მისი პარტია ყოველთვის ფიქრობდნენ, რომ უკრაინის ევროკავშირში შესვლა უგუნური გადაწყვეტილება იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ევროპის ქვეყნებს გაერთიანების ახალი წევრის დასახმარებლად საკუთარი შემოსავლებიდან მილიარდი ევროს დახარჯვა მოსთხოვეს.

„ვფიქრობ, უკრაინაში ხელისუფლების დეცენტრალიზაცია სტაბილურობის ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა კორუფციასთან ბრძოლის პროგრამასთან ერთად. ეს ნაბიჯები უმოკლეს ვადაში, უახლოეს თვეებში უნდა იქნეს გადაგმული", — განაცხადა ბომელმა „Russia Today"-სთან ინტერვიუში.

ამასთან, დეპუტატმა აღნიშნა, რომ უკრაინაში დესტაბილიზაციის მიზეზი გახდა „ისტორიული შეცდომა", როდესაც 2009 წელს ნატოს ბუქარესტის სამიტზე განაცხადეს, რომ უკრაინა და საქართველო, ადრე თუ გვიან, ალიანსის წევრები გახდებიან.

**„მე მაშინაც დარწმუნებული ვიყავი და ახლაც იმ აზრზე ვრჩები, რომ ეს იყო უზარმაზარი შეცდომა. ამ გადაწყვეტილებისგან უკან უნდა დავიხიოთ, უნდა შევცვალოთ, რადგან არ ვფიქრობ, რომ უკრაინა და საქართველო ნატო-ს წევრები გახდებიან. ეს არა ნატოს, არამედ უკრაინისა და საქართველოს ინტერესებშია",** — განაცხადა ბომელმა.

# აშშ-ის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა ბარაკ ობამას «სუსტი» და «უნებისყოფო» უწოდა



ბარაკ ობამა და დიკ ჩეინი

**აშშ-ის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ ტელეკომპანია Fox News-ის ეთერში ბარაკ ობამას „სუსტი" და „უნებისყოფო" პრეზიდენტი უწოდა და დასძინა, რომ მას უცხო ქვეყნების ლიდერები იყენებენ. პოლიტიკოსმა ივარაუდა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი, შესაძლოა, რუსეთის მოქმედებით არის შეშინებული.**

„ეს მან არაერთხელ გაამჟღავნა, ვფიქრობ, ის პუტინის შეშინებულია. ვლადიმერ პუტინი ხვდება, რომ აშშ-ს უნებისყოფო პრეზიდენტი ჰყავს და ამას სსრკ-ის აღსადგენად იყენებს", — განაცხადა დიკ ჩეინიმ. Fox News-ის ჟურნალისტმა კრის უელასმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში ბუშის ადმინისტრაცია „სულელურად" მოიქცა. ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა აღიარა სიტუაციების მსგავსება, თუმცა დასძინა, რომ ამ კონფლიქტში ჯორჯ ბუშმა (უმცროსი) ადეკვატური ზომები მიიღო: ერაყიდან ქართველი სამხედროები გამოიყვანა, შავ ზღვაში ამერიკის ხომალდები შეიყვანა და საქართველოს სხვადასხვანაირი დახმარება აღმოუჩინა.



## ბრიტანელი ექსპერტი: აშშ უკრაინის კრიზისს ნატოს გასაფართოებლად იყენებს

**ჟურნალ Politics First-ის მთავარი რედაქტორი მარკუს პაპადოპულოსი ამბობს, რომ ნატოს გაფართოება და აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები მიმართულია ევროპაში რუსეთის გავლენის შესაზღუდად და რუსეთის სტრატეგიული და ატომური ძალების გასანეიტრალებლად.**

**„აშშ და მისი მოკავშირეები უკრაინის კრიზისს იყენებენ იმისათვის, რომ გაამართლონ ნატოს ძალების არსებობა აღმოსავლეთ ევროპაში. ამ არსებობის კიდევ უფრო გაძლიერება უარყოფითად აისახება ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობაზე",** — განაცხადა ბრიტანელმა ექსპერტმა საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში, ჟურნალ Politics First-ის მთავარმა რედაქტორმა მარკუს პაპადოპულოსმა.

ბრიტანელი ექსპერტის განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე ამერიკელმა გენერალმა, ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ფილიპ ბრიდლავმა თქვა, რომ ნატოს წევრმა ქვეყნებმა, უკრაინაში სიტუაციის გამწვავების ფონზე, შეიძლება აღმოსავლეთ ევროპაში სამხედრო კონტინგენტების მუდმივად განლაგების საკითხზე იმსჯელონ.

მარკუს პაპადოპულოსის აზრით კი, ნატო და ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემების განლაგება აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის გავლენის შესაზღუდად არის მიმართული.

„კრიზისს უკრაინაში, პროვოცირებულს აშშ-ის მიერ, რომელიც, ბოლო 20 წელიწადია, ცდილობს, უკრაინა რუსეთს მოსწყვიტოს და ნატოში შეიყვანოს, ვაშინგტონი და მისი მოკავშირეები აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს სამხედრო ძალების განლაგების გამამართლებელ არგუმენტად აყენებენ. ვაშინგტონს, ადრე თუ გვიან, მოუწევს ახსნა, რატომ შექმნა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა ყალბი განცხადებით, რომ რუსეთი ირანსა და ჩრდილოეთ კორეასთან ერთად საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უსაფრთხოებას ევროპაში. ე. წ. „რუსეთის მხრიდან აგრესია", რის შესახებაც გაყვირის დასავლური მედია, ნატოს საბაბს აძლევს, გააძლიეროს თავისი სამხედრო ძალები რუსეთის საზღვართან.



მარკუს პაპადოპულოსი

**ამჟამად ჩვენ ვხედავთ ურთიერთობის უაზრო და სწრაფ გაუარესებას რუსეთსა და დასავლეთს შორის და ამაში დამნაშავე არის დასავლეთი, განსაკუთრებით — აშშ. ამერიკელების აგრესიული და უკომპრომისო სწრაფვა, ნებისმიერი მეთოდით შეინარჩუნოს ჰეგემონია, მსოფლიოს ჰარმონიას ვერ მოუტანს.**

ირონია მდგომარეობს იმაში, რომ, **მართალია, აშშ ამტკიცებს, რომ რუსეთს მე-19 საუკუნის დონის შეგნება აქვს, მაგრამ სინამდვილეში ასეთი შეგნება სწორედ აშშ-ს აქვს",** — ამბობს ბრიტანელი ექსპერტი.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რიგითმა ამერიკელებმა რომ იცოდნენ, როგორ დაიღუპნენ ადამიანები ოდესის პროფკავშირების სახლში და მათ „ედინაია უკრაინას“ მომხრეები „შებოლილ ასეულს“ და „შებრაწულ კოლორადოს ხოჭოებს“ უწოდებენ, ნულანდს მისი ბუნდოვანი ფორმულირებებისთვის, ალბათ, ობსტრუქციას მოუწყობდნენ.**



## ანა მიხაილენკო:

# ჩვენთან სახელმწიფო გადატრიალება მოხდა

**უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე გვესაუბრება პოლიტიკური მიმომხილველი ანა მიხაილენკო, რომელსაც ხარკოვში დავუკავშირდით.**

**— ანა, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს თქვენ შიგნიდან აკვირდებით. ორიოდ სიტყვით როგორ შეაფასებთ იმას, რაც უკრაინაში ხდება? ჩვენ საქართველოში დეჟავუს შთაბეჭდილება გვიჩნდება. 90-იან წლებში საქართველოში დაამხეს კანონიერი ხელისუფლება, მის ნაცვლად მოგვიყვანეს „პროდასავლური რეჟიმი“, რომელსაც სამოქალაქო ომი, იავარქმნა და ტერიტორიების დაკარგვა მოჰყვა.**

— ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ჩვენთან სახელმწიფო გადატრიალება მოხდა: **ოლიგარქების ერთმა წყებამ სხვა ოლიგარქები შეცვალა, ზომიერ პოლიტიკოსებს ჩაენაცვლენ პროდასავლურები, ქვეყანა გაკოტრების პირას მივიდა. დღეს აღმოვჩნდით სიტუაციაში, როცა უკრაინის საზოგადოებრიობის ერთი ნაწილის იმედი ევროპასთან დაახლოებისა გამოიყენეს ე. წ. ქუჩის დემოკრატიის მეშვეობით ხელისუფლების შეცვლის მიზეზად.** ამ ინსტრუმენტმა თავისი ეფექტიანობა დაამტკიცა ჯერ კიდევ იუგოსლავიაში „ბულდოზერული რევოლუციის“ დროს. კიევის მაიდანზე გამართულ მიტინგებს დასაწყისში მშვიდობიანი პროტესტის ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ეს პროტესტი ძალიან მალე გადაიზარდა არეულობაში, პოლიციასთან შეტაკებაში, შენობების ხელში ჩაგდებაში, სნაიპერების სროლაში და ა. შ.

და თუ, ვთქვათ, თურქეთში ასეთ მიტინგებს უცერემონიოდ არბევენ და უმსხვილეს სოციალურ ქსელებს ხურავენ, ჩვენს ხელისუფლებას საამისოდ პოლიტიკური ნება არ ეყო. **უკრაინელების უმრავლესობა დიდხანს ელოდა, რომ იანუკოვიჩი, ბოლოს და ბოლოს, მიიღებდა მკაცრ და ვაჟკაცურ გადაწყვეტილებას და დაშლიდა მთელ ამ ფსევდოპატრიოტულ ბალაგანს უცხოელი სტუმრებითურთ. მაგრამ მან ჯერ პრემიერი გაწირა, შემდეგ ე. წ. ოპოზიციურ სამეულთან (იაცენიუკი, კლიჩკო, ტიაგნიბოკი) სამარცხვინო ხელშეკრულებებს მოაწერა ხელი, ბოლოს კი ძლივს გაასწრო და ქვეყანა ბედის ანაბარა დატოვა.**

**— სამი თვეა, უკრაინაში „მაიდნის დემოკრატიაა“ გამეფებული. როგორ აისახა ეს სიტყვის თავისუფლებაზე, რიგითი უკრაინელების კეთილდღეობაზე, თანასწორუფლებიანობასა და კანონის უზენაესობაზე?**

— **ყველაფერ იმას, რაც დღეს უკრაინაში ხდება, დემოკრატია რომ ვუწოდო, თუნდაც „მაიდნის დემოკრატია“, ენა არ მომიბრუნდება.** სიტყვის თავისუფლება თითქოს არავის გაუუქმებია, მაგრამ **ყველა, ვინც ასე თუ ისე აკრიტიკებდა ხელისუფლებას, არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა — დღეს თავისუფალი ხარ, ხვალ კი ციხეში აღმოჩნდები. ამასთანავე, სულერთია, ვინ ხარ — ჟურნალისტი, პოლიტიკოსი თუ სამოქალაქო აქტივისტი.** სხვაგვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ ბრძოლაში გართული კიევის ხელისუფლება აბსურდამდე მიდის: მასობრივი ინფორმაციის წამყვანი საშუალებები დღედაღამ დაკავებულები არიან იმით, რომ ამართლებენ ხუნტას და საკუთარ მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ განაწყობენ. **თითქოს პუტინის ბრალი იყოს, რომ ჩვენ 23 წლის განმავლობაში ნებას ვრთავდით (და ახლაც უფლებას ვაძლევთ) ერთ მუჭა ოლიგარქებს, გაევსოთ თავიანთი ჯიბეები, ჩვენ კი ქამრები შემოგვეჭირა.**

რიგითი უკრაინელების უდიდესი უმრავლესობა დღეს შიშით შესცქერის მომავალს. **მოსახლეობის შემოსავლების დონე მნიშვნელოვნად შემცირდა, დევალვაციამ კი ეს შემოსავლები კიდევ უფრო გააუფასურა. დოლარი მტკიცდება, ევროც, აგრეთვე. ყოველდღიური მოხმარების საქონლის ფასი დაახლოებით ერთი მესამედით გაიზარდა. 1 მაისიდან სერიოზულად მოიმატა გაზის ფასმა. ზოგიერთმა საწარმომ შეწყვიტა ხელფასების გაცემა.** რეგიონებში საბიუჯეტო სფეროში დასაქმებული ადამიანების ხელფასები არარეგულარულად გაიცემა, მაგრამ ამაზე „ხელი არავის მოუწერია“ და **ნათელი „ევროპული იდეალებისთვის“ თავიანთი ცხოვრების ჩვეულებრივი წესის შეწირვა უკრაინელებს მაინცდამაინც არ სურთ. მსგავსი რამ ჩვენ ერთხელ უკვე გამოვცადეთ „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შემდეგ, როცა აშშ-მა უკრაინის ხელისუფლების სათავეში თავიანი კაცი ვიქტორ იუშჩენკო დასვა.** დღეს ამის გახსენებას თავს არიდებენ, მაგრამ ანალოგია სახეზეა.

**— მასობრივი ინფორმაციის „პრომაიდნური“ უკრაინული საშუალებები ოპონენტებს ტერორისტებად მოიხსენიებენ და მათ უკრაინული სახელმწიფოებრიობის მტრებად განიხილავენ. ანტიტერორისტული ოპერაცია, რომელსაც კიევი ლუგანსკსა და დონეცკში აწარმოებს, უშედეგოა, და, როგორც ჩანს, იმიტომ ხდება ასე, რომ კიევის უხეში ძალა ადგილობრივი მოსახლეობის მტკიცე წინააღმდეგობას წააწყდა. შეგიძლიათ, აგვიხსნათ, ვინ ვის ეომება სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში და რას ფიქრობენ ამის თაობაზე ქვეყნის დანარჩენი მოქალაქენი?**



## უკრაინა აღარასოდეს იქნება უწინდელი სახით და, სავარაუდოდ, კვლავაც დაკარგავს ტერიტორიებს

— ჯერ, მოდით, გავარკვიოთ, რომ უკრაინა არასოდეს ერთიანი არ ყოფილა. დასავლეთში ადამიანები მოვურად ლაპარაკობენ, აღმოსავლეთში კი — რუსულად, ან უკრაინულისა და რუსულის ნაზავზე. ომის წლებში დასავლეთ უკრაინაში გერმანელებმა ეს-ეს-ის დივიზია „გალიჩინას“ ჩამოყალიბება შეძლეს, დონბასში კი ამაზე ხელი არ მიუწვდათ — მსურველები, პრაქტიკულად, ვერ მოძებნეს. ამიტომ, როცა კიევის ხელისუფლებამ თავისი ერთ-ერთი პირველი კანონით რუსული ენის შეზღუდვა მოისურვა, ნაცვლად იმისა, რომ ეკონომიკა კრახისგან ეხსნა, აღმოსავლეთში ხალხი, რბილად რომ ვთქვათ, აღელდა.

**დღეს აღარავინ მალავს, რომ სახელმწიფო გადატრიალება შესაძლებელი გახდა „მემარჯვენე სექტორის“ რადიკალურად განწყობილი ნაციონალისტების წყალობით, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ არეულობებში. ისინი უმეტესად უკრაინის დასავლეთ რეგიონებიდან არიან, აღზრდილნი ყველაფერ რუსულისადმი ზიზღით და გაწვრთნილნი — სპეციალურ ბანაკებში.** ფაქტობრივად, ის თაობაა, რომელიც დაიბადა და გაიზარდა უკრაინის დამოუკიდებლობის წლებში. ქრისტიანული ღირებულებები მათთვის სრულიად მიუღებელია.

დღეს ე. წ. ანტიტერორისტულ ოპერაციაში, რომელიც აღმოსავლეთში ხორციელდება, მონაწილეობენ უკრაინის შეიარაღებული ძალების დანაყოფები და ეროვნული გვარდია, რომელიც უმეტესად სწორედ „მემარჯვენე სექტორის“ მებრძოლებით არის დაკომპლექტებული.

**პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ტურჩინოვმა ახლახან განაცხადა, რომ მოხალისეების მიერ კიეველი ძალოვნებისთვის გაწეული წინააღმდეგობა წარმატებული ვერ იქნებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის გარეშეო. ტვინი გაეხსნა, ბოლოს და ბოლოს. ანუ, რომ მოვაცილოთ ყველა მოგონილი სახელწოდება, როგორიცაა „ეროვნული გვარდია“, გამოვა, რომ დასავლეთ უკრაინაში მცხოვრებნი კიევის ხელისუფლების აქტიური წაქეზებით ცდილობენ, გაანადგურონ აღმოსავლეთ უკრაინის მცხოვრებნი. ამას კი სამოქალაქო ომი ეწოდება.** მაგრამ ძალები ამ ომში უთანასწოროა: სახალხო ლაშქარს მხოლოდ ბოლო დღეებში გაუჩნდა ნაღმსარტყორცნები, მაშინ, როცა მის მოწინააღმდეგეებს არტილერია, ჯავშანტექნიკა და ავიაციაც კი ჰქონდათ.

უკრაინელების უმეტესობას ლოდინი უჩევნია, იცდიან, ვიდრე რომელიმე მათგანი რამეს გააკეთებს. შეიძლება პოროშენკომ არჩევნების შემდეგ სულ სხვაგან გაუტიოს, შეიძლება რუსეთმა სამშვიდობოები რამენაირად შემოიყვანოს, შეიძლება უცხოპლანეტელები მოფრინდნენ. სერიოზულად კი ვიტყვი, რომ უკრაინელები ითმენენ. მაგრამ ხელისუფლება დიდ შეცდომას უშვებს, როცა შესაძლებელს ხდის ოდესის მსგავსი ტრაგედიის დაშვებას იმიტომ, რომ მოთმინებასაც აქვს საზღვარი.

**— რა შეგიძლიათ თქვათ „მაიდნის“ ლიდერებზე? ვინ არიან ხელისუფლების სათავეში მოსული ადამიანები? რა არის მთავარი მიზეზი, რომლის გამოც უკრაინის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არ აღიარებს მათ?**

— ჯერ ერთი, **უკრაინის ხელისუფლების სათავეში არიან ადამიანები, რომლებიც არავის აურჩევია. მათ კიევის „მაიდნის“ სცენიდან თავიანთი თავი თვითონვე დაინიშნეს თანამდებობებზე ისე, რომ ათასობით მომიტინგის აზრს მიაფურთხეს.** ბევრი მათგანი ასეთ საკადრო გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდა.

მეორე — რთულია, უწოდო მათ „მაიდნის“ ლიდერები. **დიდი სიყვარულის გამო არ ამოუსვრიათ ცეცხლმაქრობი სითხით კლიჩკო, იაცენიუკს კი რამდენიმეჯერ შეასხეს ბრილიანტის მწვანე. რა სახალხო მხარდაჭერაზე შეიძლება აქ ლაპარაკი?**

**რეალური ლიდერი არის მაიდნის ექსკომენდანტი ანდრეი პარუბიი, რომლის ნებართვის გარეშე, არაფერი კეთდებოდა, და „მემარჯვენე სექტორის“ ლიდერი იაროში.** პირველი დღეს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის მდივანია და კურატორობს ძალოვან სექტორს, მეორე დაკავებულია პოლიტიკაში საკუთარი თავის „ლეგალიზაციით“ საპრეზიდენტო მარათონში მონაწილეობის მეშვეობით.

**— ყირიმი, რეფერენდუმები ლუგანსკსა და დონეცკში, ხანგრძლივ ქაოსში ჩაძირული ქვეყანა, ასეულობით მსხვერპლი, სახელმწიფოს გაყოფის რეალური საფრთხე — ღირდა კი ამის ფასად ტიმოშენკოს პატიმრობიდან გათავისუფლება და ავაკოვის მინისტრად დანიშვნა?**

— მე ტიმოშენკოს გათავისუფლებასა და ავაკოვის დანიშვნას თანმდევ შედეგს დავარქმევდი. შუალედური შედეგი კი ჯერჯერობით ასეთია: **უკრაინა უკვე აღარასოდეს იქნება უწინდელი სახით და, სავარაუდოდ, კიდევ განაგრძობს ტერიტორიების დაკარგვას.** დიახ, უზენაესმა რადამ მიიღო კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, ჩვენც არასოდეს ვაღიარებთ, რომ ყირიმი რუსეთის ნაწილი გახდა, მაგრამ, ამასთანავე, ზაფხულში იქ დასასვენებლად წასვლა უკვე შეუძლებელია. მაშ, რისთვისღა არის საჭირო ეს ხმამაღალი, მაგრამ ცარიელი ფორმულირებები და კანონები?!

**მოვიყვან ციტატას, რომელიც ბევრი უკრაინელის განწყობას ასახავს: „ასეულობით მოკლული, ათასობით დაჭრილი, გაპარტახებული კიევი, თითქმის დეფოლტი, ევროკავშირში არ გვიღებენ, ბუნებრივი აირი ძვირდება, ყირიმი დაკარგულია, ანარქია და ქაოსი, სამხრეთ-აღმოსავლეთში გუბერნატორებად ოლიგარქები დანიშნეს. მინდა, მადლობა გადავუხადო ბებიებს, რომლებიც ბოთლებში ბენზინს ასხამდნენ და ქვაფენილს ამახინჯებდნენ. საერთოდ კი, მადლობა ყველას, ვინც თავზე ქვაბჩამოცმული დადიოდა. თქვენ მაგ ქვაბებში დაიბადეთ“.**

სხვათა შორის, გათავისუფლებული ტიმოშენკო ამ დღეებში უკრაინას მესამე „მაიდნის“ მოწყობით დაემუქრა, თუკი არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს. ასე რომ, მხოლოდ ამისთვის არ ღირდა ტიმოშენკოს გათავისუფლება ციხიდან. თუმცა, გინდ ციხეში იყოს, გინდ — თავისუფალი, რა აზრი აქვს? მისგან არავითარი სარგებელი არ არის. **ტიმოშენკომ საკუთარ თავს თვითონვე გამოუტანა განაჩენი, როცა ერთ-ერთ სატელეფონო საუბარში თქვა, რომ სურს, ხელში ავტომატი აიღოს და სამხრეთ-აღმოსავლეთში მცხოვრებთა დასახოცად წავიდეს. ასე რომ, იულიას პოლიტიკური კარიერა დასასრულს უახლოვდება.**

**— სოციალურ ქსელებში ხშირად ქვეყნდება შეფასებები, რომ „მაიდნის“ ორგანიზატორი დასავლეთი იყო, რომ სწორედ დასავლეთმა მოახდინა სისხლისღვრის პროვოცირება, როდესაც ორმაგი სტანდარტი გამოიყენა და წააქეზა მოქმედება „მაიდნელი“ რადიკალების ექსტრემისტებისა და მოფაშისტო ელემენტებისა, რომლებსაც „სახალხო პროტესტის გამომხატველებად“ განიხილავდა. ახლა კი, როდესაც აღმოსავლეთ უკრაინის მოსახლეობა საერთო-სახალხო პროტესტს გამოხატავს რადიკალური და ექსტრემისტული ელემენტების წინააღმდეგ, დასავლეთი ასეთ პოზიციას რატომღაც ტერორიზმად მიიჩნევს...**

— ერთხელ — ეს არის შემთხვევითობა, ორჯერ — დამთხვევა, სამჯერ კი — კანონზომიერება. **დასავლეთი პირველად ხომ არ იყენებს ორმაგ სტანდარტს? გაიხსენეთ სირია. აშშ სამი წლის განმავლობაში უწოდებდა ოპოზიციას „ალ ქაიდას“ მებრძოლებს, მათ სამი წლის განმავლობაში ამარაგებდნენ იარაღით, პრეზიდენტ ასადს კი მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტაში ადანაშაულებდნენ. გაიხსენეთ ერაყი, სადაც ქიმიური იარაღი ვერსად იპოვეს, შეხედეთ ლიბიას, რომელიც კიდევ კარგა ხანს იქნება გახვეული ცეცხლის ალში.**

და კიდევ — თავს უფლებას მივცემ, გავიხსენო, როგორ შეიჭრა აშშ 1983 წლის ოქტომბერში საწყალ გრენადაზე გამოგონილი მიზეზით, როგორ აქციეს ნაცარტუტად ადგილობრივი შეიარაღებული ძალები და დაამხეს მორის ბიშოპის კომუნისტური ხელისუფლება. რა უფლება ჰქონდათ? — ჩემი აზრით, არანაირი. ეს, უბრალოდ, ბიზნესი იყო და მეტი არაფერი.

სამწუხაროდ, **დასავლეთი ამჟამადაც განაგრძობს ორმაგი სტანდარტის გამოყენების პოლიტიკას. ისინი ვერ ხედავენ ნაციონალიზმს, კვლავაც ჯიუტად უწოდებენ ევრომაიდანს მშვიდობიან პროტესტს, კიევის ხუნტას — კანონიერ ხელისუფლებას, ხოლო ნახევრადცარიელ უზენაეს რადას** ▶

**ზვიად გამსახურდია დინებას არ მიჰყვებოდა, რადგან დინებას გაყოლა ვაშინგტონის, მოსკოვის, ანკარის, თეირანის თუ ბრიუსელის ინტერესების დაცვას ნიშნავდა და ნიშნავს, მაგრამ, თუკი ამ დინების საწინააღმდეგოდ მიცურავ და შენი სამშობლოს ინტერესებს იცავ, თუკი ამ დაცვის დროს შინაური მტერიც ბევრი გაგიჩნდება, მაშინ სწორედ ისე ტრაგიკულად დაამთავრებ სიცოცხლეს, როგორც პირველმა პრეზიდენტმა დაამთავრა. ალასანია კი ვაშინგტონის ინტერესებს იცავს საქართველოში, ოღონდ ამჯერად ანკარის გავლით.**

რეპლიკა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ — **საკანონმდებლო ორგანოს.** დასავლეთში მხოლოდ ახლახან გაისმა ვაშინგტონის ოფიციალური კურსისადმი უნდობლობის სიგნალები. ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთმა სენატორმა კალიფორნიის შტატიდან, როგორც იქნა, აიძულა ვიქტორია ნულანდი, ელიარებინა, რომ ევრომაიდანზე რადიკალური ნაციონალისტური დაჯგუფებების წარმომადგენლები იყვნენ.

**აშშ-ისა და ევროკავშირის ასეთი დაუფარავი თავხედობა არის იმის შედეგი, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობა ვერ ხედავს სრულ სურათს, რომელიც ხდება უკრაინაში, და არ შეუძლია პოლიტიკოსებზე საზოგადოებრივი აზრით ზემოქმედება.** მაგალითად, შარშან, როდესაც ობამა მზად იყო სირიაში სამხედრო ოპერაციის დასაწყებად, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ამერიკელთა უდიდესი უმრავლესობა (85 პროცენტი) წინააღმდეგი იყო. და ბატონმა ბარაკმა თავისი სავარძლის დაკარგვა არ გარისკა.

**რიგითმა ამერიკელებმა რომ იცოდნენ, როგორ დაიღუპნენ ადამიანები ოდესის პროფკავშირების სახლში და მათ „ედინაია უკრაინას“ მომხრეები „შებოლილ ასეულს“ და „შებრაწულ კოლორადოს ხოჭოებს“ უწოდებენ, ნულანდს მისი ბუნდოვანი ფორმულირებებისთვის, ალბათ, ობსტრუქციას მოუწყობდნენ.**

და, სხვათა შორის: დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების მოსახლეობას, რომელსაც ნამდვილად არ სურს, რამე საერთო ჰქონდეს ასეთ კიევთან, უკრაინული მასმედია ტერორისტებს უწოდებს. დასავლეთის გაზეთები და საინფორმაციო სააგენტოები კი უკვე კეთილშობილურ ტერმინ Rebels-ს იყენებენ, ანუ „ამბოხებულებს“. და ეს, შესაძლოა, პოზიტიური სიგნალია.

**— თქვენი აზრით, თუ არსებობს კავშირი უკრაინულ მოვლენებსა და ამ ქვეყნის ყველაზე დიდი გაზმომპოვებელი კომპანიის დირექტორთა საბჭოში ჯოზეფ ბაიდენის ვაჟის დანიშვნას შორის?**

— რა თქმა უნდა. **ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აშშ-ის ნებისმიერი ქმედების უკან დგას მხოლოდ ეკონომიკური ინტერესები: ეს შეიძლება იყოს ნახშირწყალბადების მარაგი, შეიძლება — გასაღების პერსპექტიული ბაზარი ან, უბრალოდ, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიები.** თავის დროზე ინტერნეტში ვრცელდებოდა დემოტივატორები ლოზუნგებით: „თქვენ გაქვთ ნავთობი, მაგრამ არ გაქვთ დემოკრატია? მაშინ მოვფრინავთ თქვენთან“. ეს ერთმნიშვნელოვნად აშშ-ზეა ნათქვამი.

დასავლეთი ასეთივე პრინციპებით ხელმძღვანელობს უკრაინაშიც, როდესაც ჩვენ განგვიხილავს არა როგორც 46-მილიონიანი მოსახლეობისა და მდიდარი კულტურის მქონე სახელმწიფოდ, არამედ როგორც საკმაოდ ვრცელ და პერსპექტიულ ტერიტორიად, სადაც გაზის მოპოვება და ევროპისთვის მიყიდვა შეიძლება. ამის კიდევ ერთი დასტური კი ამ პოსტზე აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის შვილის დანიშვნაა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

# ირაკლი ალასანია — ვაშინგტონური მონეტის რევერსი



**საქართველოს სამოქალაქო პატრიარქად წოდებულმა ბიძინა ივანიშვილმა გლეხურად და გასაგებად გვითხრა, რომ ევროპელები და ამერიკელები „აწვებოდნენ“, მოქალაქე პატრიარქის მიერ პარლამენტის თავმჯდომარედ ნაკურთხმა დავით უსუფაშვილმა განგვიმარტა, რომ „ნაცმოძრაობის“ გადარჩენა ქართული დემოკრატიის ამოცანა ყოფილა, მისმა უკუნისამდე თანამეცხედრემ თინა ხიდაშელმა კი აქეთ დაგვდო ბრალი, ქართველი ხალხის შეკვეთაა პოლიტიკურ ძალად წოდებული ბანდიტების ხროვის გადარჩენაო. მაგრამ ეს არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც ირაკლი ალასანიამ ვაშინგტონში განაცხადა. თურმე სააკაშვილის ბანდას ისეთი მიღწევები ჰქონია, რომ ჩვენ მათი წარმატებით დაწყებული საქმე უნდა განვაგრძოთ. რა წარმატება? რასაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეეწირა, რასაც 10 წლის განმავლობაში ვხედავდით და ვებრძოდით, ის წარმატება იყო?**

ეს ყველაფერი ჩვენი უახლესი წარსულის მძიმე მაგალითებია, სულ ახლახან კი **ირაკლი ალასანიამ გაღიზიანებულმა მრისხანედ დააკვესა სიკეთით სავსე თვალები, არავის ვურჩევ დინების საწინააღმდეგოდ სვლასო.** ეს რომ ჩვენთვის კი არა, მოქალაქე ივანიშვილის, პრემიერ ღარიბაშვილისა და პრეზიდენტ მარგველაშვილის გასაგონად ითქვა, ყველა მიხვდა, თორემ გურამ ოდიშარიასთვის გინდ გითქვამს და გინდ არა, ჩაძირულია „შავი ზღვის ოკეანის“ ტალღებში და ხანდახან თუ ამოყვინთავს...

**დინების საწინააღმდეგოდ ცურვა საქართველოში მხოლოდ ერთ ადამიანთან ასოცირდება და ეს საქართველოს პირველი პრეზიდენტია. ზვიად გამსახურდიას დინების საწინააღმდეგოდ ცურვა კი საქართველოს ეროვნული ფასეულობების გადარჩენისა და შენარჩუნებისთვის ბრძოლას გულისხმობდა და შეეწირა კიდეც სამშობლოს ინტერესებს.** ძალიან გამიჭირდება, დღევანდელი ხელისუფლებიდან ვინმე ასე უაპელაციოდ შევადარო პირველ პრეზიდენტს, მაგრამ, ეს საბედისწერო ფრაზა რომ შემთხვევით არ დასცდა ირაკლი ალასანიას ბაგეს, მგონი, მისი ყველაზე დიდი მოყვარულიც დამეთანხმება და ყველაზე დიდი მოძულეც. ახლა ისღა დაგვრჩენია, კიდევ ერთხელ მოვისმინოთ 60 წელს მიღწეული სამოქალაქო პატრიარქის გულისწუხილი, რომ ადამიანის ხასიათის ასე შეცვლა არ გაუგია, თუმცა, ალასანიას შემთხვევაში, ეს გაცილებით ადრე მოხდა. მაშინ ივანიშვილს ბევრი არ უფიქრია და რაკი არ გამორიცხავდა ალასანიას „გადაბირებას თუ გადაზიდვას“, ვიცეპრემიერის პოსტს ჩამოაშორა „მძიმე საუბრის“ შემდეგ.

**ირაკლი ალასანიას მთავრობიდან დათხოვნა ბიძინა ივანიშვილმა ვერ გაბედა და ირაკლი ღარიბაშვილი მითუმეტეს ვერ გარისკავს. არა იმიტომ, რომ მისი თანაგუნდელები — თეა წულუკიანი (პარტიაში ალასანიას მოადგილე იყო), ალექსი პეტრიაშვილი და, რასაკვირველია, მაია ფანჯიკიძეც გაჰყვებოდნენ; არც იმიტომ, რომ პარლამენტში 10-კაციანი ფრაქციით არის წარმოდგენილი „თავისუფალი დემოკრატები“.** არა, მიზეზი გაცილებით სერიოზული და ძალიან საფრთხილოა: **ირაკლი ალასანია ვაშინგტონში მოჭრილი მონეტის რევერსია. ჩვენ 10 წელი ვუყურებდით ამ მონეტის ავერსს — მიხეილ სააკაშვილს. ამჯერად კი რევერსის დროა. თუმცა ეს დრო მხოლოდ ახლა არ დამდგარა. ირაკლი ალასანიას დიდი ხანი ამზადებდნენ ნახტომისთვის.**

ამიტომაც, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, გაეროში საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის პოსტი მკვეთრი განცხადებით დატოვა და სააკაშვილის ხელისუფლების გაკრიტიკება დაიწყო. უკვე მაშინ ცხადი გახდა, რომ ალასანიას საგანგებო მისია დაეკისრა. მას უნდა ჩაენაცვლებინა არაპროგნოზირებადი სააკაშვილი, რომლის ავანტიურამ არამხოლოდ კავკასიის რეგიონს, არამედ მთელ ევრაზიას შეუქმნა საფრთხე.

სიტუაციიდან გამოსასვლელად აშშ-ში გადაწყვიტეს, სასწრაფოდ საქართველოში დაებრუნებინათ ირაკლი ალასანია. **სააკაშვილისთვის ძალაუფლების წართმევა იოლი არ იყო და ალასანიამ მიზანმიმართულად დაიწყო მუშაობა ხელისუფლების პროამერიკულ ნაწილთან, რომელთან ურთიერთობა ახლაც აქვს, რადგან ისინიც და ესეც ვაშინგტონის ერთი პროექტის ნაწილები არიან. პრინციპში, დიდი ძალისხმევაც არ დასჭირდა — ყველანი ერთი ფორმულით მოქმედებენ. უბრალოდ, მხოლოდ ის განასხვავებთ, თუ რა პოზიცია უკავიათ სახელისუფლო ვერტიკალზე.**

ვაშინგტონში ჩამოსხმული მონეტის რევერსი **„ნაციონალებისთვის“ უცხო ადამიანი არ უნდა ყოფილიყო. თეთრი სახლისთვის ეს იყო ამოსავალი წერტილი და ამ პრინციპიდან არც გადაუხვევიათ. მთავარი კი მაინც საგარეო-პოლიტიკური კურსის უცვლელობაა.**

ასეც მოხდა მცირედი კორექტივებით. ალბათ, გახსოვთ, როგორ აკოწიწებდა ბიძინა ივანიშვილი კოალიცია „ქართულ ოცნებას“. ალასანია და რესპუბლიკელები თავიდანვე წამყვანი მოთამაშეები იყვნენ ახლადშექმნილ კოალიციაში და მნიშვნელოვანი პოსტებიც დაიკავეს. ისიც გეხსომებათ, როგორ აქტიურობდა აშშ-ის ელჩი რიჩარდ ნორლანდი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს და როგორ დაუდგა „ბოდიგარდად“ ზუგდიდში ჩასულ მაჟორიტარი დეპუტატობის დამარცხებულ კანდიდატს.

ირაკლი ალასანია კი თავდაცვის მინისტრის პოზიციიდანაც დინებას მიჰყვება და ზუსტად ასრულებს ინსტრუქციას. **ზვიად გამსახურდია დინებას არ მიჰყვებოდა, რადგან დინებას გაყოლა ვაშინგტონის, მოსკოვის, ანკარის, თეირანის თუ ბრიუსელის ინტერესების დაცვას ნიშნავდა და ნიშნავს, მაგრამ, თუკი ამ დინების საწინააღმდეგოდ მიცურავ და შენი სამშობლოს ინტერესებს იცავ, თუკი ამ დაცვის დროს შინაური მტერიც ბევრი გაგიჩნდება, მაშინ სწორედ ისე ტრაგიკულად დაამთავრებ სიცოცხლეს, როგორც პირველმა პრეზიდენტმა დაამთავრა. ალასანია კი ვაშინგტონის ინტერესებს იცავს საქართველოში, ოღონდ ამჯერად ანკარის გავლით.** ამას ადასტურებს თავდაცვის მინისტრის ექსკლუზიური ინტერვიუ თურქეთის პოლიტიკის კვარტალურ ჟურნალში Turkish Policy Quarterly. ეს ვრცელი ინტერვიუ ბევრ საინტერესო ამბავს გვიმხელს. ირაკლი ალასანიას გამოცემის მთავარი რედაქტორი ნიგარ გიოქსელი ესაუბრა.

თავდაცვის მინისტრი ახსენებს 2008 წლის მოვლენებს და ამბობს, რომ **„თურქეთი თამაშობდა ან ცდილობდა, ეთამაშა როლი, რომელიც არსებითად დაიცავდა საქართველოს ინტერესებსაც. იმ დროს მე ვესაუბრებოდი თურქეთის თანამდებობის პირებს და ისინი ცდილობდნენ, შეევსოთ არსებული სიცარიელე, რომელიც აშორებდა საქართველოს დასავლეთისგან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ იყო მიტოვებული ჰუმანიტარული და დიპლომატიური თვალსაზრისით, არსებობდა სიცარიელე რომელიც უნდა შევსებულიყო. ანკარიდან იმ დროს არსებობდა შემოთავაზებები, რომლებიც მაშინ არ განხორციელდა. მაგრამ მე ყოველთვის ვგრძნობდი, რომ თურქეთი ხელმძღვანელობდა არა მარტო თავისი საკუთარი, არამედ საქართველოს ინტერესებითაც“.**

საინტერესოა, რა „სიცარიელე“ უნდა შეევსო თურქეთს და როგორ? იმ დროს ირაკლი ალასანია საქართველოს წარმომადგენელი იყო გაეროში და ვისი სახელით ელაპარაკებოდა თურქეთის თანამდებობის პირებს, რა იყო საზღაური? რა შემოთავაზებები იყო ანკარიდან და როდის ხელმძღვანელობს თურქეთი საქართველოს ინტერესებით — იქნებ მაშინ, როცა სკოლაში ასწავლიან, რომ აჭარა თურქეთის ვილაიეთია? ბევრი შეკითხვა ჩნდება, ძალიან ბევრი... საქართველოს „მეტისმეტად მგრძნობიარე“ თავდაცვის მინისტრი კი იმუქრება, დინების საწინააღმდეგოდ სვლას არ გირჩევთო. თურმე დინებას უნდა მივყვეთ და ეს დინება შეგვიყვანს ევროკავშირსა და ნატოში, შეგვიყვანს ანკარის გავლით.

ირაკლი ალსანია კი განაგრძობს: **„მნიშვნელობა არ აქვს საქართველოს მიმართ რუსეთის პოზიციას, ეს ფაქტი არასდროს ასახულა საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობებზე... მე ვერანაირ საფრთხეს ვერ ვხედავ საქართველო-თურქეთის ორმხრივ თანამშრომლობაში, ვერც ისეთ მგრძნობიარე საკითხში, როგორიცაა, მაგალითად, აფხაზეთი. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ თურქეთს ჰქონდა უნიკალური როლი საქართველო-აფხაზეთის დაახლოებაში. ეს მეტად მგრძნობიარე საკითხია და მხოლოდ თურქეთს შეუძლია ეს როლი იკისროს, რომელიც ამჟამად განუხორციელებელია. თურქეთმა ეს შემოთავაზება რამდენიმეჯერ გააკეთა, მაგრამ ჩვენ, აფხაზები და ქართველები, როგორც ჩანს, მზად არ ვიყავით. მაგრამ ვფიქრობ, რომ მომავალში თურქეთი უნიკალურ როლს ითამაშებს, რათა ახალი საქართველო გააცნოს აფხაზ ხალხს და პირიქით. ასე რომ, დიდი პოტენციალი არსებობს იმისა, რომ თურქეთმა მომავალში ითამაშოს როლი რეგიონალური კონფლიქტების მოგვარებაში“.**

აქ კი სერიოზული დაფიქრება გვმართებს. ეს იმდენად სახიფათო სიახლეა, რომ ჩვენ, როგორც ჩანს, სამუდამოდ დავემშვიდობებით „ლურჯ მთებს და თეთრ სანატორიას“. როგორც კი საქართველო ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში მედიატორად თუ მხარედ ჩართავს თურქეთს, რომელსაც, დიდი ხანია, თვალი უჭირავს არამხოლოდ აფხაზეთზე, არამედ მთელ საქართველოზე, ადვილი წარმოსადგენია, ეს რას გამოიწვევს მოსკოვსა და სოხუმში. **შეუძლებელია, ირაკლი ალასანია არ აცნობიერებდეს არამხოლოდ რუსეთის პოზიციის მნიშვნელობას, არამედ იმასაც, თუ რას მივიღებთ მოსკოვისა და ანკარის შეთანხმებით (მათი კავკასიური დაპირისპირება საუკუნეებს ითვლის) საქართველოსთან დაკავშირებით.** მაგრამ დღევანდელი ხელისუფლებისთვის, შესაძლოა, ეს არც იყოს მნიშვნელოვანი; ახლა მთავარია, ქვეყანამ ხელი მოაწეროს ასოცირების შეთანხმებას და უელსის სამიტზე „მაპზე უარესი“ მაინც მოგვცენ. შედეგად კი მივიღებთ კიდევ უფრო გაუცხოებულ სოხუმსა და ცხინვალს. **ჩვენ გვახარბებენ, რომ ევროპასა და ნატოს ვუახლოვდებით, მაშინ, როცა კიდევ უფრო მეტად ვშორდებით სოხუმსა და ცხინვალს.**

შეკითხვაზე — **როგორ მოაგვარებს თურქეთი რეგიონულ კონფლიქტებს? კერძოდ, შეუძლია თუ არა თურქეთს უფრო მეტად შეუწყოს ხელი საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესს?** — ალასანია უპასუხებს: **„უდავოდ. თურქეთი ევროპული და ნატოს წევრი ქვეყანაა... ისინი მზად არიან დახმარებისთვის... დარწმუნებული ვარ, რომ მათ კარგად ესმით, რამდენად ხელსაყრელია მათთვის, თუ საქართველო ნატოში შევა“.**

რასაკვირველია, თურქეთისთვის ხელსაყრელია საქართველოს ნატოში გაწევრიანება. ეს იმდენად ცხადია, რომ ალასანიას დარწმუნებით საუბარი არც არის საჭირო, მაგრამ **ნატოს წევრი უდიდესი და რეგიონის ერთ-ერთი მძლავრი სახელმწიფოს — თურქეთის სამხედრო დანამატად საქართველოს გადაქცევით რა სარგებელს მიიღებს ჩვენი ქვეყანა?**

ძალიან ადვილია სხვის სამსახურში ყოფნა. ქართველი დიდებულები შაჰის კარზეც აღწევდნენ წარმატებას და სულთნის სამსახურშიც იდგნენ, რუსეთის მეფეთაგან ბოძებულ ორდენებსაც სიამოვნებით იბნევდნენ და ამაყადაც ატარებდნენ ჯინჯილებს. სამშობლოსთვის თავდადება კი მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. ისინი დინებას არ მიჰყვებიან და ამიტომაც იღუპებიან.

**ირაკლი ალასანია დიდ თამაშშია ჩართული და ვაშინგტონში ჩამოსხმული მონეტის რევერსობასაც იფერებს. ასეთი ადამიანი ვერასოდეს გაბედავს სვლას დინების საწინააღმდეგოდ. ასეთები მხოლოდ დინებას მიჰყვებიან...**

**ბონდო მძინარაშვილი**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის ელჩმა, ფაქტობრივად, მოახდინა აზერბაიჯანის მთავრობის პირობითი დაყოფა „ანტიდასავლურ“ და, ასე ვთქვათ, „დასავლეთისთვის მისაღებ“ ბანაკებად, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ტერმინების გამოყენებას, მისი თქმით, მიზანშეწონილად არ მიიჩნევს.**

# «მაიდანი» ბაქოში და უსამართლობა თბილისში

**ძველი გამოთქმა „შარო, საიდან მოდიხარო“, დიდი ხანია, ქართული პოლიტიკის არაოფიციალურ დევიზად იქცა. გასულ კვირას აშშ-ის ელჩმა აზერბაიჯანში — რიჩარდ მორნინგსტარმა „რადიო თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მეზობელ ქვეყანაში უკრაინული „მაიდანის“ მსგავსი მოვლენების დაწყების შესაძლებლობაზე მიანიშნა. ასე ღიად და არაორაზროვნად ამერიკელ დიპლომატებს ბაქოში არასოდეს უსაუბრიათ. აზერბაიჯანის შესაძლო დესტაბილიზაციამ, რომელზეც ამ ინტერვიუს შემდეგ არაერთი კომენტატორი ალაპარაკდა, შეიძლება სწრაფად და რადიკალურად შეცვალოს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, მისი სატრანზიტო ფუნქცია ეჭვქვეშ დადგეს და, შესაბამისად, გეოპოლიტიკური მნიშვნელობის დევალვირება მოხდეს. ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს შეძლებს საქართველო ფარდობითი სტაბილურობის კუნძულად დარჩენას თუ ქაოსი პოსტსაბჭოეთში უკრაინის შემდეგ აზერბაიჯანშიც დაიწყება.**



## ძია სემის ახალი სამიზნე

„დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ ერთმანეთის არ გვესმის, — განაცხადა აშშ-ის ელჩმა აზერბაიჯანში: ჩვენ ვთვლით, რომ ადამიანის უფლებები ირღვევა და ამაზე ვსაუბრობთ. ხშირად მთავრობა სრულიად არასაჭირო საქმეებს აკეთებს და ჩვენ საერთოდ არ გვესმის, რატომ ხდება ეს“. როდესაც ჟურნალისტმა ჰკითხა, არის თუ არა ბოლოდროინდელი რეპრესიების სამიზნე „პროდასავლური ჯგუფი“ აზერბაიჯანში, რიჩარდ მორნინგსტარმა უპასუხა: „მე არ მომწონს ფრაზა „პროდასავლური ჯგუფი“. მაგრამ ვფიქრობ, რომ მთავრობა მონოლითური არ არის. იქ არიან ისინი, ვისაც უნდა, დააზიანონ აშშ-აზერბაიჯანის ურთიერთობები, გაართულონ დასავლური ორგანიზაციების საქმიანობა ან აშშ-სა და ევროპას რაღაცაში ადანაშაულებენ. მაგრამ მთავრობაში არის ბევრი ადამიანი, რომელთაც სხვა შეხედულებები აქვთ. არ მინდა მთლიანობაში მთავრობა დავადანაშაულო“. ამერიკელი დიპლომატის თქმით, „მას სწამს“, რომ პრეზიდენტი ალიევი „ანტიდასავლელების“ რიცხვს არ მიეკუთვნება. „ვფიქრობ, რომ ბევრს აზერბაიჯანის ხელისუფლებაში, მათ შორის პრეზიდენტს, ესმის, რომ ურთიერთობა აშშ-თან ძალზე მნიშვნელოვანია. მაგრამ შესაძლოა, მთავრობაში არ სურთ აზერბაიჯანში „მაიდანის“ მოვლენების გამეორება. ამ ადამიანების აზრით, ამისთვის საჭიროა ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიაზე ზეწოლის გაძლიერება, მაგრამ ეს უკრაინის მოვლენებიდან გამოტანილი ცუდი გაკვეთილია, — განაცხადა მორნინგსტარმა, — ეს პოზიცია მცდარია და სამოქალაქო საზოგადოებისთვის „ჟანგბადის გადაკეტვა“ „მაიდანის“ გამეორების ალბათობას ზრდის, თუ არა დღეს, მაშინ 5 და 10 წლის შემდეგ. რაც უფრო მეტად იხურება შესაძლებლობები სამოქალაქო საზოგადოებისთვის, მით უფრო იზრდება რისკები“.

ერთი შეხედვით, ამ ინტერვიუში საგანგაშო არაფერია, თუმცა უდავოდ აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ელჩმა, ფაქტობრივად, მოახდინა აზერბაიჯანის მთავრობის პირობითი დაყოფა „ანტიდასავლურ“ და, ასე ვთქვათ, „დასავლეთისთვის მისაღებ“ ბანაკებად, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ტერმინების გამოყენებას, მისი თქმით, მიზანშეწონილად არ მიიჩნევს. მსგავსი დაყოფა უკლებრივ ყველა „ფერადი რევოლუციის“ წინარე პერიოდში მოხდა („პროდასავლელები“-„ანტიდასავლელები“, „ახალგაზრდა რეფორმატორები“-„რუსეთზე ორიენტირებული რეტროგრადები“ და ა. შ.) და ამ ბიპოლარულ მოდელს აქტიურად ნერგავდნენ როგორც თავად ამერიკელები, ისე მათ მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკური ჯგუფები, არასამთავრობოები თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ნებისმიერი მთავრობისთვის ეს საკმაოდ საგანგაშო სიგნალია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამერიკელმა დიპლომატმა იქვე დაიწყო საუბარი „მაიდანის“ გამეორების შესაძლებლობაზე.

**ექსპერტების აბსოლუტური უმრავლესობა მაინც არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ გარკვეულ სიტუაციაში ვაშინგტონმა შეიძლება ხელი შეუწყოს აზერბაიჯანში რეჟიმის შეცვლას**



**აზერბაიჯანის ხელისუფლებას მორნინგსტარის ინტერვიუ ძალიან არ მოეწონა. როგორც სახელისუფლო მედიის პუბლიკაციებში, ისე აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის — ნოვრუზ მამედოვის განცხადებაში გაღიზიანება და უკმაყოფილება იგძნობოდა.** მამედოვმა, სხვა ყველაფერთან ერთად, შემდეგი რამ თქვა: „მნიშვნელოვანია, გავიგოთ, რომ ადამიანის უფლებები და სხვა ფასეულობები, რომლებზეც ელჩმა ისაუბრა, შეიძლება სრულად იყოს რეალიზებული მხოლოდ მაშინ, როდესაც დაცულია სამართლიანობის პრინციპი. და ის უნდა დაიცვას, მათ შორის, თავად აშშ-მა“.

**ქართულ საექსპერტო საზოგადოებაში აზერბაიჯანთან დაკავშირებით საკმაოდ ფართოდ გავრცელებულია ორი არაკორექტული მოსაზრება. ერთ-ერთის თანახმად, სანავთობო აზერბაიჯანში ამერიკელებისთვის პრიორიტეტულია რეჟიმის სტაბილურობა და, ადამიანების უფლებების დარღვევის მიუხედავად, ალიევის ხელისუფლება მათთვის ისეთივე „ხელშეუხებელია“, როგორც თავის დროზე საუდიტების დინასტია.** აგრეთვე, საქართველოში ხშირად მიიჩნევენ, რომ აშშ-ისა და ევროკავშირის შეხედულებები აზერბაიჯანის ენერგომატარებლებზე და მათ როლზე ევროპის მომარაგების საქმეში 100%-ით იდენტურია, რაც ასევე არასწორია, თუმცა, ყოველივე ამის მიუხედავად, ექსპერტების აბსოლუტური უმრავლესობა მაინც არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ გარკვეულ სიტუაციაში ვაშინგტონმა შეიძლება ხელი შეუწყოს აზერბაიჯანში რეჟიმის შეცვლას. ნავთობს და „მართვადი ქაოსის ზონის შექმნის“ ნახევრადკონსპიროლოგიურ თეორიას თავი რომც დავანებოთ და დროებით დავუშვათ, რომ ობამას ადმინისტრაციას აზერბაიჯანში მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვა აღელვებს, ამ კონტექსტში შეიძლება 70-იანი წლების ირანი გაგვახსენდეს, როდესაც უშუალოდ ისლამური რევოლუციის წინ, კარტერის ადმინისტრაციამ აიძულა შაჰი, რეპრესიები მკვეთრად შეემცირებინა, რომელმაც ამბოხებულების გათამამებასა და შემდგომ გამარჯვებაში ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. აგრეთვე, შეიძლება გავიხსენოთ ვაშინგტონის ზეწოლა ჰოსნი მუბარაქის რეჟიმზე და არაერთი მსგავსი ეპიზოდი.

**90-იანების დასაწყისში, როდესაც აზერბაიჯანში სრული ქაოსი სუფევდა, ჰეიდარ ალიევმა მოახერხა, დაემორჩილებინა როგორც ძველი გაუმაძღარი და თავგასული კლანები, ისე რადიკალური შეხედულებების ახალი შეიარაღებული ჯგუფები.** ეს „თეთრი ხელთათმანებით“ ნამდვილად არ გაუკეთებია და, მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო წლებში რეჟიმი შედარებით შერბილდა, ავტორიტარული მეთოდები, დათრგუნვა და იძულება ყოველთვის წარმოადგენ- ▶

**90-იანების დასაწყისში, როდესაც აზერბაიჯანში სრული ქაოსი სუფევდა, ჰეიდარ ალიევმა მოახერხა, დაემორჩილებინა როგორც ძველი გაუმაძღარი და თავგასული კლანები, ისე რადიკალური შეხედულებების ახალი შეიარაღებული ჯგუფები**



## ავაკოვმა უკრაინის არმიის უუნარობა აღიარა

**სლავიანსკში, სადაც უკრაინის ხელისუფლება სადამსჯელო ოპერაციას ატარებს, ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა არსენ ავაკოვმა ქვეყნის შეიარაღებული ძალების სავალალო მდგომარეობაზე დაიჩივლა.**

**„ჩვენს არმიას მეთოდურად ანგრევდნენ, ჩვენ არ გვყავს ნორმალური შეიარაღებული ძალები, არ გვყავს ადეკვატური სამხედრო ქვედანაყოფები,“** — განაცხადა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრმა. ეს არ არის უკრაინის შსს-ს ხელმძღვანელის პირველი განცხადება ძალოვანი სტრუქტურების უუნარობაზე. ადრე ავაკოვმა თქვა, რომ უკრაინის აღმოსავლეთში მილიციას არ ძალუძს თავის უფლება-მოვალეობების შესრულება და ამიტომ სამართალდამცავ ორგანოებში დიდი საკადრო წმენდა უნდა ჩატარდეს.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა არის უფრო უსამართლო, ვიდრე სამართლიანობის აღდგენაზე უარის თქმა? თუ საქართველოს ახალი ხელისუფლება ამ იდეას ზურგს საბოლოოდ შეაქცევს, სხვა სფეროებში მიღწეული წარმატება ვერაფერს უშველის.

**საქართველოში სიტყვა «რეფორმა» სააკაშვილის რეჟიმის აღვირახსნილ ძალადობასთან და პიარ-ტყუილთან ასოცირდება. არადა, მუდმივი რეფორმირების, ახალი დროის მოთხოვნების მიმართ ადაპტირების პროცესი აუცილებელია, ხოლო ვითარება პრობლემურ სფეროებში თერაპიული მეთოდებით უნდა გამოსწორდეს, უფრო ადრე, ვიდრე განრისხებული მასები «მაიდანს» მოაწყობენ**

◀ და მისი პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს. დღეს აზერბაიჯანი, ერთი შეხედვით, სავსებით სტაბილურია, მაგრამ მას როგორც გრძელვადიან, ისე ტაქტიკურ პერსპექტივაში არაერთი საფრთხე ემუქრება, რომლებზეც, ალბათ, დეტალურად უნდა ვისაუბროთ.

## რეფორმები ან კატასტროფა

ნავთობმა და გაზმაააყვავა აზერბაიჯანი, მაგრამ სანავთობო ქვეყნების ეკონომიკებს ხშირად ადარებენ ნარკომანებს, რომელთაც რაღაც მომენტში შეიძლება „დოზა“ შეუმცირდეს და ეს მეტაფორა საკმაოდ ზუსტია. საბადოები ულევი არ არის; ექსპერტთა შეფასებით, მომავალ 20 წელიწადში მოპოვების რამდენადმე მნიშვნელოვან ზრდას ადგილი არ ექნება, ხოლო მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯები გაიზრდება. ამ მხრივ, აზერბაიჯანი უკვე დგას ენერგომატარებლების მოპოვების „მწვერვალზე“ ან (ოპტიმისტური პროგნოზების თანახმად) შეიძლება გადადგას კიდევ რამდენიმე ნაბიჯი „ზევით“ და შესაძლებლობის მაქსიმუმს მიაღწევს, შემდეგ კი ნელი დაღმასვლა დაიწყება. ამ პერსპექტივის გათვალისწინებით, ეკონომიკის სხვა დარგების განვითარება, ენერგომატარებლების ექსპორტიდან მიღებული ამონაგების კონვერტაცია სახელმწიფოს ძლიერებაში ბაქოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება.

რესურსები მძლავრი დივერსიფიცირებული ეკონომიკის შექმნისთვის აზერბაიჯანს ნამდვილად აქვს, მაგრამ ამას, ისევე, როგორც მთელ რიგ სხვა სანავთობო ქვეყნებში, ხელს უშლის უმეტესწილად კორუმპირებული და დეგრადირებული ელიტა. ან ილჰამ ალიევი დაიწყებს „რევოლუციას ზემოდან“ (ნებისმიერი პარალელი უადგილოა, თუმცა ამ კონტექსტში შეიძლება გავიხსენოთ ირანის შაჰის რეფორმები 60-70-იან წლებში — ე. წ. თეთრი რევოლუცია) და გაასუფთავებს ამ ავგიას თავლას, ან კიდევ, ადრე თუ გვიან, ქუჩაში გამოვა მზარდი ეკონომიკური პრობლემებით და ავტორიტარიზმით უკმაყოფილო ახალგაზრდების მასა, როგორც ეს „არაბული გაზაფხულის“ ქვეყნებში მოხდა. მაგრამ „რევოლუცია ზემოდან“, რომელსაც ქვეყნის რადიკალური რეფორმირება და მოდერნიზება უნდა მოჰყვეს, წინააღმდეგობაში მოდის იმ ძირითად პრინციპებთან, რომლებზეც რეჟიმი დგას. **თუ ალიევი დაარღვევს ბალანსს სხვადასხვა გავლენიან ჯგუფს შორის (როგორც ეს, მერკანტილური მოტივებიდან გამომდინარე, უკრაინაში იანუკოვიჩმა გააკეთა), აზერბაიჯანული „მაიდანი“, დიდი ალბათობით, ძალიან მალე რეალობად იქცევა, მით უმეტეს, რომ პროცესებში ერთდროულად რამდენიმე მძლავრი გარე მოთამაშე ჩაერთვება.** აქ, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ „ახალი ცივი ომი“ ალიევის ხელისუფლებას საგარეო არენაზე „ბალანსის პოლიტიკის“ გატარების და „ორ სკამზე ჯდომის“ სულ უფრო ნაკლებ შანსს უტოვებს.

აზერბაიჯანის „უკრაინიზაცია“, გნებავთ, „მაიდანიზაცია“, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე კოშმარული სცენარია. ქვეყანა გაძეძგილია იარაღით; ყარაბაღის პრობლემიდან გამომდინარე, ალიევმა უამრავი თანამედროვე სისტემა შეიძინა. რადიკალური ისლამისტური ჯგუფები ელოდებიან მომენტს იატაკქვეშეთიდან გამოსასვლელად. იმის ალბათობა, რომ ალიევის გარეშე სხვადასხვა პოლიტიკური თუ კლანური დაჯგუფება კონსენსუსის მიღწევას და ქვეყანაში ფარდობითი სტაბილურობის შენარჩუნებას შეძლებენ, მიკროსკოპულად მცირეა.

**ცვლილებები აზერბაიჯანში გარდაუვალია, მაგრამ მისი „გარდაქმნის“ სცენარი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს.** თუ რიჩარდ მორნინგსტარის ინტერვიუს განვიხილავთ არა ბანალური მუქარის კონტექსტში, არამედ სტრატეგიული პერსპექტივის გათვალისწინებით, ის შეიძლება მოგვევლინოს ერთგვარ განაცხადად შემდგომი პროცესების მართვაზე: ან ალიევი იწყებს „რევოლუციას ზემოდან“ „ახალგაზრდა პროდასავლელ რეფორმატორებზე“ დაყრდნობით (ელჩმა უკვე გაავლო წარმოსახვითი ზღვარი ხელისუფლების შიგნით) და ამას, სხვა ყველაფერთან ერთად, რეჟიმის სრული ტრანსფორმაცია და, სავარაუდოდ, დასამარებაც მოჰყვება; ან კიდევ, ამერიკელები წავლენ მჭიდრო ალიანსზე „მაიდანის“ პოტენციურ ორგანიზატორებთან.

აქ მნიშვნელოვანია ერთი გარემოების გააზრება — **ძირეული რეფორმების არგატარების შემთხვევაში, ობიექტური ეკონომიკური და სოციალური წინაპირობებიდან გამომდინარე, პროტესტის გაძლიერება და ამბოხება „ქვემოდან“, თუნდაც ვაშინგტონი პროცესებში არ ჩაერიოს, პრაქტიკულად გარდაუვალი ჩანს** (სავარაუდოდ, სწორედ 5-10 წლის პერსპექტივაში, რომელზეც მორნინგსტარმა ისაუბრა). ბუნებრივია, ამერიკელებს აქვთ პროცესების მოდერაციის პრეტენზია, რადგან „თვითდინებაზე“ მათი მიშვების შემთხვევაში პოზიციები აზერბაიჯანში შეიძლება ძალიან სწრაფად დაკარგონ, მაგრამ ის, რომ ვაშინგტონმა შეიძლება სტარტი მისცეს გარკვეული სცენარის რეალიზებას, სულაც არ ნიშნავს, რომ ის, თუნდაც მოკავშირე თურქეთთან ერთად, სიტუაციაზე კონტროლის შენარჩუნებას შეძლებს, ისევე, როგორც უკრაინაში და „არაბული გაზაფხულის ქვეყნებში“. მას აქტიურ კონკურენციას რუსეთი და ირანი გაუწევენ, სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო მისწრაფებების მქონე აზერბაიჯანული ჯგუფის მართვა კი წარმოუდგენლად რთული იქნება. აზერბაიჯანი ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, გადაიქცევა ლიბიის მსგავს „უბედურების ზონად“ ან ყოველივე დასრულდება ხელისუფლებაში სასტიკი ხუნტის მოსვლით, რომელიც ხიშტებს დაეყრდნობა და აგრესიული ნაციონალიზმის რიტორიკას გამოიყენებს. ეს, ისევე, როგორც აზერბაიჯანის დესტაბილიზაციის პერსპექტივა ზოგადად, მნიშვნელოვნად გაზრდის ყარაბაღში ომის განახლების ალბათობას, რაც საქართველოსთვის ახალი საფრთხეების მთელ „ბუკეტს“ უკავშირდება.

## უსამართლობის მომაკვდინებელი ვირუსი

რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ საქართველოს უნიკალურობაზე, მას ნებისმიერ პოსტაბჭოთა ქვეყანასთან, მეტიც, „არაბული გაზაფხულის“ ქვეყნებთანაც კი, ძალიან ბევრი საერთო აქვს და უცხოეთში განვითარებულ პროცესებზე დაკვირვება ჩვენთვის შეიძლება ერთგვარ პოლიტიკურ გაკვეთილად იქცეს (აუცილებელი არაა, ყველაფერი საკუთარ თავზე გამოვცადოთ). ქართველები ხანგრძლივ მშვიდობასა და სტაბილურობაზე ოცნებობენ, მაგრამ, როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, მისი უზრუნველყოფისთვის არასაკმარისია მართვის ავტორიტარული მეთოდებიც, შეთანხმება თამაშის წესებზეც ელიტის შიგნით, სერიოზული ძალისმიერი ან ფინანსური რესურსებიც.

**სამწუხაროდ, საქართველოში სიტყვა „რეფორმა“ სააკაშვილის რეჟიმის აღვირახსნილ ძალადობასთან და პიარ-ტყუილთან ასოცირდება. არადა, მუდმივი რეფორმირების, ახალი დროის მოთხოვნების მიმართ ადაპტირების პროცესი აუცილებელია, ხოლო ვითარება პრობლემურ სფეროებში თერაპიული მეთოდებით უნდა გამოსწორდეს, უფრო ადრე, ვიდრე განრისხებული მასები „მაიდანს“ მოაწყობენ.** ის, რომ მათი სამართლიანი პროტესტით უსინდისო პოლიტიკოსები და უცხო სახელმწიფოები სარგებლობენ, ამ კონტექსტში მეორეხარისხოვანია.

მუბარაქის ეგვიპტე ან თუნდაც ალიევის აზერბაიჯანი მისი ფარდობითი კეთილდღეობით, ალბათ, არ არის ის იდეალი, რომლისკენაც უნდა მივისწრაფვოდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მთავრობები საკმაოდ დიდხანს ახერხებდნენ მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას, ხოლო გარკვეული დროის განმავლობაში წინამორბედთან შედარებით სავსებით პროგრესულად გამოიყურებოდნენ. ყოველივე ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მმართველი ელიტის შეგუება უსამართლობასთან, თანაარსებობა მასთან და ბოლოს მისი გამოყენება საკუთარი ინტერესებისთვის, ადრე თუ გვიან, რეჟიმის კრახით და, დიდი ალბათობით, ქვეყნის დაქცევით დასრულდება.

რა არის უფრო უსამართლო, ვიდრე სამართლიანობის აღდგენაზე უარის თქმა? თუ საქართველოს ახალი ხელისუფლება ამ იდეას ზურგს საბოლოოდ შეაქცევს, სხვა სფეროებში მიღწეული წარმატება ვერაფერს უშველის. ის გარდაუვალ კატასროფამდე მივა, მიუხედავად იმისა, რომ დღეს მისი პოზიციები საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება. ხელისუფლება ამ შემთხვევაში საკუთარი ხელით შექმნის ფაქტორს, რომელიც მთელი სისტემის მუდმივ დესტაბილიზაციას მოახდენს, ხოლო როდესაც ეკონომიკური სიტუაცია გაუარესდება (ამისგან დღევანდელ მსოფლიოში დაზღვეული არავინაა) ან მოხდება რაიმე ისეთი, რაც დეტონატორის როლს შეასრულებს (მაგალითად, პოლიციის შეტაკება დემონსტრანტებთან), ის გახდება მთავარი „ძრავა“ ქუჩაში გამოსული მასებისთვის. მოკლედ რომ ვთქვათ, არ იქნება სამართლიანობა — არ იქნება მშვიდობა და რამდენადმე ღირებული სტაბილურობაც კი.

**დიმიტრი მონიავა**



## ჰენრი კისინჯერი:
# უკრაინაში კონფლიქტის გაღვივება პუტინის გეგმებში არ შედიოდა!

**ბოლო წლებში რუსეთი თავისი პროგრესულობის ჩვენებისკენ მიისწრაფვოდა, ამიტომ ნაკლებსავარაუდოა, რომ უკრაინაში კონფლიქტის გაღვივება პრეზიდენტ პუტინის გეგმებში შედიოდა,“ — განაცხადა აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა ტელეკომპანია „სი-ენ-ენისთვის“ (CNN) მიცემულ ინტერვიუში.**

„თავს უნდა დავუსვათ შემდეგი შეკითხვა: მან (პუტინმა — რედ.) 60 მილიარდი დახარჯა ოლიმპიადის გასამართად. იყო თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიები, რომლებითაც სურდათ, რუსეთი წარმოეჩინათ, როგორც პროგრესული სახელმწიფო. **დაუჯერებელია, რომ სამი დღის შემდეგ ის (პუტინი — რედ.) თავს დაესხა უკრაინას**“, — განაცხადა ჰენრი კისინჯერმა.

**აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის აზრით, ვლადიმერ პუტინი იძულებული იყო, რეაგირება მოეხდინა უკრაინის მოვლენებზე, რომლებიც „მის კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა“.**

„არ ვფიქრობ, რომ ის უკრაინის კრიზისამდე მიყვანას გეგმავდა. ვფიქრობ, რომ ის მოვლენების თანდათანობით განვითარებას ელოდა და ახლა ეს არის რაღაც პასუხი იმაზე, რაც მან საგანგებო ვითარებად ჩათვალა. ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, უკრაინის კრიზისი უნდა მოვაგვაროთ და შემდეგ ვიმსჯელოთ უკრაინისა და რუსეთის ურთიერთობაზე“, — მიაჩნია აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივანს.

ჰენრი კისინჯერმა ინტერვიუს ბოლოს განაცხადა, რომ რუსები, რომლებსაც ოდესმე შეხვედრია, მათ შორის სოლჟენიცინი და ბროდსკი, „უკრაინას რუსული კულტურის ნაწილად აღიქვამდნენ“.

**აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა „ვაშინგტონ პოსტში“ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებულ სტატიაში განაცხადა, რომ უკრაინა არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ქვეყანა, რომელიც იკავებს დასავლეთის ან აღმოსავლეთის პოზიციას, არამედ — სახელმწიფოდ, რომელიც მათ შორის უნდა იყოს. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ „პუტინის დემონიზაცია — ეს არ არის პოლიტიკა. ეს არის მცდელობა მისი (დემონიზაციის — რედ.) არარსებობის გამართლებისა“.**





# უკრაინელი ნაციონალისტები ქართველ «ნაციონალებს» ბაძავენ

**სოციოლოგების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, უკრაინის დედაქალაქში მცხოვრებთა თითქმის 80 პროცენტი მხარს უჭერს ქუჩაში ვაჭრობის აკრძალვას.**

ისტორია მეორდება. სწორედ ასე დაიწყო 10 წლის წინ ხელისუფლების სათავეში „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა „ნაციონალურმა მოძრაობამაც“ — გახსოვთ, ალბათ, როგორი სისასტიკით უსწორდებოდა სააკაშვილის ხელისუფლება მოვაჭრეებს, რომელთათვისაც დილიდან საღამომდე ქუჩაში დგომა და პროდუქტებით ვაჭრობა ლუკმაპურის მოპოვების ერთადერთი გზა იყო.

ახლა კი ეს მეთოდი უკრაინის ნაციონალისტურმა ხელისუფლებამაც გადაიღო — მათი სასურველი სტუმრები ხომ ხშირად არიან ნაპრეზიდენტალი მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდის სხვა წევრები?!

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თითოეული დადუმებული, დაყრუებული და დაბრმავებული მოქალაქე დღეს, ფაქტობრივად, ხელისუფლების მოკავშირეა; პირდაპირ თუ ირიბად მისი ბანაკის, მისი ინტერესის დამცველი...**

# უსუფაშვილმა ბიბლიას ბოროტება უწოდა



**მას შემდეგ, რაც 2 მაისს დეპუტატად წოდებულმა 104-მა მანდატიანმა ანტიდისკრიმინაციული კანონი გრიალ-გრიალით მიიღო, „მეოცნებეთა“ ორპირობას საზღვარი არ აქვს. ივანიშვილის პოლიტიკურმა ნაშიერებმა სინდისი სულ დაკარგეს, ზოგმა ჩოხა-ახალუხს მიაფურთხა, ზოგმაც მილიონი იშოვა და ახლა მამალი „ლიბერასტის“ რიტორიკით გვარწმუნებს, კანონში სახიფათო ვერაფერი ვნახეო.**

ეგეც არაფერი, წინა კვირას სამპროცენტიანების „ატამანმა“ დავით უსუფაშვილმა მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმში მიიღო მონაწილეობა და, არც მეტი არც ნაკლები, ბიბლია ბოროტებად გამოაცხადა. მისი თქმით, ქრისტე ჯვარს აცვა „უსულო“, ულირებულებო კანონზე დაფუძნებულმა სახელმწიფო სისტემამ, ხოლო არანაკლები ბოროტებაა თურმე სახელმწიფოს მართვა ბიბლიით, ნაცვლად კონსტიტუციისა. მეტი თვალსაჩინოებისთვის უცვლელად გთავაზობთ მცირე ამონარიდს უსუფაშვილის ამ ვრცელი გამოსვლიდან, რომელიც უხვად შეიცავდა ე.წ. ნეოლიბერალთათვის გულისმოსაფხან „მარგალიტებს“: **„ქრისტეს არაფერი უთქვამს სახელმწიფოზე, კულტურაზე, საზოგადოებაზე, ერზე, ისტორიაზე, უფლებებზე. იგი საუბრობდა ადამიანზე და არა რაიმე ნიშნით გაერთიანებულ და ორგანიზებულ ადამიანთა ერთობებზე. ადამიანთა ერთობის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ერთდროულად ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს პიროვნულ თავისუფლებასაც, უსაფრთხოებასაც, სამართლიანობასაც და ეკონომიკურ განვითარებასაც, შემოგვთავაზა სწორედ ქრისტიანობის საძირკველზე აღმოცენებულმა ლიბერალურმა დემოკრატიამ** (კომუნიზმი — ზრუნვა ყველას ბედნიერებისთვის და ამით თითოეულის გაუბედურება; ლიბერალური დემოკრატია — ზრუნვა თითოეულის ბედნიერებისთვის და ამით ყველას გაბედნიერება).“ მოკლედ, პატივცემულ თავმჯდომარეს თუ დავუჯერებთ, კომუნიზმის ეპოქაში თურმე თითოეული მოქალაქე უბედური ყოფილა, ხალხს არც სამუშაო ჰქონია და არც სასმელ-საჭმელი (განათლების ან ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია). მერე თურმე „ბოროტების იმპერია“ დანგრეულა და ლიბერალურმა დემოკრატიამ სულზე მოგვისწრო...

ანუ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, იბერია გაბრწყინებულა. მეგობრებო, უსუფაშვილის ამ „სიბრძნეში“ რომ ჭეშმარიტების მარცვალი არ არის, გარდა დასავლელი იმპერიალისტების ლოგიკისა, ამას უჩემოდაც მიხვდებით. რაც შეეხება გამოსვლის იმ ნაწილს, რომელშიც სარწმუნოებაზე იყო საუბარი, უსუფაშვილმა ქრისტიანობა, პრაქტიკულად, ლიბერალურ დემოკრატიასთან გააიგივა, იმ დემოკრატიასთან, რომელიც ქადაგებს, რომ ცოდვა, როგორც ასეთი, არ არსებობს, ხოლო ლგბტ-ს, ანუ სექსუალურ უმცირესობებს გაგებით უნდა მოვეკიდოთ.

**ახლა აქ სახიფათო რა შეიძლება დავინახოთ: უსუფაშვილს რომ ეთქვა, სახელმწიფო და რელიგია გამიჯნულია ერთმანეთისგან, ამიტომ ის, რასაც რელიგია ცოდვად მიიჩნევს, კანონმა არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად აკრძალოსო, მეტ-ნაკლებად გავიგებდი. ეს მათი (ლიბერასტების) ცნობილი თეზაა, მაგრამ, მან სულ სხვა მინიშნება გააკეთა, ანუ ჭეშმარიტი ქრისტიანობა ის კი არ არის, თქვენ რომ გგონიათ, ჭეშმარიტი ქრისტიანობა დასავლური ლიბერალიზმიაო.** ახლა მივყვეთ ლოგიკას: რა არის და რას გულისხმობს ეს ე. წ. დასავლური ლიბერალიზმი? ამის ნათელი მაგალითი თანამედროვე ევროპაა, ლგბტ საზოგადოების უფლებების წამოწევაზე ორიენტირებული ღირებულებითი სისტემა. აბა, კარგად გაიხსენეთ, რა მოხდა საფრანგეთში 2012 წლის მიწურულს, მიუხედავად საზოგადოებაში არსებული მკვეთრი პროტესტისა, ფრანსუა ოლანდმა ხელი მოაწერა ერთსქესიანთა ქორწინების კანონპროექტს. მეტიც, მან ცინიზმიც არ დაიშურა უკმაყოფილო მოქალაქეების მისამართით და ერთ-ერთ გამოსვლაში ამაყად განაცხადა: „ეს მთელი საზოგადოებისთვის პროგრესული ნაბიჯიაო“. ამ დროს პარიზის ქუჩებში დემონსტრაციის ცეცხლი გიზგიზებდა, ხალხი სიცოცხლის ფასად უპირისპირდებოდა გლობალისტების ძალადობას.

ახლა ამერიკა ავიღოთ, 2009 წელს პრეზიდენტის ინაუგურაცია დასრულებული არ იყო, რომ ბარაკ ობამა გამოვიდა და ხაზგასმით აღნიშნა, სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვა ჩემი პრიორიტეტი იქნებაო. ამით მან შეერთებული შტატების ისტორიაში თავი ჩაიწერა, როგორც პირველმა პრეზიდენტმა, რომელიც ერთსქესიანთა ქორწინების მოთხოვნით გამოვიდა. მერე და მერე მისმა ამ ინიციატივამ კამპანიის ხასიათი მიიღო და, ბოლოს რაც მოხდა, ყველამ კარგად ვიცით — საყოველთაო პროპაგანდამ იმდენი გააკეთა, რომ ქვეყნის 50 შტატიდან 19-ში უკვე ოფიციალურადაა ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონებული. შეგახსენებთ, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დროს, 2008 წელს, ობამა აცხადებდა, ქორწინება ქალისა და მამაკაცის კავშირით უნდა შემოიფარგლოსო. ეს მისი ცალსახა პოზიცია იყო და მაშინ მას ამაში ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსები ეთანხმებოდნენ.




**ვერც უსუფაშვილი, ვერც ბერძენიშვილი და ძმანი მათნი, დღეს რომ ქრისტეს ძვლის მკვნეტელობას პროგრესად აცხადებენ, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების პირობებში, მსგავს თავხედობას სიზმარშიც ვერ გაბედავდნენ. მივეცით უფლება და მივიღეთ შესაბამისი პროცესი. ეს მიზეზშედეგობრიობის ლოგიკური ჯაჭვია და მომავალში უარესსაც უნდა ველოდოთ**

**ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით, შეიძლება ითქვას, ამ პროცესის რუბიკონი გადაილახა. ეს იყო ხელისუფლების საპროგრამო მოქმედება და, დასავლეთის გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, ფაქტობრივად, ნათელია, რა იქნება მომავალში**

ახლა ამ ყველაფერს რისთვის ვიხსენებ: **2012 წელს, როცა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება მიიღო და საზოგადოებას ამცნო, დემოკრატიით დასავლეთსაც გავაკვირვებო, თავისი ამერიკელი გარანტორის — ბარაკ ობამას მსგავსად, მის თავშიც სულ სხვა მზაკვრობა ტრიალებდა. როგორც აღმოჩნდა, გაკვირვებაში ის იმას კი არ გულისხმობდა, რომ სამართლიანობას აღადგენდა, გამოუძიებელ საქმეებს გამოიძიებდა ან თუნდაც ხალხს წართმეულ ქონებას დაუბრუნებდა, — არა, მას მხედველობაში ჰქონდა ის პროცესები, რომელთა განხორციელების მცდელობასაც დღესდღეობით ვხედავთ — ეკლესიის, როგორც ინსტიტუტის დისკრედიტება და, რაც მთავარია, საზოგადოებრივი აზრის, ცნობიერების მაქსიმალური სეკულარიზება.** მიუხედავად ყველაფრისა, ვერც ერთი დასახული მიზანი წელიწად-ნახევრის თავზე მიღწეული ვერ იქნა და „ოცნებამ“ კარგად იცის, რომ ვერც ვერასოდეს იქნება. ამიტომ გამოტოვეს „ნეოლიბერალებმა“ აქ ბრძოლის პირველი ეტაპი — მართლმადიდებლობის იდეოლოგიური მოკვდინება და პირდაპირ გადავიდნენ ქმედებაზე... ეს უკვე ძალადობის გაცხადებული გზაა, ხელისუფლებამ თავადვე იკისრა დამკვეთის ფუნქციაც და შემსრულებლისაც. საზოგადოებამ როლი შეიცვალა, იგი წარმოჩინდა ბნელ, ერთფეროვან მასად, რომელიც ჯერ კიდევ თურმე საბჭოთა იდეოლოგიის ინერციით მიდის. „ლიბერალების“ მტკიცებით, ის საჭიროებს რეფორმას, მოდერნიზებას და ადაპტირებას თანამედროვეობის გამოწვევებთან. ერთი სიტყვით, ქართველი ხალხის ცნობიერებაში დასანგრევია ორი რამ — რელიგია და საბჭოთა კავშირი.

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით, შეიძლება ითქვას, ამ პროცესის რუბიკონი გადაილახა. ეს იყო ხელისუფლების საპროგრამო მოქმედება და, დასავლეთის გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, ფაქტობრივად, ნათელია, რა იქნება მომავალში. დიახ, ხელისუფლება მალე დაიწყებს ლაპარაკს იმაზე, რომ დასავლელი პარტნიორები ახლა კიდევ უფრო მეტს ელიან ჩვენგან, რომ ჩვენ არ უნდა გავჩერდეთ პროგრესის გზაზე და ლიბერალური დემოკრატიის ცხრა მთას უნდა გადავახტეთ... მიაქციეთ ყურადღება, რა თქვა წინა კვირას თბილისში ვიზიტით მყოფმა ჰერმან ვან რომპეიმ: **„ასოცირების შესახებ ხელშეკრულების შესრულების შემდეგ ჩვენ ერთი მომავალი გვექნება“.** ამას გვეუბნება კაცი, რომელიც სულ რაღაც ერთი თვის წინათ საჯაროდ აცხადებდა: **ისეთი ცნებები, როგორიცაა ხალხი და სამშობლო, ისტორიის სანაგვეზე უნდა მოვისროლოთო;** ესე იგი რა გამოდის, სად გვეპატიჟებიან „დემოკრატიის მღალადებელნი?“ — იქ, სადაც ჩვენი სულიერი, ზნეობრივი იდენტობა შენარჩუნდება, თუ იქ, სადაც დიდი ხანია, გლობალისტთა ოკულტისტურმა იდეებმა ხორცი შეისხა?! ეს მომავლის საკითხია და დრო გვიჩვენებს, თუ საით მივდივართ, მაგრამ ერთი რამ ამთავითვე ცხადია — საქართველომ უკვე შეაბიჯა აბლაბუდას ქსელში, საიდანაც გამოსვლა იოლი არ იქნება.

აქვე ისევ ვან რომპეის სიტყვებს მოვიშველიებ: **„არ დაგავიწყდეთ, რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმამ, ფაქტობრივად, მაიდნის რევოლუცია გამოიწვია“.** არც მეტი, არც ნაკლები, ამით ევროსაბჭოს პრეზიდენტმა გაგვაფრთხილა, რომ, თუ კი აღებულ კურსს გადავუხვევთ და დირექტივებს არ შევასრულებთ, უკრაინული ჯანყის სცენარი არ აგვცდება. მორჩა, განაჩენი გამოტანილია, საქართველო დინებას უნდა მიჰყვეს. ისე, იმის გათვალისწინებით, თუ რა კატასტროფულ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ცნობიერების წინააღმდეგ მიმართულმა იდეოლოგიურმა ომმა, საბოლოოდ საქართველო ბევრად უფრო დაზარალებული შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე უკრაინა. შეიარაღებული დაპირისპირება ადრე თუ გვიან რაიმე შედეგით დამთავრდება, იდეოლოგიური დაპირისპირება კი უკვალოდ არასოდეს ჩაივლის.

დასასრულ, უსუფაშვილის კიდევ ერთ განცხადებას მოვიყვან: **„ქართული საზოგადოება ჯერ კიდევ ეფუძნება არა იმ ფასეულობათა სისტემას, რომელიც ბერძნულ-რომაული ქრისტიანული ცივილიზაციის მემკვიდრის — დასავლური ცივილიზაციის ნაყოფია, არამედ პირიქით — იგი ეფუძნება იმ მსოფლმხედველობას, რომლის უმთავრესი მახასიათებელია პიროვნების თავისუფლებისა და ღირსების, სიცოცხლისა და საკუთრების უფლების ხელშეუვალობის უარყოფა...“**

სამპროცენტიანების თავმჯდომარის გამოსვლა, საიდანაც ეს ამონარიდი მოვიყვანე, დაახლოებით 10 წუთი გაგრძელდა. აქედან დროის 90 პროცენტი მან იმაზე საუბარს დაუთმო, თუ რა ბნელია ჩვენი საზოგადოება, რამდენად ჭარბობს მასში სიძულვილის ელემენტები და რამდენად შორსაა იგი ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოების მორალისგან. ვფიქრობ, ამ ყველაფერს კომენტარი არც სჭირდება, რადგან „მამალი რესპი“, ამ შემთხვევაში, უბადლოდ ახასიათებს საკუთარ თავს, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ითქვას: **ვერც უსუფაშვილი, ვერც ბერძენიშვილი და ძმანი მათნი, დღეს რომ ქრისტეს ძვლის მკვნეტელობას პროგრესად აცხადებენ, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების პირობებში, მსგავს თავხედობას სიზმარშიც ვერ გაბედავდნენ. მივეცით უფლება და მივიღეთ შესაბამისი პროცესი. ეს მიზეზშედეგობრიობის ლოგიკური ჯაჭვია და მომავალში უარესსაც უნდა ველოდოთ.** ისე, ბევრს რომ ჰგონია, უმოქმედობით და რაღაც ნეიტრალური მოქალაქეობრივი პოზიციის დაკავებით სიბინძურეებში გასვრისგან თავს დაიზღვევს, ნათქვამია: დუმილით გაიცემა ღმერთი... **თითოეული დადუმებული, დაყრუებული და დაბრმავებული მოქალაქე დღეს, ფაქტობრივად, ხელისუფლების მოკავშირეა; პირდაპირ თუ ირიბად მისი ბანაკის, მისი ინტერესის დამცველი...**

**ჯაბა ჟვანია**



**გაეროს ბავშვთა ფონდის „იუნისეფის“ მონაცემებით, საქართველოში 77 ათასი ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში — დღეში 2 ლარზე ცხოვრობს, „ფარდობით სიღარიბეში“ კი — 200 ათას ბავშვზე მეტი (დღეში 3 ლარზე). ყოველწლიურად იღუპება 800 ხუთ წლამდე ასაკის ბავშვი, მათ შორის 300 სიცოცხლის პირველსავე თვეებში, კვებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# წულუკიანის მოტივები და ალასანიას ყულაბა



**ირაკლი ალასანია ყველაზე ვერცხლისმოყვარე მინისტრია. ამ დასკვნამდე შეიძლება მივიდეს არაერთი მოქალაქე, რომელიც გასულ კვირას ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს გაეცნო. შარშან თავდაცვის მინისტრმა სახელფასო დანამატის სახით 83 076 ლარი მიიღო, გაცილებით მეტი, ვიდრე მთავრობის სხვა წევრებმა. რატომ იღებენ მინისტრები ამდენ ფულს და რამდენად სამართლიანია ეს?**

მინისტრების უმრავლესობამ 2013 წელს 47 785 ლარის სახელფასო დანამატი აიღო, რამდენიმემ კი ოდნავ მეტი ან ნაკლები; მაგალითად, შალვა ფიფიამ — 45 525 ლარი, ხოლო პაატა ზაქარეიშვილმა – 50 885 ლარი. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მტკიცებით, ეს სხვაობა განპირობებულია 2013 წლის იანვარ-თებერვალში მინისტრების მიერ მიღებული განსხვავებული ოდენობის პრემია-დანამატებით (პრემიერმინისტრის 2013 წლის 15 მარტის №53 ბრძანებამ დააწესა 4335 ლარის ყოველთვიური დანამატი და ეს სხვაობა აღმოფხვრა). გამონაკლისია თამარ სანიკიძე, რომელსაც მხოლოდ 25 034 ლარი ერგო, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის თანამდებობაზე გასული წლის ივლისში დაინიშნა. ამ ფონზე ალასანია თავისი 83 ათასით აბსოლუტურ რეკორდსმენად გამოიყურება.

**რატომ აქვს თავდაცვის მინისტრს იმხელა სახელფასო დანამატი, თითქოს თვეში ერთ-ორ სტალინგრადს შტურმით იღებდეს?! სამინისტროს ოფიციალური განმარტების თანახმად, „სტანდარტული“ 4335-ლარიანი დანამატის გარდა, ალასანია იღებს საკლასო ჩინის დანამატს (1239 ლარს), სტაჟის დანამატს (835 ლარს) და საიდუმლოს დანამატს (531 ლარს).**

იქნებ ირაკლი ალასანიას მატერიალურად უჭირს? იქნებ უნდა დავეხმაროთ და მისთვის კიდევ რამდენიმე დანამატი დავაწესოთ? მაგალითად, „უსაზღვრო ამბიციების დანამატი“ (ასე 41 ათასი); ან კიდევ „დანამატი ოპოზიციაში შესაძლო გადასვლისთვის“ (30 დოლარი, ვერცხლის ერთდოლარიანებით); ან სულაც, „ნაციონალებთან“ სავარაუდო ფარული თანამშრომლობის დანამატი“ (5 ლარი, გახეული კუპიურით).

**საზოგადოება ძალიან გაღიზიანდა, როდესაც ზემოთ მოყვანილ მონაცემებს გაეცნო. ამაზე ნათლად მიუთითებს აგრესიული კომენტარები სოციალურ ქსელებში. ეს გასაგებიცაა: ჯერ ნოდარ ხადურის ანაბასისი რესტორნებში საბიუჯეტო ფულით, ახლა — ეს.** და ვიდრე ჩინოვნიკების შრომის ანაზღაურების პრობლემებზე მსჯელობას დავიწყებთ, ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა გავიაზროთ, რამდენად გაჭირვებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ. **გაეროს ბავშვთა ფონდის „იუნისეფის“ მონაცემებით, საქართველოში 77 ათასი ბავშვი უკიდურეს სიღარიბეში — დღეში 2 ლარზე ცხოვრობს, „ფარდობით სიღარიბეში“ კი — 200 ათას ბავშვზე მეტი (დღეში 3 ლარზე). ყოველწლიურად იღუპება 800 ხუთ წლამდე ასაკის ბავშვი, მათ შორის 300 სიცოცხლის პირველსავე თვეებში, კვებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.**

ახლა კი ორიოდე სიტყვით მინისტრის მოადგილეების პრემიებსა და სახელფასო და-



ნამატებზე. ყველაზე მეტი გასულ წელს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეებმა — მარიამ ვალიშვილმა და ილია ელოშვილმა მიიღეს (თითოეულმა — 65 280 ლარი). მომდევნო პოზიციებს ტოპხუთეულში იკავებენ სოზარ სუბარის მოადგილე არჩილ თალაკვაძე (59 840 ლარი) და თეა წულუკიანის მოადგილეები — დავით ჯანდიერი (57 520) და ალექსანდრე ბარამიძე (55 971 ლარი). საერთოდ კი, შარშან სამინისტროებმა პრემიის სახით 5 729 131, ხოლო სახელფასო დანამატის სახით 3 135 038 ლარი გასცეს.

მართალია, სისტემამ, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა გასული წლის მარტში დანერგა, ბოლო მოუღო გაუმაძღრობის აღლუმს, რომელსაც პრემიებთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში. მისასალმებელია ისიც, რომ მინისტრებს ამა წლის იანვარში სახელფასო დანამატი შეუმცირეს და ეს, სავარაუდოდ, (როგორც მინიმუმი) კიდევ ერთხელ მოხდება. მაგრამ **ჩინოვნიკების შემოსავალი სხვა მოქალაქეების შემოსავალთან შედარებით მაინც არაადეკვატურად გაბერილი ჩანს და, ჩვენ, ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ, რამდენად ნორმალურია შექმნილი ვითარება.**

განხილულ თემაზე საუბრისას იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა: „ვეთანხმები პრინციპს, რომლის თანახმადაც, ადამიანი როცა შრომობს, მას უნდა ჰქონდეს ადეკვატური ანაზღაურება. დღეს ჩვენს ქვეყანაში, უმეტეს შემთხვევებში, ეს ასე არ არის. საჯარო სამსახურში თუ ხელფასები არ იქნება ადეკვატური, თუ საჯარო მოხელეები, მათ შორის პოლიტიკური თანამდებობის პირები, არ მიიღებენ პრემიებს, საჯარო სამსახური ძალიან მალე გახდება აბსოლუტურად უინტერესო და მას დატოვებენ კომპეტენტური კადრები. მე ხელზე მაქვს 5 ათასი ლარი, მაშინ, როცა წლების განმავლობაში, სტრასბურგის სასამართლოში თვეში მქონდა 17-18 ათასი ლარი, მაგრამ ვთვლი, ეს ის ხელფასია, რომელიც ღირს, რომ ვემსახურო

**რატომ აქვს თავდაცვის მინისტრს იმხელა სახელფასო დანამატი, თითქოს თვეში ერთ-ორ სტალინგრადს შტურმით იღებდეს?! სამინისტროს ოფიციალური განმარტების თანახმად, «სტანდარტული» 4335-ლარიანი დანამატის გარდა, ალასანია იღებს საკლასო ჩინის დანამატს (1239 ლარს), სტაჟის დანამატს (835 ლარს) და საიდუმლოს დანამატს (531 ლარს)**

სამშობლოს. ის საჯარო მოხელეები, რომლებიც ჩემთან მუშაობენ, არიან კვალიფიციურები. როგორც კი მათ არ ექნებათ ადეკვატური ანაზღაურება, გადავლენ კერძო სექტორში. დღეს საჯარო სამსახურში ჩვენ ვცდილობთ და ძლივს ვახერხებთ, კონკურენცია გავუწიოთ კერძო სექტორს, ამიტომ ის, ვინც იმსახურებს, დიახ, უნდა ჰქონდეს პრემია“ (ინტერპრესნიუსი).

**ცხადია, კარგად გაკეთებული საქმე ჩინოვნიკს უნდა დაუფასდეს; პრემიის იდეას, როგორც ასეთს, არავინ ეწინააღმდეგება, მაგრამ აქ ჩნდება მნიშვნელოვანი კითხვა: კონკრეტულად რისთვის მიიღეს ამ ადამიანებმა პრემიები?** თუ, მაგალითად, ენერგეტიკის სამინისტროს საიტზე ხელმისაწვდომი იქნებოდა დოკუმენტი, რომელიც გვამცნობდა, რომ მ. ვალიშვილი და ი. ელოშვილი ხელმძღვანელობდნენ ამა და ამ მონაკვეთის ელექტრიფიკაციას ან (სიტყვაზე) აწარმოებდნენ წარმატებულ მოლაპარაკებებს ამ და ამ ინვესტორთან, რის შედეგადაც ქვეყანამ ესა და ეს სარგებელი მიიღო და ა. შ. (ყოველივე ამის ჩამოწერას არც ისე ბევრი დრო უნდა), საზოგადოების დიდი ნაწილი არ გაღიზიანდებოდა და ეჭვნარევი კითხვებიც არ გაჩნდებოდა. წარმოვიდგინოთ, რომ შევიტყვეთ, ჩინოვნიკის მუშაობამ ქვეყანას 50-მილიონიანი ინვესტიცია მოუტანა და ამისთვის მან 50 ათასი ლარის პრემია მიიღო. ვინ შეეწინააღმდეგება ამას? არავინ! პირიქით, ტაშს დაუკრავენ. მაგრამ საზოგადოება ვერ ხედავს მსგავს, განმარტებითი ხასიათის ინფორმაციას და, ხშირ შემთხვევაში ეჭვობს, რომ ადგილი აქვს საბიუჯეტო ფულის ბანალურ განაწილებას, დაახლოებით ისეთს, როგორსაც ადგილი გასული წლის დეკემბერში სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ჰქონდა (ეს საერთოდ კოშმარია და ხელისუფლების ეპიკური ჩავარდნა). სინამდვილეში, **ყოველივე ეს არასაკმარისი გამჭვირვალობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პრობლემაა — მთავრობის აქილევსის ქუსლი.** ის ფიქრობს იმაზე, როგორ მოიგერიოს კრიტიკა და არა იმაზე, როგორ გამორიცხოს ის წინასწარ. ეს რეაგირებაა და არა პროაქტიური ტაქტიკა და ეს ხელისუფლების სისუსტეზე მიუთითებს. არადა, ყველაფერი მარტივია: გააგებინეთ ხალხს, კონკრეტულად რისთვის მიიღო პრემია კონკრეტულმა ჩინოვნიკმა.

**პრემიების საკითხი ნამდვილად არ არის მთავარი თეა წულუკიანის განცხადებაში. საქმე ისაა, რომ მან ჩინოვნიკების მოტივაციის თემა ერთობ გამარტივებული სქემის ფარგლებში მოაქცია, თითქოს მაიმუნსა და ბანანზე ვსაუბრობდეთ.** როდესაც ადამიანი სახელმწიფო სამსახურში მიდის, მას, როგორც წესი, მაღალი ანაზღაურების მიღების სურვილის გარდა, სხვა მოტივებიც ამოძრავებს, მაგალითად, ქვეყნის აღმშენებლობაში წვლილის შეტანის (სრულიად ჯანსაღი) სურვილი ან პოლიტიკური (შესაძლოა, ნაწილობრივ არაჯანსაღი) ამბიციები, მომიჯნავე ქვეცნობიერ მოტივებთან ერთად. ზოგი, საერთოდ, თავიდანვე გამდიდრებასა და კორუფციულ სქემებში ჩართვაზე ფიქრობს, თუმცა ამ შემთხვევას ამჯერად არ განვიხილავთ.

**პრობლემა ისაა, რომ სერიოზული კარიერული ზრდა დღევანდელ საქართველოში ძალზე გართულებულია ნეპოტიზმის გამო და ის, ხშირ შემთხვევაში, გაუმართლებელ ზნეობრივ კომპრომისებს მოითხოვს.** ამ კონტექსტში, შეგვიძლია გავიხსენოთ, თუ რის ხარჯზე ხდებოდა სააკაშვილის ზონდერების კარიერული აღმასვლა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრაქტიკა აღმოიფხვრა, შესაბამისი ფსიქოლოგია, მისგან გამომდინარე უნარ-ჩვევებთან ერთად, კვლავინდებურად ფართოდაა გავრცელებული. რაც შეეხება იდეალისტურ მოტივებს, ადამიანი, რომელსაც გულწრფელად სწამს, რომ ემსახურება ქვეყანას და არა ვიღაცის გამდიდრებას ან ამბიციების დაკმაყოფილებას, საქართველოში ძალიან ცოტა დარჩა. საერთო საქმის კეთების განცდა პრაქტიკულად გაქრა, რაც, როგორც ძველი, ისე ახალი ხელისუფლების ბრალია. ამგვარად, რჩება მხოლოდ მატერიალური სტიმულირება, მარტივად რომ ვთქვათ, მაიმუნი და ბანანი, რაც, პრინციპში, აბსოლუტურად არანორმალურია.

წარმოვიდგინოთ, რომ თეა წულუკიანს ბიუჯეტიდან ყოველთვიურად მხოლოდ 3000 ლარს აძლევენ. ეს სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ადამიანს არც კვებასთან, არც სხვა (გონივრულ) ხარჯებთან დაკავშირებით პრობლემა არ შეექმნას. ეს, ალბათ, მაქსიმუმია იმისა, რაც შეიძლება უკიდურესად გაჭირვებულმა ქვეყანამ მინისტრს და მის მოადგილეებს შესთავაზოს. რას იტყვის ამ შემთხვევაში თეა წულუკიანი? „ეს ის ხელფასია, რომელიც ღირს, რომ ვემსახურო სამშობლოს“ თუ „ეს ის ხელფასია, რომელიც არ ღირს, რომ ვემსახურო სამშობლოს“? **იმ ჩინოვნიკმა, რომელიც საკითხს ასე დაყენებს, პოსტი, ალბათ, დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს, რადგან მსგავსი მიდგომა არსებითად ამორალურია. ქვეყანამ სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი, გადაუდებელი ხარჯები უნდა გაწიოს;** რა დროს ჩინოვნიკების ცხოვრების მოწყობაა საქართველოს რეალიების მიმართ ადაპტირებული „ევროსტანდარტის“ შესაბამისად?! და საერთოდ, ამქვეყნად შეუცვლელი არავინაა. რაც შეეხება მეტწილად წარმოსახვით „მაღალკვალიფიციურობას“, მასზე საუბარი მხოლოდ მუშაობის შედეგებზე და არა ცარიელ სიტყვებზე დაყრდნობით შეიძლება. ისე, სხვათა შორის, კარგი იქნება, თუ იუსტიციის მინისტრი დეტალურად მოგვითხრობს, რა გამორჩეული კანონპროექტები შეიმუშავა სამინისტრომ შარშან, როგორ (ო, როგორ!) აღადგინა ქვეყანაში სამართლიანობა პროკურატურასთან ერთად და, რაც მთავარია, კონკრეტულად რისთვის მიიღეს პრემიები მისმა ხელქვეითებმა. აქ სტრასბურგის სასამართლო არაა, ყველანი შინაურები ვართ — მოვუსმენთ და შეიძლება გავუგოთ კიდეც.

რა მოხდება, თუ მინისტრები და მოადგილეები თვეში 2500-3000 ლარს მიიღებენ? მოპარვას დაიწყებენ? კერძო სექტორში გადაბარგდებიან (და ვინ თქვა, რომ იქ ასეთ შემოსავალს გარანტირებულად მიიღებენ)? თუ ეს ასეა, ნაკლებად სავარაუდოა, სახელმწიფოს ასეთი ადამიანები გამოადგნენ და, ალბათ, აჯობებს, სამსახურს ხვალვე დაემშვიდობონ.

აშკარაა, რომ ჩინოვნიკების მაღალი შემოსავლებისა და პრივილეგიების თემამ „ქართულ ოცნებას“ მომავალში რეიტინგთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები შეუქმნას. კარგი იქნება, თუ ხელისუფლება ამას გაიაზრებს და სიტუაციას, თუნდაც პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეცვლის. თორემ იმის ილუზია, რომ ყველა მინისტრი, მოადგილე თუ რიგითი ჩინოვნიკი უცებ მიხვდება, რა დამატებით დატვირთვას ატარებს სიტყვები „ვემსახურები სამშობლოს“ და რა ზნეობრივი პრინციპების ერთგულებას მოითხოვს ეს მსახურება, დღევანდელ საქართველოში, ალბათ, არავის აქვს.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ირაკლი სესიაშვილიც უპასუხისმგებლოდ ეპყრობა ამ საკითხს. გასაგებია, რომ ალასანია მისი თანაგუნდელია, მაგრამ თანაგუნდელობა არაფერია, როცა ქვეყნის სამხედრო ძლიერებას ეხება საქმე. მეტაფორები, ლექსები და სადღეგრძელოები არც ერთი ირაკლისგან არ მჭირდება. კეთილი ინებონ და, შეიარაღებულ ძალებს მიხედონ, თორემ, რაც ხდება, იმის გამო არამხოლოდ ალასანიას, სესიაშვილის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება“**



გიორგი თავდგირიძე:

# ირაკლი ალასანია «ნაცმოძრაობის» გზას განაგრძობს



**საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ცოტა ხნის წინათ ატლანტიკური საბჭოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე საქართველოში ნატოს თავდაცვითი საშუალებების განთავსებისკენ მოუწოდა. ირაკლი ალასანიას ამ განცხადებამ ქართველ საზოგადოებაში, მათ შორის, „ქართული ოცნების“ წევრებშიც, არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ბევრმა ამ ყველაფრის მიღმა სერიოზული საფრთხე დაინახა. თავდაცვის მინისტრის განცხადებას სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძეც გამოეხმაურა და მას არაფრის მომცემი, მოუმზადებელი და ქვეყნისთვის სახიფათო უწოდა.**

**— ბატონო გიორგი, თქვენ საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებას მოუმზადებელი და ქვეყნისთვის სახიფათო უწოდეთ. რა ხიფათის შემცველია ირაკლი ალასანიას განცხადება?**

— ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგია გულისხმობს მნიშვნელოვანი საკითხების საფუძვლიან მომზადებას და მხოლოდ ამის შემდეგ მოქმედებას, მით უმეტეს, როდესაც საქმე საერთაშორისო პოლიტიკას და სამხედრო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ეხება. სულ სხვაა, ქვეყნის საშინაო პოლიტიკა, როდესაც პოლიტიკოსს შეუძლია რომელიმე საკითხის უტრირება და ამით სპეკულირება პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად ან მოწინააღმდეგისთვის შავი პიარის ასაგორებლად. შემდგომ **ალასანიას ქმედებითაც დადასტურდა, რომ მისი პირველი განცხადება აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო. მან ჯერ მკაფიოდ მოუწოდა ნატოს, თავდაცვითი საშუალებები განეთავსებინა საქართველოში და შემდგომ, როდესაც გააკრიტიკეს, შეცვალა აზრი და ისე გამოვიდა, თითქოს მხოლოდ შეიარაღების გარკვეული სისტემების განთავსებას ითხოვდა.**

ამას გარდა, იყო პერიოდი, როდესაც საქართველო ანტირუსულ ქმედებებზე პედალირებით ეძებდა დასავლეთის მხარდაჭერას. ასეთი მკაფიო, პრინციპული და მკაცრი პოლიტიკით და პარალელურად, ავღანეთში ჩვენი სამხედრო კონტინგენტის მონაწილეობით საქართველო გარკვეულწილად აიძულებდა დასავლეთს, ზეწოლა მოეხდინა რუსეთზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც უკრაინაში რუსეთმა ეს ბარიერები გადალახა და დაპირისპირება რუსეთსა და დასავლეთს შორის, ფაქტობრივად, გაშიშვლდა, შემაკავებელი ფაქტორები შეიცვალა. მხოლოდ **დასავლეთის მხრიდან ეკონომიკური ბერკეტები, პოლიტიკური ზემოქმედება და განცხადებები, რომ საქართველო შეიძლება, ნატოს წევრი გახდეს ან საქართველოში თავდაცვითი საშუალებები შეიძლება განთავსდეს, რუსეთისთვის შემაკავებელი ფაქტორები არ არის.** შესაბამისად, როდესაც იცვლება საერთაშორისო ვითარება, ჩნდება ახალი რეალობა, საქართველოს პოლიტიკაც კარდინალურად უნდა შეიცვალოს. ლაპარაკია დაბალანსებული პოლიტიკის აუცილებლობაზე.

ერთი რამ ცხადია: რუსეთი დასავლეთთან ურთიერთობას უკრაინაში განიხილავს, როგორც ცივი ომის ფაზას, ანუ საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინა პერიოდს და ამ დროს სახელმწიფოები აზროვნებენ არა რაღაც დემოკრატიული ღირებულებების, საერთაშორისო უსაფრთხოების პრინციპებზე დაყრდნობით, არამედ ყველა სახელმწიფოს განიხილავენ მომხრეებად და მტრებად. შესაბამისად, ახლა ამ ტერიტორიაზე, **რამე ახალი შეიარაღების განთავსება ან სახელმწიფოს მხრიდან რომელიმე სამხედრო ბლოკში გაერთიანება განიხილება, როგორც აგრესიული ქმედება და შეიძლება პრევენციისთვის საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აქციაც განხორციელდეს.**

შეიარაღების განთავსებაც კი, გარკვეულწილად, არაფერს ნიშნავს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, თუ ერთ დღეს, ყოველგვარი წინასწარი და ხანგრძლივი მომზადების გარეშე, ნატო გამოაცხადებს, რომ საქართველო არის ნატოს წევრი და, ვიდრე ეს სამხედრო ბლოკი იარსებებს, მისი ვალდებულება იქნება, დაგვიცვას და იბრძოლოს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის; ხოლო **ამ ეტაპზე საქართველოში თავდაცვითი საშუალებების განთავსება ტექნიკურად შეუძლებელია მარტივი მიზეზის გამო: ნატოს არაწევრ ქვეყანაში საბრძოლო სისტემების განლაგების პრაქტიკა ევროპაში ჯერჯერობით არ არსებობს. ეს, უბრალოდ, არარეალურია.**

**— თუ არარეალურია, მაშინ რატომ განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ასეთი რამ?**

— ამ კითხვას პასუხს, ალბათ, ალასანია გასცემს, მაგრამ, რაც მე დავინახე, ეს იყო ერთი ქართველი პოლიტიკოსის პიარგანცხადება. არ ვიცი, შეიძლება, ალასანიასაც იგივე მრჩევლები ჰყავს, რომლებიც სააკაშვილთან მუშაობდნენ, რადგან **ირაკლი ალასანია გარკვეულწილად „ნაციონალური მოძრაობის“ გზას განაგრძობს. ის განაგრძობს აგრესიული პიარკამპანიის წარმოებას, როცა რაც უფრო მყვირალა განცხადებებს გააკეთებ, რაც უფრო მეტ დემონიზებას მოახდენ რომელიმე მხარის და საკუთარ თავს წარმოაჩენ მასთან მებრძოლ მზეჭაბუკად, მით უფრო მაგარი იქნები.**

საქართველოში არის ერთი პრობლემა: პოლიტიკოსები კონსულტაციებს არ გადიან სამხედროებთან და სამხედროები ვერ ბედავენ, ეკამათონ პოლიტიკოსებს, ამიტომ სამხედრო პირების რჩევები ან ხარვეზიანია, ან — პოლიტიკოსთა სურვილებს მორგებული.

**— რატომ ვერ ბედავენ?**

— **23 წელია, სამხედროები ზეწოლას განიცდიან პოლიტიკოსებისგან და ნებისმიერი პოლიტიკური ცვლილება შეიარაღებულ ძალებშიც ცვლილებებს იწვევს. ახალი პოლიტიკური ძალა ხმლითა და მახვილით თრგუნავს სამხედროებს.** „ნაციონალური მოძრაობაც“ ასე იქცეოდა, იდევნებოდა ყველა ის კადრი, რომელთაც დამოუკიდებლად აზროვნება შეეძლო ან ოდნავ განსხვავებული აზრი ჰქონდა. როდესაც ვეკამათე ოქრუაშვილს და შეიარაღებული ძალებიდან გამომიშვეს, ჩემ გამო პროფესიონალი კადრები გაათავისუფლეს: ცხონებული კახა კაციტაძე, რომელიც იმხანად პრორექტორი იყო სამეცნიერო დარგში, პაატა პაპავა — პრორექტორი სასწავლო დარგში, გია ბლიაძე — შტაბის უფროსი. თანამდებობებზე აღარ დანიშნეს გიორგი მელითაური და დავით მურღულია. სამაგიეროდ, **დააკვირდით, ვინ დააწინაურეს — ადამიანები, რომლებსაც არ ჰქონდათ საბრძოლო გამოცდილება და არც არანაირი პრინციპები. მაგალითად, უპრინციპო გოგავა, რომელიც 2008 წელს გენერალური შტაბის უფროსი იყო. ის პოლიციიდან გადმოიყვანეს და ამიტომ არ ეყო პრინციპულობა და კომპეტენცია ეხელმძღვანელა ომისთვის. ასეთივე უპრინციპო იყო გენერალი ნაირაშვილი, რომელიც ყველამ ვნახეთ, მუხროვანის ინციდენტის დროს როგორ იქცეოდა** — ეხმარებოდა პოლიციას სამხედროების წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარებაში, არადა, სულ სხვანაირად უნდა მოქცეულიყო. ასევე **არასწორად მოიქცა სახმელეთო ჯარების სარდალი თელია. მათ უფრო პრინციპული პოზიცია უნდა დაეკავებინათ და აღარც გია კრიალაშვილი დაიღუპებოდა და არც იმ ბიჭებს დააპატიმრებდნენ, რომლებსაც 15-20 წელი დაუმსახურებლად მიუსაჯეს. ასეთი უპრინციპო გენერლები და ოფიცრები ომს ვერ იგებენ.**

**თუ ნატოში გავწევრდებით, შედგება ე.წ. ოპერატიული საბრძოლო გეგმა, რომელშიც გაწერილი იქნება, ვინ სად დაიკავებს პოზიციებს, რა ქვედანაყოფები შემოვლენ ქვეყანაში. თურქეთის იქნება ეს ჯარები თუ სხვა ქვეყნის, არ ვიცი, მაგრამ, დროის ფაქტორის გათვალისწინებით, დიდი ალბათობით, ეს იქნება თურქეთი**

ერთ მაგალითსაც გეტყვით, რომელიც აღმაშფოთებელია: არსებობს კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, ჩვენ ვაუქმებთ სახმელეთო ჯარებს და ვქმნით ორ საბრძოლო ჯარს. ასეთი შეზღუდული რესურსების პირობებში, ორი დამოუკიდებელი არმიის არსებობა წარმოუდგენელია. თანაც საგულისხმოა, რომ **ეს არის „ნაციონალების“ მიერ თეორიულად შემუშავებული სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი, რომელსაც ახალი ხელისუფლება დაჩქარებული წესით ახორციელებს. არც ერთი სამხედრო პირი ხმას არ იღებს. თუ არ იციან, რომ ეს პრობლემაა, ასეთი ოფიცრები არ გვჭირდება; თუ იციან და ჩუმად არიან, მით უმეტეს არ გვჭირდება ასეთი უპრინციპო სამხედროები, რომლებიც მინისტრს ვერ უბედავენ, აუხსნან, რომ შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა მის პიარს ეწირება.**

2008 წელს ჩვენი პრობლემა იყო ოფიცერთა კადრების სუსტი მომზადება და შეიარაღებული ძალების ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა. ოქრუაშვილისა და კეზერაშვილის მინისტრობის პერიოდში შეიარაღებული ძალები მორჩილად რომ ექციათ, ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდებოდა. ასეთი ჯარი კი დათრგუნულია.

**— თქვენ ასევე განაცხადეთ: „თუ ალასანიას ტექსტს ჩავუღრმავდებით, გამოდის, რომ, ფაქტობრივად, ვთხოვთ თურქეთს შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლას“. ანუ, ნატოში გაწევრების შემთხვევაშიც კი, საქართველოში ჯარი თურქეთიდან შემოვა?**

— მოდი, ასე ვთქვათ: **თუ ნატოში გავწევრდებით, შედგება ე. წ. ოპერატიული საბრძოლო გეგმა, რომელშიც გაწერილი იქნება, ვინ სად დაიკავებს პოზიციებს, რა ქვედანაყოფები შემოვლენ ქვეყანაში. თურქეთის იქნება ეს ჯარები თუ სხვა ქვეყნის, არ ვიცი, მაგრამ, დროის ფაქტორის გათვალისწინებით, დიდი ალბათობით, ეს იქნება თურქეთი.** თუმცა, აღვნიშნავ, რომ ეს სულ სხვა შემოსვლაა, თურქეთს ექნება საქართველოს დაცვის ვალდებულება, ისევე, როგორც საქართველოს — თურქეთის და ეს ჯარიც მხოლოდ საბრძოლო ოპერაციების დროს შემოვა. ამიტომ ეს არ გამოიწვევს დისკომფორტს, პირიქით, ეს იქნება დახმარება. მაგრამ, რაც შეეხება ჩემს განცხადებას, **როდესაც არ ხარ ნატოს წევრი, მშვიდობიანობის დროს ერთ სახელმწიფოში სხვა სახელმწიფოს ჯარის შესვლა სულ სხვაა.**

თავდაცვის მინისტრს კი უნდა ესმოდეს, რომ, თეორიულადაც რომ დავუშვათ ნატოს თანხმობა ამ წინადადებაზე, შეიარაღებული ძალები თურქეთიდან შემოვიდოდა, ვინაიდან აშშ-ის ჯარების განთავსება საქართველოში ძალიან ძვირად ღირებული ოპერაციაა.

**თავდაცვის მინისტრს კი უნდა ესმოდეს, რომ, თეორიულადაც რომ დავუშვათ ნატოს თანხმობა ამ წინადადებაზე, შეიარაღებული ძალები თურქეთიდან შემოვიდოდა, ვინაიდან აშშ-ის ჯარების განთავსება საქართველოში ძალიან ძვირად ღირებული ოპერაციაა**

**— პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროე-** ▶

**მიშას მაიდანი კი არა, მუამარ კადაფის ბედი არ ასცდება, ამიტომ სჯობს, ისევ ისე საქართველოს ექსპრეზიდენტად დარჩეს, ისევ სხვადასხვა ტელევიზიაში გამოჩენით დაიკმაყოფილოს ამბიციები; ჩვენ კი ყურადღებით მოვუსმენთ და გავიგებთ, კიდევ რომელ შეგნებულ ტყუილს გვეუბნებოდა მთელი ცხრა წლის განმავლობაში და რომელ ტყუილზე ებერებოდა მკლავზე ძარღვები.**

ჩეკლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ტყუილს მოკლე ფეხი აქვს, ექსპრეზიდენტს — გრძელი ენა

**ვერ გეტყვით, პროკურატურაში დაბარების შიშითა თუ სხვა შიშის გამო, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ჩამოსვლას თავს არიდებს. მან ისიც თქვა, მინდა, ქართველი ხალხი ჩემი პერსონისგან დავასვენოო და ქართულ მედიასაც არ ანებივრებს ინტერვიუებით. სამაგიეროდ, სააკაშვილი უცხოელი ჟურნალისტებისთვის არის ხელმისაწვდომი და ისინიც არცთუ იშვიათად სხვადასხვა საკითხზე ინტერვიუს სთხოვენ. შემდეგ ამ ინტერვიუს ჩვენ, მისი ყოფილი ქვეშევრდომნი ვნახულობთ და შეიძლება ითქვას, რომ ეს მისი ნააზრევი კი არა, ჩვეულებრივი აღსარებაა. აღსარება, რომელიც ქართველ ერს შოკში აგდებს და კიდევ ერთხელ ანახებს იმას, როგორ ჰქონდა დახვეწილი წინა ხელისუფლებას ტყუილის ტექნოლოგია და, ქაღალდზე დახაზული ქალაქებისა თუ სხვადასხვა პროექტების გარდა, როგორ ცდილობდა, ერს ილუზიაში ეცხოვრა.**



ამ დღეებში სააკაშვილი უკრაინულ ტელევიზიაში გამოჩნდა. ჟურნალისტმა ჯერ განაცხადა, რომ თავისი ქვეყნის პრეზიდენტად სააკაშვილის ხილვა სურს (ამის გაგონებაზე მიშამ ტუჩები მოილოკა), შემდეგ კი ექსპრეზიდენტს უკრაინაში არსებული სიტუაციის შეფასება სთხოვა. როგორც ჩანს, სააკაშვილს დაავიწყდა, რომ ცოტა ხნის წინათ საქართველოს პრეზიდენტიც იყო და ისე გაუტია, ამ ინტერვიუს ჩანაწერს თუ ნახავდა, მკლავებზე ძარღვები უნდა დაბერვოდა (აბა, შუბლზე აღარ აქვს და!).

**„თქვენ უნდა შეეგუოთ იმას, რომ ნატოს კარი უკრაინისთვის მიხურულია და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ რუსეთს ოკუპირებული ექნება ყირიმი. თავადაც იცით, რომ ნატოში არავინ მიგიღებთ, თუ სადავო ტერიტორია გაქვთ და, პრაქტიკულად, ომის ზღვარზე იმყოფებით. საქართველოსთვისაც სწორედ ეს არის ხელის შემშლელი ფაქტორი. ჩვენ ვცდილობდით ნატოს კარის შეღებას და ამ მიზანთან ახლოსაც ვიყავით, მაგრამ 2008 წელს რუსეთმა ახალი ტერიტორიები მიითვისა და ეს ოცნებაც დასრულდა“**, — განაცხადა სააკაშვილმა.

ეს ინტერვიუ ინტერნეტით გავრცელდა და, სიმართლე გითხრათ, რამდენიმეჯერ გადავახვიე, კარგად რომ მომესმინა, რას ლაღადებდა ნაპრეზიდენტალი. საბოლოოდ კი გამოვიდა, რომ ეს ჩვენი (რაღა ჩვენი, საქართველოში პროკურატურასაც ვერ ჩამოჰყავს) სააკაშვილი თავის გუნდთან ერთად წლების განმავლობაში ისე გვატყუებდა, რომ

**თუ უკრაინას ყირიმის გამო პრობლემები შეექმნება, საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამო უფრო დიდი პრობლემა უნდა შექმნოდა, მაგრამ ჩვენ ხან მაპზე უკეთესს გვაძლევდნენ, ხან ცხვირს გვაყოფინებდნენ ნატოს სამზარეულოში, იქაური სურნელით რომ დავმტკბარიყავით, და ხან კიდევ ანდრეს ფოგი (რასმუსენი რა) გვიმტკიცებდა, — კარგად ვერ აკაკუნებთ, თორემ ჩვენი კარი ღიააო**

ზუსტად იცოდა, ცრუობდა. **თუ უკრაინას ტერიტორიული პრობლემების გამო ნატოში არ მიიღებენ, საქართველოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გამო უფრო დიდი პრობლემა უნდა შექმნოდა, ანუ ჩვენ ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების თეორიული შანსიც არ გვქონდა, მაგრამ სააკაშვილი და მისი გუნდი ერთხმად გვიმტკიცებდა საპირისპიროს. სააკაშვილს ვინ ჩივის ნატოს მაღალჩინოსნებიც ხან მაპზე უკეთესს გვაძლევდნენ, ხან ცხვირს გვაყოფინებდნენ ნატოს სამზარეულოში, იქაური სურნელით რომ დავმტკბარიყავით, და ხან კიდევ ანდრეს ფოგი (რასმუსენი რა) გვტუქსავდა, კარგად ვერ აკაკუნებთ, თორემ ჩვენი კარი ღიააო.**

**უფრო საინტერესო კი ის არის, რომ სააკაშვილის გუნდის წევრები, ახლა რომ ხმამაღლა გვესაუბრებიან, მიშას ამ ინტერვიუს შემდეგ თავჩაქინდრული არ დადიან. პირიქით — ამაყობენ, რომ მათ ლიდერსა და ხორციელ მამას (მოდი, ნაციონალებს როცა ვახსენებთ სულზე ნუ ვისაუბრებთ), უკრაინის პრეზიდენტობას ეაჯებიან და მათი ლიდერი უცხოურ არხებზე ვარსკვლავობს.** ჯერ ერთი, უკრაინის პრეზიდენტობას მიშიკო ვერ შეძლებს და ვერ შეძლებს იმიტომ, რომ ამდენი უკრაინელი მდედრის გადამკიდეს, როგორც კახელები იტყვიან, ერთ დღეს „სული ფლოსტივით გასძვრება“ და მეორეც — იანუკოვიჩს არც ქუჩაში დაუხვრეტია ხალხი, არც ციხეებში უწამებია იმ მეთოდებით, რომლებიც „ნაციონალებმა“ დააპატენტეს, არც ქვეყნის ბიუჯეტზე ყოფილა ჩამოკიდებული საკუთარ ბანდასთან ერთად წურბელასავით, მაგრამ მაიდანი მაინც მოუწყვეს. შესაბამისად, **მიშას მაიდანი კი არა, მუამარ კადაფის ბედი არ ასცდება.** ამიტომ სჯობს, ისევ საქართველოს ექსპრეზიდენტად დარჩეს, ისევ სხვადასხვა ტელევიზიაში გამოჩენით დაიკმაყოფილოს ამბიციები; ჩვენ კი ყურადღებით მოვუსმენთ და გავიგებთ, კიდევ რომელ შეგნებულ ტყუილს გვეუბნებოდა მთელი ცხრა წლის განმავლობაში და რომელ ტყუილზე ებერებოდა მკლავზე ძარღვები.

**დავით მინდიაშვილი**

**P.S. ამას წინათ სკოლაში მასწავლებელმა ბავშვებს თავისუფალი თემა მისცა „მე რომ საქართველოს პრეზიდენტი ვიყო“ და ერთ-ერთმა მეშვიდეკლასელმა დაწერა, არ მინდა პრეზიდენტობა, ხალხი მაგინებსო...**

**როცა 19 წლის მაიკ ტაისონი კრივში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ მისი ინტელექტი მეშვიდე კლასის მოსწავლის ინტელექტის დონის იყო. საბოლოოდ ტაისონმა ბრწყინვალედ დაწყებული კარიერა მის ამერიკის გაუპატიურებით და ციხით დაასრულა... სააკაშვილს ერის გაუპატიურების მცდელობა უკვე ჰქონდა და რა დარჩა?!**

---

**ბის კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, რომ „რუსეთის შიშით კი არ უნდა გავჩერდეთ და დავიმალოთ, არამედ პირიქით — ჩვენი თავდაცვითი სისტემა უნდა გავაძლიეროთ“.**

— სამწუხაროდ, **ირაკლი სესიაშვილიც უპასუხისმგებლოდ ეპყრობა ამ საკითხს. გასაგებია, რომ ალასანია მისი თანაგუნდელია, მაგრამ თანაგუნდელობა არაფერია, როცა ქვეყნის სამხედრო ძლიერებას ეხება საქმე. მეტაფორები, ლექსები და სადღეგრძელოები არც ერთი ირაკლისგან არ მჭირდება.** კეთილი ინებონ და, **შეიარაღებულ ძალებს მიხედონ, თორემ, რაც ხდება, იმის გამო არამხოლოდ ალასანიას, სესიაშვილის პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება.** გარე-გარე სირბილს და ნატო-ნატოს ძახილს, სჯობს, საქმეს მივხედოთ. ნატო, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი მნიშვნელობა არც ერთმა არ იცის. **მათ რომ იცოდნენ, რა არის სამხედრო ორგანიზაცია და, საერთოდ, სამხედრო საქმე, ასეთ სისულელეებს არ იტყოდნენ.**

**— რუსეთი დაუფარავად აცხადებს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანებას სასტიკად ეწინააღმდეგება. ასეთ ვითარებაში ადეკვატური და გონივრულია ჩვენი ხელისუფლების ქმედებები და განცხადებები? მით უფრო, როდესაც ევროპელი მაღალჩინოსნები უკვე პირდაპირ გვეუბნებიან, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს ნატოს წევრობის პერსპექტივა არ აქვს...**

— ბუნებრივია, რომ რუსეთს აქვს თავისი ინტერესები და საქართველოს — თავისი. და სწორედ აქ არის ხელისუფლებისა და პოლიტიკოსის გონება საჭირო, თავის დროზე თქვას, რაც სათქმელია, და არ თქვას, როცა არ არის სათქმელი. **ახლა ნატოზე პედალირება წამგებიანი საქმეა.** მაგრამ უბედურება არის ის, რომ ჩვენი პოლიტიკოსები ქვეყნის შიგნით პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას ვერ ახერხებენ და, **როდესაც ქვეყანაში უამრავი სოციალური პრობლემაა, სწორედ მაშინ ჩნდება დიადი მომავალი ან კომუნიზმის, ან ნატოს სახით.** როგორიც იყო საბჭოთა პროპაგანდა კომუნიზმის მიმართ, ისეთივეა დღეს პროპაგანდა ნატოს მიმართაც. **ნატოში შესვლაზე რეალური მუშაობა სხვაა და პროპაგანდა — სხვა. გამოდიან ეს პროპაგანდისტები და გეუბნებიან, მართალია, შენ გშია, მაგრამ უნდა იშიმშილო, მთავარია, ნატოში გავწევრდეთო. ოღონდ მე ჯიპით უნდა შევიდე ნატოში, შენ კი ურმით შემომყვეო. ტუტუცი და მაძღარი პოლიტიკოსები ცდილობენ, ქვეყანაში არსებული პრობლემები საგარეო პიარით, გარე წარმატებებით გადაფარონ.** „ნაციონალებსაც“ ასეთივე აგრესიული პიარი ჰქონდათ, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ, ნატოში იმ პერიოდში არავინ მიგვიღებდა, მაგრამ განწყობა შექმნეს, თუ ნატოს წევრი გავხდებოდით, ყველა პრობლემა მოგვარდებოდა და სამოთხეში ვიცხოვრებდით.

**ახალი ხელისუფლება თავდაპირველად საკმაოდ დაბალანსებულ პოლიტიკას აწარმოებდა, მაგრამ, როდესაც აღმოჩნდა, რომ ვერც ერთ პრობლემას თავი ვერ გაართვა, კვლავ ნატოს თემა წამოსწია წინ. ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ აუხსნა ჩვენი თავდაცვის მინისტრსა და ხელისუფლებას, რისი შეთავაზება შეუძლიათ, ანუ დაანახა, თქვენ საქმის არსს არ იცნობთო.**

თუნდაც ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ისე ვგზავნით სამხედრო კონტინგენტს, არც მოსამზადებელი სამუშაოები ჩაგვიტარებია და არც საზოგადოებისთვის გვიკითხავს, ანუ ოჯახური სცენა დატრიალდა — თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება.

**— თუმცა საქართველოს პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი ცენტრალურ აფრიკაში ქართველი სამხედროების გაგზავნის საკითხს. საქართველოს ავღანეთში საკმაოდ დიდი დანაკარგები აქვს, რას მიიღებს ქვეყანა ამ მისიისგან, გარდა მსხვერპლისა?**

— არაფერს. ჩვენ შეგვეძლო 3-4 ოფიცერი ან ოცეული გაგვეგზავნა, დაკვირვება გვეწარმოებინა. შეგვეძლო, მოგვეთხოვა ევროპისთვის სამედიცინო პერსონალის მომზადება, გარკვეული საინფორმაციო უზრუნველყოფა და რატომაც არა?! კი, ბატონო, ევროპის შემადგენელი ნაწილი ვართ და ერთობლივ ოპერაციებშიც შეიძლება მონაწილეობა, მაგრამ მოდი, ნუ ვიქნებით „რომის პაპზე მეტი კათოლიკეები“. ევროპაში უამრავი სახელმწიფოა, მაგრამ მისიაში მხოლოდ 5 თუ 6 სახელმწიფო მონაწილეობს. ძალიან ცუდია, როდესაც ქვეყანაში სამხედრო საქმე პოლიტიკოსების გადასაწყვეტია. **განსაკუთრებით ალასანიას ვერ ვენდობი, როცა ამბობს, რომ ჩვენი ჯარი მზადაა ცენტრალური აფრიკის მისიისთვის, რადგან ის მატყუარაა. ეჭვი მაქვს, რომ მისთვის ჯარისკაცები მეორეხარისხოვანი ქართველები და ჩვეულებრივი საზარბაზნე ხორცია და, რა თქმა უნდა, მათ არ აქვთ ცისფერი სისხლი, როგორც ალასანიას და პოლიტიკურ ელიტას. აქედან გამომდინარე, რა დაემართებათ აფრიკაში, არ აინტერესებთ.**

**— უკრაინის მაგალითიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ვინ დაიცავს საფრთხის შემთხვევაში საქართველოს, შეიძლება თუ არა ის სრულიად მარტო აღმოჩნდეს?**

— საფრთხის შემთხვევაში, ყველა სახელმწიფო მარტოა. ნატოს წევრებიც კი პირველ ეტაპზე მარტო დარჩებიან. სტრატეგიული მოულოდნელობა ზოგჯერ სამ ან ექვს თვესაც გრძელდება. ჩვენ მაგივრად არავინ იომებს. უნდა ვიცოდეთ, რომ გარკვეული პერიოდი მარტო მოქმედება მოგვიწევს და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ.

ესაუბრა **შორენა ციკქარაშვილი**

---

ამბავი

## მდინარე თერგს კალაპოტი შეუცვალეს

**დარიალის ხეობაში 24-საათიანი ინტენსიური მუშაობის შედეგად მდინარე თერგის სხვა კალაპოტში მოქცევა მოხერხდა.** თერგი სხვა კალაპოტიდან შეუერთდება მდინარის მთავარ ნაკადს, რაც მობილიზებულ ტექნიკას საშუალებას მისცემს, გზის საფარის გაწმენდითი სამუშაოები დაიწყოს. გარემოს დაცვის სამინისტრომ კი 17 მაისს დარიალის ხეობაში მომხდარი სტიქიური უბედურების შესახებ გეოლოგების დასკვნა გაავრცელა. როგორც დასკვნაშია ნათქვამი, 2014 წლის 17 მაისს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე, დარიალის ხეობაში წარმოქმნილი სტიქიური გეოლოგიური მოვლენა, ისევე, როგორც მთა მყინვარწვერის მყინვარულ კვანძში ღვარცოფების წარმოქმნა, მხოლოდ ბუნებრივ ფაქტორებთან არის დაკავშირებული.



რეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამეგრელო -ზემო სვანეთის გუბერნატორად ზაზა გოროზიას მუშაობის პერიოდში ირაკლი გოგოხია ბიზნესსაქმიანობას ეწეოდა და ბენზინისა და ცემენტის უკანონო ვაჭრობის ბრალდებით დააპატიმრეს, თუმცა პირობითი სასჯელი შეუფარდეს. მაშინვე ცნობილი გახდა, რომ მას როლანდ ახალაია დაეხმარა.**

# «ქართულმა ოცნებამ» ფოთის, ზუგდიდისა და თელავის მერობის კანდიდატებად ყოფილი «ნაციონალები» დაასახელა



**ენერგეტიკის მინისტრმა და ვიცეპრემიერმა კახა კალაძემ, რომელმაც ახლახან საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობაც შეითავსა, განაცხადა: „ქართული ოცნების“ სიაში ვერც ერთ ყოფილ „ნაციონალს“ ვერ ნახავთო. ამ განცხადების შემდეგ წინასაარჩევნო პროცესის პირველი ნახევარი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, თუმცა მხოლოდ პირველი ნახევარი. როგორც კი „ოცნებამ“ კანდიდატების დასახელება დაიწყო, ქვეყანაში ვაიუშველებელი ატყდა — საქართველოში არ დარჩა რაიონი, სახელისუფლო კანდიდატის მიმართ მოსახლეობას პროტესტი რომ არ გამოეცხადებინა. ჩვენ მოვიპოვეთ ინფორმაცია რამდენიმე ქალაქში „ოცნების“ მიერ წარდგენილ მერობის კანდიდატებზე.**

**«ქართული ოცნების» მერობის კანდიდატი ბეგლარ სიორიძე ადრე გურიის ტელევიზიას ხელმძღვანელობდა, შემდეგ თხილის ბიზნესს მიჰყო ხელი. ბევრი რა გელაპარაკოთ, მაფიოზაა, რა...»**

**ფოთი.** ამ ქალაქში იმთავითვე უჩიოდნენ საკუთარ მაჟორიტარს — პარლამენტის წევრ ეკა ბესელიას, მაგრამ ხმამაღლა საუბარს ვერ ბედავდნენ, თუმცა მოახერხეს და ინფორმაცია ბიძინა ივანიშვილის ყურამდე მაინც მიიტანეს. ამის შემდეგ ივანიშვილმა საჯაროდ გააკრიტიკა რამდენიმე მაჟორიტარი, მათ შორის, ფოთის მაჟორიტარიც.

**აი რას ამბობენ ფოთელები „ოცნების“ მიერ ფოთის მერად წარდგენილ კანდიდატ ირაკლი კაკულიაზე:**

„ირაკლი კაკულიასა და „ნაციონალურ მოძრაობას“ ყოველთვის ტკბილი ურთიერთობა ჰქონდათ. **„ნაციონალების“ მმართველობის პერიოდში ირაკლი კაკულიას ბანკმა კრედიტად 100 000 დოლარი ისე მისცა, რომ არანაირი გარანტია და საბანკო უზრუნველყოფა არ მოუთხოვია. მან ამ თანხით მარკეტი გახსნა, რომელიც შეუფერხებლად მუშაობდა და ეს მაშინ, როდესაც „ნაცები“ წვრილ ბიზნესმენებსაც კი არ ახარებდნენ. ირაკლი კაკულიას ფოთში პრობლემები არასოდეს შექმნია. 2007 წელს ის რატომღაც გაერთიანებულ ოპოზიციაში აღმოჩნდა, შემდეგ კი საქართველო დატოვა.**

„ქართული ოცნების“ მიერ ქალაქ ფოთის მერობის კანდიდატად წარდგენილი ირაკლი კაკულია საქართველოში, ჯამში, 9 თვეც არ იმყოფებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მას არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს.

**კანონი ყველასთვის კანონი უნდა იყოსო, — ამბობს ხელისუფლება, მაგრამ ეს კანონი კაკულიას რატომღაც არ ეხება.**

კაკულია ცრუობს, როდესაც ამბობს, რომ „ოცნების“ ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარეა 2012 წლიდან, რადგან მან ეს თანამდებობა 2013 წლიდან დაიკავა“.

**უარესი ვითარებაა ზუგდიდში. იქ როლანდ ახალაიას კაცია მერობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“.**

„ოცნების“ მიერ წარდგენილი მერობის კანდიდატი ირაკლი გოგოხია შევარდნაძის მმართველობის პერიოდში „მემარჯვენეების“ წევრი იყო; შემდეგ თავისი გუნდით ასლან აბაშიძის „აღორძინებაში“ გადაბარგდა. **„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი „ნაციონალებს“ დაუახლოვდა. სამეგრელო -ზემო სვანეთის გუბერნატორად ზაზა გოროზიას მუშაობის პერიოდში ირაკლი გოგოხია ბიზნესსაქმიანობას ეწეოდა და ბენზინისა და ცემენტის უკანონო ვაჭრობის ბრალდებით დააპატიმრეს, თუმცა პირობითი სასჯელი შეუფარდეს. მაშინვე ცნობილი გახდა, რომ მას როლანდ ახალაია დაეხმარა. გოგოხიას სიმამრი ზურაბ ცხონდია საპარლამენტო არჩევნებში მხარს აქტიურად უჭერდა როლანდ ახალაიას. საპრეზიდენტო არჩევნებში გოგოხია თავდაპირველად ნინო ბურჯანაძის შტაბს მიეტმასნა, სამიოდე დღის შემდეგ კი გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბის უფროსის, ჩიქავას, გუნდში აღმოჩნდა“.**

**„ოცნების“ მიერ ქალაქ თელავის მერობის კანდიდატად დასახელებული პლატონ კალმახელიძე „ნაცების“ მეგობარიც ყოფილა, მაგრამ დღეს უკვე პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრის — თამაზ თამაზაშვილის ახლობლის სტატუსით სარგებლობს.**

„ოცნების“ კანდიდატი პლატონ კალმახელიძე დიდად ცნობილი პიროვნება არ არის, „ბილაინის“ ოფისს ხელმძღვანელობდა და სწორედ ამ თანამდებობაზე ყოფნისას გაიცნო საჭირო ადამიანები „ნაცებიდან“ და ახლა უკვე „ოცნებიდანაც“. **ქალაქში ყველა უკმაყოფილოა, რადგან თვლიან, რომ, თუ პლატონ კალმახელიძემ გაიმარჯვა, სხვებისგან მართული იქნებაო.**

**პლატონ კალმახელიძე თამაზ თამაზაშვილის კადრია და შინაგან საქმეთა მინისტრ ლექსო ჭიკაიძესთან მეგობრობს“.**

**ოზურგეთელებმა „ოცნების“ კანდიდატი ჩვეული იუმორით მოკლედ დაახასიათეს:**

„ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი ბეგლარ სიორიძე ადრე გურიის ტელევიზიას ხელმძღვანელობდა, შემდეგ თხილის ბიზნესს მიჰყო ხელი. ბევრი რა გელაპარაკოთ, მაფიოზაა, რა...

**სხვა ქალაქების მცხოვრებლებისგან განსხვავებით, რუსთაველებმა მოახერხეს და „ოცნების“ მერობის კანდიდატის წინააღმდეგ სარჩელი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შეიტანეს.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ხელში ჩაუვარდა ამ დოკუმენტის ასლი.**

„ა/წ 17 მაისის განკარგულებით №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით საარჩევნო რეგისტრაციაში იქნა გატარებული საარჩევნო ბლოკი ,,ქართული ოცნება“-ს თვითმმართველი ქალაქის რუსთავის მერობის კანდიდატი დავით ჯიქია. დავით ჯიქიას ბოლო ორი წელი საქართველოში არ უცხოვრია (იგი იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში, სადაც 2012 წლის ნოემბრამდე ჩართული იყო ინგლისური ენის სპეციალურ პროგრამაში), შესაბამისად, მისი რეგისტრაციით რუსთავის ოლქმა დაარღვია კანონი.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 167-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად: „მერად/გამგებლად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოში“.

მსგავსი კატეგორიის საქმეებზე არსებობს პრეცენდენტიც, როდესაც ცესკოს 2014 წლის 22 აპრილის 70/2014 განკარგულებით ბათილად იქნა ცნობილი გორის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება თვითმმართველი ქალაქის გორის მერობის კანდიდატის — ირაკლი ოქრუაშვილის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“.

პოლკოვნიკი **ზაზა ჩაჩუა:**

# საქართველოს ქალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა დავაფუძნეთ და არჩევნებში მონაწილეობა გადავწყვიტეთ, რადგან წლებია, ჩვენთვის ვერავინ მოიცალა. ოცი წელია, ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანები ყველა მთავრობისგან მიტოვებულნი ვართ

**ძალოვანი უწყებების ვეტერანები „საქართველო და მსოფლიოს“ დაუკავშირდნენ. ეს ის პერიოდი იყო, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ნატოს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე საჰაერო თავდაცვითი იარაღის განთავსება რომ სთხოვა. ვიფიქრეთ, ძალოვანები ამაზე იყვნენ გაბრაზებულნი, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა, ისინი გაბრაზებულები ნამდვილად არიან, მაგრამ მიზეზი ხელისუფლების უყურადღებობაა.**

**ზაზა ჩაჩუა, თავდაცვისა და შეიარაღებული ძალების პოლიციის პოლკოვნიკი:**

— საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა დავაფუძნეთ და არჩევნებში მონაწილეობა გადავწყვიტეთ, რადგან წლებია, ჩვენთვის ვერავინ მოიცალა. ოცი წელია, ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანები ყველა მთავრობისგან მიტოვებულნი ვართ.

**— უკვე პოლიტიკური მოძრაობის წარმომადგენლები ხართ, ამიტომ გკითხავთ: მოგწონთ საქართველოს თავდაცვის მინისტრი?**

— ქალი ხომ არ არის, რომ მოვიწონო? მის საქმეებში ჩახედული არ ვარ, ამიტომ ვერ გეტყვით, მისი პლუსი რა არის და ვერც მინუსებზე ვილაპარაკებ.

**— ალასანიას განცხადება ნატოს ანტისარაკეტო დანადგარების საქართველოში განლაგების შესახებ თუ მოგეწონათ?**

— ეს ძალიან ნაჩქარევი განცხადება იყო. თავდაცვის მინისტრის განცხადება აუცილებლად უნდა ყოფილიყო შეთანხმებული ყველასთან, ვისაც ქვეყნის ბედი აბარია, ასეთი მნიშვნელოვანი განცხადების გაკეთება ასე ნაუცბათევად არ ხდება. აუცილებელია, ჯერ რუსეთთან მოვაგვაროთ ურთიერთობა. არ შეიძლება, მეზობელს პატივი არ ვცეთ და მხოლოდ ერთ მხარეს ვიყურებოდეთ. თანაც შედეგებზეც ხომ უნდა ვიფიქროთ, რა მოგვიტანა ამდენმა წელიწადმა?! ასეთმა შეცდომებმა და გადაწყვეტილებებმა ტერიტორიები დაგვაკარგვინა.

**გოდერძი ხუჯაძე, იუსტიციის გენერალი, პოლიციის პოლკოვნიკი:**

— ირაკლი ალასანიას ის განცხადება არ უნდა გაეკეთებინა.

**— იქნებ დადგა ის მომენტი, როდესაც გადაწყვეტილება სწრაფად და შეუთანხმებლად უნდა მიიღო იმიტომ, რომ ეს ქვეყანას სჭირდება?**

— ეს ალასანიას უნდა ჰკითხოთ, რისთვის დასჭირდა ამ განცხადების გაკეთება.

**— დიდი ხნის გამოცდილება გაქვთ, თანაც ნატოსთან ინტეგრაციის პროცესებმა თქვენ თვალწინ გაიარა. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრება რეალურია?**

— ამის არავის სჯერა. ქვეყანა, რომელსაც ტერიტორიული მთლიანობა აქვს დარღვეული, ნატოს წევრი ვერ გახდება.

**— რამ გადაგაწყვეტინათ პოლიტიკაში ჩართვა?**

— წლებია, ყურადღებას ვითხოვთ. სად, რომელ ქვეყანაში აქვთ ძალოვან ვეტერანებს პენსია 22 ლარი? გვეუბნებიან, ბიუჯეტს უჭირსო, არადა, ვეტერანებს შორის არიან ადამიანები, რომლებმაც ქვეყნისთვის თავი გადადეს, სამშობლოს ჯანმრთელობა შესწირეს.

ჩვენ გვინდა აქტიურად ჩავერთოთ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

**არის საკითხები, რომლებსაც ვაპროტესტებთ, მაგალითად, არ მოგვწონს, რომ ქალი პენსიას 60 წლის ასაკიდან იღებს, ხოლო მამაკაცი — 65-დან. ეს მიხეილ სააკაშვილმა დააკანონა და მას შემდეგ არც ერთი პოლიტიკური ძალა ამ საკითხს, როგორც პრობლემას, არ განიხილავს.**

**— ცოტა საშიში მგონია ძალოვანების პოლიტიკაში ჩართვის გადაწყვეტილება.**

— ჩვენ კანონმორჩილი ადამიანები ვართ. გვინდა, ყველა მოქალაქის უფლება დავიცვათ. „პაგონებიანი“ ადამიანი არ შეიძლება საშიში იყოს თავისი ქვეყნის მოქალაქეებისთვის! რაც მთავარია, სისულელეს არ ჩავიდენთ, დამნაშავე კი, ვინც უნდა იყოს, უნდა დაისაჯოს.

თუ გახსოვთ, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, შექმენით პარტიები და იბრძოლეთ, როგორც შეგიძლიათო; ჰოდა, ჩვენც ავდექით და პოლიტიკური მოძრაობა ჩამოვაყალიბეთ...

იუსტიციის გენერალი **გოდერძი ხუჯაძე:**

## სად, რომელ ქვეყანაში აქვთ ძალოვან ვეტერანებს პენსია 22 ლარი?

„2013 წლის მაისში, როდესაც ხელისუფლებას შევახსენეთ დაპირება, ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, ამ პრობლემის მოგვარებას სამი თვე დასჭირდებაო, მაგრამ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ეს პროცესი ვერ მოესწრო. ინტერფრაქციული ჯგუფის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ ზაქარია ქუცნაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც საარჩევნო კოდექსში ჩაიწერა — 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება ბიომეტრიული წესით დაზუსტებული სიებით. შემდეგ ქუცნაშვილი ზვიად ძიძიგურმა შეცვალა და სწორედ მისი ხელმძღვანელობისას ამოიღეს კანონიდან ქუცნაშვილის მიერ გაკეთებული ჩანაწერი“.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ირაკლი ჭყოიძე: ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა «გაბერილი» სიების შესანარჩუნებლად, რომლებიც გაყალბების საშუალებას იძლევა!

**ყველას ახსოვს, ალბათ, რომ 2012 წლის იანვარში, ამომრჩეველთა სიების დაზუსტების მიზნით, შეიქმნა სახელმწიფო კომისია, რომელშიც თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია შედიოდა „ნაცებთან“ ერთად, მათ შორის, „მრეწველებიც“; იმხანად „მრეწველები“ ჯერ კიდევ არ იყვნენ კოალიციის წევრები. აღნიშნული კომისიის მიზანი იყო, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში სიები „გაბერილი“ არ ყოფილიყო...**

**«დღეს საარჩევნო კომისია ორსუბიექტიანია, თანაც მათ კოაბიტაცია წარმატებით გაიარეს და ახლა თანამშრომლობის რეჟიმში არიან. ვიცით ისიც, როგორი ცოდნა და გამოცდილება აქვთ არჩევნების გაყალბების საქმეში «ნაცებს». ამ ცოდნის შეძენის სურვილი ახალ ხელისუფლებასაც გაუჩნდა და ისინი «ნაცებისგან» აპირებენ ამის სწავლას»**



კომისია დიდი მონდომებით შეუდგა სიების დაზუსტებას და სახელმწიფოს მიერ აღნიშნული საქმის სრულყოფილად შესასრულებლად გამოყოფილი 5 მილიონი ლარიც მიზანმიმართულად დახარჯა. თითქმის ნახევარი საქართველო დასაქმდა, დროებით, მაგრამ მაინც...

მკითხველს, ალბათ, ისიც ახსოვს, რომ იმჟამინდელი ოპოზიცია, ახლა უკვე სახელისუფლო გუნდი, სიების დაზუსტების კომისიას არ ენდობოდა და, პარალელურად, საკუთარი თანხით დაიწყო ანალოგიური სამუშაოები, რომელთაც სახელმწიფო კომისია აწარმოებდა. სამუშაოების დასრულების შემდეგ კოალიციაში შემავალ პარტიებს ამომრჩეველთა ზუსტი რიცხვი არ გამოუქვეყნებია, თუმცა დაბეჯითებით იმეორებდნენ, კომისიის მიერ გამოქვეყნებული ამომრჩეველთა სია კვლავ გაბერილია და სანდო არ არისო, იმასაც ამბობდნენ, რომ, როგორც კი ხელისუფლებაში მოვალთ, პირველი, რასაც გავაკეთებთ, მოსახლეობის აღწერა და ამომრჩეველთა სიების დაზუსტება იქნებაო.

ეს ამბავი იმიტომ კი არ გავიხსენეთ, რომ „ნაცებისა“ და მათი სატელიტების მიერ ჩატარებული სამუშაოთი აღფრთოვანებულები ვართ, უბრალოდ, გვინდა, შედარება გავაკეთოთ 2102 წლის ამომრჩეველთა სიებსა და დღეს არსებულ სიებს შორის.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას ამომრჩეველთა სიაში 3 მილიონ 491 ათასი ადამიანი იყო, ანუ 122 ათასი ამომარჩევლით ნაკლები, წინა წელთან შედარებით.

დღეს, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროსაც, სიაში ამომრჩეველთა ზუსტად იგივე რაოდენობაა, რაც 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას იყო, ანუ 3 მილიონ 491 ათასი ამომრჩეველი და ეს მაშინ, როდესაც საზღვარგარეთ მცხოვრები მოსახლეობა არჩევნებში არ მონაწილეობს. თუ დასაზუსტებული სიების მიხედვით საზღვარგარეთ მცხოვრებთა რაოდენობა 305 ათასი იყო, მაშინ დღევანდელ საარჩევნი სიაში 3 მილიონ 308 ათასი ამომრჩეველი უნდა იყოს...

ამომრჩველთა სიების უზუსტობაზე ყველა ოპოზიციური ძალა საუბრობს, მაგრამ მათ მიერ დასმულ კითხვებს არავინ პასუხობს. არსად ჩანან ის არასამთავრობოები, რომლებიც სიების არასრულყოფილებას აპროტესტებდნენ, უფრო ზუსტად, ის ადამიანები ახლა თანამდებობებზე სხედან და სულაც აღარ ადარდებთ საარჩევნო სიები.

**აღნიშნულ თემაზე „საქართველო და მსოფლიო“ საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის წევრ ირაკლი ჭყოიძეს ესაუბრა:**

— ყბადაღებული თემა — ამომრჩეველთა ერთიანი სია, დღესაც აქტუალურია, მიუხედავად იმისა, რომ, ვიდრე მთავრობის წევრები ოპოზიციაში იმყოფებოდნენ, სიების დაზუსტების პროცესი ქარცეცხლში გაატარეს და სრულიად სამართლიანადაც... როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ, ამბობდნენ, რომ სიები დაზუსტდებოდა და იქნებოდა ბიომეტრიული სიები ელექტრონული ხელმოწერებით. საუბარი იყო იმაზეც, რომ, თუ ბიუჯეტში თანხები არ მოიძებნებოდა, ბიძინა ივანიშვილი თვითონ დააფინანსებდა ამ პროცესს, თანაც ეს ოთხ თვეში უნდა მომხდარიყო.

**2013 წლის მაისში, როდესაც ხელისუფლებას შევახსენეთ დაპირება, ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, ამ პრობლემის მოგვარებას სამი თვე დასჭირდებაო, მაგრამ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ეს პროცესი ვერ მოესწრო. ინტერფრაქციული ჯგუფის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ ზაქარია ქუცნაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც საარჩევნო კოდექსში ჩაიწერა — 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება ბიომეტრიული წესით დაზუსტებული სიებით. შემდეგ ქუცნაშვილი ზვიად ძიძიგურმა შეცვალა და სწორედ მისი ხელმძღვანელობისას ამოიღეს კანონიდან ქუცნაშვილის მიერ გაკეთებული ჩანაწერი. ცოტა თემას გადავუხვევ და ვიტყვი, რომ ამ ვითარებაში ნათლად ჩანს ხელისუფლების დამოკიდებულება კანონისადმი — მერე რა, რომ ჩავწერეთ, ისევ ამოვწერთ...**

ამის შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ არჩევნები ე. წ. გაციფრებული სიით ჩატარებულიყო, რაც კიდევ ერთი დიდი პრობლემის წინაშე დაგვაყენებს.

იყო 3 მილიონ 613 ათასი ამომრჩეველი, ახალი ხელისუფლების პერიოდში კი 3 მილიონ 491 ათასია. ამომრჩეველთა რაოდენობა შემცირდა რეგისტრაციიდან მოხსნილი ადამიანების ხარჯზე, მაგრამ **აუცილებლად ხაზგასასმელია, რომ ახლა ჩვენ ვატარებთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, რომელშიც არ მონაწილეობენ საზღვარგარეთ მცხოვრები ადამიანები, მათი რიცხვი კი 305 ათასია.**

**ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა „გაბერილი“ სიების შესანარჩუნებლად.**

რისთვის სჭირდება ეს? — გაბერილი სიები გაყალბების საშუალებას იძლევა!

**— როგორ ფიქრობთ, ამ არჩევნებში გაყალბება იქნება?**

— გაყალბება იქნება ყველა არჩევნებში, რადგან **ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო პარიტეტული საარჩევნო კომისია. დღეს საარჩევნო კომისია ორსუბიექტიანია, თანაც მათ კოაბიტაცია წარმატებით გაიარეს და ახლა თანამშრომლობის რეჟიმში არიან. ვიცით ისიც, როგორი ცოდნა და გამოცდილება აქვთ არჩევნების გაყალბების საქმეში „ნაცებს“. ამ ცოდნის შეძენის სურვილი ახალ ხელისუფლებასაც აქვს და ისინი „ნაცებისგან“ აპირებენ ამის სწავლას.**

**— ბატონო ირაკლი, რას ნიშნავს „გაციფრებული“ სია?**

— რეესტრის მიხედვით, მოხდა ამომრჩეველთა ფოტოების გაციფრება და **საარჩევნო, სამაგიდო სიაში ამომრჩევლის გვარისა და სახელის გასწვრივ იქნება ფოტო. პრობლემა არის ის, რომ შესაძლებელია, ფოტოთი ადამიანი ვერ იცნო, რადგან რეესტრში არსებული ზოგი ფოტო ძალიან ძველია. მაგალითად, მე ათი წლის წინათ გადაღებულ ფოტოზე ვერავინ მიცნობს.** საარჩევნო კომისიას კი არ აქვს პასუხი, რა უნდა გააკეთოს კომისიის წევრმა, თუ ადამიანი ვერ ამოიცნო. ლოგიკურად, მან უნდა მოითხოვოს პირადობის მოწმობა და შეადაროს ფოტოები, რაც უბნებზე ქაოსს გამოიწვევს. **სწორედ ასეთი ქაოსის თავიდან ასარიდებლად იყო საჭირო ბიომეტრიული სიები,** მართალი იყო ვახტანგ ხმალაძე, როდესაც ამბობდა, ბიომეტრიული სიების შექმნას სამი თვე სჭირდებაო, მაგრამ მთავრობამ კეთილი ნება არ გამოიჩინა.

# საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საარსებო მინიმუმს ძველი მეთოდოლოგიით თვლის

**„ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ სპეციალისტებმა „საქართველოში საჯარო პოლიტიკის ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრის“ ეგიდით მარტიდან მაისის ჩათვლით საარსებო მინიმუმი გამოიკვლიეს. დადგინდა, რომ საქართველოში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი რეალურად 309 ლარია და არა 147 ლარი, როგორც ეს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა დაითვალა.**

„ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ პრეზიდენტის — რამაზ გერლიანისა და ამავე ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის — ქეთევან კრიალაშვილის განმარტებით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური საარსებო მინიმუმს ძველი მეთოდოლოგიით თვლის. შესაბამისად, მათ გათვლებში მინიმალური სასურსათო და არასასურსათო კალათები 70%-30% -ზეა გადანაწილებული (70% — სასურსათო და 30% — არასასურსათო), მაშინ, როცა „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ მიერ საარსებო მინიმუმის კვლევაში სასურსათო კალათაზე — 55%, ხოლო არასასურსათოზე 45% მოდის. ამასთანავე, „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ სპეციალისტებმა მინიმალური სასურსათო კალათა ზამთარ-ზაფხულის სეზონების მიხედვით, პროდუქტების შუალედური დანაკარგის (ნათალი, ნაჭუჭი და ა.შ., ანუ პროდუქციის ყიდვიდან საკვებად მიღებამდე) გამორიცხვით დათვალეს.

**„ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრმა“ კვლევა, საბოლოო ჯამში, 70 საკვები პროდუქტის ფასებზე დაკვირვებით აწარმოა. მაშინ, როცა სტატისტიკის ეროვნული ცენტრი, კვლევას 40 საკვები პროდუქტის ფასების მიხედვით აწარმოებს და, თუკი სტატისტიკის ეროვნული ცენტრის კვლევების მიხედვით, შრომისუნარიან მამაკაცზე დღეში 2300 კილო კალორიაა დადგენილი, „ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ კვლევების მიხედვით, ანალოგიური მაჩვენებელი დღეში 2500 კილო კალორიაა.**

„ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრმა“ აღნიშნული კვლევა თბილისში, თელავში, მარნეულში, გორში, ახალციხეში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ბათუმში აწარმოა, მაშინ, როცა სტატისტიკის ეროვნული ცენტრი კვლევას მხოლოდ საქართველოს 5 ბაზარზე აწარმოებს.

„ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის“ პრეზიდენტის — რამაზ გერლიანისა და ამავე ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის — ქეთევან კრიალაშვილის მტკიცებით, ინფლაციის დონისა და სხვა ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, მათი საკვლევი მეთოდოლოგია თითქმის სრულად შეესაბამება დღევანდელ რეალობას და სასურველია, კვლევის ეს მეთოდები სახელმწიფომაც გაითვალისწინოს, რადგან აღნიშნული მეთოდები კიდევ 4 წლის განმავლობაში შეინარჩუნებს ადეკვატურობასა და ეფექტიანობას.

ჩელიბია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არც სომხეთში მიუღიათ ანტიდისკრიმინაციული კანონი, არც აზერბაიჯანში და არც ჩრდილოეთ კავკასიაში. ამის შემდეგ ჩვენთან ურთიერთობა რომელ კავკასიელს მოუნდება? ამას გარდა, ანტიდისკრიმინაციული კანონის დამტკიცების გამო აფხაზეთი და ოსეთი სამუდამოდ დავკარგეთ, რადგან აფხაზებიც და ოსებიც კავკასიური მენტალიტეტის ხალხია. მათთვის მიუღებელია ამგვარი ცხოვრების წესი...“**



## მამა დავითი (ქვლივიძე):

# ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებით, ვფიქრობ, აფხაზეთი და სამაჩაბლო სამუდამოდ დავკარგეთ!

**საქართველოს პარლამენტმა კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ უკვე დაამტკიცა. მიუხედავად ამისა, სასულიერო პირები ბრძოლას აგრძელებენ და ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუქმების მოთხოვნით ხელმოწერებსაც აგროვებენ. თუ რატომ აღმოჩნდა ეკლესიის პოზიცია ასეთი შეურიგებელი აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით, „საქართველო და მსოფლიოს“ მაცხოვრის ნათლისღების სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი დავით ქვლივიძე ესაუბრა.**



**ერთსქესიანთა ქორწინება თავიდან სხვა ქვეყნებში, მაგალითად, ესპანეთსა და კოლუმბიაშიც დაუშვებელი იყო, მაგრამ ახლახან, ერთი კვირის წინ, მაგალითად, კოლუმბიაში უკვე დააკანონეს ერთსქესიანთა ქორწინება**

**— მამაო, ლგბტ ჯგუფების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 17 მაისს ქუჩაში აღარ გამოვიდოდნენ, მიუხედავად ამისა, სასულიერო პირებმა და მრევლმა აქცია მაინც ჩაატარეს. რატომ გადაწყვიტეთ ამ დღეს ქუჩაში გამოსვლა, მით უფრო, რომ გარკვეული ჯგუფების მხრიდან პროვოკაციის საფრთხე გამორიცხული არ იყო?**

— 17 მაისი, როდესაც ეს ლგბტ ჯგუფები თავიანთ დღესასწაულს აღნიშნავდნენ, პატრიარქმა ოჯახის სიწმინდის დღედ გამოაცხადა და ჩვენც ოჯახის დღე აღვნიშნეთ. სასულიერო პირებთან ერთად, მსვლელობაში ოჯახებმაც მიიღეს მონაწილეობა, ვინაიდან ოჯახი არის ქვეყნის სიმტკიცის გარანტი; თუ ოჯახი მტკიცე არ იქნება, ქვეყანა დაინგრევა. ამერიკა დღესაც ოჯახის კულტზე დგას. საბჭოთა კავშირი ოჯახის კულტის შექმნას ცდილობდა. ამ ორივე ზესახელმწიფომ იცოდა, რომ, ოჯახი თუ გაირყვნა, ქვეყანა დაინგრევა. უზნეობაზე დაფუძნებული ზესახელმწიფოები ვერ იარსებებენ, ამიტომაცაა აშშ-ის ზოგიერთ შტატში მამათმავლობის პროპაგანდა დღესაც აკრძალულია და ეს სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება, თუმცა ეს საქართველოში არც იციან.

**მამათმავლობა უმძიმესი ცოდვაა, ამის გამო ღმერთმა სოდომი და გომორი გაანადგურა. როდესაც ღმერთმა თავისი განაჩენის შესახებ აბრაამს ამცნო, მან სთხოვა უფალს, არ დაესაჯა ხალხი, მაგრამ 300 ათას კაცში ათი მართალი ვერ იპოვეს. ეს მსვლელობა ქუჩაში ოჯახებით იმისთვისაა საჭირო, უფალს ვაჩვენოთ, რომ ქვეყნის საწინააღმდეგოდ მიღებულ კანონს ერი არ ეთანხმება და ჩვენ და ჩვენს წინაპრებს ამდენი იმიტომ არ გვიბრძოლია და 9 აპრილს იმიტომ არ ვმდგარვართ რუსთაველზე, რომ დღეს ასეთი კანონი გაგვეპროტესტებინა.**

**— სასულიერო პირების გარკვეულ ნაწილს იმედი აქვს, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუქმება შესაძლებელია, თუ ხალხი თავის ნებას გამოხატავს. ამისთვის ხელმოწერებიც კი გროვდება. როგორ წარმოგიდგენიათ, ხელისუფლება უკვე მიღებულ კანონს გააუქმებს?**

— ყველაფერი უფლის ხელშია. როდესაც მოსემ ებრაელების ეგვიპტელთა მონობიდან გათავისუფლება გადაწყვიტა, ფარაონმა არ გაუშვა ისინი, რის გამოც ღმერთმა ეგვიპტელებს დიდი ზიანი მიაყენა — ჯერ პირველშობილი ყრმები დაეხოცათ, შემდეგ კალიები და გომბეშოები შეესია მათ ბაღებს და ფარაონი იძულებული გახდა, თავისი გაცემული ბრძანება გაეუქმებინა და გაეთავისუფლებინა ებრაელები. ჩვენ ვამხელთ ამ ხელისუფლებას და ვეუბნებით, რომ ამ საქციელის გამო ისინი აუცილებლად დაისჯებიან.

**— ფიქრობთ, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების გამო ხელისუფლება დაისჯება?**

— წმინდა წერილსა და ქართლის ცხოვრებასთან პარალელებს თუ გავავლებთ, დიდ დამთხვევებს აღმოვაჩენთ და ყველაფერს მივხვდებით. ორ-სამ წელიწადში გაიხსენეთ ჩემი სიტყვები. თუ არ შევინანეთ და შევცვალეთ ეს გადაწყვეტილება, როგორც სერბეთი დაიშალა, საქართველოსაც იგივე ელის. თუ ღმერთმა ხელი აიღო ჩვენზე, დიდი საშიშროება გველის, თუმცა დღეს ჩემს სიტყვებზე ზოგიერთებს ეცინებათ.

**— დიახ, მამაო, თქვენ ამასწინანდელი განცხადებების გამოც გაგაკრიტიკეს, როდესაც კახეთის სტიქია და იაპონიის მიწისძვრა უფლის სასჯელითა და ღვთის რისხვით ახსენით.**

— განაგრძონ კრიტიკა. ზოგიერთი ამ ყველაფერს ტექტონიკურ მოვლენებს უწოდებს და მიაჩნია, რომ, მაგალითად, მიწისძვრა ღმერთთან კავშირში არ არის. თუ ასეა, რატომ მოხდა ჯვარცმის დროს მიწისძვრა?! მაგრამ ამათ ღმერთი არ სწამთ. ჰგონიათ, რადგან ბევრი წიგნი წაიკითხეს, განათლებულები არიან. განათლებული ეწოდება ადამიანს, რომლის გონებაც ღვთის ნათელითაა განათებული. ესენი, უბრალოდ, წიგნიერები არიან. სწორედ ასეთმა მწიგნობრებმა გააკრეს ქრისტე ჯვარზე.

**— და მაინც, მამაო, ამ კანონის მიღმა ისეთ მიუღებელსა და სახიფათოს რას ხედავს ეკლესია?**

— ტერმინები: სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა ნიშნავს, რომ ხვალ მოვა ვინმე ელგუჯა და მეტყვის: მე, მართალია, ელგუჯა ვარ, მაგრამ ქალი ვარო და მომთხოვს ქორწინებას არა როგორც კაცისა და კაცის, არამედ, როგორც ქალისა და კაცის. აი, ეს იმალება ამ კანონის მიღმა.

**ერთსქესიანთა ქორწინება თავიდან სხვა ქვეყნებში, მაგალითად, ესპანეთსა და კოლუმბიაშიც დაუშვებელი იყო, მაგრამ ახლახან, ერთი კვირის წინ, მაგალითად, კოლუმბიაში უკვე დააკანონეს ერთსქესიანთა ქორწინება.**

როდესაც ქვეყნის მართვის პრეტენზია გაგაჩნია, თავგანწირვისთვისაც მზად უნდა იყო, როგორც დავით აღმაშენებელი, დემეტრე თავდადებული, ქეთევან დედოფალი....

**— ხელისუფლების განცხადებით, ეკლესიას, უბრალოდ, არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით და ეს კანონი არამარტო არღვევს ვინმეს უფლებებს, არამედ იცავს მას...**

— მეტი რაღა სრულყოფილი ინფორმაცია უნდა მქონდეს, პირდაპირ გეუბნებით, რომ გენდერული იდენტობა ნიშნავს, რომ კაცს შეუძლია თავი ქალად გაასაღოს და ქალს — კაცად და ცოლადაც თავისივე სქესის ადამიანი შეირთოს.

**— არის ამ კანონში ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების რაიმე წინაპირობა?**

— ჩვენ შეიძლება ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებამდე ველარც მივიდეთ, ისეთ ცუდ დღეში აღმოვჩნდეთ. დაე, ახლა იხარხარონ ჩემს სიტყვებზე, ნოესაც დასცინოდნენ წარღვნის წინ და გიჟს ეძახდნენ, როდესაც კიდობანს აშენებდა. სოდომ-გომორელები ლოტს და მის ოჯახს დასცინოდნენ, როდესაც ისინი ზნეობას იცავდნენ და ვნახეთ, რითიც დამთავრდა ეს დაცინვა. ყველა, ვინც ახლა იცინის, განსაცდელის ჟამს გაიქცევა, როგორც 2008 წელს, ომის დროს გარბოდნენ ქვეყნიდან.

**— ანუ, მამაო, საქართველოს დიდი განსაცდელი ელოდება?**

— ბიბლია ამას გვეუბნება და ქართლის ცხოვრებაც ამას ადასტურებს. აბა, რატომ არის ასე შეშფოთებული ეკლესია, როგორ გგონიათ? ქართლის ცხოვრებაში პირდაპირ წერია, მეფის, ლაშა გიორგის, უზნეო ცხოვრების მიმბაძველობით, ქვეყანაში ცოდვები რომ გამრავლდა და ქართველებმა თავაშვებული ცხოვრება დაიწყეს, ღმერთმა ამიტომ გამოაგზავნა ჯერ ჯალალ ედ დინი და შემდეგ ძლიერი მიწისძვრა დაატეხა თავს ხალხს.

მსოფლიო ისტორიიდანაც გავიხსენოთ მაგალითები, როდესაც 1452 წელს კონსტანტინოპოლმა ჭეშმარიტ სარწმუნოებას უღალატა და კათოლიკურ უნიას მოაწერა ხელი, ამ ნაბიჯით მან გაყიდა სარწმუნოება, რადგან რომის პაპი ოსმალებისგან კონსტანტინოპოლის დაცვაში დახმარებას ჰპირდებოდა. 1453 წელს კონსტანტინოპოლი ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო. ბიზანტია დაეცა და კონსტანტინოპოლი სტამბულად იქცა. მაგალითებს მოვიყვან უახლოესი ისტორიიდან. ტაილანდში სპეციალური გარყვნილების ბუდე იყო მოწყობილი, სადაც პირდაპირ მამათმავლობისა და პედოფილიის ტურები ეწყობოდა. ერთი კუნძული ჰქონდათ, რომელსაც სამოთხეს ეძახდნენ, რადგან ხალხი იქ შიშველი დადიოდა და თავს ადამს და ევას ამსგავსებდა. 4 წლის წინანდელმა ცნობილმა ცუნამიმ გაანადგურა ყველაფერი და ეს კუნძულიც აღარ არსებობს. უკრაინაში, ყირიმში გაიმართა „კაზანტიპი“, ახალგაზრდების თავშეყრისა და გართობის ადგილი, რომელიც გარყვნილებისა და ნარკომანიის ბუდეს — თანამედროვე სოდომ-გომორის სახეს წარმოადგენდა. ამ ცოდვის ხელშემწყობმა სახელმწიფომ, უკრაინამ, დღეს ყირიმი დაკარგა. ცოდვამ უდიდესი იმპერიები დაამხო. რუსეთმა დღეს ეს გასართობი ცენტრი ყირიმში დახურა და წელს ამის ჩატარებას გეგმავენ ჩვენთან — აფხაზეთის მოსაზღვრე ანაკლიაში. წარმოგიდგენიათ, რა შედეგებამდე შეიძლება ყოველივე ამან მიგვიყვანოს? თუ ქართველები შეინანებენ, გადარჩებიან; თუ არ დაუჯერებენ, რაც სოდომს და გომორს დაემართა, იგივე დაემართებათ.

**ეს ქვეყანა დაიშლება, აღარ გვექნება. დღეს კავკასიაში ქართველები ყველაზე შერცხვენილები და თავლაფდასხმულები ვართ. არც სომხეთში მიუღიათ ანტიდისკრიმინაციული კანონი, არც აზერბაიჯანში და არც ჩრდილოეთ კავკასიაში. ამის შემდეგ ჩვენთან ურთიერთობა რომელ კავკასიელს მოუნდება? ამას გარდა, ანტიდისკრიმინაციული კანონის დამტკიცების გამო აფხაზეთი და ოსეთი სამუდამოდ დავკარგეთ, რადგან აფხაზებიც და ოსებიც კავკასიური მენტალიტეტის ხალხია. მათთვის მიუღებელია ამგვარი ცხოვრების წესი...**

— თუ ეკლესიასთან ბრძოლას თავს არ დაანებებენ, ვშიშობ, ეს ვითარება ქვეყნისთვის კატასტროფით დასრულდება.

**— რატომ უგზავნის უფალი ასეთ სასტიკ სასჯელს ადამიანებს?**

— გამოსასწორებლად, რადგან უფალს უნდა, ჩვენ სამოთხეში მოვხვდეთ და ვცხონდეთ. შვილს ხომ იმიტომ ვსჯით, როცა ცუდად იქცევა, რომ გვინდა, კარგი გამოვიდეს? ადამიანს როდესაც ხელი ულპება, აჭრიან, რათა გადარჩეს და მთელ სხეულზე არ მოედოს.

**— როგორ ფიქრობთ, თუ ასეთი საშიში იყო, რატომ დაუჭირა ერთხმად პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს მხარი, მათაც კი, ვინც თავიდან წინააღმდეგი იყვნენ, რა მოხდა შემდეგ?**

**— და ეს არის დემოკრატია? პილატეს ბოლომდე არ სურდა ქრისტეს ჯვარზე გაკვრა, მაგრამ, როდესაც დაემუქრნენ, დაგასმენთ კეისართანო, შეეშინდა; თუმცა ჩვენმა პარლამენტარებმა ხალხის წინაშე პილატესავით დაიბანეს ხელი, ჩვენი ბრალი არაფერიაო.**

**— ეს ვითარება ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობაზე როგორ აისახება — გააღრმავებს თუ არა დაპირისპირებას?**

— დაძაბული არ არის ურთიერთობა? არადა, ეკლესიის მხარდაჭერა რომ არ ჰქონოდა, ეს ხელისუფლება ვერ გაიმარჯვებდა. ამ ხელისუფლებას ხალხმა მხარი იმიტომ დაუჭირა, ფიქრობდა, რომ ეკლესიებს აშენებენ, სამება ააშენეს, ტრადიციული, ეროვნული ხალხი მოდის ხელისუფლებაშიო. ჰეროდე და პილატე ერთმანეთის მოსისხლე მტრები იყვნენ, მაგრამ ქრისტეს გასასამართლებლად შეიკრნენ, ახლაც ჰეროდე და პილატე, უმრავლესობა და უმცირესობა შეიკრნენ და ქრისტეს რჯული გაასამართლეს.

**— თუმცა, მამაო, დღეს სასულიერო პირებს გადანაშაულებენ, რომ პოლიტიკაში ერევით...**

— როდესაც იოანე ნათლისმცემელი გარყვნილ ჰეროდეს შეაგონებდა (რომელმაც საკუთარ ძმას ცოლი წაართვა) და ზნეობისკენ მოუწოდებდა, რადგან ეშინოდა, მთავრის ცოდვის გამო ისრაელი არ დასჯილიყო, განა ეს პოლიტიკაში ჩარევა იყო? როდესაც გრიგოლ ხანძთელმა აშოტ კურაპალატს სახლში მიყვანილი „სიძვის დიაცი წაართვა“, რადგან მეფის ცოდვის გამო მთელი ერი არ დასჯილიყო, განა ეს პოლიტიკაში ჩარევად ითვლება? როდესაც ევდემოზ კათოლიკოსი როსტომ ხანს უსჯულოებაში ამხელდა და მას თათრების მამას და ქართველების მამინაცვალს ეძახდა, ეს პოლიტიკაში ჩარევა იყო? თუ ისე მოქცევა სჯობს, როგორც ლაშა-გიორგის დროს დუმილი არჩიეს სასულიერო პირებმა და ამით ღვთის რისხვა დაიმსახურეს ჯალალ ედ დინის სახით? განა არ სჯობდა საქართველოსთვის, როდესაც მეფე დავითი გიორგი ჭყონდიდელსა და ეკლესიას უჯერებდა და ქვეყანა გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა, ან თამარის დროს, როდესაც მეფე ეკლესიასთან შეთანხმებულად მოქმედებდა?! იმ პერიოდს ხომ ისტორიამ ოქროს ხანა უწოდა.

**ესაუბრა შორენა ციკქარაშვილი**

ქართული ჯარისა და თავდაცვის საიდუმლო თვეში 531 ლარად, ანუ წელიწადში 6 372 ლარად არის შეფასებული.

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დასავლეთის «ტროას ცხენი» პოსტსაბჭოთა ქვეყნებში



**„აღმოსავლური პარტნიორობის“ პროექტი შეიქმნა იმისთვის, რათა დაებლოკა რუსეთის ინტეგრაციული ინიციატივები პოსტსაბჭოთა სივრცეში, — წერს ამერიკელი ჟურნალისტი რიკ როზოფი. ავტორი დარწმუნებულია, რომ, წარუმატებლობის მიუხედავად, დასავლეთის ლიდერები განაგრძობენ რუსეთის იზოლაციის კურსს.**

5 წლის წინათ, როცა დასავლეთმა აამუშავა პროექტი „აღმოსავლური პარტნიორობა“, აშკარა იყო, რომ იგი მიზნად ისახავდა, რუსეთის გავლენიდან დაეხსნა დსთ წევრი აზიური სახელმწიფოები და მოეხდინა მისი (რუსეთის) იზოლაცია არა მხოლოდ ევროპისგან, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ნაწილისგანაც.

ავტორის აზრით, **„აღმოსავლური პარტნიორობის“ მიზანი იყო და რჩება ბელარუსი, მოლდოვა, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო“.** „აღმოსავლური პარტნიორობის“ ამოქმედების პერიოდისთვის ყველა ეს ქვეყანა დსთ წევრი იყო.

სამი თვის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო აგრესია სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ და მოახდინა ხუთდღიანი ომის პროვოცირება რუსეთის წინააღმდეგ. მალევე საქართველო გამოვიდა თანამეგობრობიდან.

2014 წლის მარტში, უკრაინაში ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის შემდეგ, უკრაინის უმაღლესმა რადამ განიხილა წინადადება დსთ-დან გამოსვლის შესახებ, — აღნიშნავს თავის სტატიაში ამერიკელი ჟურნალისტი.

აშკარაა, წერს როზოფი, რომ აღმოსავლური პარტნიორობის მიზანია, ბოლო მოუღოს დსთ-ს, საბაჟო კავშირს, აგრეთვე, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციას, სამხედრო კავშირს, რომლის წევრებიც არიან რუსეთი, სომხეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი.

ავტორი აღნიშნავს, რომ 2013 წლის 21 ნოემბერს უკრაინის ხელისუფლების მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე უარის თქმა, საეჭვოა, გამხდარიყო ოპოზიციური ძალების თავდაპირველი პროტესტების, შემდეგ სისხლისმღვრელი თავდასხმების მიზეზი. ამჟამად კიევის მთავრობა ცდილობს, გამოასწოროს წინამორბედების „შეცდომა“ და, თავისი დასავლეთელი სპონსორების მოთხოვნის შესაბამისად, უახლოეს ხანში ხელი მოაწეროს დოკუმენტს, რომელიც მოიწონეს მოლდოვასა და საქართველოს პროდასავლურმა მთავრობებმა.

რიკ როზოფს არ დავიწყებია პოსტსაბჭოთა სივრცისთვის გამიზნული სხვა პროექტიც: 6 ქვეყნიდან, რომლებიც „აღმოსავლური პარტნიორობის“ წევრი სახელმწიფოებია, ოთხი (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) აშშ-ის მიერ ინიცირებულ ორგანიზაციაში — გუამში შედის. ავტორის აზრით, დასავლეთი აქტიურად გეგმავს და ცდილობს ამ ქვეყნებში „ფერადი რევოლუციების“ მოწყობას.

**ამ მომენტისთვის დასავლური ტრიადა — აშშ, ევროკავშირი და ნატო — თავიანთ ძალისხმევას „აღმოსავლური პარტნიორობის“ უპირატესად სამი ქვეყნისკენ წარმართავს: უკრაინისკენ, მოლდოვისა და საქართველოსკენ.** როზოფის აზრით, ევროკავშირთან მათი ინტეგრაცია გაგრძელდება ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრობამდე. პარალელურად რეალიზებული იქნება ამ ქვეყნების ნატოში შესვლის პროგრამაც.

როგორც ჩანს, დასავლეთის პროექტებში ყველაზე სწრაფად ინტეგრირდება საქართველო. ამ ქვეყნის თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ალასანია** დაყოვნდა ვაშინგტონში ატლანტიკური საბჭოსადმი მიმართვის გასაკეთებლად, აგრეთვე, აშშ თავდაცვის მინისტრთან **ჩაკ ჰეიგელთან** და ვიცეპრეზიდენტ **ჯოზეფ ბაიდენთან** შეხვედრის მიზნით. ვიზიტის ბოლო დღეს იგი ასევე შეხვდა ევროპისა და ევრაზიის საკითხებში აშშ სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს — ვიქტორია ნულანდს. შეხვედრის პრესრელიზის თანახმად, აღნიშნავს ჟურნალისტი, მხარეებმა განიხილეს „თავდაცვის სფეროში პარტნიორობის საკითხები“ და „უკრაინის მოვლენები“.

იმ დროს, როცა საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვაშინგტონში იმყოფებოდა, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს სპეცწარმომადგენელი **ჯეიმს აპატურაი** თბილისში ჩავიდა და დაადასტურა, რომ სამხედრო ბლოკი ცდილობს, „რაც შეიძლება ახლოს“ დადგეს საქართველოსთან და საუბრობდა სამხედრო ტექნიკის შემოტანაზე ამ ქვეყანაში, წერს ამერიკელი ჟურნალისტი.

8 მაისს, მოლდოვასა და უკრაინაში ვიზიტის შემდეგ, საქართველოში ჩამოვიდა გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი უილიამ ჰეიგი და განაცხადა, რომ იგი გულწრფელად მხარს უჭერს „საქართველოს ევროატლანტიკურ ტრაექტორიას და მის ტერიტორიულ მთლიანობას“, ანუ საქართველოს მთავრობის გეგმებს დამოუკიდებელი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაქვემდებარების თაობაზე.

ჰეიგის გამგზავრების შემდეგ საქართველოში ჩავიდა ესტონეთის თავდაცვის სამინისტროს კანცლერი **მიკ მარანი**. მისი ჩასვლის მიზანი იყო ქართველ კოლეგებთან ამ ქვეყნის ნატოსთან მიერთების სასწავლო პროგრამების განხილვა, ხაზს უსვამს ჟურნალისტი.

რიკ როზოფი ასევე აღნიშნავს, რომ 13 მაისს, სომხეთსა და აზერბაიჯანში ვიზიტის შემდეგ, თბილისში ჩავიდა საფრანგეთის პრეზიდენტი **ფრანსუა ოლანდი.** მისი მიზანი აშკარა იყო: ქართველი სამხედროების ჩაბმა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ფრანგების თაოსნობით მიმდინარე მისიაში. საქართველოს დედაქალაქში სიტყვით გამოსვლისას საფრანგეთის პირველმა პირმა დაადასტურა, რომ იგი მხარს უჭერს ჰეიგის განცხადებას საქართველოს ევროინტეგრაციული კურსის შესახებ და მის ტერიტორიულ მთლიანობას.

მეორე დღეს, წერს ჟურნალისტი, ევროკავშირის პრეზიდენტი **ჰერმან ვან რომპეი**, უკრაინასა და მოლდოვაში ვიზიტის შემდეგ, საქართველოს ეწვია ქვეყნის ხელმძღვანელობასთან შესახვედრად. მან განაცხადა, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის შეთანხმების ხელმოწერა არის მნიშვნელოვანი, მაგრამ არა მხარეთა თანამშრომლობის საბოლოო მიზანი.

ამერიკელი ჟურნალისტი მიმოიხილავს საქართველოს მხარის რეაქციასაც დასავლელი კოლეგების დაპირებებზე. ქართული მასმედიის ინფორმაციით, წერს როზოფი, **ქვეყნის პრემიერმინისტრმა „აღმოსავლური პარტნიორობის“ ამჟამინდელ სიძნელეებზე საუბრისას განაცხადა, რომ „ელოდება ევროკავშირის უფრო აქტიურ ძალისხმევას“.**

**„მჯერა, რომ ევროკავშირი შეძლებს, აღმოუჩინოს „აღმოსავლური პარტნიორობის“ ქვეყნებს სათანადო მხარდაჭერა“,** — იმოწმებს რიკ როზოფი საქართველოს პრემიერის სიტყვებს.

დაბოლოს, ამერიკელი ჟურნალისტი ასკვნის, რომ დასავლეთი უწინდებურად ისწრაფვის თავისი ანგარებიანი მიზნების დაკმაყოფილებას და, როგორც ყოველთვის, ანგარიშს არ უწევს სხვა ქვეყნების ინტერესებს.

**მომზადდა უცხოური პრესის მიხედვით**

**P.S. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზემოთ ციტირებული სიტყვები, მისი, დიპლომატიური ეთიკის ჩარჩოებში ჩასმული განცხადება, აშკარა მინიშნებაა იმაზე, რომ დასავლეთის დახმარება „აღმოსავლური პარტნიორობის“ პროგრამის ფარგლებში დაპირებების საზღვრებს არ სცილდება, ყოველ შემთხვევაში, უეფექტოა.**

**უკრაინის მოვლენებმა, განსაკუთრებით კი ყირიმულმა აქცენტმა, შეაშფოთა აშშ და მისი ევროპელი პარტნიორები, სასწრაფოდ გადმოსხეს „აღმოსავლური პარტნიორობის“ ქვეყნებში თავიანთი პროპაგანდისტული დესანტი, მაღალი რანგის გავლენის აგენტები.**

**რას გამოდნებიან „ვარსკვლავთა ამ ალუმიდან“, ვნახავთ ჩვენც და ისინიც.**

# მინისტრობა ქართულად, ანუ რა ღირს საქართველოს სამხედრო საიდუმლო

## ქართული ჯარისა და თავდაცვის საიდუმლო თვეში 531 ლარად, ანუ წელიწადში 6 372 ლარად არის შეფასებული

**ქართველებს, ბევრ სხვა „სიკეთესთან“ ერთად, ისიც გვჭირს, რომ ხშირად ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვვარდებით და ამას ისე ვაკეთებთ, თითქოს ვერც ვამჩნევთ. ეს ყველაზე ხშირად მაშინ ხდება, როცა რომელიმე თემას სკანდალი და ამომრჩეველთა უკმაყოფილება მოჰყვება ხოლმე. ასე მოხდა, როცა ციხის კადრების შემდეგ უკიდურესად საშინელ მდგომარეობაში მყოფი პატიმრები ისე მიუშვეს, რომ დაბადების დღეებს მეგობრებს სკაიპით ულოცავდნენ და ბოლო მოდელის მობილური ტელეფონებით სოციალურ ქსელებში სელფშოტებს აქვეყნებდნენ. მერე იყო ნოდარ ხადურისა და მისი რაციონის განხილვა და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამით შეშინებულმა მაია ფანჯიკიძემ საფრანგეთის პრეზიდენტს ისეთი სუფრა გაუშალა, ფრანსუა ოლანდს თავი ფარულ კამერაში (ან, უბრალოდ, კამერაში) ეგონა.**

ახლა კი იმ ხელფას-პრემიებზე უნდა ვთქვა, რომელიც სიმსუყეს არც ადრე უჩიოდა და არც ახლა უჩივის. საბოლოოდ იქამდე მივედით, რომ მთელი ეს აურზაური ნატოს გარშემო და პიარი საქართველოს ჯარის გამართულობის თუ უძლეველობის შესახებ საპნის ბუშტივით სკდება.

მინისტრების პრემიების გამოქვეყნების შემდეგ გაირკვა, რომ ყველაზე მეტი, ანუ 83076 ლარი თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას დაერიცხა. ალასანიას უწყებამ მყისიერი რეაქცია გამოავლინა და აღნიშნა, რომ ეს არ არის მხოლოდ პრემია და ალასანია სახელფასო, ჩინის, სტაჟისა და საიდუმლოს შენახვის დანამატს იღებს. ყველაზე საინტერესოც სწორედ ეს ბოლო პუნქტია. როგორ გგონიათ, რამდენად უფასდება სამხედრო საიდუმლოს შენახვა თავდაცვის მინისტრს ყოველთვიურად? თურმე ეს თანხა 531 ლარია.

**რა გამოდის? ქართული ჯარისა და თავდაცვის საიდუმლო თვეში 531 ლარად, ანუ წელიწადში 6 372 ლარად არის შეფასებული.** ორი ვარიანტია — ან ეს თანხა ალასანიას ტყუილად ერიცხება (6 372 ლარად საიდუმლოს ყიდვა ნებისმიერ სპეცსამსახურს შეუძლია), ან, არადა, გასასაიდუმლოებელი არც არაფერი გვაქვს და, უბრალოდ, თავს ვიტყუებთ. მე მეორე ვარიანტი უფრო მგონია, თორემ სხვაგვარად ან თანხას აწევდნენ, ან ამ გრაფას საერთოდ ამოიღებდნენ. აბა, რას ნიშნავს 531-ლარიანი დუმილი თვის განმავლობაში? ეს, სულ ცოტა, დაცინვაა, ყველაზე დიდი კი — აბსურდი. ჩვენი თავდაცვის უწყება რომ აბსურდის თეატრს დაემსგავსა, ესეც ფაქტია.

**ავღანურ მისიაზე რომ არაფერი ვთქვათ, უახლოეს მომავალში ცენტრალური აფრიკის დასაცავად დაღვრიან სისხლს ჩვენი გენოფონდის წარმომადგენლები; მერე რა, თუ იმ ქვეყანაში ისევ კანიბალიზმია და ადამიანის ხორცი დელიკატესად ითვლება?! ახლა არ მითხრათ, ეს საიდუმლო ინფორმაციაა და არ უნდა დაგეწერაო, მთელი თავდაცვის საიდუმლოება მინისტრს თვეში 531 ლარად შეუფასეს და რაც მე ვთქვი, ლარ-ნახევარი თუ ეღირება.**

ნამდვილად ვერ გეტყვით, **როდემდე უნდა ვითამაშოთ ომობანა, როდემდე უნდა გადავიტყავოთ ხელები ნატოს კარზე კაკუნით და როდემდე უნდა გვატყუონ ალიანსის წევრებმა, წელს თუ არა, გაისად მაპს მოგცემთ, მერე კი ნატოსკენ სავალი გზა 15-20 წელზე მეტი ხნით არ გაიწელებაო?! როდემდე უნდა ევაჭროს ნატო რუსეთს, — თუ ჭკუით არ მოიქცევი, საქართველოში რაკეტებს განვალაგებო, და ამით გაგულისებულმა ჩრდილოელმა მეზობელმა როდემდე უნდა გადმოსწიოს ის საზღვარი, რომელიც პრაქტიკულად აღარ არსებობს, შიდა ქართლში ვირტუალურ საზღვართან ახლოს მცხოვრებმა ქართველებმა ერთ დილით, შესაძლოა, მავთულხლართს მიღმა გაიღვიძონ, როდემდე?!**

რაც შეეხება დანარჩენი მინისტრების პრემიებს, ისე ჩანს, ამ ყველაფერს კომპიუტერული პროგრამა თვლის. სხვაგვარად შეუძლებელია ხათუნა გოგალაძეს, სოზარ სუბარს, დავით ნარმანიას, დავით დარახველიძეს, თეა წულუკიანს, კახა კალაძესა და ლევან ყიფიანს ერთდროულად თავში მოსვლოდათ აზრად და პრემიის სახით თავიანთი თავისთვის ზუსტად 47 685 ლარი გამოეწერათ. **გასაკვირი ის არის, კომპიუტერი მოსახლეობისთვის რატომ არ თვლის არაფერს და იმ 9 მილიონი ლარიდან (პრემიებს პლუს სახელფასო დანამატი), რომელიც მინისტრებმა შარშან გაინაწილეს, ხალხს რატომ არაფერი ერგო?!**

თუ დაუკვირდებით, ქართული ჯარის საიდუმლო საარსებო მინიმუმზე მაღალია და ეს არ უნდა იყოს ცუდი ვარიანტი. **ეჭვი მაქვს, ქართველი ამომრჩეველი საიდუმლოსა და საარსებო მინიმუმის გათანაბრებას მოითხოვს. მართალია, რიგითი ადამიანები საიდუმლოს არ ინახავენ, მაგრამ ამ მთავრობის შენახვა უფრო ძნელი რომ არის, ყველაზე კარგად სწორედ მათ იციან.**

ჰოდა, ერთ დღესაც ამის გაკეთება თუ აღარ მოისურვეს, მერე ნახეთ, რა მოხდება. პრინციპში, რაღა მერე, ერთხელ უკვე ნანახი გაქვთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე და არც 2016 წლამდე დარჩა დიდი დრო.

**დავით მინდიაშვილი**

**P. S. ახლახან გავრცელებული ინფორმაციით პარლამენტი ხელფასების გაზრდას და ავტოპარკის განახლებას გეგმავს. თანხა გამოიყოფა მომავალი წლის გაზრდილი ბიუჯეტიდან, რომელიც 54 მილიონ 695 ათასი ლარი იქნება, რაც წლევანდელზე 2 მილიონ 604 ათასი ლარით მეტია. საკანონმდებლო ორგანოში მომუშავეთა რაოდენობა კი 840 ადამიანით განისაზღვრება.**

**P.P.S. ჭამე ნოდარი... ირაკლი... კახა... თეა... დავით... პაატა...ალექსი... ხათუნა... ნოდარ... მაია... ლევან... შალვა... თამარ...**

**ჩვენც გვაჭამეთ (პატივისცემით, ქართველი ერი)!**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ეკონომიკური კრიზისის გამო, ევროპაში, როგორც ჩანს, პოპულარობას იხვეჭს მემარჯვენე მოძრაობები. ეკონომიკის გაჯანსაღების ნიშნები ისეთი უმნიშვნელოა, რომ ვალებში ჩაფლულ საბერძნეთში, პორტუგალიაში, ესპანეთსა და იტალიაში ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდება.



# ჰოლოკოსტზე დაწერილი ყალბი მემუარებისთვის — ჯარიმა 22,5 მლნ დოლარი

**მასაჩუსეტსის შტატის (აშშ) სასამართლოს გადაწყვეტილებით, მიშა დეფონსეკა, ჰოლოკოსტზე დაწერილი ყალბი მემუარების გამო, 22,5 მლნ დოლარით დაჯარიმდა.**

დეფონსეკას წიგნი „მიშა: მოგონებები ჰოლოკოსტის წლებზე" 1997 წელს გამოიცა და ბესტსელერად იქცა, — წერს გამოცემა The New York Post. ცოტა ხნის წინათ კი დეფონსეკამ აღიარა, რომ წიგნში აღწერილი მოვლენები გამოგონილია.

თანხა, რომლითაც სასამართლომ დეფონსეკა დააჯარიმა, 22 მლნ დოლარს შეადგენს.

წიგნი: „მიშა: მოგონებები ჰოლოკოსტის წლებზე" 18 ენაზე ითარგმნა, მასზე საფრანგეთში ფილმიც კი გადაიღეს.




# ტრანსსექსუალებს იარაღს აძლევენ

**აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჩაკ ჰეიგელმა განაცხადა, რომ მზად არის, გადახედოს კანონს, რომლის თანახმადაც სქესშეცვლილ ადამიანებს შეიარაღებულ ძალებში მსახურება ეკრძალებათ. პენტაგონის შეფის აზრით, „ყველა კვალიფიციურ ამერიკელს" უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ქვეყანას ემსახუროს.**

ამერიკული საზოგადოება, კარგა ხანია, აკრიტიკებს სამხედროებს არმიაში ტრანსსექსუალებისთვის სამსახურის აკრძალვის გამო. პრეზიდენტმა ობამამ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ სექსუალური უმცირესობების, ე.წ. ლგბტ საზოგადოების უფლებების დაცვა მისი, როგორც სახელმწიფო მეთაურის, პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იქნებოდა.

2010 წელს ბარაკ ობამამ გააუქმა 1993 წელს მიღებული კანონი სახელწოდებით „არ შეეკითხო, არ ილაპარაკო", რომლითაც ჰომოსექსუალებს, რომლებიც არ მალავდნენ თავიანთ ორიენტაციას, სამხედრო სამსახურის გავლა ეკრძალებოდათ.

ამჟამად აშშ-ის არმიასა და ფლოტში არ იღებენ ისეთ პირებს, რომლებსაც აქვთ „გენიტალიების მნიშვნელოვანი ანომალიები ან დეფექტები, მათ შორის, ადამიანებს, რომლებმაც სქესი შეიცვალეს".

# ევროპარლამენტის არჩევნებში ნეონაცისტური პარტია მონაწილეობს

**საბერძნეთის უზენაესმა სასამართლომ ამ ქვეყნის ნეონაცისტურ პარტია „ოქროს განთიადს" ევროპარლამენტის არჩევნებში (22-25 მაისი) მონაწილეობის ნება დართო, მიუხედავად იმისა, რომ ამ პარტიის ბევრი წევრის წინააღმდეგ მკვლელობის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.**



აღსანიშნავია, რომ პარტია „ოქროს განთიადის" ხელმძღვანელებს ბრალი ედებათ დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნაში, რომელიც თავს ესხმის იმიგრანტებსა და კონკურენტი პარტიების წევრებს. ულტრამემარჯვენე პარტიის წარმომადგენლების წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ბერძენი ანტიფაშისტი პოპმომღერლის — პავლოს ფისასის მკვლელობის გამო.

ბერძენმა პოლიტიკოსებმა არაერთხელ მოუწოდეს პარლამენტის წევრებს, აეკრძალათ ნეონაცისტური პარტია, მაგრამ ამაოდ. უფრო მეტიც — ამ მომენტისთვის საბერძნეთის პარლამენტში „ოქროს განთიადი" 20-მდე დეპუტატით არის წარმოდგენილი.

„ოქროს განთიადმა" საბერძნეთში პოპულარობა მოიპოვა ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რომელმაც ქვეყანა ევროკომისიის, ევროპის ცენტრალური ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ზემოქმედებით მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების შემდეგ მოიცვა.

ეკონომიკური კრიზისის გამო, ევროპაში, როგორც ჩანს, პოპულარობას იხვეჭს მემარჯვენე მოძრაობები. ეკონომიკის გაჯანსაღების ნიშნები ისეთი უმნიშვნელოა, რომ ვალებში ჩაფლულ საბერძნეთში, პორტუგალიაში, ესპანეთსა და იტალიაში ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდება.

# ლატვიის ერთ-ერთი ქალაქის მერი ნატოს გენმდივნისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს

**ლატვიის ქალაქ ვენტსპილსის მერმა აივარ ლემბერგსმა, ნატოს მეზღვაურების „ოკუპანტური" საქციელის გამო, ამ ალიანსის გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რასმუსენს ბოდიშის მოხდა მოსთხოვა.**

ვენტსპილსში 9 მაისიდან მიმდინარეობდა საერთაშორისო სწავლება Open Spirit, რომელშიც ნატოსა და ევროკავშირის 25 ხომალდი მონაწილეობდა.

**მეზღვაურები, აივარ ლემბერგსის თქმით, ვენტსპილსში ისე იქცეოდნენ, როგორც „ოკუპანტები" და ფეხით თელავდნენ ლატვიის კანონებს" — ქუჩაში სვამდნენ ალკოჰოლურ სასმელებს, შარდავდნენ მაღაზიების ვიტრინებზე, წყვეტდნენ ყვავილებს და ჩუქნიდნენ გოგონებს.**

ნატოს მეზღვაურებს, ასეთი საქციელის გამო, უამრავი კონფლიქტი ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან. შედეგად ერთ-ერთი მეზღვაური თავის მძიმე ტრავმით საავადმყოფოში მოხვდა. ასევე „სტუმართმოყვარეობა" გამოიჩინეს რიგელებმაც — ადგილობრივმა ტაქსისტებმა სცემეს ორ მთვრალ ნატოელ მეზღვაურს, რომლებსაც მგზავრობის საფასურის გადასახდელი ფული არ ჰქონდათ.



# შოტლანდია დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად ემზადება



**გაერთიანებული სამეფოსგან შოტლანდიის გამოყოფის შესახებ რეფერენდუმის შედეგებმა შეიძლება რევოლუციური პროცესები გამოიწვიოს, და არა მხოლოდ დიდ ბრიტანეთში. „ნიუ იორკ თაიმსი" წერს „ჯაჭვურ რეაქციაზე", რომლის შედეგადაც რამდენიმე ქვეყანამ შეიძლება დატოვოს ევროკავშირი.**

„შოტლანდიური ფაქტორი" ხელს უწყობს სეპარატისტული განწყობილების გავრცელებას დიდ ბრიტანეთში, — წერს „ნიუ იორკ თაიმსი". გამოცემაში დაბეჭდილი წერილის ავტორს მოჰყავს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომლებიც გამოქვეყნებულია სამთავრობო პორტალ You Cov-ზე. ერთი წლის წინათ შოტლანდიის დამოუკიდებლობა აუხდენელ ოცნებად ჩანდა, მაგრამ, ექსპერტთა პროგნოზით, 2014 წლის სექტემბერში დანიშნული რეფერენდუმი დამოუკიდელობის გამოცხადებით დასრულდება — შოტლანდიელების უმრავლესობა, რთული ეკონომიკური შედეგის მიუხედავად, მაინც მხარს დაუჭერს სამეფოსგან გამოყოფას. ამას დიდწილად ხელს უწყობს პროპაგანდისტული კამპანია, რომელსაც შოტლანდიის პრემიერმინისტრი ალექს სალმონდი ეწევა.

# კიბოსგან განკურნება წითელას ვირუსით?



**მინესოტას შტატის (აშშ) ერთ-ერთი საავადმყოფოს ექიმებმა კიბოთი (ბოლო სტადია) დაავადებული პაციენტის განკურნება წითელას მოდიფიცირებული ვირუსის დიდი დოზის შეყვანით შეძლეს. აღსანიშნავია, რომ ამ დოზით 10 მლნ ადამიანის აცრა შეიძლებოდა წითელაზე.**

სპეციალისტთა აზრით, ძალიან რთულია იმის დაჯერება, რომ ამერიკელმა მედიკოსებმა ბოლო სტადიის ონკოდაავადებაზე გამარჯვება წითელას ვირუსით შეძლეს, მაგრამ, თუ ეს მართლაც მოხდა და დიაგნოზი სწორად იყო დასმული, ასეთი შედეგის განმეორება მომავალშიც შეიძლება.



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არჩევნების წინ ევროკავშირის მიმართ უნდობლობა ძლიერდება საფრანგეთში. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, დღეს საფრანგეთში რეფერენდუმი რომ ჩატარდეს ევროკავშირიდან გამოსვლის შესახებ, მოსახლეობის მესამედი თანხმობას განაცხადებს.**

# ევროკავშირის მიმართ უნდობლობა იზრდება



**დიდ ბრიტანეთში ევროკავშირის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ადამიანების რაოდენობა კიდევ უფრო მატულობს — ნისლიანი ალბიონის მოსახლეობის 38 პროცენტი მხარს უჭერს ევროკავშირიდან გამოსვლას. ამასთანავე, ევროკავშირისადმი სკეპტიკურად განწყობილი ნაიჯელ ფარაჯის ნაციონალისტური პარტია (გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტია) პოპულარობას იხვეჭს. მას მხარს ბრიტანელთა მესამედი უჭერს.**



22-25 მაისს ევროკავშირის 28-ვე ქვეყანაში ჩატარდება არჩევნები ევროპარლამენტში მანდატების მოსაპოვებლად. კენჭისყრის შედეგები კონტინენტზე პოლიტიკური განწყობების ერთგვარი ბარომეტრი იქნება.

ვიდრე ევროკავშირის ზოგ ქვეყანაში პოპულარობას იხვეჭენ მემარჯვენე პარტიები, სხვა ქვეყნებში სულ უფრო მეტად უჭერენ მხარს პოლიტიკოსებს, რომლებიც ევროკავშირიდან გამოსვლისა და ევროზე უარის თქმისკენ მოუწოდებენ.

ვის დაუჭერენ ევროპის მცხოვრებნი მხარს ევროპარლამენტის მანდატებისთვის ბრძოლაში?

**გერმანიაში** 2014 წლის დასაწყისიდან გააუქმეს ევროპარლამენტში შესასვლელად საჭირო 3-პროცენტიანი ბარიერი, რომელმაც შანსი მისცა მცირერიცხოვან პარტიებს, კონკურენცია გაუწიონ მძიმეწონიან გერმანულ პოლიტიკურ ძალებს. მაგალითად, ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, გერმანიის პოლიტიკური ცის კაბადონზე შედარებით ახალ პარტიას — **„ალტერნატივა გერმანიისთვის", რომელიც ეროვნული ვალუტის დაბრუნების ინიციატივით გამოდის, მხარს რესპონდენტთა 7 პროცენტი უჭერს,** ქრისტიან-დემოკრატიული და ქრისტიან-სოციალური კავშირების კოალიციას — 37%, მწვანეებსა და მემარცხენე პარტიას — 9 პროცენტი.

არჩევნების წინ ევროკავშირის მიმართ უნდობლობა ძლიერდება **საფრანგეთში.** გამოკითხვის შედეგების მიხედვით, დღეს საფრანგეთში რეფერენდუმი რომ ჩატარდეს ევროკავშირიდან გამოსვლის შესახებ, მოსახლეობის მესამედი თანხმობას განაცხადებს. ფრანგული ტელეარხ BFMTV-ის მონაცემებით, **მემარჯვენე ნაციონალისტურ პარტია „ნაციონალურ ფრონტს" მხარს მოსახლეობის 25 პროცენტი უჭერს, მმართველ სოციალისტურ პარტიას კი — მხოლოდ 20 პროცენტი,** ამდენივე მხარდამჭერი ჰყავს ლიბერალურ-კონსერვატიულ პარტიასაც.

**დიდ ბრიტანეთში** ევროკავშირის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ადამიანების რაოდენობა კიდევ უფრო მატულობს — ნისლიანი ალბიონის მოსახლეობის 38 პროცენტი მხარს უჭერს ევროკავშირიდან გამოსვლას. ამასთანავე, **ევროკავშირისადმი სკეპტიკურად განწყობილი ნაიჯელ ფარაჯის ნაციონალისტური პარტია (გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტია) პოპულარობას იხვეჭს. მას მხარს ბრიტანელთა მესამედი უჭერს,** ლეიბორისტულ პარტიას — 30%, კონსერვატორებს — 22%.

ნაციონალისტური პარტია „ჭეშმარიტი **ფინელები**" უკვე წარმოდგენილია ევროპარლამენტში — ერთ-ერთ ლიდერს სამპო ტერჰოს 2009 წლიდან უკავია სადეპუტატო სავარძელი. ეს პარტია, პოპულარობის მიხედვით, მესამეა ფინეთში და მომავალი არჩევნების შემდეგ შეიძლება კიდევ უფრო გააფართოვოს თავისი წარმომადგენლობა ევროპარლამენტში.

**საბერძნეთში** ძლიერი პოზიციები აქვს ულტრამემარჯვენე პარტია „ოქროს განთიადს", რომელიც, პოპულარობის მიხედვით, ქვეყანაში მეოთხეა. პროგნოზის მიხედვით, ამ პარტიას მხარს დაუჭერს ამომრჩეველთა დაახლოებით 9 პროცენტი, რაც მას შესაძლებლობას მისცემს, 2 მანდატი მოიპოვოს ევროპარლამენტში ბერძენი დეპუტატებისთვის განკუთვნილი 21 მანდატიდან.

მემარჯვენე განწყობილება ყველაზე ძლიერია **უნგრეთში**, სადაც ნაციონალისტური პარტია „უკეთესი უნგრეთისთვის" სიდიდით მესამეა ქვეყანაში. მას მხარს მოსახლეობის 21 პროცენტი უჭერს.



# ბაიდენის ვაჟის დანიშვნა ლახავს აშშ-ის ავტორიტეტს

**აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის — ჯო ბაიდენის შვილის დანიშვნა უკრაინის გაზის მწარმოებელი კომპანია Bursima Holdings-ის დირექტორთა საბჭოში აშშ-ის ავტორიტეტს პრობლემას უქმნის, — წერს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი".**

მსოფლიოში გავრცელებულია თვალსაზრისი, რომ აშშ-ის პოლიტიკა ნაკარნახევია ნავთობისა და გაზის „წყურვილით". მაგალითად, 2002 წელს კომპანია Pew Research-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტების 75 პროცენტი თვლიდა, რომ აშშ-ის სამხედრო ჩარევა ერაყში ერაყის ნავთობზე კონტროლის დაწესების საბაბი იყო. ამ კონტექსტში აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის — ჯო ბაიდენის ვაჟის, ჰანტერ ბაიდენის, დანიშვნას უკრაინის უდიდესი გაზმომპოვებელი კომპანიის დირექტორთა საბჭოში საზოგადოებრიობა უარყოფითად შეხვდა. როგორც „ვაშინგტონ პოსტი" იუწყება, Bursima Holdings-ში ჰანტერ ბაიდენი ერთადერთი არ არის, ვინც პოლიტიკასთან არის დაკავშირებული, ამ კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრები, აგრეთვე, არიან აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის შვილობილი და პოლონეთის ექსპრეზიდენტი — ალექსანდრე კვასნიევსკი.

ზემოაღნიშნული ამტკიცებს თვალსაზრისს, რომ აშშ-ის პოლიტიკა ანგარებას ეფუძნება და ეწინააღმდეგება თეთრი სახლის განცხადებებს საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებების დაცვის აუცილებლობის შესახებ, — წერს „ვაშინგტონ პოსტი".

# უახლოეს მომავალში აშშ-ს ჯოჯოხეთი ელის



**ინდიანის უნივერსიტეტის პროფესორ სკოტ ტომპსონის პროგნოზით, ამერიკის შეერთებული შტატები იმყოფება ეკონომიკური დეპრესიის ზღვარზე, რომელიც 2020 წლამდე შეიძლება გაგრძელდეს, — წერს გამოცემა The Economic Collapse. ბევრი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ეს პროგნოზი ზუსტია, 2015-2020 წლები აშშ-ისთვის ნამდვილი ჯოჯოხეთი ალმოჩნდება.**

ეკონომიკური ციკლების თეორეტიკოსი **ჰარი დენტიც** ამტკიცებს, რომ ამერიკა უკვე მიემართება მასობრივი ეკონომიკური პრობლემებისკენ. დენტის აზრით, ამის მთავარი მიზეზი არის დემოგრაფია — აშშ-ის მოსახლეობა სწრაფად ბერდება.

აშშ წარმატების პიკზე იმყოფებოდა მაშინ, როდესაც ქვეყანაში არ იყო შრომისუნარიანი მოსახლეობის სიჭარბის პრობლემა, ახლა კი ინგლისის, შვეიცარიისა და გერმანიის კვალდაკვალ, დემოგრაფიულ უფსკრულში მიექანება. ცუდი დემოგრაფიული ტენდენციები აშშ-ის ეკონომიკაზე 2014-2019 წლებში აისახება, რაც ეკონომიკის დაცემას გამოიწვევს.

**აშშ აღმოჩნდება ოთხი გლობალური გამოწვევის წინაშე. ესენია:**

**1. კერძო და სახელმწიფო ვალები;**

**2. ჯანმრთელობის დაცვა და საპენსიო უფლებები;**

**3. მართვის ავტორიტარული მეთოდები;**

**4. გარემოს დაბინძურება, რაც საფრთხეს შეუქმნის გლობალურ ეკონომიკას.**

დენტის კვლევების მიხედვით, აშშ-ის ეკონომიკაში კრიზისი 2014 წლიდან დაიწყება და შეიძლება 2020 წლამდე გაგრძელდეს.

The Economic Collapse-ის მიერ გამოქვეყნებულ მასალაში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ ზოგ ეკონომისტს არ სურს, შეხების წერტილი ჰქონდეს ეკონომიკური ციკლების თეორიის მიმდევრებთან, მაგრამ ამ თეორიამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში საშუალება მისცა ბევრ ანალიტიკოსს, ეწინასწარმეტყველებინა რეცესიის ვადები, საფონდო ბირჟების მაჩვენებლების ზრდისა და დაცემის პიკები. ეკონომიკური ციკლების თეორია სრულყოფილი არ არის, მაგრამ მოწმობს, რომ აშშ-ის ეკონომიკა მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშეა.

# სტუდენტები საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორის წინააღმდეგ

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) დირექტორ კრისტინ ლაგარდს მონაწილეობა უნდა მიეღო ქალაქ ნორტჰემპტონის (მასაჩუსეტსის შტატი) სმიტის სახელობის კერძო ჰუმანიტარული ქალთა კოლეჯის კურსდამთავრებულთათვის დიპლომების გადაცემის ცერემონიაში, მაგრამ სტუდენტებისა და მასწავლებლების ჯგუფმა განაცხადა, რომ ამ ცერემონიაზე სსფ-ს ხელმძღვანელის გამოჩენა არ სურთ.** „სსფ მთავარი დამნაშავეა იმაში, რომ მსოფლიოს ღარიბ ქვეყნებში ჩამოყალიბდა იმპერიალისტური და პატრიარქალური სისტემები, რომლებიც ხელს უწყობენ ქალის ჩაგვრას", — ნათქვამია ონლაინპეტიციაში, რომელზეც ხელმომწერი 450 ადამიანი სსფ-ს დირექტორისთვის ცერემონიაში მონაწილეობის აკრძალვას ითხოვს.

ფრანგი კრისტინ ლაგარდი საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორის პოსტზე 2011 წელს დაინიშნა. მისი წინამორბედი დომინიკ სტროს-კანი თანამდებობიდან სკანდალის გამო გადადგა — სტროს-კანი ნიუ იორკის ერთ-ერთი სასტუმროს თანამშრომელი ქალის გაუპატიურების მცდელობაში დაადანაშაულეს. 1871 წელს დაარსებული ქალაქ ნორტჰემპონის სმიტის სახელობის ჰუმანიტარული კოლეჯი საუკეთესოდ ითვლება აშშ-ში. მასში 2.7 ათასი ადამიანი სწავლობს. კოლეჯის კურსდამთავრებულთა შორის არის აშშ-ის ყოფილი პირველი ლედი ნენსი რეიგანი. აქ სწავლობდა, აგრეთვე, აშშ-ის ექსპრეზიდენტის — ჯორჯ ბუშის (უფროსი) მეუღლე ბარბარა.





მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როცა სახელგანთქმულმა ქართველმა და საბჭოთა კინორეჟისორმა, სტალინური პრემიის მრავალგზის ლაურეატმა მიხეილ ჭიაურელმა ბელადს სთხოვა, სტალინის როლის შემსრულებელი მსახიობისთვის — მიხეილ გელოვანისთვის ნება დაერთო გარკვეული დროის განმავლობაში დაკვირვებოდა, თვალი ედევნებინა სტალინისთვის, აღექვა მისი ქცევის, საუბრის მანერა, რათა უკეთ განესახიერებინა მისი სახე მომავალ ფილმში (თუ არ ვცდები, ეს ფილმი „ფიცი“ იყო), იოსებ ბესარიონის ძემ დინჯად, ქვეტექსტზე აქცენტირებული იუმორით უპასუხა:**
**— მაშინ ტურუხანსკის გადასახლებიდან უნდა დაიწყოსო.**

# სამამულო ომში გავიმარჯვეთ სტალინის სარდლობით თუ მისი ნების საწინააღმდეგოდ?



**წლევანდელი 9 მაისი — გამარჯვების დღესასწაული — საქართველოში კვლავ ულიმღამოდ აღნიშნეს, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ხელისუფლება აქაც, ისტორიული მეხსიერების მოშლის სფეროში, ერთგულებს მიხეილ სააკაშვილის დანატოვარ ანდერძს. საოცარი კოაბიტაციაა — იდეოლოგიური თანაცხოვრება გაკოტრებული პირველკაცის უვიცობის და მისი გადამგდები ახლების უპრინციპობის.**
**მიგვაჩვიეს ამას. ან გვაჩვევენ.**
**ამიტომ, შინაგანი პროტესტის მიუხედავად, არ გაგვკვირვებია თანხვედრა მათი პოზიციების.**
**აი, რუსეთმა კი ამ დღეს ქარქაშიდან ამოღებული მახვილივით მთელ მსოფლიოს თვალწინ აუპრიალა თავისი სამხედრო ძლიერება. აჩვენა, რომ ფაშიზმისგან მსოფლიოს მხსნელ ერებს, მათ შორის, საქართველოსაც, არ გასცვეთია „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“.**
**მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ ფონზე აბსოლუტურად გაუგებარ კონტრასტად თავი იჩინა ყბადაღებულმა კოაბიტაციამ, ოღონდ ამჯერად უვიცი და გაუნათლებელი, უზომოდ გაბერილი ტიკინის — ნიკიტა ხრუშჩოვის ანტისტალინურ პროპაგანდისტულ კლიშესთან, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირმა ჰიტლერული გერმანიისა და მისი სატელიტი ევროპული ქვეყნების წინააღმდეგ ომი მოიგო, არა სტალინის სარდლობით, არამედ მისი ნების საწინააღმდეგოდ(!).**
**ბელადი არც ამჯერად დაუფასებიათ სათანადოდ, თუმცა სატელევიზიო პროგრამებში აქა-იქ მაინც გაკრთა. მაშინ, როცა ოფიციოზი ვერ გამოსულა კოაბიტაციური სიმბიოზისგან, ხალხში სტალინის ხსოვნა მტკიცედ არის ფესვგადგმული.**



**ალლუმი სახელდახელოდ გაკეთებული პროპაგანდისტური ფარსი კი არ იყო, არამედ სრულფასოვანი სამხედრო დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობდნენ არტილერისტები და ქვეითი ჯარის ნაწილები, მეზენიტეები და სამხედრო მეზღვაურები. საზეიმო სვლა, ტრადიციისამებრ, გახსნეს საარტილერიო სასწავლებლის კურსანტებმა**

## საიდან იწყებოდა კულტი

სამამულო ომის პერიპეტიების განხილვამდე ვცადოთ და საკითხი — იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი) და რუსი ხალხი — ერთი, შეიძლება ბევრისთვის მოულოდნელი რაკურსით განვიხილოთ.

მისდამი, როგორც პიროვნებისადმი, დამოკიდებულება თანდათან, წლების, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ყალიბდებოდა. თავდაპირველად ლოკალური, ადამიანური ურთიერთობის ვიწრო სფეროში, შემდეგ თანდათან მისი მოღვაწეობის მასშტაბის შესაბამისად — იატაკქვეშა ორგანიზაციებში, გადასახლებებში, რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების პროცესში და ა. შ.

უზარმაზარი იმპერიის მეთაურობამდე.

ყველაფერი რევოლუციონერის ურთულესი და ხიფათით აღსავსე ცხოვრებიდან იწყებოდა.

**როცა სახელგანთქმულმა ქართველმა და საბჭოთა კინორეჟისორმა, სტალინური პრემიის მრავალგზის ლაურეატმა მიხეილ ჭიაურელმა ბელადს სთხოვა, სტალინის როლის შემსრულებელი მსახიობისთვის — მიხეილ გელოვანისთვის ნება დაერთო გარკვეული დროის განმავლობაში დაკვირვებოდა, თვალი ედევნებინა სტალინისთვის, აღექვა მისი ქცევის, საუბრის მანერა, რათა უკეთ განესახიერებინა მისი სახე მომავალ ფილმში (თუ არ ვცდები, ეს ფილმი „ფიცი“ იყო), იოსებ ბესარიონის ძემ დინჯად, ქვეტექსტზე აქცენტირებული იუმორით უპასუხა:**

**— მაშინ ტურუხანსკის გადასახლებიდან უნდა დაიწყოსო.**

ჩვენც გადასახლებიდან დავიწყოთ, უფრო ზუსტად, ციმბირის გადასახლებიდან გაქცევით, რომლის მსგავსი რუსეთის იმპერიაში არ მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი არ არის.

მწერალი და მეცნიერი **ვილიამ პოხლებკინი** პრობლემას ფრიად საინტერესო და ორიგინალური კუთხით განიხილავს. **იგი ცდილობს, უპასუხოს კითხვას, თუ როგორ მოახერხა ახალგაზრდა რევოლუციონერმა, ქართველმა კაცმა, რომელიც პირველად აღმოჩნდა რუსეთში, ისიც ციმბირში, თავი დაეღწია თავისუფლების აღკვეთის ამ უმკაცრესი, კარგად აწყობილი სისტემის ლაბირინთებისთვის, სადაც უმთავრესი დაბრკოლება იმდენად ასობით ვერსით ერთმანეთს დაცილებული დასახლებული პუნქტები კი არ იყო, რამდენადაც საყოველთაო თვალთვალის პრაქტიკა, რომელშიც სახელმწიფო დამსჯელი ორგანოების თანამშრომლების, ოხრანკის აგენტების გარდა, ადგილობრივი მოსახლეობაც იყო აქტიურად ჩართული.**

ვილიამ პოხლებკინი წერს:

„სტალინი არ გაუციათ (მისი აქცენტისა და გარეგნობის მიუხედავად) სწორედ უბრალო, „ყველაფრის მნახველ“ რუს ადამიანებს — მეეტლეებს, გლეხებს, მეფუნდუკეებს, ვის დაუხმარებლადაც ვერავითარი გაქცევა მთელი რუსეთის გადაკვეთით ვერ შედგებოდა. სხვა რუსი რევოლუციონერები, განსაკუთრებით, ინტელიგენციის წრიდან, ხშირად ვერ ახერხებდნენ საერთო ენის გამონახვას უბრალო ადამიანებთან, ან იმდენად გამოირჩეოდნენ მასისგან თავიანთი „თავადური“ ჩვეულებითა თუ ქცევით, რომ იწვევდნენ უბრალო ადამიანების დაეჭვებას, რომლებსაც შესისხლხორცებული ჰქონდათ რუსეთის მკაცრი სახელმწიფო დისციპლინა და დაუყოვნებლივ მოახსენებდნენ უფროსობას „უცნაური ბატონების“ გამოჩენას. როგორც ცნობილია, სწორედ ასეთი მეეტლეების, მოახლეების, მეეზოვეებისა და სხვებზე დამოკიდებული ადამიანების დასმენების წყალობით ვერ შედგა, ჩაიშალა დეკაბრისტების, ჩერნიშევსკისა და ნაროდოვოლელი თავადების გაქცევები ვიტიმის, ოლეკმინის, ნერჩინის და მსგავსი გადასახლების ადგილებიდან“.

**სტალინმა ინტუიციურად გამოიყენა რუსული ხასიათის ზოგიერთი თვისება და შეძლო სათავისოდ განეწყო ციმბირის საფოსტო გზების (ტრაქტების) მეეტლეები („იამშჩიკები“): არ უცდია თავადური მედიდურობით, არყის დაპირებით ან ფულით მოექრთამა ისინი, ოღონდ პოლიციისთვის არ გადაეცათ იგი.**

„მას კარგად ესმოდა, რომ ასეთი შეთავაზებით იგი შეურაცხყოფდა ალალ, გულმართალ და გულუბრყვილო, პატიოსან, უბრალო პროვინციელ ადამიანებს. იგი გულახდილად ეუბნებოდა მეეტლეებს, რომ მგზავრობის საფასურის გადახდა არ შეუძლია, რადგან სამისო ფული არ გააჩნია, სამაგიეროდ აქვს არყის წყვილი შტოფი: დასახლებულ პუნქტებს შორის თითოეული გადაადგილებისთვის „არყის არშინით“ გაუსწორდებოდა, სანამდისაც გასწვდებოდა ეს შტოფები. მეეტლე, რა თქმა უნდა, სიცილით დაიწყებდა ამ აშკარად არარუსი უცხოტომელის დარწმუნებას, რომ არაყს ზომავენ ვედროებით და არა არშინით. მაშინ სტალინი ჩექმის ყელიდან ამოაძრობდა ხის არშინს — 71 სანტიმეტრის სიგრძის ფიცრის პატარა ნაჭერს, ტომსიკიდან ამოიღებდა ლითონის რამდენიმე ფიალას, ერთმანეთის მიყოლებით მჭიდროდ დააწყობდა იმ არშინზე, აავსებდა არყით და პრაქტიკულად აჩვენებდა, როგორ წარმოედგინა მას „არყის არშინი“. ეს მანიპულაცია საერთო სიცილს იწვევდა, ახალისებდა ადამიანებს, რადგან რაღაცნაირი სიახლე, არაჩვეულებრივი რამ იყო და სასიამოვნოდ შეძრავდა რუს კაცს, რომელსაც მობეზრებული ჰქონდა პროვინციული ყოფის უფერულობა და ყოველდღიურობა. მთავარი კი ის იყო, რომ ასეთი მიდგომა ქრთამს „მოწყალებიდან“ და „მოსყიდვიდან“ ამხანაგურ თამაშად აქცევდა და მთელ ამ გარიგებას გამოაცლიდა უზნეობას, რადგან ამხანაგური შეხუმრების, აზარტისა და მეგობრული ურთიერთობის სიტუაციას ქმნიდა — მეორე ან მესამე „არყის არშინს“ კი უკვე ერთად სვამდნენ. „საიდან გაჩნდა ასეთი მხიარული ბიჭი! — ამბობდნენ ხასიათზე მოსული მეეტლეები და გულდაწყვეტით ემშვიდობებოდნენ უჩვეულო მგზავრს, — კიდევ ჩამოდი და გვინახულე!“

მგზავრი მესამე-მეოთხე სადგურზე ემშვიდობებოდა მეეტლეს და სხვასთან ერთად აგრძელებდა იმავე თამაშს. გზის ერთ მონაკვეთს ისე გაივლიდა, არ დაუსახელებდა მგზავრობის საბოლოო პუნქტს, არც რომელიმე სხვა სადგურის სახელს, რადგან არ იცოდა, რა ერქვა და არ უნდოდა, შემცდარიყო. მიემგზავრებოდა იქამდე, სანამ „არყის არშინები“ ყოფნიდა, და ასე დაუბრკოლებლად და საიმედოდ გადადიოდა ციმბირიდან ევროპულ რუსეთამდე პოლიციის გვერდის ავლით.

ყოველთვის ასეთი წარმატებით ახერხებდა სტალინი გადასახლებიდან გამოქცევას რუსეთის იმპერიის ყველაზე უფრო შორეული კუთხეებიდან... იგი იცნობდა ხალხს და ხალხიც, ამას რომ გრძნობდა, მის მხარეს იყო...“.

**იქ, შორეული ციმბირის უკიდეგანო სივრცეებში ეცნობა იოსებ სტალინი რუსეთის მკვიდრ ხალხს და სრულად გაისიგრძეგანებს, რომ ამ ადამიანების სიმპათიების მოპოვებას შეძლებს, უწინარეს ყოვლისა, მისდამი პატივისცემის გამოვლენის წყალობით, რადგან იგი (ეს ხალხი) არის მიმნდობი, გულღია და მზადაა, თავი გაწიროს ნათელი იდეისთვის, იმისთვის, ვისაც მასზე უფრო ჭკვიანად, ძლიერად და გაბედულად მიიჩნევს.**

აქედან იკვეთებოდა სრულიად ახალი, დიდი შესაძლებლობის პერსპექტივა რევოლუციური ბრძოლისაც და თვით კობას რევოლუციური კარიერისაც.

მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა. **მთავარი კი ისაა, რომ იქ, შორეულ ციმბირში, უნდა ვეძებოთ ხალხის სულიერების განცდის, მისი ცხოვრებისეული მისწრაფებების აღქმისა და გაგების ის ფესვები, რომლებზეც აღმოცენდა ბელადის ურყევი ავტორიტეტი.**

**იყო ორმხრივი კონტაქტი და ურთიერთგაგება.**

**ეს ავტორიტეტი და ნდობა რომ არა, არ იქნებოდა ხალხის რწმენაც, სიმტკიცეც, დარაზმულობაც, რომელმაც სხვა ყველაფერთან ერთად, სძლია ვერმახტის მსოფლიოში უძლეველ არმიას.**

პათეტიკა? არა მგონია, და ამ განცხადებაში დასარწმუნებლად გავიხსენოთ უმძიმესი დღეები 1941 წლის, როცა ფაშისტები მოსკოვს მიადგნენ.

უნდა გაკეთებულიყო ისეთი რამ, რაც ყველა იარაღზე, ყოველგვარ შეიარაღებაზე ძლიერი უნდა ყოფილიყო, რაც ხალხს დარაზმავდა, გამარჯვების რწმენას ჩაუნერგავდა.

და ეს მოხდა: 1941 წლის 7 ნოემბერს მოსკოვში, წითელ მოედანზე სამხედრო ალლუმი გაიმართა. ▶

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1941 წლის 6 ნოემბერს, „ტრადიციისამებრ, გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა სტალინმა. მეორე დღეს გავიგეთ, სამხედრო აღლუმის შესახებ წითელ მოედანზე. გავიგეთ ისიც, რომ სტალინი, როგორც ყოველთვის, მავზოლეუმზე იდგა. 7 ნოემბერს, მთელი დღის განმავლობაში რადიოთი გადაიცემოდა სტალინის სიტყვა მებრძოლების წინაშე, რომლებმაც საზეიმო მარშით ჩაიარეს წითელ მოედანზე.**

# „ამხანაგო სტალინ, მეორედ მოგიწევთ თქვენი გამოსვლის წაკითხვა!“

იმ დროს ყველაფერი ფრონტის ინტერესებს ემსახურებოდა.

1941 წლის 6 ნოემბერს, „ტრადიციისამებრ, გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა სტალინმა. მეორე დღეს გავიგეთ, სამხედრო აღლუმის შესახებ წითელ მოედანზე. გავიგეთ ისიც, რომ სტალინი, როგორც ყოველთვის, მავზოლეუმზე იდგა. 7 ნოემბერს, მთელი დღის განმავლობაში რადიოთი გადაიცემოდა სტალინის სიტყვა მებრძოლების წინაშე, რომლებმაც საზეიმო მარშით ჩაიარეს წითელ მოედანზე.

ეს ყველაფერი მილიონობით ადამიანს განუმტკიცებდა ხვალინდელი დღის რწმენას, რწმენას ჩვენს გამარჯვებაში“, — იხსენებდა **ალექსანდრე იაკოვლევი,** ავიაკონსტრუქტორი, რომელიც ომის წლებში ავიამრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე იყო.

სამხედრო აღლუმსა და მის მნიშვნელობაზე ბევრი დაწერილა, მაგრამ ბევრმა შეიძლება არ იცის, რომ ამ დროს ერთი კურიოზული შემთხვევა მოხდა, რომლის შედეგად სტალინის სიტყვის მხოლოდ ნაწილი ჩაიწერა. მიზეზი ან უხვი სველი თოვლი იყო, რომელიც განუწყვეტლივ ბარდნიდა, ან ტექნიკის არასრულყოფილება, შეიძლება, — უყურადღებობაც, მაგრამ ფირი დასველდა და სინქრონული ჩაწერა ჩაიშალა. „ყველამ იცოდა,... რა ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ამ სიტყვას. საბჭოთა რადიომაუწყებლობის ხელმძღვანელები აწრიალდნენ და დაიწყეს სირბილი პარტიის ცენტრალური კომიტეტების კაბინეტებში“. ამას ადასტურებს **მიხაილ დოკუჩაევი**, თანამედროვე ისტორიკოსი და პუბლიცისტი, ომის მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი, სტალინის ეპოქისა და პიროვნების შესახებ რამდენიმე წიგნის ავტორი.

**იკარგებოდა ისტორიული მნიშვნელობის მასალა, მაგრამ ეს მაინც მეორეხარისხოვანი იყო, მთავარი კი ის იყო, რომ სტალინის სიტყვა განიხილებოდა, როგორც მძლავრი საშუალება არმიისა და ხალხის ბრძოლისუნარიანობის, მათი რწმენის განმტკიცების გადაუდებელ, საშურ საქმეში, როგორც უნიკალური ტაქტიკური იარაღი წარმატებული პროპაგანდის.**

ეს კი ომის პირობებში სამშობლოს ღალატის ტოლფასი დანაშაული იყო, აქედან გამომდინარე შედეგებით...

მაინც რა მოხდა?

სამხედრო აღლუმი და სტალინის სიტყვა კინოქრონიკას უნდა გადაეღო. ოპერატორები ღამის გასათევად დოკუმენტური კინოფილმების სტუდიაში დატოვეს, შინ არ გაუშვეს, რადგან, საჭიროების შემთხვევაში (ვინ იცის, რა მოხდებოდა), ოპერატიულად შეძლებოდათ მათი ორგანიზება. აღლუმის დაწყება დილის 10 საათისთვის იყო ნავარაუდევი. მშვიდობიანობის დროს, სწორედ ამ დროს, კრემლის კურანტების დარეკვისთანავე იწყებოდა სამხედრო მზაობის საჯარო დათვალიერება.

მაგრამ იყო ომი და ყველაფერი ომის რიტმთან შეფარდებით იცვლებოდა. ნუ გამოვრიცხავთ კონსპირაციის მომენტსაც — მტერი ხელისგაწვდენაზე იყო და, თუ ინფორმაცია მაინც გაჟონავდა, მოსკოვის საზღვართან მდგარი მოწინააღმდეგის არტილერია, ავიაცია „წარმავალი ნატურის“ — მომხდარი, დამთავრებული ფაქტის წინაშე დადგებოდა.

აღლუმი 2 საათით ადრე, დილის 8 საათზე დაიწყო. ოპერატორებმა ის-ის იყო გაიღვიძეს და თავზარი დაეცათ — სტალინი უკვე სიტყვას წარმოთქვამდა. დაუყოვნებლივ გავარდნენ წითელ მოედანზე და საერთო ხედის გადაღება-ლა მოასწრეს...

მაგრამ სტალინის სიტყვის ჩაწერა მაინც მოხერხდა.

როგორ?

ცნობილმა რუსმა მწერალმა **ალექსანდრ ვოინოვმა იულიან სემიონოვს** ამის თაობაზე „კარტები გაუხსნა“.

ვოინოვი კარგად იცნობდა ფილმის რეჟისორ კისელიოვს, რომელსაც მეტსახელად „რიჟის“ (მწითურს) ეძახდნენ.

ისე მოხდა, რომ ჯერ კიდევ ომის დღეებში რეჟისორმა მწერალს აჩვენა ფილმი, რომელიც მან წითელ მოედანზე გადაიღო. მაშინ საბჭოთა კავშირის მთავრობა და, ფაქტობრივად, ყველა საკავშირო სტრუქტურა კუიბიშევში იყო ევაკუირებული. აქ, ქალაქის ერთ-ერთ შენობაში, რამდენიმე პატარა ოთახი კინოქრონიკისთვის გამოეყოთ.

**„ფილმების სადემონსტრაციო ოთახში ტევა არ იყო, უამრავ ადამიანს მოეყარა თავი, უცქერდნენ მდუმარედ, ბევრი ტიროდა: თოვლის მსუბუქი ფიფქები მეფური დიდებულებით უხმაუროდ ეფინებოდა წითელი მოედნის ქვაფენილს, მავზოლეუმს, წითელარმიელებისა და მეთაურების მაზარებს, სტალინისა და მისი თანამებრძოლების — მოლოტოვის, ვოროშილოვის, ბერიას, ანდრეევის, კაგანოვიჩის, კალინინის, შჩერბაკოვის, მიქოიანის ჩაფიქრებულ, გამხდარ სახეებს... თოვლიანი მდუმარება, საგანგაშო სიჩუმე... მთელ პანორამაში სიცოცხლის მხოლოდ ერთი ნიშანი — ადამიანების სუნთქვა თეთრი, თბილი ორთქლის წვრილი ჭავლებით ხვრეტს გაყინულ ჰაერს.**

**ფილმის აპოთეოზი იყო მომენტი, როცა სტალინი მიუახლოვდება მიკროფონს და წარმოთქვამს მოკლე სიტყვას. წარმოვიდგინე ჩემი ბატალიონის მეომრების ბედნიერება, როცა ამ კადრებს ნახავდნენ: მამა, რომელსაც ჯარისკაცის უბრალო ფარაჯა აცვია, გამხდარი, მაგრამ ასე მშობლიური და საყვარელი, ესაუბრება თავის შვილებს...“**

მაგრამ უცნაური და გაუგებარი იყო, რომ ფილმის კადრებში სტალინს, სიტყვის წარმოთქმისას პირიდან ორთქლი არ გამოსდიოდა, არადა, როგორც ვთქვით, იმ გაყინულ დილით ორთქლი ჩვეულებრივი სუნთქვის დროსაც ამოსდიოდა წითელ მოედანზე მყოფს. ბელადი კი ლაპარაკობდა!

ნონსენსია! რა ხდება?

რეჟისორი ყვება:

„კინოს სახალხო კომისარმა ბოლშაკოვმა წითელ მოედანზე გასამართი აღლუმის პასუხისმგებელ პირად მე დამნიშნა... უდიდესი პატივი იყო... გადავიღეთ... იმავე ღამეს გავამჟღავნეთ... კადრები გასაოცარია, მაგრამ სტალინის სიტყვა ფირზე არ ჩაიწერა. წარმოგიდგენიათ? არა, ამის წარმოდგენა თქვენ არ შეგიძლიათ...“

„როგორ შეიძლებოდა, ეს რომ მომხდარიყო? — ვკითხე ოპერატორს, — იცი, რომ ჩვენ ობიექტურად ჰიტლერის წისქვილზე ვამხამთ წყალს?“ „ვიცი, — ძლივს გასაგონად მიპასუხა ჩემმა ამხანაგმა, — მაგრამ დრო არ მქონდა, იმ სიჩქარეში კაბელი რომ შემემოწმებინა... თოვლი...

ალბათ, რაღაცამ ვერ იმუშავა შემაერთებელ ზონარში... მე ჩემს ბიჭებზე თავით ვაგებ პასუხს, შენ ხომ იცნობ მათ — ბოლშევიკები არიან, კომკავშირელები...“ — „რიკოვიც თავის თავს ბოლშევიკს უწოდებდა, — ვუპასუხე, — გესტაპოს აგენტი კი აღმოჩნდა სინამდვილეში“.

მოკლედ, წავედით კინემატოგრაფიის კომიტეტის თავმჯდომარესთან — ივან გრიგორის ძე ბოლშაკოვთან. მან მომისმინა, გაფითრდა, გაიარგამოიარა კაბინეტში, შემდეგ თავზე დამადგა და მკითხა: „რა წინადადება გაქვს? ვინ არის მომხდარში დამნაშავე?“ — „დამნაშავე მე ვარ, პასუხი მე უნდა მომკითხოთ. წინადადება კი ერთადერთია: ამაღამ ავაშენოთ მავზოლეუმის ტრიბუნის ფიცრული დეკორაცია კრემლის დარბაზში და იქ გადავიღოთ ამხანაგი სტალინი“. „— როგორ უნდა ავუხსნათ, რომ გადაღება წითელ მოედანზე ჩაგვივარდა?“ „— გადაღება არ ჩაგვვარდნია. გადაღებულია უნიკალური კადრები. მაგრამ იმის გამო, რომ სამუშაოსთვის მოსამზადებლად დრო არ გვქონდა, ვერ შევამოწმეთ მიკროფონის ერთ-ერთი შემაერთებელი რომ დაცილდა ზონარს...“

ბოლშაკოვმა კვლავ ბოლთა დაარტყა კაბინეტში, აიღო „ვერტუშკა“ ტელეფონის ყურმილი, აკრიფა სამნიშნა ნომერი: „ამხანაგო სტალინ, საღამო მშვიდობისა, ბოლშაკოვი გაწუხებთ... კინოქრონიკამ გადაიღო შესანიშნავი ფილმი წითელ მოედანზე აღლუმის შესახებ... მაგრამ ამინდის მიზეზით ხმის ჩანაწერი უხარისხო გამოვიდა. კინემატოგრაფიის ინტერესები მოითხოვს სიტყვის ფრაგმენტის გადაღებას კრემლის ძოწის პალატაში... ეს სულ 30 წუთს გასტანს, ამხანაგო სტალინ... დიახ, მეტს არა... კეთილი... დეკორაციას ოთხ საათში ავაგებთ... დილის სამ საათზე? — ბოლშაკოვმა დაბნეულად შემომხედა, კედლის დიდ საათზე საღამოს 11 საათი იყო. მე დარწმუნებით დავუქნიე თავი, მოვასწრებთ-მეთქი. სახალხო კომისარმა ჩაახველა, შემდეგ წარმოთქვა: უკეთესი იქნება, 5 საათზე... კეთილი, ამხანაგო სტალინ, დიდი მადლობა. ხუთის ნახევარზე გადამღები ჯგუფი კრემლში მოვა, მშენებლებს და მხატვრებს დაუყოვნებლივ ვაგზავნით...“

ზუსტად დილის ოთხ საათსა და ოცდაათ წუთზე ძოწის პალატის კარი გაიღო და შემოვიდა სტალინი... უმაღლეს მთავარსარდალს ჯარისკაცის იგივე ფარაჯა ეცვა, რომელიც გუშინ. თავის დაკვრით მიესალმა გადამღებ ჯგუფს და დადგა იქ, სადაც მიუთითეს. გამნათებლებს ნიშანი მივეცი, მათაც ჩართეს იუპიტერები. სინათლე თვალისმომჭრელი იყო, მოულოდნელი. სტალინმა თვალებზე ხელი აიფარა, ჯიბიდან აუჩქარებლად ამოიღო გამოსვლის ტექსტი...

„ამხანაგო წითელარმიელებო და წითელფლოტელებო, პარტიზანებო! თქვენ აღგიქვამთ მთელი მსოფლიო, როგორც ძალას, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს გერმანელ დამპყრობთა მძარცველური ურდოები. თქვენ შემოგცქერიან ევროპის დამონებული ხალხები... როგორც გამათავისუფლებლებს. დიადი მისია გერგოთ წილად. იყავით ამ მისიის ღირსნი!“

ახლოდან ვაკვირდებოდი მას, ვხედავდი, როგორ გამხდარიყო, როგორ ჩაშავებოდა თვალები, როგორ გამოჰკვეთოდა ნაყვავილარი და მომრავლებოდა ჭაღარა. მივუბრუნდი ოპერატორებს და ხელის ოდნავი მოძრაობით ვანიშნე, რომ თავი აერიდებინათ მსხვილი პლანისთვის — ბელადს შეიძლება არ მოსწონებოდა ახლო ხედის კადრები, რადგან ხალხი მიჩვეული იყო უმაღლესი მთავარსარდლის სულ სხვა გამოსახულებას: ფართოდ გაშლილი მკერდი, შავი ულვაშები, მოჭუტული, ოდნავ დამცინავი მზერა. აქ კი ძოწის პალატაში, ფიცარნაგზე, რომელიც მავზოლეუმს განასახიერებდა, იდგა მხრებში მოხრილი ბერიკაცი“.

გახსნეს ფანჯრები, რათა ცოტათი მაინც გამოჩენილიყო ორთქლი... სტალინმა ჩაათავა სიტყვა.

რეჟისორმა ოპერატორებს რომ მიანიშნა, მსხვილი კადრები არ გადაეღოთ, კოლეგამ ხელების სპეციფიკური მოძრაობით მიახვედრა — უმაღლესი მთავარსარდლის სიტყვა ფირზე ვერ იწერებოდა. გასაგებია, რა ქარიშხალიც დატრიალდებოდა მათ სულსა და გონებაში...

როგორც წესი, კრიტიკულ სიტუაციებში ადამიანი სწორ გადაწყვეტილებას მყისიერად იღებს. სტალინმა დაამთავრა გამოსვლა, მოიხადა ქუდი, მოიწმინდა გაოფლილი შუბლი და პალატის გასასვლელისკენ გაემართა, რეჟისორი დაედევნა, გვერდი აუქცია ბოლშაკოვს, რომელიც აცილებდა ბელადს, წინ გადაუდგა და უთხრა:

— ამხანაგო სტალინ, მეორედ მოგიწევთ თქვენი გამოსვლის წაკითხვა.

ბოლშაკოვს შიშისგან სახე მოებრიცა.

— რატომ? — შეეკითხა სტრალინი დაღლილი ხმით.

რეჟისორმა ვედრებით შეხედა ბოლშაკოვს — არ გაეცა მისი იძულებითი ტყუილი და უპასუხა:

— კინემატოგრაფიაში მიღებულია დუბლის გადაღება, ამხანაგო სტალინ.

**„უმაღლესმა მთავარსარდალმა დინჯად ამომხედა... ფეხებქვეშ მიწა გამომეცალა. სახალხო კომისარი თავის დაკვრით, უსიტყვოდ დამეთანხმა. სტალინი ნელა შემობრუნდა და მავზოლეუმის იმიტაციისკენ დაბრუნდა, სადაც აუტანლად აცხუნებდა იუპიტრები. მივირბინე ხმის ოპერატორთან, ვუჩურჩულე, კიდევ ერთხელ შეემოწმებინა ზონარების შეერთების ყველა ადგილი.**

— ყველაფერი რიგზეა! დავიწყეთ! თავში კი უცნაურმა აზრმა გამირბინა, მეთხოვა სტალინისთვის: „ამხანაგო სტალინ, თქვით, თუ შეიძლება: ერთი-ორი-სამი, საცდელია!“ ვიფიქრე, რომ იგი შემისრულებდა თხოვნას“.

დუბლი კარგად ჩაიწერა. სტალინი მძიმე ნაბიჯებით გაემართა გასასვლელისკენ, ისე, რომ არავის დამშვიდობებია.

**კართან მისულმა მწარედ ჩაიცინა: „კინოშიც მხოლოდ მაკიაველები არიან“.**

**სტალინის ეს უცნაური სიტყვები ღრმად ჩარჩა მეხსიერებაში იულიან სემიონოვს, მაგრამ ახსნა ვერ მოუძებნა.**

**„...რეჟისორთა შორის, — იხსენებს სემიონოვი, — რომლებსაც სტალინი დიდად აფასებდა, იყო მიხეილ ჭიაურელიც. იგი დაწვრილებით უყვებოდა ბელადს ფილმის გადაღების „ტექნოლოგიური პროცესის“ შესახებ. ამიტომ იყო, რომ უმაღლესმა მთავარსარდალმა შესანიშნავად იცოდა: დოკუმენტურ ფილმებში „დუბლებს“ არ აკეთებენ, ამიტომაც არის დოკუმენტური, ქრონიკაა.**

**ერთ-ერთი მორიგი შეხვედრის დროს სტალინმა ბოლშაკოვს უთხრა: „თქვენი ის რეჟისორი, ძოწის პალატაში რომ იღებდა, გაბედული კაცია... ასეთები უნდა გაიგზავნოს ყველაზე მეტად საბრძოლველ უბნებზე — არ გიღალატებთ“...**

ფლოტის ადმირალი ივან ისაკოვი, რომელმაც 1941 წლის დეკემბრის დასაწყისში ნახა სტალინი, შენიშნავს: „სტალინი უკვე ზუსტად ისეთი იყო, როგორიც უწინ“.



მოსკოვი, წითელი მოედანი, 1941 წლის 7 ნოემბერი

# წითელი ვარსკვლავები წითელ მოედანზე

აღლუმი სახელდახელოდ გაკეთებული პროპაგანდისტური ფარსი კი არ იყო, არამედ სრულფასოვანი სამხედრო დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობდნენ არტილერისტები და ქვეითი ჯარის ნაწილები, მეზენიტეები და სამხედრო მეზღვაურები.

საზეიმო სვლა, ტრადიციისამებრ, გახსნეს საარტილერიო სასწავლებლის კურსანტებმა.

წითელ მოედანზე ჩაიარა კავალერიამ, სახელგანთქმულმა „ტაჩანკებმა“, იმ დროინდელმა ძლიერმა სამხედრო ტექნიკამ — ქვემეხების გათვლებმა, ტანკებმა — ტ-34-ებმა და კვ-1-ებმა. აღლუმში მონაწილეობდნენ სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებლის კურსანტების ბატალიონები, წითელდროშოვანი საარტილერიო სასწავლებლის მსმენელები, ფრუნზეს სახელობის დივიზიის 332-ე პოლკი, ძერჟინსკის სახელობის დივიზიის მსროლელთა, ცხენოსანთა და სატანკო ნაწილები, მოსკოვის ფლოტის ეკიპაჟი, მოსკოვის სამხედრო ოლქის განსაკუთრებული დანიშნულების ბატალიონი, ყოფილი წითელგვარდიელების ბატალიონი, საჰაერო თავდაცვის გაერთიანებული საზენიტო პოლკი, მთავარსარდლობის ბანაკის რეზერვის ორი სატანკო ბატალიონი, რომლებიც 7 ნოემბერს მოსკოვში მურმანსკიდან და არხანგელსკიდან ჩავიდა.

აღლუმის მსვლელობისას მიღებული იყო უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები. ამიტომ იყო, რომ ვერც ერთმა გერმანულმა თვითმფრინავმა ვერ მიაღწია მოედნამდე, რომლის თავზეც ელვარებდა სტალინის მითითებით შალითამოხსნილი კრემლის წითელი ვარსკვლავები.

დედაქალაქის მისადგომებთან მე-6 გამანადგურებელი კორპუსის ძალებით მოსკოვის ჰაერსაწინააღმდეგო დანაყოფის მეზენიტეებმა ჩამოაგდეს გერმანელების 34 თვითმფრინავი.

აღლუმის შესახებ რეჟისორებმა — ლეონიდ ვარლამოვმა და ილია კოპალიანმა გადაიღეს ფილმი „გერმანელთა ჯარების განადგურება მოსკოვის მისადგომებთან“, რომელშიც ჩამონტაჟებული იყო დოკუმენტური კადრები სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვით.

ამ დოკუმენტურმა ფილმმა, როგორც საუკეთესო უცხოურმა ფილმმა, 1942 წელს ოსკარის პრემია მიიღო.

**არმაზ სანებლიძე**

დოკუმენტური მასალა ამოკრეფილია სხვადასხვა პუბლიკაციიდან.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2000-იანი წლების დასაწყისში გლობალური დაპირისპირების გამწვავებამ ევროსაბჭო კოორდინატების ძველ სისტემაში დააბრუნა, სისტემაში, რომლის დროსაც დასავლეთის გარკვეული ძალები მას საკუთარი ინტერესებისთვის იყენებდნენ.**

# ევროსაბჭოს ბრწყინვალება და სიღატაკე

**ამ დღეებში ღირსშესანიშნავი ისტორიული თარიღი აღინიშნა: ზუსტად 65 წლის წინათ დაარსდა ერთ-ერთი წამყვანი საერთოევროპული ორგანიზაცია — ევროსაბჭო. დღეს ის აერთიანებს 47 ქვეყანას, რომელთაგან 28 ევროკავშირის წევრია. გარდა ამისა, ევროსაბჭოს წევრების მნიშვნელოვანი რაოდენობა ნატოს წევრიცაა. ამან ბევრად განაპირობა ევროსაბჭოს სისუსტე და ის სახიფათო გეოპოლიტიკური თამაშების მძევლად აქცია.**

ევროპის საბჭოს პირველი ნაბიჯები თითქოს შერიგების სულისკვეთებით იყო განმსჭვალული. ორგანიზაციის ფუძემდებლურ დოკუმენტებს ხელი მოეწერა 1949 წლის 5 მაისს ლონდონში. დოკუმენტებზე არის ათი ქვეყნის — ბელგიის, დანიის, ირლანდიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და შვედეთის ხელმოწერები. პირველ წევრებს შორის არ იყო გერმანია, მაგრამ სწორედ ყოფილ მტერთან შერიგება გახდა ევროპის საბჭოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი. შემთხვევით არ მომხდარა, რომ მისი შტაბ-ბინა გაიხსნა სტრასბურგში — გერმანიის საზღვართან მდებარე ფრანგულ ქალაქში.

ევროპის საბჭოს წესდება უმთავრეს მიზნად ასახელებდა „მის წევრებს შორის უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებას იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და გავრცელებისთვის, რომლებიც მათ ერთობლივ მემკვიდრეობას წარმოადგენდა, და წევრების ეკონომიკური და სოციალური პროგრესისთვის ხელშეწყობას“. მიზანი მიღწეული უნდა ყოფილიყო „საბჭოს ორგანოების შუამდგომლობით საერთო ინტერესების ამსახველი საკითხების განხილვის გზით, შეთანხმებების გაფორმებით, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამეცნიერო, იურიდიულ და ადმინისტრაციულ სფეროებში ერთობლივი ქმედებებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვითა და განვითარებით“.

აღნიშნული მიზანი ფორმალურად მუდამ რჩებოდა ევროპის საბჭოს ყურადღების ცენტრში, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი გამონაკლისით: საქმე ისაა, რომ აღნიშნულ ორგანიზაციაში არ შედიოდნენ სოციალური ბლოკის ქვეყნები. შესაბამისად, ისინი მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, ჩართულიყვნენ საერთოევროპულ პრობლემებთან დაკავშირებულ დიალოგში. ამასთან, **ორი სისტემის დაპირისპირების პირობებში ევროპის სტრუქტურებში ძირითადი ბერკეტები პრაქტიკულად ევროპის საბჭოსთან ერთდროულად შექმნილი ნატოს ხელში იყო. ამ გარემოებამ განაპირობა „მეორადობა“ და წამგებიანობა ევროსაბჭოსი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი დასავლეთევროპელი მოკავშირეების მიერ წარმოებულ ანტისაბჭოთა პოლიტიკაში იარაღად იქცა.**



**ორი სისტემის დაპირისპირების პირობებში ევროპის სტრუქტურებში ძირითადი ბერკეტები პრაქტიკულად ევროპის საბჭოსთან ერთდროულად შექმნილი ნატოს ხელში იყო. ამ გარემოებამ განაპირობა «მეორადობა» და წამგებიანობა ევროსაბჭოსი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი დასავლეთევროპელი მოკავშირეების მიერ წარმოებულ ანტისაბჭოთა პოლიტიკაში იარაღად იქცა**

1990-იან წლებში ევროსაბჭოში რუსეთის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების გაწევრების შემდეგ თითქოს დაიწყო მდგომარეობის შეცვლა.

**2000-იანი წლების დასაწყისში გლობალური დაპირისპირების გამწვავებამ ევროსაბჭო კოორდინატების ძველ სისტემაში დააბრუნა, სისტემაში, რომლის დროსაც დასავლეთის გარკვეული ძალები მას საკუთარი ინტერესებისთვის იყენებდნენ.** ამასთან, გამწვავდა შიდა კონფლიქტი თავად ევროპის საბჭოს ძირითად ინსტიტუტებს შორის. მრავალი ევროპული სახელმწიფოს ლიდერებმა გამოავლინა მიდრეკილება საერთოევროპული თანამშრომლობისა და შესაბამის პროცესებში რუსეთის ჩართვისადმი, მაგრამ ამავე დროს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატები ანტირუსულ გამოხდომებში ვარჯიშობენ.

უკრაინის კრიზისმა ეს ძალზე თვალნათლივ გამოაჩინა. ევროსაბჭოს ლიდერები თითქოს ცდილობენ, ობიექტური პოზიცია დაიკავონ და კიევურ რეჟიმსაც არ აკლებენ კრიტიკას. მაგალითად, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე ან ბრასერი მოუწოდებს „ყველა მხარეს მდგომარეობის დეესკალაციისკენ, ყველა პროვოკაციული ძალადობრივი ქმედების შეწყვეტისკენ და ჟენევის შეთანხმებების დაცვისაკენ, განსაკუთრებით ამჟამად უკრაინაში მოქმედი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღების მიმართულებით“.

მაგრამ ამავე დროს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა იღებს რეზოლუციებს, რომლებშიც უკრაინაში გამეფებულ ანარქიასა და ნაციონალიზმზე პასუხისმგებლობას რუსეთს აკისრებს. ეს არის ერთგვარი ეპილეფსია, რომლის დროსაც სხვადასხვა სახელმძღვანელო ცენტრი ურთიერთგამომრიცხავ ბრძანებებს იძლევა და კიდევ უფრო მეტად უტეხავს სახელს ევროსაბჭოს.

**უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროპის საბჭო პრაქტიკულად აღარ მუშაობს მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე და ადამიანის უფლებებზე ევროპულ ქვეყნებში, ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ტურბიერნ იაგლანდი იძულებული გახდა, თავის უკანასკნელ ანგარიშში ეღიარებინა, რომ ახლა ევროპაში ცივი ომის დროიდან მოყოლებული უდიდესი კრიზისია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით.** ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ადამიანის უფლებათა ისეთ სერიოზულ დარღვევებს, როგორიცაა კორუფცია, ადამიანებით ვაჭრობა, რასიზმი და დისკრიმინაცია, ევროპაში დღესაც აქვს ადგილი...

**fondsk.ru**

# პარიზი ჩინელი პოლიციელებით «მარაგდება»

**ამ ზაფხულს პარიზის ქუჩებში ჩინელი პოლიციელები დაიწყებენ პატრულირებას. იმ გეგმის ფარგლებში, რომლის შესახებაც საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ რამდენიმე დღის წინათ გამოაცხადა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ფრანგული ენის მცოდნე პოლიციელებს საფრანგეთის დედაქალაქში იმ ადგილების პატრულირების მიზნით გაგზავნის, რომლებშიც ბევრი ჩინელი ტურისტი ხვდება.**

ეს იდეა ვიღაცას, შესაძლოა, უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ ეს არის პასუხი სავსებით რეალურ პრობლემაზე — აღმოსავლეთ აზიიდან ჩასული ტურისტების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებათა ტალღაზე. მსგავსი ინციდენტების რაოდენობა განუხრელად იზრდება. შემთხვევები სხვადასხვა ხასიათისაა — ჯიბის ქურდობიდან დაწყებული 23 ჩინელ ტურისტთან დაკავშირებულ შარშანდელ ისტორიამდე — შარლ-დე-გოლის აეროპორტთან მდებარე რესტორანში ძარცვამდე. დამნაშავეები ხშირად ირჩევენ მსხვერპლად ჩინელებსა და იაპონელებს, რადგან ამ ქვეყნის ტურისტებს თან აქვთ დიდი რაოდენობის ნაღდი ფული. ამ ძარცვების შესახებ ამბავი ჩინეთამდე მიდის, რამაც, შესაძლოა, მნიშვნელოვნად დააზარალოს პარიზის ეკონომიკა. საქმე ისაა, რომ ჩინელი ტურისტები მსოფლიოში პირველ ადგილზე არიან შოპინგისას დახარჯული სახსრების მოცულობით, პარიზი კი მათი საყვარელი ევროპული ქალაქია.

ახლა ტურისტების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა გამო იმიჯთან დაკავშირებული პრობლემები მხოლოდ საფრანგეთის დედაქალაქს როდი აქვს. ახლო აღმოსავლეთში მნიშვნელოვნად დაზარალდა ლონდონის რეპუტაცია გასულ თვეს არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან ჩასულ სტუმრებზე მომხდარი ორი თავდასხმის შედეგად. ამ ორი შემთხვევიდან ერთი ამაზრზენი იყო. აპრილის დასაწყისში ემირატებიდან ლონდონში ჩასული სამი ქალი სერიოზულად სცემეს ჩაქუჩით სასტუმროს ნომერში. მათმა უკიდურესმა სისასტიკემ გამომძიებლებიც კი შეზარა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ზემოხსენებულ სასტუმროსთან ახლოს მდებარე ბინაში არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან ჩასულ ოჯახს თავს დაესხა შეიარაღებული ბანდა. ორივე შემთხვევაში ეჭვმიტანილები დააკავეს, მაგრამ ემირატებში ამ შემთხვევებმა შიშისა და თვითანალიზის ტალღა ააგორა. ტვიტერში გაჩნდა ტრენდი იმის შესახებ, რომ ლონდონი უსაფრთხო არ არის. სოციალურ ქსელებში პოპულარული გახდა სურათი, რომელზეც ეწერა: „დუბაიში სიცხე სჯობს ლონდონში ჩაქუჩს“. ეჭვქვეშ დადგა ლონდონის, როგორც სპარსეთის ყურის ქვეყნების არაოფიციალური საზაფხულო დედაქალაქის, რეპუტაცია.



**პარიზში ჩინელმა პოლიციელებმა არა მხოლოდ თავიდან უნდა აიცილონ თანამემამულეების წინააღმდეგ დანაშაულებები, არამედ უნდა დაარწმუნონ კიდეც ჩინელები, რომ საფრანგეთი მათზე ზრუნავს**

პარიზშიც და ლონდონშიც ტურისტები ადგილობრივ ხელისუფლებებს მათი პრობლემებისადმი გულგრილობაში ადანაშაულებენ.

**პარიზში ჩინელმა პოლიციელებმა არა მხოლოდ თავიდან უნდა აიცილონ თანამემამულეების წინააღმდეგ დანაშაულებები, არამედ უნდა დაარწმუნონ კიდეც ჩინელები, რომ საფრანგეთი მათზე ზრუნავს.** გარდა ამისა, ისინი დაეხმარებიან ფრანგ კოლეგებს სამართალდარღვევების მიგნებაში, რადგან, თუ ტურისტებს ენობრივი ბარიერი აღარ ექნებათ, ისინი, დიდი ალბათობით, აცნობებენ ამგვარი შემთხვევების თაობაზე პოლიციას.

ახლა ევროპელმა ჯიბის ქურდებმა იციან, რომ გამოძიება, შესაძლოა, საერთოდ არ ჩატარდეს, თუ მსხვერპლად ფრანგულის არმცოდნე ტურისტებს აირჩევენ და დაუზღვეველ ნაღდ ფულს მოიპარავენ.

პარიზიცა და ლონდონიც ახლა აქტიურად იბრძვიან ახლო აღმოსავლეთიდან და აზიის ქვეყნებიდან მომავალი ტურისტების უსაფრთხოებისთვის. ჯერჯერობით აზიელი ტურისტების მხრივ პარიზი ლიდერობს, ახლო აღმოსავლელების მხრივ კი — ლონდონი. ზემოხსენებულმა ზომებმა საფრანგეთს ამ ბრძოლაში, შესაძლოა, უპირატესობა მოაპოვებინოს.

**The Atlantic Cities**

11 სექტემბრის ტერაქტებმა აჩვენა, რომ, მიუხედავად გამეფებული აქსიომისა, ამერიკული სამხედრო უპირატესობა ვერ ურუნველყოფს არა მხოლოდ გლობალურ სტაბილურობას, არამედ ხელს უწყობს აშშ-ის უშიშროებისთვის ახალი საფრთხეების წარმოქმნას, როგორც თავად ქვეყნის შიგნით, ისევე საზღვარგარეთ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მითი აშშ-ის გლობალური მშვიდობისმყოფელობის შესახებ

**როგორც ჩანს, გააცნობიერეს, რომ ამერიკული ერთპოლარული მოძრაობა დასასრულს მიუახლოვდა და საერთაშორისო სისტემა ნელ-ნელა მრავალპოლარულ სახეს იღებს, ზოგიერთი მეცნიერი გვაფრთხილებს, რომ მოვა დრო, როდესაც ამერიკული იმპერია მოგვენატრება. მაგალითად, წამყვანი ნეოკონსერვატული მოაზროვნე რობერტ კაგანი წინასწარმეტყველებს: „თუ და როდესაც ამერიკული ძალა შესუსტდება, მასთან ერთად დაეცემა ის ინსტიტუტები და ნორმები, რომლებსაც ის უჭერს მხარს. ან ისინი შეიძლება სრულად ჩამოინგრეს, როდესაც სხვა მსოფლიო წესრიგსა თუ უწესრიგობაზე გადასვლას დავიწყებთ; ან შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ აშშ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ახლანდელი მსოფლიო წესრიგის შენარჩუნებაში და რომ ამერიკული ძლევამოსილების ალტერნატივა, მშვიდობა და ჰარმონია კი არა, ქაოსი და კატასტროფაა. სწორედ ასე გამოიყურებოდა მსოფლიო ამერიკული წესრიგის დამყარებამდე“.**




ბოლო პერიოდში კაგანი და სხვები მკვეთრად აკრიტიკებენ ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკას მისი უუნარობის გამო, წინ აღუდგეს ამერიკის არამეგობრებს. ისინი კიდევ უფრო აგზნებულები ხდებიან, როდესაც ახსენდებათ მოსალოდნელი გლობალური უწესრიგობის შავბნელი შედეგი, რომელიც ვითომდა დადგება ამერიკული ძლევამოსილების შესუსტებისთანავე. „ვიღაცას გაეხარდება ამერიკის შემაკავებელი ძალის დაქვეითება, მაგრამ, სადაც უნდა ცხოვრობდნენ, ამ ადამიანებმა, შესაძლოა, აღმოაჩინონ, რომ ძველი წესრიგის სანაცვლოდ დამყარებული სისტემა გაცილებით უარესია“, — დაასკვნეს ჟურნალ „Economist“-ში გამოქვეყნებული უცნაური თემის ავტორებმა, რომლებიც აღნიშნავენ, რომ „დღეს ამერიკა ძველებურად უკვე აღარ აშფოთებს მტრებს და სიმშვიდესა და სულის სიმხნევეს არ იწვევს მეგობრებში“. ამის შემდეგი დასკვნაა, რომ „ამერიკული ძლევამოსილება იმის ნახევრადაც არაა საშიში, რამდენადაც საშიშია მისი არარსებობა“.

ანალოგიურად მოაზროვნეთა თვალსაზრისით, აღსასრული დადგება, თუ აშშ არ გადადგამს ნაბიჯებს სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის ჩამოგდებისთვის, არ აიძულებს რუსეთის ხელისუფლებას, თავი დაანებოს უკრაინას, არ დაიცავს თავიანთ მოკავშირეებს აღმოსავლეთ აზიაში ჩინეთთან ტერორიული დავისას, არ დაუსვამს წერტილს ირანის ბირთვულ პროგრამას, არ შეათანხმებს მშვიდობაზე ისრაელსა და პალესტინას და ასე შემდეგ, თითქმის დაუსრულებლად.

ჩვენთვის ცნობილი მსოფლიო წესრიგის მოახლოებული აღსასრულის ეს და მსგავსი პროგნოზები ემყარება წინააღმდეგობებს, საღი აზრის თვალსაზრისით.

როდესაც ეს კრიტიკოსები იხსენებენ მსოფლიო სტაბილურობის ძველ კარგ დროს, რომელსაც, მათი რწმენით, ამერიკული ჰეგემონია განაპირობებდა და იცავდა, ისინი საუბრობენ არა ცივი ომის პერიოდზე, არამედ ბერლინის კედლის დაცემის შემდგომ პერიოდზე და იმაზე, რასაც საბჭოთა კავშირის დამარცხებას უწოდებდნენ.

ამერიკის სამხედრო მბრძანებლობის ის ოქროს საუკუნე, რომლის წყალობითაც ვითომდა ხერხდებოდა მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფა, სავარაუდოდ, დასასრულს უახლოვდება და ეს ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ პრეზიდენტი ბარაკ ობამა „ხმამაღლა ფიქრობს ამერიკის ძალაუფლების საზღვრების შესახებ“, ასევე ავითარებს „იდეას, მზრდი ამერიკული მოკრძალებულობის შესახებ“. ამგვარი მოკრძალეულობა, თავის მხრივ, არასწორ სიგნალს უგზავნის მთელი მსოფლიოს მასშტაბით „ცუდ ბიჭებს“ და შთააგონებს მათ, რომ გამოწვევა ესროლოს ამერიკულ ძლევამოსილებასა და მის რეგიონულ პარტნიორებს (საუდის არაბეთსა და ისრაელს ახლო აღმოსავლეთში, პოლონეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს აღმოსავლეთ ევროპაში, იაპონიასა და კორეას — აღმოსავლეთ აზიაში), ეს კი დროთა განმავლობაში ახალ საომარ კონფლიქტებს აჩენს.

შედეგად ამერიკულ კონტინენტსაც არ დარჩება სხვა არჩევანი გარდა იმისა, რომ განცალკევდეს აშშ-ისგან და ცალმხრივად მიიღოს ზომები თავდაცვისთვის, უარეს შემთხვევაში კი ბაშარ ასადის მსგავს ბოროტმოქმედებს გაურიგდეს. „Economist“-ი იმის შესახებაც კი აფრთხილებს მსოფლიოს, რომ პოსტამერიკულ ეპოქაში ისრაელი ინდოეთისა და ჩინეთისკენ გადაიხრება.

მაგრამ მოსინჯეთ და ამგვა-

**ამერიკის სამხედრო მბრძანებლობის ის ოქროს საუკუნე, რომლის წყალობითაც ვითომდა ხერხდებოდა მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფა, სავარაუდოდ, დასასრულს უახლოვდება და ეს ყველაფერი იმის გამო ხდება, რომ პრეზიდენტი ბარაკ ობამა «ხმამაღლა ფიქრობს ამერიკის ძალაუფლების საზღვრების შესახებ»**

რი აზროვნება გამოიყენეთ იმ ახლო წარსულის მიმართ, როდესაც მსოფლიოში ბატონობდა „Pax Americana“ და როდესაც ცივი ომის შემდეგ აშშ იქცა უდავოდ გამარჯვებულ მსოფლიო ზესახელმწიფოდ. მაშინაც კი სადამ ჰუსეინი თავს დაესხა კუვეიტს, გამოიჩინა დემონსტრაციული დაუმორჩილებლობა ერთადერთი დარჩენილი ზესახელმწიფოსა და მის მიერ დამყარებული ახალი მსოფლიო წესრიგის მიმართ. ამიტომ აშშ-ს არ რჩებოდა გამოსავალი გარდა იმისა, რომ სპარსეთის ყურეში თავის მოკავშირეებს დახმარებოდა და გამოეყენებინა სამხედრო ძალა ქუვეითიდან ერაყის ჯარების გასაძევებლად. ყურეში პირველი ომი ერაყისა და ირანის მიმართ „ორმაგი შეკავების სტრატეგიის“ გამოცხადებით დასრულდა და ეს სტრატეგია ითვალისწინებდა რეგიონში ამერიკული ჯარების გამოყენებას.

მიუხედავად ამისა, ამერიკული სამხედრო ძლევამოსილების ამ ეფექტურმა დემონსტრირებამ ვერ შეაშინა კიდევ ერთი „ცუდი ბიჭი“ — სერბი სლობოდან მილოშევიჩი, რომელმაც გამოწვევა ესროლა ამერიკულ დიქტატს და ყოფილ იუგოსლავიაში მიმდინარე სამოქალაქო ომისას სერბების ძალაუფლების გამყარებას შეუდგა, ამიტომ ამერიკელებს კვლავ მოუხდათ სამხედრო ძალის გამოყენება — ამჯერად ბალკანეთში სერბების წინააღმდეგ. ამის შემდეგ აშშ დათანხმდა სერბეთის გახლეჩას და კოსოვოს გამოყოფას. არადა, ეს ეწინააღმდეგებოდა მის მიერვე გამოცხადებულ საერთაშორისო პრინციპს ნაციონალური სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის შესახებ.

ასეა თუ ისე, მიუხედავად აშშ-ის მთელი სამხედრო ძლევამოსილებისა და დიპლომატიური გავლენისა, „Pax Americana“-ს ოქროს საუკუნეში ამერიკელმა პრეზიდენტებმა ვერ შეძლეს მსოფლიო წმინდა მიწაზე მიეყვანათ (ერთადერთი წარმატებული შეთანხმება, რომელსაც ოსლოში მოეწერა ხელი, მიღწეულ იქნა ისრაელელებსა და პალესტინელებს შორის ორმხრივი მოლაპარაკების შედეგად), ვერ შეძლეს, შეემცირებინათ ბაღდადში სადამის ძალაუფლება, თეირანში კი — აიათოლასი. მათ ისიც კი ვერ შეძლეს, რომ წინ აღდგომოდნენ ხელისუფლებების სათავეში ამერიკის ახალი მტრების მოსვლას, მაგალითად, უგო ჩავესის გაპრეზიდენტებას ვენესუელაში.

შემდეგ კი 11 სექტემბრის ტერაქტებმა აჩვენა, რომ, მიუხედავად გამეფებული აქსიომისა, ამერიკული სამხედრო უპირატესობა ვერ ურუნველყოფს არა მხოლოდ გლობალურ სტაბილურობას, არამედ ხელს უწყობს აშშ-ის უშიშროებისთვის ახალი საფრთხეების წარმოქმნას, როგორც თავად ქვეყნის შიგნით, ისევე საზღვარგარეთ.

ამერიკამ კვლავ დაიწყო ხანგრძლივი და ძვირად ღირებული ომები ჯერ ავღანეთში, შემდეგ კი ერაყში. არის რაღაც ამორალური იმაში, რომ კაგანი, „Economist“-ი და დიდ ახლო აღმოსავლეთში უსახელო ომების სხვა მომხრენი კვლავ იწყებენ მტკიცებას, რომ თითქოს მხოლოდ ამერიკის სამხედრო ძალის სრულმასშტაბიანი გამოყენებით შეიძლება აგრესიის შეკავება და სტაბილურობის ფუნდამენტის აგება. კარგი იქნებოდა, გარკვეული ინტელექტუალური თავშეკავება და მოკრძალება გამოეჩინათ იმ ყოვლისმცოდნეებს, რომელთა საყვარელმა პოლიტიკამაც 11 სექტემბრის შემდეგ ხელი შეუწყო ახლო აღმოსავლეთის დესტაბილიზებას, ირანისა და მისი შიიტი პარტნიორების ძალაუფლების გამყარებას, დროთა განმავლობაში კი — ამერიკის სამხედრო და ეკონომიკური ძლევამოსილების შესუსტებას.

ამის ნაცვლად ისინი კვლავაც მოუწოდებენ ვაშინგტონს, იმოქმედოს მკაცრად და სამხედრო ძალა გამოიყენოს როგორც აგრესორთა დასაშინებლად, ასევე ომების თავიდან ასაცილებლად. ამავე დროს, მათივე მოწოდებით, უნდა მოახერხოს ისიც, რომ ბალტიისპირეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს არ დასჭირდეთ დიპლომატიური გარიგებები თავიანთ ძლიერ მეზობლებთან, ისრაელს კი — დელისა და პეკინისკენ გადაბარგება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი ვაშინგტონისგან მოითხოვენ, გააკეთოს ყველაფერი, რათა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საკუთარი პოლიტიკა მრავალპოლარულობის ახალ ეპოქას ვერ მოარგოს.



**The American Conservative**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მემარცხენე ექსტრემიზმი უფრო სასტიკი ხდება, რადგან, ერთი მხრივ, მწვავდება დაპირისპირება მემარჯვენე და მემარცხენე ექსტრემისტებს შორის; მეორე მხრივ კი, ძლიერდება მემარცხენე ექსტრემისტების იდეოლოგიური რადიკალიზაცია იმ პოლიციის მიმართ, რომელსაც ახლა ისინი არა მხოლოდ დაბრკოლებად, არამედ მთავარ მტრად მიიჩნევენ.“**

# გერმანია რადიკალიზდება

**გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტომას დე მეზიერმა რამდენიმე დღის წინათ წარმოადგინა ანგარიში, რომელშიც ასახულია ქვეყანაში 2013 წლის მანძილზე მომხდარი პოლიტიკურად მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებული მდგომარეობა. მთლიანად ფედერაციაში სულ დარეგისტრირებულია 31 545 ამგვარი შემთხვევა, რაც 15,3%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს. ამ დანაშაულებიდან 8673 ჩადენილია იმ პირების მიერ, რომელთაც შინაგან საქმეთა სამინისტრო მემარცხენე პოლიტიკური სპექტრის მხარდამჭერებს მიაკუთვნებს (40,1%-იანი ზრდა), ხოლო 17 024 — მემარჯვენე სპექტრის მიერ (3,3%-იანი შემცირება). 1354 დანაშაული ძალადობის გამოყენებითაა ჩადენილი (38%-იანი ზრდა), მათგან 84% მემარცხენე ექსტრემისტების ნახელავია. როგორც დე მეზიერმა გაუსვა ხაზი, „ძალადობამ განსაკუთრებით იმატა დემონსტრაციებისა და მიტინგების ჩატარებისას. დამნაშავენი სულ უფრო სასტიკნი ხდებიან“.**



11,2%-ით გაიზარდა ქსენოფობიის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა და იგი 3149 ერთეულს გაუტოლდა. ყველა დარეგისტრირებული დანაშაულის დაახლოებით 9% (2839) მიმართული იყო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში არჩევნების წინააღმდეგ. მინისტრის განცხადებით, ეს დაახლოებით ისეთი ქმედებებია, როგორიცაა წინასაარჩევნო მასალების განადგურება ან პროცესის ჩაშლა.



„კანონზომიერია სააგიტაციო მასალების განადგურების ყველა შემთხვევის მიკუთვნება არჩევნების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისთვის? — სვამს კითხვას ცნობილი გერმანელი პოლიტოლოგი პეტერ ნოვაკი და თავადვე პასუხობს: — წინასაარჩევნო პლაკატები, შესაძლოა, ჩამოხიონ არა მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით, არამედ, ვთქვათ, ესთეტიკური მოსაზრებებითაც. გამვლელს არ მოეწონება კონკრეტული პოლიტიკოსის სახე და ჩამოხევს. კი, ეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა, მაგრამ საეჭვოა, ამაში პოლიტიკური ქვეტექსტის ძიება ღირდეს. ხოლო თუ მოზარდი პოლიტიკოსის სახეს პლაკატზე სათვალეს, წვერსა და ულვაშს მიახატავს, ამ მოზარდსაც პოლიტიკურ ექსტრემისტად გამოვაცხადებთ?“

„ოფიციალური სტატისტიკა არ ასახავს პრობლემის რეალურ მასშტაბებს, — ამბობს ბუნდესტაგის დეპუტატი, პარლამენტის იურიდიული კომიტეტისა და ევროპული სამართლის ქვეკომიტეტის წევრი ევა ჰიოგლი. — ამას მოწმობს დიდი სხვაობა სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებული გამოძიებების შედეგებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებს შორის. თუ ადრე ქსენოფობიური რიტორიკა ძირითადად მიგრანტების წინააღმდეგ იყო მიმართული, ახლა თავად მიგრანტები ავლენენ ძალზე აგრესიულ განწყობას ადგილობრივი მოსახლეობის მთელი რიგი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წინააღმდეგ. ეს და სხვა კრიტიკული შენიშვნები მოყვანილია ევროსაბჭოს რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის ანგარიშში, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა და რომლის ავტორები მკაცრად აკრიტიკებენ გერმანიას იმის გამო, რომ ის დროს უთმობს მემარჯვენე ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და ყურადღებას არ აქცევს რასიზმისა და დისკრიმინაციის სხვა გამოვლინებებს, კერძოდ, ანტისემიტურ გამოსვლებს მუსლიმანურ წრეებში“.

მინისტრის ანგარიშზე კომენტარი გააკეთა კონსტიტუციის დაცვის ფედერალური უწყების პრეზიდენტმა ჰანს-გეორგ მაასენმაც: „მემარცხენე ექსტრემიზმი უფრო სასტიკი ხდება, რადგან, ერთი მხრივ, მწვავდება დაპირისპირება მემარჯვენე და მემარცხენე ექსტრემისტებს შორის; მეორე მხრივ კი, ძლიერდება მემარცხენე ექსტრემისტების იდეოლოგიური რადიკალიზაცია იმ პოლიციის მიმართ, რომელსაც ახლა ისინი არა მხოლოდ დაბრკოლებად, არამედ მთავარ მტრად მიიჩნევენ. ჩვენ განსაკუთრებით გვაშფოთებს იმ პირების რაოდენობის ზრდა, რომლებიც შინაგანად მზად არიან პოლიციელის ან ნებისმიერი სხვა მოწინააღმდეგის მკვლელობისთვის. და ამგვარი რადიკალიზაცია ხდება არა ერთ რომელიმე ჯგუფში, ეს ხდება მთელი ულტრამემარცხენე სპექტრის შიგნით. რიცხოვნებით ის დიდი არაა — ჩვენი გათვლებით, 2013 წელს სულ 28 000 მემარცხენე ექსტრემისტი იყო, მაგრამ მათგან დაახლოებით 7 000 მუდმივად მზად არის ძალადობის გამოყენებისთვის“.

ევროსაბჭოს რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის ანგარიშში გერმანული სისხლის სამართლის კანონმდებლობის სერიოზული ნაკლის სახით მოხსენიებულია ისიც, რომ ქსენოფობია, როგორც საკვალიფიკაციო ნიშანი, არ წარმოადგენს დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას. ამ ჩავარდნაზე ევროსაბჭოს რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისია გერმანიის ფედერაციას ჯერ კიდევ 2008 წელს მიუთითებდა, მაგრამ რეაგირება ამ დრომდე არ მომხდარა. კომისია ახლაც მოუწოდებს გერმანიას, მიბაძოს ევროკავშირის სხვა ქვეყნებს და განაჩენების გამოტანისას ქსენოფობიური მოტივები დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად განიხილოს.

**Русская Германия**

# დავიცვათ ევროპა ევროკავშირისგან




**ევროპული იდენტურობა არსებობს. ის სათავეს იღებს კონტინენტის მრავალფეროვნებიდან და ერთდროულად წარმოადგენს ძალასაც და სისუსტესაც. მაგრამ ის, რაც ევროპას აყალიბებს, არ შეიძლება ბრიუსელის მიერ განისაზღვრებოდეს.**

ევროპის ძალაცა და სისუსტეც მისი მრავალფეროვნებაა და ეს წინააღმდეგობა უძველესი დროიდან განსაზღვრავს ევროპისა და ევროპელების იდენტურობას. სწორედ მან განაპირობა ევროკომისიის აბსოლუტიზმის მიუღებლობა. მოახლოებული არჩევნების წინ ევროპარლამენტში დგება საკითხი იმის შესახებ, საკმარისია თუ არა ევროკავშირის პრინციპის ერთიანობის ფორმირებისთვის 100 ათასი გვერდის მოცულობით საკანონმდებლო აქტების შეკრება. მოკლე პასუხია — არა.

მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ამ კითხვაზე სრული პასუხი. მან ორი ფუნქცია უნდა შეასრულოს — აირეკლოს ხალხთა წარსული და მზერა მიმართოს ევროპისა და ევროპელების სამომავლო მიზნებსა და შესაძლებლობებზე არასენტიმენტალურ გლობალურ ცივილიზაციაში, რომელიც არავის პატიობს სისუსტეს, ეგზისტენციალურ ფიქრში ძირავს ევროპის სამრეწველო დემოკრატიებს და აამუშავებს დემოგრაფიულ გადანაწილებებს, რომელთა ტემპებსაც ევროპა ვერ უძლებს.

**ევროპას სულიერი და ინტელექტუალური გარღვევები აქვს, მაგრამ ისინი არ იზრდება მეტი ცენტრალიზაციითა და დირიჟორობით — ამ მოდელმა მთელ მსოფლიოში კრახი განიცადა ამა თუ იმ დოზით.** თვით მზისქვეშეთის აღორძინებაც კი არ გამოდგება კონტრარგუმენტად. გაწყვეტა არის ევროპული კულტურისთვის დამახასიათებელ ძალებში, ამ კულტურის ყველა წინააღმდეგობაში, დისონანსსა და ეჭვში. ამასთან, ის, რაც ევროპულად ითვლება, განისაზღვრება არა ევროკომისიისა და ასოცირებული მინისტრთა კაბინეტების მიერ, არამედ თავად ხალხებით ყველა მათი წინააღმდეგობით.

ევროპა არ არის ერთიანი მატერიკული მასა, როგორიც ჩრდილოეთ ამერიკა, რუსეთი ან ჩინეთია. ეს არის კუნძულებისა და ნახევარკუნძულების ნაკრები, ევრაზიული კონტინენტის დასავლეთ ნაპირის მომცრო ნაწილი და ამავე დროს ატლანტიკური სისტემის ნაწილი.

ევროპა ერთ კონტინენტს განეკუთვნება, ეს ხელს უნდა უწყობდეს გამაერთიანებელი შტრიხების ჩამოყალიბებას, მაგრამ გეოგრაფია და ისტორია მიანიშნებს განვითარებაზე, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე ცენტრიფუგაში მოძრაობას ჰგავს. ისტორია და კულტურა განისაზღვრება წინააღმდეგობებით და კონკურენციით და არა ერთიანი იდეოლოგიური კონცეფციით.

სადაც ერთობა იყო, იქ ამ ერთობამ დიდხანს ვერ გასტანა — ვერც კარლ დიდის სახელმწიფოში, რომელმაც მისი შვილების სიცოცხლეშივე დაიწყო დაშლა, ვერც რომის იმპერიაში, ვერც ნაპოლეონის დროს და ვერც ჰიტლერის დროს.

„ერთი ღმერთი, ერთი მეფე, ერთი კანონი“, — ასეთი იყო ფრანგული სახელმწიფო წყობის დევიზი. ის სხვა ევროპულ სახელმწიფოებზეც ვრცელდებოდა იმ დრომდე, ვიდრე XX საუკუნეში არსებობა არ შეწყვიტა უდიდესი რაოდენობით მსხვერპლის მოტანის შემდეგ. ბრიუსელელი ავტოკრატები თვლიან, რომ მათი ისტორიული ამოცანაა, უსაფრთხო გახადონ ევროპა ცენტრალიზაციის გზით და მისი გაერთიანება ძველი დემონების წინააღმდეგ. მაგრამ ეს არაფერს შეცვლის იმაში, რომ კოპენჰაგენიდან ვენამდე ყველა ხალხს სურს, გადაარჩინოს რაღაც მნიშვნელოვანი. ფრანგებსაც, პოლონელებსაც, იტალიელებსაც სურთ, საკუთარი ცხოვრების წესი შეინარჩუნონ და ევროპარლამენტის არჩევნებზე უმრავლესობაში აღმოჩნდებიან ევროსკეპტიკები და ისინი, ვინც წინააღმდეგ მისცემენ ხმას.

**აშშ-ის გერბზე ამოტვიფრულ დევიზს „E pluribus unum“ („ბევრიდან — საერთო“) თვით აშშ-შიც კი გააჩნია საზღვრები. აშშ-ის თავდაჯერებულობა, რომ ის მსოფლიოს უსაფრთხოს გახდის, უცხოა ევროპელთათვის. ევროპაში მსგავსი არაფერი ხდება.**

ევროპული იდენტურობა? იმისგან განსხვავებით, რაც დიდი ხნის მანძილზე იგულისხმებოდა, მას არ შეუძლია შეინარჩუნოს გერმანული ფედერალიზმის მოდელი. „ახალი ტიპის სახელმწიფოთა კავშირი“, — ასეთი დასკვნა გააკეთა ორი ათწლეულის უკან ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ და დანარჩენი საკითხების გადაჭრა დააკისრა კომისიასა და კავშირის წევრ ქვეყნებს. მაგრამ როდესაც ეს უკანასკნელნი ფიქრობდნენ, რომ ბრიუსელური კეთილისმყოფელობის თანხიდან რაღაც უფრო მეტი გამოდნებოდა, ცდებოდნენ. ევროპული იდენტურობა ასე არ იქმნება.

ამასთან, ეს იდენტურობა, უკვე დიდი ხანია, არსებობს, უბრალოდ, საჭიროა მისი გაცნობიერება და აღიარება, საჭიროა მისი მიღება ყველა წინააღმდეგობრიობით და საჭიროების შემთხვევაში კომისიებისგან, მინისტრთა საბჭოებისგან და ტექნოკრატიისგან დაცვა.

**Die Welt**

„ჩვენ მათგან უნდა ვიცავდეთ თავს, რადგან სწორედ ისინი გვესხმიან თავს და გვდევნიან. ვინ ვართ ჩვენ? — ისრაელელი ქრისტიანები, ისეთები, როგორებიც არიან იტალიის, ამერიკის ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის ქრისტიანები“.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ისრაელელი ქრისტიანები ჯიჰადს ებრძვიან



**ისინი მამაცები არიან, სძულთ კონფორმიზმი და საფრთხე და გრძნობენ, რომ დრო არ ითმენს. ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანები ალყაში არიან. ისინი მზარდი ჯიჰადიზმის საფრთხის წინაშე დგანან და გადარჩენის ახალ სტრატეგიას ეძებენ. მათ სწამდათ, რომ დასავლეთი დაეხმარებოდათ, მაგრამ ილუზიები გაქარწყლდა.**

ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანებს, ისევე, როგორც ებრაელებს, მიიჩნევენ მტრებად, რომლებიც უნდა განადგურდნენ. „ჩვენ გვდევნიან და გვხოცავენ, წვავენ ჩვენს ტაძრებსა და მონასტრებს“, — ამბობს ქრისტიან-მარონიტი შადი ხალული, რომელიც ლიბანის საზღვართან ცხოვრობს. წარსულს ჩაბარდა პანარაბიზმის იდეები, ახლა ძალადობის გზას მისდევენ“.

ყოველდღიურად სირიაში, ერაყში, ლიბანსა და მუსლიმანური მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ქრისტიანები მსხვერპლნი ხდებიან. „ჩვენ გვსურს ქრისტიანი ახალგაზრდობის სრული ინტეგრაცია ამ ქვეყნის (ისრაელის) საზოგადოებაში“, — განაცხადა მკაცრმა და ავტორიტარულმა მღვდელმა, ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნეთა ლიდერმა, მამა გაბრიელ ნადაფმა.

ნადაფი რელიგიური სასამართლოს მოსამართლე, ისრაელში ბერძენი პატრიარქის ყოფილი პრესმდივანი და ჰაიფის, აკკოსა და ნაზარეთის მოქმედი მღვდელია. იგი ამბობს: „ჩვენ გვსურს, ბოლო მოვუღოთ ტყუილს, რომლის თანახმადაც არაბებად მიგვიჩნევენ. ჩვენ ისრაელელი ქრისტიანები ვართ და არა ისრაელელი არაბები. აგერ უკვე 65 წელია, ცდილობენ, ეს ტყუილი ჩაგვინერგონ. ჩვენ განვეკუთვნებით ქრისტიანულ თემს მსოფლიოს ამ ნაწილში ებრაელების შემდეგ უძველეს თემს. ჩვენ გვაწამებდნენ და ძალით გვაზიარებდნენ ისლამს, მიჩვეული ვართ, ვიყოთ ფარი და ტროას ცხენი. არაბები, თვით პარლამენტში არჩეულნიც კი, ზიზღით უყურებენ თავიანთ საოცარ გამართლებას, მოუწოდებენ ისრაელის წინააღმდეგ ომისკენ და ამავე დროს იღებენ მაღალ ხელფასებს, პენსიებს, დაზღვევებს და სარგებლობენ სრული თავისუფლებით. მათ იციან, რომ ამგვარი თავისუფლება მხოლოდ აქ არსებობს, მაგრამ მაინც სიკვდილით ემუქრებიან ისრაელს და ამბობენ, რომ იცავენ მუსლიმანებსა და ქრისტიანებს. მაგრამ ვისგან იცავენ? ჩვენ მათგან უნდა ვიცავდეთ თავს, რადგან სწორედ ისინი გვესხმიან თავს და გვდევნიან. ვინ ვართ ჩვენ? — ისრაელელი ქრისტიანები, ისეთები, როგორებიც არიან იტალიის, ამერიკის ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის ქრისტიანები“.

გაბრიელ ნადაფი მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად ნაზარეთში ცხოვრობს, იქ მოსახლეობის მხოლოდ 20%-ს შეადგენენ ქრისტიანები. „მე ვცხოვრობ, ცეცხლში“, — ამბობს იგი იმ რისკიდან გამომდინარე, რომლის წინაშეც დგას სახლიდან ყოველი გამოსვლისას. მაგრამ იგი მზადაა, ბოლომდე იბრძოლოს: „საჭიროა გამბედაობა. ჩვენი მომავალი ისრაელს უკავშირდება. წარმოიდგინეთ, რომ მტრებმა გაიმარჯვონ ისრაელზე. ეს ამ რეგიონში ყველა ქრისტიანისთვის აღსასრულის ტოლფასი იქნება, ამიტომაც ჩვენ არ შემოვიფარგლებით მხოლოდ საუბრებით, ჩვენ ვმოქმედებთ, ვიბრძვით ისრაელის ჯარში, როგორც ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც სხვა მოქალაქეების მსგავსი უფლებები და ვალდებულებები აქვთ. ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა სხვების თანასწორად მსახურობდეს ისრაელის არმიაში.

ეს ნამდვილად რევოლუციური მსოფლმხედველობაა. მამა ნადაფის მარჯვენა ხელი არის ენერგიული და უშიშარი რეზერვისტი პარაშუტისტი ქრისტიან-მარონიტი შადი ჰასანი, რომელიც ლიბანის საზღვარზე ცხოვრობს. მან დააარსა „რეკრუტ-ქრისტიანთა შეკრების ფორუმი“. ნადაფის ერთ-ერთი შვილი გატაცებული იყო, მას ხელი მოსტეხეს და შემდეგ გაუშვეს, მაგრამ 17 წლის ბიჭმა მაინც გადაწყვიტა, არმიაში იმსახუროს.

ქრისტიანებს ღალატსა და არაბი მოძმეების წინააღმდეგ იარაღის მიმართვისთვის მზადყოფნაში ადანაშაულებენ. ორმა არაბულმა პარტიამ — „ხადაშმა“ და „ბალადმა“ ზურგი აქციეს მათ. პარლამენტის წევრ ბასილია გატასას ბრალი დასდეს, რომ მამა ნადაფის წინააღმდეგ ძალადობისკენ მოუწოდებდა. „ნუ გვიწოდებთ არაბებს, ეს ისტორიის დამახინჯებაა. წმინდა მიწაზე ჩვენ ჯერ კიდევ იმ ისლამურ დაპყრობებამდე ვცხოვრობდით, რომლებმაც ზოგიერთი ჩვენგანი აიძულა, ისლამი მიეღო. ზოგიერთები გააბითურეს და ჩაითრიეს თამაშში, რომელიც გუშინდლამდე გრძელდებოდა. მე, უბრალოდ, ქრისტიანი ვარ, — ამბობს შადი ხალული და არაბულ ენაზე კითხულობს „მამაო ჩვენოს“, ისევე, როგორც იესო აკეთებდა ამას, — მაგრამ მთავარი არმიაა. ჩამოვიდეს პაპი, იგი დიადი ადამიანია, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თავს დაანებებს დიპლომატიის ენას და ქრისტიანთა დაცვაზე გადავა. მან უნდა გამოთქვას საკუთარი აზრი მომაკვდინებელი სიძულვილის შესახებ, უნდა უბიძგოს ევროკავშირს, დაიცვას ადამიანთა უფლებები არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ საქმითაც“.

**«გვსურს, ბოლო მოვუღოთ ტყუილს, რომლის თანახმადაც არაბებად მიგვიჩნევენ. ჩვენ ისრაელელი ქრისტიანები ვართ და არა ისრაელელი არაბები. აგერ უკვე 65 წელია, ცდილობენ, ეს ტყუილი ჩაგვინერგონ. ჩვენ განვეკუთვნებით ქრისტიანულ თემს, მსოფლიოს ამ ნაწილში ებრაელების შემდეგ უძველეს თემს»**




LSBlog

# ამერიკული და ჩინური სპეცსამსახურები ერთნაირ მეთოდებს იყენებენ

**ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო მოსასმენ მოწყობილობებს აყენებს ზოგიერთ აპარატურაში, რომელიც აშშ-ში იწარმოება და ექსპორტირდება. ეს დასტურდება ჟურნალისტ გლენ გრინვალდის წიგნში, რომელიც დაეხმარა ედვარდ სნოუდენს ამერიკული მასობრივი თვალთვალის გამოაშკარავებაში. წიგნი სულ მალე გამოვა გაყიდვაში, „The Guardian“-მა კი ამონარიდები უკვე გამოაქვეყნა.**

**„მრავალი წლის მანძილზე ამერიკის ხელისუფლება მთელ მსოფლიოში გაჰყვიროდა, რომ ჩინური როიტერები, ისევე, როგორც ინტერნეტში ჩართული სხვა მოწყობილობები, საფრთხეს წარმოადგენდა, რადგან შეიცავდა „ბექდორს“, რომელიც ჩინეთის ხელისუფლებას საშუალებას აძლევდა, ამ მოწყობილობებს მომხმარებელთათვის ეთვალთვალა. როგორც არ უნდა იყოს, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ამერიკელები თავად იყვნენ დაკავებულნი იმით, რაშიც ასე აქტიურად ადანაშაულებდნენ ჩინელებს“.**

თავის მტკიცებაში გლენ გრინვალდი ეყრდნობა 2010 წლის ივნისით დათარიღებულ დოკუმენტს, რომელშიც ნათქვამია, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო რეგულარულად იღებს როუტერებს, სერვერებსა და სხვა საექსპორტოდ გამზადებულ მოწყობილობებს მანამ, ვიდრე მათ უცხოელ კლიენტებს გადასცემენ“.

ამ სიახლეს შოკის მომგვრელს ვერ დავარქმევთ იმ საშუალებათა უფართოესი სპექტრის შემდეგ, რომლებიც უკვე აამოქმედა ამერიკულმა სააგენტომ მთელ მსოფლიოში ადამიანთა სათვალთვალოდ და მოსასმენად.

დიდი ხანია, მრავალი სპეციალისტი ირწმუნება, რომ ამჟამად საკვანძო თემაა ქსელური მოწყობილობები, რომელთაც დიდწილად ამერიკული კომპანიები აწარმოებენ (Cisco, Juniper, Alcatel-Lucent). ისინი არ გამოირჩევიან საიმედოობით ბექდორების განზრახ ჩამონტაჟების გამო, მაგრამ ამ დრომდე მთელი ეს მტკიცებულებები არაფრით იყო გამყარებული.

ზუსტად ანალოგიურ ბრალდებებს უყენებენ ამერიკელები ჩინურ კომპიუტერულ გიგანტებს — „Huawei“-სა და „ZTE“-ს. კონგრესის დაზვერვის საკითხთა კომისიამ გამოიყენა კიდეც ეს არგუმენტის სახით განცხადებაში, რომ **„აშშ-მა ყურადღებით უნდა ადევნოს თვალი ჩინური კომპანიების წინსვლას ამერიკულ ტელეკომუნიკაციურ ბაზარზე“.**



გარდა ამისა, ავსტრალია, რომლის სპეცსამსახურებიც აქტიურად თანამშრომლობენ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოსთან, უარს აცხადებს ჩინურ საწარმოებთან მუშაობაზე ფართოზოლოვანი წვდომის ნაციონალური ქსელის პროექტის მიმართულებით. საფრანგეთში კი სენატორი ჟან-მარი ბოკელი თავის ანგარიშში აღნიშნავს, რომ „Huawei“ უნდა აიკრძალოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, რადგან ეს აპარატურა საფრთხეს წარმოადგენს ნაციონალური უსაფრთხოებისთვის. ეს კი უკვე სასაცილო აღარ არის.

Slate.fr

**ამ სიახლეს შოკის მომგვრელს ვერ დავარქმევთ იმ საშუალებათა უფართოესი სპექტრის შემდეგ, რომლებიც უკვე აამოქმედა ამერიკულმა სააგენტომ მთელ მსოფლიოში ადამიანთა სათვალთვალოდ და მოსასმენად**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უმაღლესი პოლიტიკური პილოტაჟი — ეს არის შეაჩეჩო მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მისი პრობლემების მოგვარების გზები, რომლებიც სინამდვილეში ამ პრობლემების გაღრმავებას გამოიწვევს. საბოლოო ჯამში, ეს ყოველთვის იწვევს ერთი ქვეყნის გახრწნასა და დაცემას და მეორე ქვეყნის აყვავებას.**




# ეძებეთ ნავთობი

მსოფლიო უკვე მიეჩვია, რომ აშშ მსოფლიოზე გასაბატონებლად სიცრუის პოლიტიკას არ ერიდება და ამისთვის მზად არის, სხვა სახელმწიფოს მოსახლეობის ინტერესები იოლად გაწიროს. როგორც ჩანს, ახლა უკრაინის ჯერი დადგა. აშშ უკრაინას და მის „მაიდნურ" ხელისუფლებას, ინვესტიციების სანაცვლოდ, ბინძური ენერგეტიკული ტექნოლოგიების გამოსაცდელ პოლიგონად გადაქცევას უპირებს. ამით მოგებული დარჩება ამერიკის ელიტა, რომელიც, ოფიციალური კიევის ჩუმი თანხმობით, უკრაინის ძირითად ენერგეტიკულ ობიექტებს გააკონტროლებს. სწორედ ამის დასტურია ბუნებრივი აირის მწარმოებელი უდიდესი უკრაინული კომპანია Burisma Holdings-ის (მმართველი კომპანია რეგისტრირებულია კვიპროსის ოფშორულ ზონაში) დირექტორთა საბჭოში რამდენიმე ჰანტერ ბაიდენის დანიშვნა. ჰანტერ ბაიდენი არის აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენის უმცროსი ვაჟი. ამ კომპანიაში თავიანთი „წილი" მიიღეს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის შვილობილმა დევონ არჩერმა და პოლონეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ალექსანდრე კვასნიევსკიმ, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში აშშ-ის ბრძანებების უსიტყვო შემსრულებლის რეპუტაციით სარგებლობს.

გაზის მწარმოებელ უკრაინულ კერძო კომპანიას (2013 წელს მოიპოვა 450 მლნ კუბ.მ) აქტივები აქვს დნეპროპეტროვსკ-დონეცკის, კარპატებისა და აზოვ-ყუბანის აუზებში, ყველაზე დიდი საბადო კი პოლტავის ოლქშია. „მაიდანის" გამარჯვების შემდეგ, როგორც ჩანს, აშშ-ისთვის დადგა მომენტი, უკრაინაში თავისი ხალხი დანიშნოს და დაიწყოს ფიქლური გაზის წარმოება. აშშ-ს ხომ ნავთობისა და გაზის „წყურვილი" ახრჩობს?!

სწორედ ამ თემას ეძღვნება პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და პუბლიცისტის — ნიკოლაი სტარიკოვის წიგნი „ეძებეთ ნავთობი. რატომ არის ჩვენი სტაბილიტაციის ფონდი იქ?"



## ანოტაცია

წიგნი ნათლად წარმოაჩენს, რომ თანამედროვე პოლიტიკა სანავთობე მილის გარშემო ბრუნავს. თუ გავაცნობიერებთ, რომ ნახშირწყალბადების გასაკონტროლებლად ბრძოლა პოლიტიკური თამაშების მთავარი ლაიტმოტივია, ბევრი საკითხი ნათელი და გასაგები გახდება. „სიტყვის თავისუფლება", „პატიოსანი არჩევნები", „ბრძოლა დიქტატურასთან" ნავთობის საბადოებზე კონტროლის დაწესების მიღწევის მეთოდებია და სხვა არაფერი. ბრძოლა ენერგორესურსების გასაკონტროლებლად ყოველდღე მიმდინარეობს, მისი გამოძახილით სავსეა ტელეეთერი და გაზეთების ფურცლები, მაგრამ ყველა მოვლენა ჩვენამდე სხვა კუთხით მოაქვთ.

სანავთობე სარჩული უდევს ყველაფერს: სსრკ-ის კრახს, სადამ ჰუსეინის დამხობას ერაყში, დემონსტრაციებს მიანმაში თუ კოლუმბიელი პარტიზანების ბრძოლას. ეს არის პასუხები უაღრესად საინტერესო და საჭირბოროტო კითხვებზე:

- **რატომ განადგურდა სსრკ და შეიძლებოდა თუ არა მისი გადარჩენა?**
- **ვის ეკუთვნის აშშ-ის დოლარი?**
- **რატომ გახდა კომპანია THK-BP (სიდიდით მესამე ნავთობმომპოვებელი კომპანია რუსეთში) მუდმივი ნეგატიური სიახლეების ცენტრი?**
- **რატომ ეცემა ამერიკული ვალუტის კურსი და რა ელის „ბაქსს" უახლოეს პერსპექტივაში?**
- **როგორ იყენებს დასავლეთი ერაყს ჩინეთის წინააღმდეგ საბრძოლველად?**
- **როგორ არის დაკავშირებული კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება ნავთობის ფასებზე?**
- **რა დგას რუსეთის ხელისუფლების ნაბიჯების უკან?**

**პოლიტიკური ინტრიგების არსში ჩაწვდომა ნიშნავს, გაიგო, წარმოიდგინო ჩვენი წარსული და დაინახო მომავალი.**

**რისთვის არის საჭირო სახელმწიფოები? პოლიტიკური აზრი ნებისმიერი სახელმწიფოს ნებისმიერი ხელისუფლებით არსებობისა, ნებისმიერი წყობილების პირობებში, ყოველთვის ერთი და იგივეა. მას რამდენიმე მიზანი აქვს დასახული, რომლებიც უნივერსალური და ერთნაირია ჩვენი პლანეტის ნებისმიერ კუთხეში, ყველა დროებასა და ყველა ხალხისთვის:**
*** ეკონომიკური ექსპანსია;**
*** საკუთარი საშინაო და საგარეო მდგრადობის მხარდაჭერა;**
***კონკურენტი სახელმწიფოს მდგრადობის დარღვევა.**

წარმატებული სახელმწიფოს ხალხი ყოველთვის უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე აუტსაიდერისა. შესაბამისად, თუ ქვეყანა კონკურენტების შერყევისა და თავისი ეკონომიკის მოქმედების ზონის გაფართოებისკენ ისწრაფვის და ამას წარმატებით აკეთებს, მაშინ მისი მოქალაქეები უკეთესად და მდიდრულად ცხოვრობენ და პირიქით. ეს წესი შეუფერხებლად მოქმედებს. **თუ გერმანელები და ფრანგები თავიანთ ქარხნებს ბულგარეთსა და რუმინეთში აშენებენ, მაშინ ისინი იცხოვრებენ კიდეც ბულგარელებსა და რუმინელებზე უკეთ.**

**ნებისმიერ სახელმწიფოს ყოველთვის სურს თავისი მოქალაქეების კეთილდღეობა. მათი მდგომარეობის გაუარესებას არავინ არასოდეს ცდილობს.**

ნაცისტური რეიხი იმისთვის შეიქმნა, რათა გერმანელებს სხვა ხალხებზე უკეთესად ეცხოვრათ. ბოლშევიკებმა რევოლუცია იმისთვის განახორციელეს, რომ უფრო სამართლიანი საზოგადოება აეშენებინათ — კომუნისტური უტოპია, სადაც თითოეული ადამიანი კარგად იქნებოდა. კამპუჩიაში პოლ პოტელებიც კი თავიანთ განათლებულ თანამემამულეებს იმიტომ უჩეჩქვავდნენ თოხებით თავს, რომ გულწრფელად იყვნენ დარწმუნებულნი — ეს იყო გზა ნამდვილი თანასწორობისკენ. ასე რომ, მიზნები ყოველთვის კეთილშობილურია, **მათი მიღწევის გზები** კი — ყველაზე მთავარი.

**უმაღლესი პოლიტიკური პილოტაჟი — ეს არის შეაჩეჩო მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მისი პრობლემების მოგვარების გზები, რომლებიც სინამდვილეში ამ პრობლემების გაღრმავებას გამოიწვევს. საბოლოო ჯამში, ეს ყოველთვის იწვევს ერთი ქვეყნის გახრწნასა და დაცემას და მეორე ქვეყნის აყვავებას.**

## დამარცხებულები ყოველთვის უფრო ცუდად ცხოვრობენ, ვიდრე გამარჯვებულები. დამარცხებულები ყოველთვის უხდიან ხარკს გამარჯვებულებს

ეს ადრე, ძველი რომის ეპოქაში იყო სახელმწიფოებს შორის ომები მარტივი და პატიოსანი. როდესაც კართაგენი რომს ეომებოდა, თითოეულმა კართაგენელმა და რომაელმა იცოდა: თუ მისი ქვეყანა დამარცხდებოდა, პირადად მას ელოდა ან სიკვდილი, ან მონობა. გამარჯვების შემთხვევაში, პირიქით — აყვავება, იაფი მონები, ფული და უფასო პური. საკუთარი ქვეყნისთვის ბრძოლის სტიმული, დამეთანხმეთ, ძალიან სერიოზულია. შეუძლებელი იყო, სახელმწიფოს დამარცხების ან კრახის შემთხვევაში, მისი მოსახლეობის ნაწილი მოგებული დარჩენილიყო. ბერძნებმა, როდესაც მრავალწლიანი ალყის შემდეგ მოტყუებით აიღეს ტროა, მისი ყველა მცხოვრები დახოცეს ან მონად გაყიდეს, თვითონ ქალაქი კი გაანადგურეს.

რომელი სჯობს: რომი, კართაგენი თუ ალექსანდრე მაკედონელის სამეფო? ეს კითხვა ნებისმიერ ისტორიკოსს შეაკრთობს.

ეს როგორ — რომელი სჯობს? არსებობდა სხვადასხვა სახელმწიფო, მათ ჰქონდათ განსხვავებული საზოგადოებრივი წყობილება, სხვადასხვა ენა, კულტურა. ისინი ებრძოდნენ ერთმანეთს, ვიღაც დამარცხდა, ვიღაცამ გაიმარჯვა. და, ალბათ, გამარჯვებული არის კიდეც საუკეთესო, რადგან გამარჯვება შეძლო.

აი, თანამედროვე ცხოვრებაში კი ასე არ არის. დღეს გულმოდგინედ ცდილობენ, შთაგვაგონონ, რომ სახელმწიფო შეიძლება იყოს „კარგი" ან „ცუდი" და კიდევ — „ძალიან ცუდი". ამ „ძალიან ცუდი" სახელმწიფოს მაგალითია მესამე რეიხი და საბჭოთა კავშირი. „ცუდი" ქვეყნები — კვლავაც რუსეთია, აგრეთვე, ირანი, ჩრდილოეთი კორეა და სხვ. „კარგი" ქვეყნების სიაც ცნობილია — აშშ, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია, იტალია. ესენი არიან დიდები და „კარგები", თუმცა არსებობენ პატარები და „კარგებიც". „კარგები" არიან, ოღონდ პატარები — ესტონეთი, ლატვია, პოლონეთი, ხორვატია. რადგან ისინი „კარგები" არიან, ოღონდ — პატარები, ამიტომ მათ ტერიტორიაზე ნებისმიერი რამის გაკეთება შეუძლიათ „კარგებს", ოღონდ დიდებს. მაგრამ, რადგან ეს ყველაფერი კეთილშობილური იდეებისთვის ხდება, სწორია.

სიტყვები „ცუდები" და „კარგები" ბრჭყალებში ჩავსვით, თანამედროვე მასმედია კი მათზე მთელი სერიოზულობითა და უბრჭყალებოდ ლაპარაკობს. აქ მიზანი საკმაოდ გამჭვირვალე და ორმაგია: **შთააგონო უცხო ქვეყნის მოსახლეობას სიმპათია მოწინააღმდეგ სახელმწიფოსადმი და სიძულვილი — საკუთარი სახელმწიფოსადმი.**



ანტიკური ეპოქიდან დღემდე პოლიტიკური პროგრესი შორს წავიდა. იმხანად თავში აზრადაც არავის გაუელვებდა, კართაგენის მოსახლეობა დაერწმუნებინა, რომ რომი „კარგია", კართაგენი — „ცუდი", და ამიტომ მსოფლიოში, სახელდობრ, რომმა უნდა იბატონოს. თითოეულმა კართაგენელმა იცოდა, ასე რომ მომხდარიყო, ყელზე მონის საყელურს გაუკეთებდნენ, ამიტომ მზად იყო, სამშობლოსთვის სიცოცხლე გაეწირა. სწორედ ამიტომ კართაგენელები და მათი მოკავშირეები ▶

**მსოფლიოს პოლიტიკურ ველზე არიან მხოლოდ ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთი სახელმწიფოებისთვის სარგებელს ეძებენ (თავიანთი სახელმწიფოებისთვის!). მაშასადამე, ჩვენც ჩვენი ქვეყნის მხარეს უნდა დავდგეთ**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დროა, გამოვფხიზლდეთ, დროა, შევიგნოთ, რომ რეალურ სამყაროში, რომელშიც ვცხოვრობთ, ზღაპრები არ არსებობს, არც სასწაულები ხდება. ეს სამყარო ძალიან მკაცრია. მას თავისი ურყევი წესები აქვს. დამარცხებულები ყოველთვის უფრო ცუდად ცხოვრობენ, ვიდრე გამარჯვებულები. დამარცხებულები ყოველთვის უხდიან ხარკს გამარჯვებულებს. ასე იყო და ასე იქნება.**

◀ სამი ომის განმავლობაში ებრძოდნენ რომაელებსა და მათ მოკავშირეებს. ჩეხავდნენ ერთმანეთს, წვავდნენ და კლავდნენ, ამასთანავე, ყოველთვის იყვნენ ბარიკადების „თავის მხარეზე“.

იყვნენ მოღალატეები? რა თქმა უნდა, იყვნენ. მშიშრები და ნაძირლები ყველა ეპოქაში არიან, მაგრამ ესენი, სახელდობრ, მშიშრები და ნაძირლები იყვნენ. მტრის მხარეზე გადასულებს არასოდეს ჰქონიათ იდეოლოგია, ისინი სამშობლოს ცვილიზაციის საკეთილდღეოდ ან მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად არ ღალატობდნენ. ეს ადამიანები მხოლოდ თავიანთი ტყავის გადარჩენაზე ფიქრობდნენ. ისინი ზიზღის გარდა არაფერს იწვევდნენ მათში, ვისაც უღალატეს და მათშიც, ვის მხარესაც გადავიდნენ.

თუმცა მათ ხალისით იყენებდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთ გარეწრებს უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილი ჰქონდათ. ალმოდებული კართაგენის უკანასკნელი დამცველები სწორედ რომიდან გაქცეულები იყვნენ, რომლებიც განწირულის გააფთრებით იბრძოდნენ...

შემდეგ **ვითარება შეიცვალა. გარკვეულ ეტაპზე ცხადი გახდა: თუ მოწინააღმდეგის მოსახლეობას არ შთააგონებდი, რომ მათი სახელმწიფო „მართალი“ არ არის, ისინი გააფთრებით აღარ იბრძოლებდნენ. უცნობია, რომელმა გენიოსმა და რომელ წელს გამოიყენა მოწინააღმდეგის შიგნიდან განადგურების ფორმულა.**

სამშობლოს ღალატი ადვილი და სასიამოვნო რომ იყოს, საჭიროა ორი რამ:

* მტრის მხარეზე გადასული თავს არამზადად არ უნდა გრძნობდეს, როგორც საკუთარ, ისე საზოგადოების თვალში;

* სახელმწიფო, რომლისთვისაც მან სამშობლოს უღალატა, თეთრი ტანსაცმლით უნდა იყოს შემოსილი.

ამისათვის კი საჭიროა შეფასების კრიტერიუმი. მან, **ამ კრიტერიუმმა, ადამიანის დეზორიენტაცია უნდა გამოიწვიოს, დააბნიოს, შთააგონოს, რომ „ის“ მხარე სიმართლისა და სამართლიანობისთვის იბრძვის, „ეს“ მხარე კი სრულიად უსამართლოა.**

ასე გაჩნდა „ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები“, „ადამიანის უფლებები“, „სიტყვის თავისუფლება“ და სხვა ტერმინები, რომლებსაც თანამედროვე სამყაროში ყველა იმეორებს, თუმცა მათი აზრი, მნიშვნელობა არავის ესმის. ზუსტად ასე ვერ აცნობიერებს რიგითი ადამიანი ამ ტერმინების გაჩენის მთავარ მიზანს. **ბევრი ვერ ხვდება, რომ ეს პროგრესული სიტყვა-სიმბოლოები სინამდვილეში საშინელი იარაღია. ის მოწოდებულია, უზრუნველყოს ერთი სახელმწიფოს (ან სახელმწიფოების კონგლომერატის) გამარჯვება მეორეზე მისი შინაგანი გახრწნის გზით.**

პოლიტიკა, როგორც ცნობილია, ბინძური საქმეა. **ყველა დროის ყველა სახელმწიფოს, ყველა ხელისუფლების პოლიტიკა ერთნაირად მყრალი სუბსტანციაა.** ეს შეიძლება არ მოგწონდეს, მაგრამ სახელმწიფოებს შორის ომი, რომელიც პოლიტიკის უმაღლესი გამოვლინებაა, სწორედ ასეთია. მსოფლიოს პოლიტიკურ ველზე არიან მხოლოდ ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც თავიანთი სახელმწიფოებისთვის სარგებელს ეძებენ (თავიანთი სახელმწიფოებისთვის!). მაშასადამე, ჩვენც ჩვენი ქვეყნის მხარეს უნდა დავდგეთ. თითქოს აზრი აბსოლუტურად ნათელია. გვესმის, რომ ნებისმიერი ნორმალური ადამიანის მთავარი საზრუნავი მისი ოჯახის კეთილდღეობაა. მეგობრები, მეზობლები, ქველმოქმედება — ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია და საჭირო, მაგრამ, პირველ რიგში, ოჯახი; აი, ქვეყნის დონეზე კი ეს ჭეშმარიტება ჩვენთვის რატომღაც მთლად გასაგები არ არის.



**დღეს გულმოდგინედ ცდილობენ, შთაგვაგონონ, რომ სახელმწიფო შეიძლება იყოს «კარგი» ან «ცუდი» და კიდევ — «ძალიან ცუდი». ამ «ძალიან ცუდი» სახელმწიფოს მაგალითია მესამე რეიხი და საბჭოთა კავშირი. «ცუდი» ქვეყნები — კვლავაც რუსეთია, აგრეთვე, ირანი, ჩრდილოეთი კორეა და სხვ. «კარგი» ქვეყნების სიაც ცნობილია — აშშ, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია, იტალია. ესენი არიან დიდები და «კარგები», თუმცა არსებობენ პატარები და «კარგებიც». «კარგები» არიან, ოღონდ პატარები — ესტონეთი, ლატვია, პოლონეთი, ხორვატია. რადგან ისინი «კარგები» არიან, ოღონდ — პატარები, ამიტომ მათ ტერიტორიაზე ნებისმიერი რამის გაკეთება შეუძლიათ «კარგებს», ოღონდ დიდებს, მაგრამ, რადგან ეს ყველაფერი კეთილშობილური იდეებისთვის ხდება, სწორია...**

**ნებისმიერი ომი — ცხელი, ცივი, საინფორმაციო თუ ლოკალური — ყოველთვის გამარჯვების მოსაპოვებლად იწყება; გამარჯვების შემთხვევაში — რაღაცის შესაძენად, დამარცხებული ქვეყნისთვის რაღაცის წასართმევად. სასურველი ობიექტი შეიძლება იყოს ტერიტორია, სასარგებლო წიაღისეული, სამხედრო ბაზები, ანუ ყველაფერი.**

არ შეიძლება მხოლოდ ერთადერთი: **ერთი სახელმწიფო მეორესთან ომს არასოდეს დაიწყებს იმისთვის, რომ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მოსახლეობამ უკეთესად და თავისუფლად იცხოვროს.**

პოლიტიკა ალტრუიზმს ვერ იტანს. რომმა კართაგენი, აფრიკული ტომების გასათავისუფლებლად კი არა, თავისთვის სარგებლის მოსაპოვებლად გაანადგურა — რომაელ ვაჭრებს მსოფლიოს ყველა პორტში და ბაზარზე კონკურენცია რომ აღარ ჰქონოდათ. მათი კართაგენელი კოლეგები კი, ვაჭრობის ნაცვლად, რომაელთა ხომალდებზე მძიმე ნიჩბებს უსვამდნენ.

რუსეთში ბევრ განათლებულ ადამიანს გულწრფელად სჯერა, რომ ამერიკელი სენატორების მთავარი საზრუნავი რუსეთის ხალხების კეთილდღეობაა, ხოლო ბრიტანეთის პარლამენტი იმიტომ შეიქმნა, რომ მსოფლიოს ყველა ბავშვი კარგად იკვებებოდეს. ეს ძალიან სასაცილო იქნებოდა, სამწუხარო რომ არ იყოს. ზრდასრულმა ბიძებმა და დეიდებმა ათწლეულობით მიმდინარე პროპაგანდის დახმარებით დაიჯერეს დასავლეთის მიერ შექმნილი ზღაპარი „თავისუფლების რაინდებზე“, რომლებიც კაცობრიობას გაასხივოსნებენ. ოღონდ ეს ზღაპარი მთლად უწყინარი არ არის — ამ ყმაწვილებმა XX საუკუნეში ორჯერ, 1917 და 1991 წლებში, ჩვენი ხალხი, რომელმაც ლამაზი ზღაპრები დაიჯერა, სრულიად შიშველი დატოვეს.

მაგრამ დადგა ვითარებაში გარკვევის დრო. დროა, გამოვფხიზლდეთ, დროა, შევიგნოთ, რომ რეალურ სამყაროში, რომელშიც ვცხოვრობთ, ზღაპრები არ არსებობს, არც სასწაულები ხდება. ეს სამყარო ძალიან მკაცრია. მას თავისი ურყევი წესები აქვს.

**დამარცხებულები ყოველთვის უფრო ცუდად ცხოვრობენ, ვიდრე გამარჯვებულები.**

**დამარცხებულები ყოველთვის უხდიან ხარკს გამარჯვებულებს.**

ასე იყო და ასე იქნება. საჭირო არ არის ფიქრი იმაზე, რომ ცივ ომს, „ცხელი ომისგან“ განსხვავებით, სხვა წესები აქვს. განსხვავება ამ ომების წარმოების მეთოდებშია. ბოლო პერიოდამდე განსხვავება იყო იმ პირების დაჯილდოებაშიც, რომლებმაც ომებში თავი გამოიჩინეს.

რეალური ბრძოლების გმირებს ორდენებსა და მედლებს აძლევდნენ, ხოლო ცივი ომის გმირებს — მხოლოდ მემუარების წერის უფლებასა და უზრუნველ სიბერეს. მაგრამ სენატორმა ჰილარი კლინტონმა და მისმა თანაპარტიელმა კოლეგებმა წინადადება წამოაყენეს აშშ-ში ახალი ჯილდოს დაწესების შესახებ — „ცივი ომის პერიოდში გაწეული სამსახურისთვის“.

„ცივი ომი იყო განსაკუთრებით სახიფათო და ზოგჯერ სასიკვდილოდ სახიფათო გლობალური სამხედრო ოპერაცია მამაცი ჯარისკაცებისთვის, მეზღვაურებისთვის, მფრინავებისა და საზღვაო ქვეითებისთვის, რომლებიც ამ კამპანიაში მონაწილეობდნენ“, — ნათქვამია ამ კანონპროექტის ინიციატორის, კონგრესმენ რობერტ ენდრიუსის განცხადებაში.

ასე გაცილებით სწორად და პატიოსნადაა ნათქვამი: გლობალური სამხედრო ოპერაცია. თუმცა ასეთი პატიოსნების გამოვლენის უფლებას ამერიკელები მხოლოდ იმ დოკუმენტებში აძლევენ თავს, რომლებსაც თავიანთ პარლამენტს უგზავნიან ან რომლებიც ამომრჩევლისთვის სჭირდებათ.

„ცივილიზებულ მსოფლიოს“ რუსეთისთვის მოვლენების სრულიად სხვა ვერსია აქვს. ეს ვერსია სხვადასხვანაირად გადაამღერეს ჩვენმა ლიბერალებმა და სხვადასხვა ჯურის მედასავლეთეებმა, და ამ „გუნდის“ ნამღერში უვნებელი სიტყვებით „ცივი ომი“ იკარგება ცივილიზაციის მარცხის აზრი. არადა, ამ „რბილი“ დამარცხების შედეგები ჩვენი ქვეყნისთვის იმაზე არანაკლებ საშინელი იყო, ვიდრე გერმანიისთვის პირველ და მეორე მსოფლიო ომში განადგურება.

ჩვენც ზუსტად ასე დავკარგეთ ტერიტორიები, ეკონომიკური პოტენციალი, ათეულმილიონობით თანამემამულე...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



# ყველაზე მეტი პატიმარი აშშ-შია

**უკვე რამდენიმე წელიწადი ევროპის ქვეყნების ციხეები სავსეა პატიმრებით: 100 ადგილზე, საშუალოდ, 98 ტუსაღი მოდის. ევროპის საბჭო შეშფოთებულია იმის გამო, რომ ევროპის ბევრი სახელმწიფო პენიტენციარულ სისტემაში შექმნილ პრობლემებს ვერ აგვარებს. და ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ 2011-2012 წლებში პატიმართა რაოდენობა 90 ათასი კაცით შემცირდა.**

ევროპის საბჭოს სპეციალისტების მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ამჟამად ევროპის 100 ათას მცხოვრებზე, საშუალოდ, 126 პატიმარი მოდის; პატიმართა საერთო რაოდენობის 5 პროცენტს ქალები შეადგენენ; უცხოელთა წილი 13 პროცენტია. დამნაშავეებს, რომლებიც სასჯელს იხდიან, წაყენებული ჰქონდათ შემდეგი ბრალდებები: ქურდობა (17,1%), ნარკოტიკების მოხმარება-გასაღება (16,7%), ძარცვა (12,5%) და მკვლელობა (11,6%).

პატიმრის შენახვა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა თანხა ჯდება — 3-დან 750 ევრომდე. ევროსაბჭოს სპეციალური ანკეტის კითხვებს, რომელთა პასუხებიც შემდეგ ევროსაბჭოს მოხსენებას დაედო საფუძვლად, 52 ქვეყნიდან 47-მა უპასუხა. ევროსაბჭოს ვებგვერდზე არ არის საქართველოს მონაცემები 2013 წლისთვის.

ჩამონათვალში იმ ქვეყნებისა, რომლებშიც 100 ათას კაცზე 100-ზე მეტი პატიმარი მოდის, 2012 წლის მონაცემებით, პირველ ადგილზეა საქართველო (516,4 პატიმარი, 2012 წლის მონაცემებით); შემდეგ მოდიან რუსეთი (501,5), ლიტვა (334), უკრაინა (332,5), ლატვია (303), ესტონეთი (257,8), აზერბაიჯანი (227,8) და ა. შ.

**ყველაზე მეტი პატიმარი — დაახლოებით 2,2 მილიონი — ამერიკის შეერთებულ შტატებშია. ამ ქვეყნის ყოველ 100 ათას მცხოვრებზე 760 პატიმარი მოდის.**




# CNN-მა უკრაინა პაკისტანის ადგილას განათავსა

**მსოფლიოში ცნობილმა ამერიკულმა ტელეარხმა CNN-მა, უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე საუბრისას, გამოაქვეყნა რუკა, რომელზეც უკრაინა, აღმოსავლეთ ევროპის ნაცვლად, აზიაში იყო განთავსებული — პირდაპირ ეთერში გამოჩნდა რუკა, რომელზეც უკრაინა მონიშნული იყო პაკისტანის ადგილას.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქვეყანაში აღზრდის კონცეფცია არ არსებობს და ამიტომ სკოლას მინიმალური როლი ენიჭება მოზარდის ღირებულებათა სისტემის შექმნაში — ასეთ შემთხვევაში სკოლა ხომ სისტემის ფუნქციააყრილ ინსტიტუტად რჩება ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა აღზრდა?! პარადოქსია!**

# გლობალიზაციამ ტრადიციულ სკოლას საფუძველი გამოაცალა



**ათ წელზე მეტია, საქართველოს განათლების სისტემაში რეფორმა მიმდინარეობს. ქვეყანაში ახალი ეტაპი დაიწყო, როცა საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ დაამტკიცა რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი — „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“, რომელსაც სახელმწიფო დონეზე უნდა განესაზღვრა, თუ რას ემსახურება განათლება, კონკრეტულად კი — სკოლა.**

ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, დაკვეთა განათლებაზე ასეთია: „ქვეყანაში განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პი-როვნების ჩამოყალიბებისთვის“. ეს არის და ეს. არაფერს ამბობს პროცესზე, როგორ აწარმოო პროდუქტი, რა ხერხებით, მეთოდებითა და მექანიზმებით მიიღწევა შედეგი.

ისიც ცნობილია, რომ ცვლილებების გარეშე მაღალი ხარისხის განათლება ვერ მიიღწევა. განათლების შედეგების განსაზღვრა შეუძლებელია დიაგნოსტიკური ხასიათის კვლევების, პროცესის რეგულარული მონიტორინგის გარეშე, რაც ქმნის საშიშროებას, მხედველობიდან გამოგვრჩეს წარუმატებლობა სისტემაში ან მის სხვადასხვა მნიშვნელოვან მიმართულებაში, მათ შორის, — აღზრდაში.

მასშტაბური რეფორმა მოითხოვდა რეფორმის ინდიკატორების განსაზღვრას და პროცესის რეგულარულ მონიტორინგს წარუმატებლობისგან თავის დასაზღვევად. რაც არ განხორციელებულა და, **რომ არა საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები, წარმოდგენაც კი არ გვექნებოდა სწავლების შედეგებზე. კერძოდ, იმის შესახებ, რომ 2006-2011 წლების კვლევის შედეგების მიხედვით, 45 ქვეყანას შორის საქართველო 37-ე ადგილზეა და, სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან შედარებით, ყველაზე ცუდი შედეგი გვაქვს.** ჩვენ შემდეგ მოდიან: სამხრეთი აფრიკა, ქუვეითი და ყატარი.

ახლა კი მინდა, მივუბრუნდე აღზრდის საკითხებს, რომლებმაც, ფაქტობრივად, შეცვალა სკოლის მისია, მაგრამ **ამის თაობაზე ბევრი არაფერი იცის პედაგოგიურმა საზოგადოებამ, რაც განათლების სისტემის ხელმძღვანელ მუშაკთა არაკომპეტენტურობითაა გამოწვეული.**

არავინ სვამს კითხვას — **რას ნიშნავს აღზრდა ქვეყნის დემოკრატიული მშენებლობის პროცესში? უნდა წარიმართოს თუ არა 21-ე საუკუნეში განათლება საერთაშორისო მოქალაქის აღზრდის გლობალური ასპექტების გათვალისწინებით, ანუ გათვალისწინებული უნდა იყოს თუ არა აღზრდაში ანალოგიური ღირებულებები, რომლებიც არსებობდა აქამდე, თუ დადგა დრო, რომ საზოგადოება შეთანხმდეს ახალზე. ამ საკითხებზე კამათი საზოგადოებაში განუწყვეტლივ უნდა მიმდინარეობდეს. საჭიროა შეთანხმება — სკოლაში აღზრდა ეროვნულ საწყისებზე უნდა განხორციელდეს თუ გასცდეს ეროვნულ ჩარჩოებს.**

გლობალიზაციამ ტრადიციულ სკოლას საფუძველი გამოაცალა და დადგა აუცილებლობა, განათლების ერთ-ერთი მიმართულება საერთაშორისო მოქალაქის აღზრდას ემსახურებოდეს. ასე რომ, სიტუაცია პრობლემურია, პოზიცია — რთული, ამიტომაც რეფორმის მამები დუმილს ამჯობინებენ და თითქმის არ არსებობს ღირებულებებსა და მათ დეფინიციაზე კამათი არათუ საზოგადოებაში, არამედ სისტემაშიც კი.

არადა, ფაქტია: **საზოგადოებისთვის გამოცანად რჩება, ვინ უნდა „გამოუშვას“ ამ რეფორმით მომუშავე ქართულმა სკოლამ. არ ჩანს თანამედროვე იდეალებისა და ეროვნულობის კონკრეტული**



**ნაცვლად იმისა, ვაღიაროთ, რომ ჩვენ, როგორც სისტემა, განათლების ერთ-ერთი საუკეთესო ტრადიციების მქონე ქვეყანაში დღეს ვერ უზრუნველვყოფთ სწავლებასა და აღზრდას, ვამბობთ, რომ მოსწავლეებმა დაკარგეს სწავლისადმი ინტერესი**

**თემები. ასევე, არ არის განსაზღვრული სკოლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია — აღზრდა და მისი პრიორიტეტები.**

არ არსებობს თეორიები სწავლებისა და აღზრდის თეორიები, რომლებიც ყველა ეპოქაში ვარგისი იქნებოდა. მოგეხსენებათ, აღზრდის სისტემის პირველი რგოლი ოჯახია, მაგრამ დღეს მისი ავტონომიურობა და ტრადიციები დაარღვია მიმდინარე პროცესებმა, რომლებიც მხოლოდ ხელისშემშლელი აღმოჩნდა, აღსაზრდელის ზნეობრივი და ეროვნული ღირებულებების ჩამოსაყალიბებლად.

ჩვენი საზოგადოება სიტყვა „ღირებულებების“ აღქმის საკითხში ძალიან არაერთგვაროვანია. **ნაკლებად ჩანს რამე თანხმობა, ღირებულებათა რა სისტემა ვაღიაროთ, როგორც ჩვენი იდენტობის საყრდენი, მომავალი თაობის ზნეობრივ ორიენტირად — ლგბტ საზოგადოებისა და სხვა უმცირესობათა ინტერესების დაცვა თუ მათთან ბრძოლა?**

კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ეტაპზე არსებობს გარკვეული აცდენები და დისონანსები ღირებულებების დეფინიციისა, თუმცა არის საკითხები: ოჯახური ტრადიციები; პატრიოტიზმი (სიტყვა, რომელიც ნახსენები არ არის „ზოგადი განათლების“ შესახებ კანონში); ეროვნული კულტურა, რომელთა მიწოდება მოსწავლეთათვის ხდება პედაგოგების მიერ და რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში აისახება. ეს ღირებულებებიც ბეწვის ხიდზე გადის და უნდა ვეცადოთ, ისინი მომავალი თაობების ცხოვრების განმსაზღვრელ ფასეულობებად დარჩეს და იდეოლოგიურ იარაღად არ იქცეს.

**ქვეყანაში აღზრდის კონცეფცია არ არსებობს და ამიტომ სკოლას მინიმალური როლი ენიჭება მოზარდის ღირებულებათა სისტემის შექმნაში — ასეთ შემთხვევაში სკოლა ხომ სისტემის ფუნქციააყრილ ინსტიტუტად რჩება ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორიცაა აღზრდა?! პარადოქსია!**

უბედურებას ისიც ემატება, რომ არის მცდელობა, დავივიწყოთ დედაენა, მამული, სარწმუნოება, სამშობლო, სულიერება, ეროვნულობა და უნდა ვაღიაროთ, რომ ეს დემოკრატიასა და მის ოპონენტთა შორის გამართული საშინელი კონფლიქტების ეპოქაა. **ქართულმა სკოლამ ამ კატაკლიზმებს თავი ვერ გაართვა და 21-ე საუკუნის საგანმანათლებლო სივრცის გარეთ აღმოჩნდა.**

**მოსწავლეებში იმატა აგრესიამ, ხშირია კონფლიქტები, ალვირახსნილობა, ნარკომანია. ეს ყველაფერი არასწორი აღზრდის შედეგია,** რომლის აღმოფხვრისთვის საკმარისი არ არის ის ღონისძიებები, რომლებიც დღევანდელ განათლების სისტემაში ტარდება.

**ასეთ ვითარებაში საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მცდელობა, შექმნას რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს, კონკრეტულად დანაშაულის პრევენციას, პედაგოგიური ანალიზის საფუძველზე აუცილებელი და გადაუდებელი საკითხია.**

აკადემია საფუძველს უყრის ახალ მიმართულებას განათლების სისტემაში — იურიდიულ პედაგოგიკას, რაც, ჩვენი აზრით, მეტად მიგნებული მექანიზმი აღმოჩნდება მოსწავლეთა დანაშაულის პრევენციის საქმეში.

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს თუ ნამდვილ სახელს დავარქმევთ, შეიძლება გაგვიჭირდეს მართვის ორიენტირის მიგნება. გამოსავალი ერთადერთია: **ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, რომ საზოგადოებას აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს განათლებაში მიმდინარე საკითხების გადაწყვეტაში.** აუცილებელია, მოხდეს საკანონმდებლო ბაზის სერიოზული რევიზია და ამის შემდეგ აღზრდაში ჩაიდოს კანონის დაცვისა და მისი პატივისცემის უნარ-ჩვევა, მით უმეტეს მაშინ, როცა ვაშენებთ სამოქალაქო საზოგადოებას.

მშენებელი ხელისუფლებაა, მაგრამ ხელისუფლებები დროებითია, მუდმივია ისტორიული მეხსიერება, რომელიც არ დაივიწყებს იმას, რომ წინა ხელისუფლებამ დააბინძურა გარემო, არა მხოლოდ სამართლებლივად, არამედ ზნეობრივადაც — სამორინეებით, ღამისა და სტრიპტიზბარებით, ტოტალიზატორებით. ნათელია, რომ **ძალადობრივ, უხამს გადაცემებსა და ფილმებზე აღზრდილი თაობა ჯანსაღ ატმოსფეროს ვერ შექმნის და რომ ამ გარემოში ძალიან გაუჭირდება ქართულ სკოლას, აღზარდოს სამოქალაქო საზოგადოებისთვის სრულფასოვანი მოქალაქე, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრებს. ამაზე პასუხი უნდა აგოს ვიღაცამ და არა მხოლოდ სკოლამ. ისიც** ▶

## „ვიკილიქსმა“ ვაშინგტონი უკრაინის წინასწარგანზრახულ გაყოფაში ამხილა

**აშშ-ის ხელისუფლებას ჯერ კიდევ 2008 წელს აფრთხილებდნენ, რომ უკრაინის მიმართ მის პოლიტიკას ქვეყნის გაყოფა და სამოქალაქო ომი მოჰყვებოდა.**

„ვიკილიკსმა“ ახალი მამხილებელი დოკუმენტები გამოაქვეყნა — ეს არის აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის — უილიამ ბერნსის მოხსენება, რომელიც 2008 წლის 1 თებერვლით არის დათარიღებული. დოკუმენტში მოყვანილია იმ ექსპერტთა თვალსაზრისი, რომლებმაც განაცხადეს, რომ მოსკოვი ძალიან შეშფოთებულია უკრაინაში არსებული უთანხმოებით ნატოში შესვლის საკითხზე — უკრაინის რუსულენოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილი ალიანსის წევრობის წინააღმდეგ გამოდიოდა.

ექსპერტთა აზრით, ამ ვითარებამ შეიძლება „გამოიწვიოს ქვეყნის გაყოფა ძალის გამოყენებით, უარეს შემთხვევაში — სამოქალაქო ომი“. თუ მოვლენები ასე განვითარდა, — აღნიშნულია მოხსენებაში, — რუსეთმა უნდა გადაწყვიტოს, ჩაერიოს თუ არა კონფლიქტში. გარდა ამისა, ექსპერტებმა უკრაინაში შექმნილ სიტუაციას „პოტენციურად ყველაზე მადესტაბილიზებელი“ ფაქტორი უწოდეს რფ-სა და აშშ-ის ურთიერთობაში, აგრეთვე, ყურადღება გაამახვილეს არასტაბილურ ვითარებაზე საქართველოში, რომელიც 2008 წელს ნატოს წევრობისკენ მიისწრაფვოდა.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველოსა და უკრაინის სწრაფვა ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ რუსეთის უსაფრთხოებას დაემუქრება, რადგან შესაძლოა, „გაუთვალისწინებელი და უკონტროლო“ შედეგები გამოიწვიოს.

რეგიონი

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საინფორმაციო რევოლუციამ, ტელე და კომპიუტერულმა კავშირებმა ძირეულად შეცვალა ჩვენი ყოფა. გლობალიზაციის პირობებში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ეროვნული სახელმწიფოების შემდგომი არსებობაც კი. ასეთ პირობებში მარტივი არ არის ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება.

**◀ უნდა ითქვას, რომ გარემო და ელექტრონული მედია ხშირად გადაცდომების მიზეზი ხდება.**

**ნაცვლად იმისა, ვაღიაროთ, რომ ჩვენ, როგორც სისტემა, განათლების ერთ-ერთი საუკეთესო ტრადიციების მქონე ქვეყანაში დღეს ვერ უზრუნველვყოფთ სწავლებასა და აღზრდას, ვამბობთ, რომ მოსწავლეებმა დაკარგეს სწავლისადმი ინტერესი.**

„სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას თავისი მოქალაქე სულიერი აგრესიისგან, — ბრძანებს პატრიარქი, — სექტების მოქმედება უკვე ანტიეროვნულ სახეს იღებს; მათი ძირგამომთხრელი საქმიანობა კი არ იზღუდება, არამედ კიდევ უფრო მეტად აკანონებენ მათ უფლებებს და მათ წინააღმდეგ მიმართულ აქციებს კრძალავენ. არის სექტები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საზოგადოებას და საერთოდ ქვეყანას". არავინ იცის, რამდენი მოსწავლე და ახალგაზრდაა გაერთიანებული დღეს ამ სექტებში. ამ საკითხის სრულყოფილი ანალიზი ვრცელ გამოკვლევას მოითხოვს, მაგრამ კანონი უმცირესობათა შესახებ ამას კრძალავს, არადა, გარდა სულიერი გადაგვარებისა, სექტების წევრები ხშირად სისხლის სამართლის დონის დანაშაულის ჩამდენები ხდებიან ფანატიზმის ზემოქმედებით.

ქვეყანაში, სადაც გარემო გაჯერებულია პიარტექნოლოგიებით, სადაც კარგადაა აპრობირებული ახალი ტიპის ოკუპაცია ინტერნეტისა და საინფორმაციო საშუალებებით, ცხადია, ადვილი არ არის გზის გაკვლევა.

**საინფორმაციო რევოლუციამ, ტელე და კომპიუტერულმა კავშირებმა ძირეულად შეცვალა ჩვენი ყოფა. გლობალიზაციის პირობებში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ეროვნული სახელმწიფოების შემდგომი არსებობაც კი. ასეთ პირობებში მარტივი არ არის ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება.** ის, რაც დღეს ხდება აღზრდის სფეროში, ცუდი საწყისია ერის მომავლისთვის.

ცდება, ვინც ფიქრობს, რომ ამ სირთულეების მოგვარება შეეძლო მანდატურის სამსახურს ან მომავალში შეძლებს. ადამიანის აღზრდას საუკუნეების განმავლობაში დაგროვებული პედაგოგიური გამოცდილება, განათლება, ჰუმანურობა და ბუნებით ნაბოძები ნიჭი სჭირდება, რომელსაც სამთვიანი, თუ გნებავთ, მეტხნიანი კურსების დამთავრება ვერ განაპირობებს. **აღმზრდელი კარგად უნდა იცნობდეს აღსაზრდელს და იმ მეცნიერებებს, რომელთა გამოყენებითაც უნდა შეძლოს მოზარდის უნარებისა და მიდრეკილებების გამომჟღავნება, ხელშეწყობა, რომ მართოს საკუთარი ინსტიქტები, შეძლოს განერიდოს კონფლიქტებს და კიდევ მრავალი რამ, რაც ძალისმიერი მეთოდებით არ იმართება. აღზრდის საფუძველი სიყვარულია, ვერ შეიყვარებ იმას, ვისიც გეშინია, ამიტომაც ძალადობა და სტრესი აღზრდაში მიუღებელია.**

მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო: განსხვავებით პოლიციური სამსახურებისგან, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობები ეყრდნობა პრინციპებს — **მასწავლებელი აღიარებს მოსწავლეს და პირიქით — მოსწავლე აღიარებს მასწავლებლის ხელმძღვანელ როლს მისი სწავლებისა და აღზრდის საქმეში.** პედაგოგია ის, ვინც ყოველდღიურად, ყოველ გაკვეთილზე, მოსწავლის აღზრდით წყვეტს საზოგადოების აღზრდისა და გარდაქმნის პრობლემას.

სკოლა ის ორგანიზმია, რომელშიც გამოკვეთილად ჩანს ის ინდივიდები, რომელთა ქცევაშიც არის მიუღებელი ქმედებები, არასახარბიელო მიდრეკილებები დაუდევრობის, ზოგჯერ დაუმორჩილებლობის სახით. და თუ ეს ყველაფერი რეაგირებისა და ყურადღების მიღმა დარჩა, შედეგად შეიძლება მძიმე დანაშაულიც კი მოჰყვეს. ასე რომ არ მოხდეს, ამისათვის საკმარისი არ არის უსაფრთხო სკოლის დებულება ან მანდატურის სამსახური, სამეთვალყურეო და პროფილაქტიკური საბჭოებისა და კომიტეტების შექმნით ასეთი მდგომარეობის პროფილაქტიკა ხშირად შეუძლებელია.

**აუცილებელია, სკოლაში არსებობდეს ფსიქოლოგიური სამსახური, რომელიც იქნება დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი, რათა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესში დისციპლინის ამაღლებას, რაც მაღალი აკადემიური მოსწრების საწინდარია.**

**დადგა დრო, რომ აღზრდას დავუბრუნოთ ეროვნული განათლების სულიერი ფუნქცია, რომლის არარსებობამაც დღეს საქმე იქამდე მიიყვანა, რომ სასულიერო პირები პარლამენტისა და მთავრობისგან გარყვნილების პროპაგანდის აკრძალვას ითხოვენ, რათა „დავიცვათ ჩვენი შვილები ნებისმიერი მავნე ზეგავლენისგან და აღვზარდოთ ისინი ჩვენი ტრადიციების, ზნეობისა და რელიგიური მრწამსის შესაბამისად".**

სიტუაცია ისეა გამწვავებული, რომ პატრიარქიც ხმას იმაღლებს და ბრძანებს: „ჩვენი ყოფა უფრო დამძიმდა და დასნეულდა, რადგან მასობრივად ხდება წახალისება ცოდვის პროპაგანდისა, ბოროტის შემოტევის ასეთი ფართო მასშტაბები ადრე არ იყო".

„...იერიში მიტანილი აქვთ ზნეობაზე!" — წერია პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეში. პატრიარქი ამ ეპისტოლეთი გვაწვდის აღზრდის ღირებულებათა მთელ სისტემას, რომლის მიხედვითაც სამართლებლივი კანონებით დაცულ სინდისს სინდისით დაცული კანონი ჯობია.

„მასწავლებლის სიტყვა ყველანაირ იარაღზე ძლიერია!" — ბრძანებს ბრძენთა ბრძენი სოკრატე, მაგრამ სიტუაციას ართულებს ის, რომ ძნელია დღევანდელობის შეცნობა. თუმცა აქ უკვე უნდა ვიმოქმედოთ ჰომეროსის მიხედვით, რომელიც ამბობს: „ჭეშმარიტად დიდია ადამიანი, რომელმაც შეძლო თავისი დროის დაპატრონება!". ეს ადამიანი კი ჩვენ გვერდითაა, ეს გახლავთ საქართველოს პატრიარქი ილია II, რომელიც „დროს დაუფლებული" გვმოძღვრავს:

**„საკუთარ თავში უნდა გავაძლიეროთ მებრძოლი სული, არ შევეგუოთ დაცემას, რამდენჯერაც უნდა შეგვემთხვას იგი, და ყოველთვის უნდა მოვძებნოთ ძალა ვნებათა დასათრგუნად, ასადგომად და გზის გასაგრძელებლად".**

გავუფრთხილდეთ ჩვენს ახალგაზრდებს, თუ გვინდა, რომ გვქონდეს მომავალი! — ამბობდნენ დიდი ქართველები. ჩვენც მივყვეთ ისტორიულად ნაცად ამ გზას.

**ინეზა იამანიძე**,
საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

**საზოგადოებისთვის გამოცანად რჩება, ვინ უნდა «გამოუშვას» ამ რეფორმით მომუშავე ქართულმა სკოლამ. არ ჩანს თანამედროვე იდეალებისა და ეროვნულობის კონკრეტული თემები. ასევე, არ არის განსაზღვრული სკოლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია — აღზრდა და მისი პრიორიტეტები**

# ევროპა-აზიის სარკინიგზო დერეფანი 2015 წელს გაიხსნება



**ახლახან თბილისში გამართულ სამი ქვეყნის პრეზიდენტების სამიტზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პროექტი, რომელიც საქართველოში ხორციელდება, ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი შემაერთებელი სარკინიგზო ხაზის მშენებლობაა. „საქართველო და მსოფლიო" კვალში უდგას ამ მშენებლობას და ჩვენს ერთგულ მკითხველებს ოპერატიულად აცნობს შპს მარაბდა-კარწახის რკინიგზის მიერ განხორციელებულ მნიშვნელოვანი შრომის შედეგებს. ამ ტრანსნაციონალურ საქმეს სათავეში უდგას გამოცდილი პროფესიონალი, დამსახურებული რკინიგზელი ოლეგ ბიჭიაშვილი. დღეს მკითხველებს ვთავაზობთ ერთგვარ შემაჯამებელ პუბლიკაციას, რომელიც რკინიგზის მშენებლობის პრესცენტრმა მოგვაწოდა და რომელსაც შეიძლება ანგარიშის ჩაბარებაც ვუწოდოთ საქართველოს საზოგადოებრიობის წინაშე.**

მშენებლობის მასშტაბის წარმოსადგენად საკმარისი იქნება, ვთქვათ, რომ მარაბდა-კარწახის მონაკვეთის პროექტის განსახორციელებლად საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზეც აზერბაიჯანის მხარემ გამოყო კრედიტის სახით 775 მლნ აშშ დოლარი.

რკინიგზას აშენებს ორი გენერალური კონტრაქტორი: „აზერიოლსერვისი" და „აზერინშაატსერვისი".

ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანია აზია-ევროპის სარკინიგზო დერეფნის განვითარება, გათვალისწინებულია მარაბდა-კარწახის 180 კმ სიგრძის სარკინიგზო უბნის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია და მშენებლობა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

მკითხველებს ვთავაზობთ კონკრეტულ ციფრებს, რომლებიც დღეს (15 მაისისთვის) არსებულ სურათს სრულად და ლაკონურად წარმოგიდგენთ.

**I-III ეტაპები — მარაბდა-ახალქალაქის სარეკონსტრუქციო სარეაბილიტაციო უბანზე:**

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით) — 363762331 დოლარი; შესრულებულია 189575854.0 დოლარი; რაც შეადგენს 52,1 პროცენტს.

— მშენებლობის დასაწყისიდან დაიგო 86,3 კმ ახალი ლიანდაგი (დაბალასტებულია 83 კმ, მათ შორის, სრულად 32 კმ).

— 318 ნაგებობიდან რეაბილიტაცია ჩაუტარდა 254-ს, მიმდინარეობს სამუშაოები 64 ნაგებობაზე.

— სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია I ეტაპის 29,2 კმ-ზე; II ეტაპის 49,7 კმ-დან მიწის სამუშაოები დასრულებულია 41 კმ-ზე; III ეტაპის 74,1 კმ-დან მიწის სამუშაოები დასრულებულია 12,5 კმ-ზე, ლიანდაგი დაგებულია 10,8 კმ-ზე. დასრულებულია 3 თოვლდამცავი გალერეის კონსტრუქციული ნაწილის მოწყობის სამუშაოები. მიმდინარეობს მუშაობა პირველ თოვლდამცავ გალერეაზე. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა რკინიგზის 3 ვაგზალს, მიმდინარეობს სამუშაოები 7 ვაგზალზე.

— ცხრაძმის, წინწყაროსა და თეთრიწყაროს სადგურებში დამონტაჟდა მიკროპროცესორული ცენტრალიზაციის საკაბელო ქსელები და საპოსტო მოწყობილობები;

— ტრასაზე ჩაიდო ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი 191 კილომეტრზე, 2013 წელს — 30 კილომეტრზე. დამონტაჟდა სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის აპარატურა 5 სადგურზე;

— რეაბილიტაცია ჩაუტარდა 11 შენობას, სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩასატარებელია 8 შენობაზე;

— წევის 3 ქვესადგურში დასრულებულია მოწყობილობა-დანადგარების დამონტაჟება, მიმდინარეობს გაშვება-გაწყობის სამუშაოები.

**IV ეტაპი — ახალქალაქის ვაგზალი:** სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა (დღგ-ს ჩათვლით) 8584120 დოლარი; შესრულებულია — 3507665,13 დოლარი; რაც შეადგენს 40,86 პროცენტს.

**V ეტაპი — ახალქალაქის სარკინიგზო სადგური:** სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა (დღგ-ს ჩათვლით) 211471844 დოლარი; შესრულებულია — 21539792,41 დოლარი, რაც შეადგენს — 10,2 პროცენტს.

**VI ეტაპი — ახალქალაქი-კარწახის ახლად მშენებარე უბანი:** სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა (დღგ-ს ჩათვლით) 128649980,94 დოლარი; შესრულებულია — 52798692,90 დოლარი, რაც შეადგენს 41,04 პროცენტს.

— დასრულდა 154 მ სიგრძის ორლიანდაგიანი სარინიგზო ხიდის მშენებლობა მდ. კირხბულახზე (ახალქალაქში). დასრულდა ტექნიკური, საბაჟო და სასაზღვრო მომსახურების შენობების მშენებლობა კარწახის სადგურში;

— აშენდა 51 ნაგებობა (მათ შორის 3 ხიდი), დასრულდა მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები კარწახის სადგურში და მდ. კირხბულახის ხიდის მიმდებარე უბანზე (21,6 კმ), დაიგო 17,4 კმ ლიანდაგი. გრძელდება ლიანდაგის დაგებისა და რელსების შედუღების სამუშაოები'

— საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო სასაზღვრო გვირაბის მშენებლობა, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (დღგ-ს ჩათვლით) შეადგენს 42036531 დოლარს, შესრულებულია — 5148542,72 დოლარი, რაც შეადგენს 12,25 პროცენტს. მუშაობა მიმდინარეობს ორივე მხრიდან. სარკინიგზო გვირაბის საერთო სიგრძეა 4470 მეტრი. მათ შორის, საქართველოს მხარეს — 2070 მეტრი. ჩვენი მხრიდან გაყვანილია 158 მეტრი, ხოლო თურქეთის საზღვრიდან საქართველოს მიმართულებით — 556 მეტრი, რაც ჯამში შეადგენს 714 მეტრს. სამუშაოები მიმდინარეობს ყოველდღიურად. ორივე მხრიდან გვირაბის გაყვანა საშუალოდ დღეში შეადგენს 4-დან 6 მეტრს.

დღეისთვის დასრულებულია ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო უბნის ქართული მონაკვეთის მშენებლობის დაახლოებით 38,13 პროცენტი. 2014 წლის ბოლოსთვის დადეგმილია სატესტო/სამუშაო მატარებლის გავლა, ხოლო პროექტის დასრულება იგეგმება 2015 წლისთვის.

# თამბაქოს პლანტაციებში 12 წლის ბავშვები მუშაობენ

**აშშ-ის ტერიტორიაზე არასრულწლოვანისთვის თამბაქოს ნაწარმის მიყიდვა აკრძალულია, თუმცა თამბაქოს პლანტაციის მფლობელები მუშახელად მოზარდების გამოყენებაზე უარს არ ამბობენ.**

უფლებადამცველი ორგანიზაცია Human Rights Watch-ის ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, მოზარდები, რომლებიც თანხის გამოსამუშავებლად პლანტაციაში მუშაობენ, ნიკოტინით იწამლებიან.

აშშ-ის თამბაქოს პლანტაციებში მუშაობა აზიანებს ბავშვების ჯანმრთელობას. ბევრი ბავშვი იქ 12 წლიდან შრომობს. Human Rights Watch-ის თანამშრომლებმა ჩრდილოეთ კაროლინის, კენტუკის, ტენესისა და ვირჯინიის შტატების თამბაქოს პლანტაციებში მომუშავე 140 ბავშვი გამოკითხეს; მათ 75 პროცენტი ამბობს, რომ ნიკოტინის ზემოქმედების გამო ხშირად უჩივის გულის რევას, თავბრუსხვევას, უმადობას და თავის ტკივილს.

ადამიანისთვის ნიკოტინის სასიკვდილო დოზა 50 მილიგრამია. ნიკოტინის მცირე დოზით მიღებამაც კი შეიძლება გამოიწვიოს გულისრევა, ღებინება, კუჭის აშლა, თავის ტკივილი; მძიმე მოწამვლა კი სუნთქვის გაძნელებასა და რამდენიმე წუთში სიკვდილს იწვევს. აშშ-ში თამბაქოს პლანტაციებში ბავშვთა მუშაობა კანონით აკრძალული არ არის — 12 წლის მოზარდებს პლანტაციებში მუშაობის უფლება აქვთ, ოღონდ მხოლოდ არდადეგების დროს. ექსპერტთა აზრით, თამბაქოს პლანტაციებში მუშაობისას ბავშვების ჯანმრთელობას საფრთხეს არა მხოლოდ ნიკოტინი, არამედ პესტიციდებიც უქმნის.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პლაცებოს ეფექტი სამკურნალო შთაგონებას ეფუძნება. ამ შთაგონებისთვის აუცილებელი არ არის რაიმე განსაკუთრებული უნარ-ჩვევები და ცოდნა, რადგან ცნობიერების კრიტიკულობა („არ მჯერა“) ითრგუნება დასაჯერებელი ინფორმაციის ფაქტობრივ ობიექტზე — როგორც წესი, ორგანიზმზე რაიმე რეალური ზემოქმედების არმქონე აბსა თუ ინიექციაზე მიბმით.**




# ყველაფერი პლაცებოს შესახებ





**placebo ლათინური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს „მოვეწონები“. რეალურად ეს არის ნივთიერება, რომელსაც სამკურნალო თვისებები პრაქტიკულად არ გააჩნია, მაგრამ მაინც გამოიყენება სამკურნალო საშუალებად, რომლის სამკურნალო ეფექტი დაკავშირებულია თავად პაციენტის რწმენასთან, რომ ეს განკურნავს. პლაცებოსთვის საჭირო ნივთიერებად ხშირად ლაქტოზას იყენებენ. გარდა ამისა, ტერმინით „პლაცებოს ეფექტი“ აღნიშნავენ ხოლმე თავად მოვლენას, რომლის დროსაც, ამ არასამკურნალო ნივთიერების მიღების შემდეგ, რწმენის გამო, ადამიანთა ჯანმრთელობა უმჯობესდება.**

ხანდახან სამკურნალო აბების ნაცვლად პლაცებოს ეფექტის მისაღწევად გამოიყენება რაღაც პროცედურები ან სავარჯიშოები, რომელთა პირდაპირი შედეგი პრაქტიკაში არ დაფიქსირებულა. პლაცებოს ეფექტის გამოვლენის ხარისხი დამოკიდებულია ადამიანის თვითშთაგონებაზე და „მკურნალობის“ გარემოებებზე — მაგალითად, პლაცებოს ვიზუალურ მხარეზე, მის ფასზე და წამლის მიღების სირთულეზე. ადამიანებს სწამთ, რომ, რაც უფრო ძვირი და რთულად შესასრულებელია დანიშნულება, მით უფრო მეტი ეფექტი აქვს მას. გარკვეულ როლს თამაშობს მკურნალისადმი ნდობაც.

**სახელწოდება „პლაცებოს ეფექტი“ ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან, დაკრძალვებზე მოტირალთა სიმღერებიდან მოდის.** სამედიცინო კონტექსტში ის პირველად ნახსენებია მე-18 საუკუნეში. 1785 წელს ის განმარტეს როგორც „ბანალური მეთოდი ან წამალი“, ხოლო 1811 წელს მას მიეცა განსაზღვრება „ნებისმიერი წამალი, რომელიც შეირჩევა ავადმყოფის დასაკმაყოფილებლად და არა მის სასარგებლოდ“. ხანდახან ამგვარი მკურნალობის შედეგად პაციენტების მდგომარეობა უარესდებოდა, მაგრამ მკურნალობას უშედეგოს მაინც ვერ უწოდებდით. 1955 წელს მკვლევარმა ჰენრი ბიჩერმა გამოაქვეყნა სტატია მის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგების შესახებ. 26 სხვადასხვა სახის დაკვირვებიდან ნათელი იყო, რომ პაციენტთა 35% რეაგირებდა პლაცებოზე. 60-იან წლებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა აღმოჩენამ, რომ უმოქმედო აბებს შეეძლოთ გავლენის მოხდება ორგანიზმზე. როცა პაციენტებს ეუბნებოდნენ, რომ ამგზნებ საშუალებას აძლევდნენ, შეინიშნებოდა გულისცემის სიხშირის გაზრდა, სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესება, რეაქციის სისწრაფის ზრდა. ხოლო როცა ეუბნებოდნენ, რომ ძილის წამალს ასმევდნენ, მალევე ითენთებოდნენ. სიმანდვილეში ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე აბის აძლევდნენ.

მას შემდეგ 50 წელი გავიდა, თუმცა კითხვები ჯერაც უპასუხოდაა. როგორც ტვინის შესწავლამ აჩვენა, განწყობა არამარტო ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებაზე მოქმედებს, არამედ ორგანოებსა და ქსოვილებზეც ახდენს უშუალო ზემოქმედებას.

XX საუკუნის მედიცინაში პლაცებოს ფართოდ იყენებდნენ, ექიმები მას მიმართავდნენ ავადმყოფის მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით.

**პლაცებოს ეფექტი სამკურნალო შთაგონებას ეფუძნება. ამ შთაგონებისთვის აუცილებელი არ არის რაიმე განსაკუთრებული უნარ-ჩვევები და ცოდნა, რადგან ცნობიერების კრიტიკულობა („არ მჯერა“) ითრგუნება დასაჯერებელი ინფორმაციის ფაქტობრივ ობიექტზე — როგორც წესი, ორგანიზმზე რაიმე რეალური ზემოქმედების არმქონე აბსა თუ ინიექციაზე მიბმით.** პაციენტს ატყობინებენ, რომ აღნიშნულ პრეპარატს ორგანიზმზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენის უნარი აქვს და, მიუხედავად პრეპარატის არაეფექტურობისა, ორგანიზმზე მისი მოსალოდნელი მოქმედება ამა თუ იმ ხარისხით მაინც ვლინდება.

ფიზიოლოგიურად ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ შთაგონების შედეგად ადამიანის ტვინი იწყებს ამ მოქმედების შესაბამისი ნივთიერებების გამომუშავებას, კერძოდ, ენდორფინებს, რომლებიც საბოლოო ჯამში ნაწილობრივ ჩაანაცვლებენ პრეპარატის ზემოქმედებას. მეორე ფაქტორი, რომელიც პლაცებოს ეფექტურობას განაპირობებს, არის ადამიანის იმუნიტეტის ამაღლება.



**პლაცებოს ეფექტის გამოვლენის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქვს ადამიანს შთაგონების და საჭირო ქიმიური შენაერთების გამომუშავების უნარი, ვინაიდან აღნიშნული მოვლენის მოქმედება დამოკიდებულია სიმულაციასა და რწმენაზე და არა მიწოდებული ნივთიერების ქიმიურ შედგენილობაზე**

**პლაცებოს ეფექტის გამოვლენის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქვს ადამიანს შთაგონების და საჭირო ქიმიური შენაერთების გამომუშავების უნარი, ვინაიდან აღნიშნული მოვლენის მოქმედება დამოკიდებულია სიმულაციასა და რწმენაზე და არა მიწოდებული ნივთიერების ქიმიურ შედგენილობაზე.**

თვითშთაგონება, თვითრწმენა ერთ-ერთი ყველაზე რთულად მისაღწევი და გამოსამუშავებელი ფენომენია ფსიქოლოგიაში და, შესაბამისად, მედიცინაშიც. პლაცებოს ეფექტი უდიდესი დარტყმაა მათთვის, ვინც თავის ტვინს სკეპტიკურად უყურებს, რადგან ასეთ დროს ადამიანის განკურნების ერთადერთი მიზეზი სწორედ ტვინის მიერ გაცემული ბრძანებაა, რომელიც ადამიანის იმუნიტეტს და მთელ ორგანიზმს ერთგვარი ხელისკვრით აიძულებს, გახდეს უკეთ, აამუშაოს საკუთარ თავში არსებული ყველა რეზერვი და დაიწყოს ანტისხეულების გამომუშავება, რომლებიც მრავალ დაავადებასა და ავადმყოფობას აჯობებს.

თვითშთაგონების ეფექტით ადამიანს უუმჯობესდება არამხოლოდ ჯანმრთელობა, არამედ დასწავლის, მოძრაობის და სხვა მრავალი უნარი, რომელიც მანმადე, შესაძლოა, მიუწვდომელი ყოფილიყო მისთვის.

პლაცებოს ეფექტი ადამიანის პოტენციალის ნაწილია, რომელიც მკურნალივით მოქმედებს. პაციენტის სატკივარის შემცირება ისეთი ხერხითაც შეიძლება, რომელიც სამედიცინო კუთხით ეფექტურად არ ითვლება. კვლევამ დაადგინა, რომ პლაცებოს მიღება იწვევს ტვინში ენდორფინის გამომუშავებას, რაც ხელს უწყობს ტკივილის შემცირებას ან მთლიანად მოხსნას, ასევე ქმნის ეიფორიის მსგავს შეგრძნებას ტვინის გარკვეულ რეცეპტორებზე ზემოქმედების შედეგად. ენდორფინს ახასიათებს მორფინის მსგავსი ქმედება, იმ განსხვავებით, რომ ის ბუნებრივია, მისი წარმოქმნა თავად ორგანიზმის ბრძანებით ხდება. ეს ეფექტი ხანმოკლეა, თუმცა რიგ შემთხვევებში არ ჩამოუვარდება წამლისას.

მეცნიერებმა კიდევ ერთი უცნაურობა აღმოაჩინეს: მსხვილი და დიდი ზომის პლაცებოს აბი უფრო ეფექტურია, ვიდრე პატარა. ასევე მნიშვნელოვანია ფერიც – ფერადი უფრო ქმედითია, ვიდრე თეთრი. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს განწყობას პაციენტის მკურნალობისას. პლაცებოს ეფექტი რეალურია, ის არის ექსპერიმენტებით მრავალჯერ დამოწმებული და საკმაოდ ძლიერი ფენომენი.

ადამიანის ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული ფენომენებიდან პლაცებოს ეფექტი ერთ-ერთი ყველაზე უცნაური და ნაკლებად ამოხსნილი მოვლენაა. არსებობს პლაცებოს ეფექტის გარკვეული ასპექტები, რომელთა ახსნა ექიმებისა და მეცნიერებისთვისაც კი რთულია. ამ მიმართულებით ახლაც უამრავი კვლევა ტარდება.

დეპრესია ერთ-ერთი იმ დაავადებათაგანია, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს ტვინის ქიმიასთან. მკურნალობის მეთოდი ხშირად ანტიდეპრესანტებია, რადგან აქვს გარკვეული ეფექტი და უკუაგდებს დეპრესიას მომხმარებელთა უმეტესობაში. კვლევები აჩვენებს, რომ პლაცებოსაც იგივე ეფექტი აქვს, თანაც გვერდითი მოვლენების გარეშე.

გავრცელებულია მოსაზრება, რომ ქალს გაცილებით ნაკლები ალკოჰოლი სჭირდება დასათრობად, ვიდრე მამაკაცს, რადგან ქალის ორგანიზმი ნაკლებად ამტანია, თუმცა შეიძლება მიზეზი სულ სხვა რამ იყოს. როგორც ჩანს, ჩვენ მარტივად შეგვიძლია თავი დავირწმუნოთ, რომ დავთვერით. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მათ, ვისაც სჯეროდა, რომ არაყს სვამდა (სასმელი კი რეალურად ლიმონიანი ტონიკი იყო), ნელ-ნელა უქვეითდებოდათ მსჯელობის უნარი, აჩვენეს ცუდი შედეგები მარტივ ტესტებში და დაუქვეითდათ IQ.

როგორც ჩანს, კულტურული ფაქტორები სერიოზულ გავლენას ახდენს პლაცებოს ეფექტზე. საცდელ ექსპერიმენტში წყლულის მოსარჩენად გამოყენებული წამლები უკეთ მოქმედებდა გერმანიაში, ვიდრე ბრაზილიაში. მაგრამ რაც შეეხება ჰი- ▶








## რა ღირს სუპერკომპიუტერი?

**კომპანია IBM გეგმავს მილიარდი დოლარის ოდენობით ინვესტირებას კომპიუტერული სისტემის — Watson-ის კომერციული მიზნით გამოყენებისთვის. სუპერკომპიუტერი Watson-ის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ მას შეუძლია, ადამიანის მსგავსად „იაზროვნოს“. უფრო კონკრეტულად კი, მას შეუძლია გააანალიზოს და ისწავლოს დაშვებულ შეცდომებზე.** ჯერ კიდევ 2011 წელს Watson-მა დაამარცხა ამერიკული ტელევიქტორინის Jeopardy-ის მონაწილეები. IBM-ში თვლიან, რომ Watson-ის გამოყენება შესაძლებელია ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჯანდაცვა, ფინანსური მომსახურეობა. IBM-ი ამჟამად მუშაობს Watson-ისთვის განკუთვნილ კომპიუტერულ პროგრამებზე, რომელთა ამოცანა იქნება სიმსივნის მკურნალობა და საინვესტიციო გადაწყვეტილებების ანალიზი.

ქრონოგრაფი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ პერტონიის (მაღალი არტერიული წნევა) წამლებს, მათ ყველაზე ნაკლები გავლენა გერმანელებზე ჰქონდა. კულტურული შტრიხები აყალიბებენ ჩვენს იმედებს, შიშებსა და მოლოდინებს, რაც შესაბამის ზღვარს უწესებს პლაცებოს ეფექტს.

**კვლევებმა აჩვენა, რომ პლაცებოს ეფექტი აგრძელებს მოქმედებას მას შემდეგაც, რაც პაციენტი აღმოაჩენს, რომ მას სიმართლეს უმალავდნენ, ეს კი კიდევ უფრო ხლართავს სიტუაციას. ლოგიკურად, ტვინმა უნდა შეწყვიტოს ტყუილზე დაფუძნებული მოქმედება ან შეასუსტოს მაინც, მაგრამ შედეგი საპირისპიროა — პოზიტიური ეფექტი გრძელდება.**

ექიმების ჯგუფი დაინტერესდა, რა შედეგს გამოიღებდა ასთმით დაავადებული ადამიანების პარაზიტი ჭიებით დასნეულება. პაციენტები მათ ორ ჯგუფად გაყვეს, ერთი ჯგუფის წევრებს რეალურად ასნეულებდნენ პარაზიტი ჭიებით, მეორე ჯგუფში კი, უბრალოდ, აფიქრებინებდნენ პაციენტებს, რომ ისინიც დაინფიცირდნენ. პირველ ჯგუფში შემავალ ადამიანებს რეალური გამოკეთება აღენიშნებოდათ, თუმცა იგივე ეფექტი იყო მეორე ჯგუფშიც. ცხადი გახდა, რომ მთავარი მოქმედი ფაქტორი ორივეგან პლაცებოს ეფექტი ყოფილა. გასაკვირია და კვლევის დასრულების შემდეგ მონაწილეთა ნაწილმა პარაზიტი ჭიების ორგანიზმში დატოვება არჩია, რადგან სურდათ, დადებითი შედეგები მომავალშიც გაგრძელებულიყო.

ადამიანებს გვიყვარს ფორმები და ფერები. ქვეცნობიერ დონეზე ეს ორი რამ დიდ გავლენს ახდენს ჩვენზე, ამავე დროს ჩვენი აღქმა, თუ როგორი იქნება წამლის ეფექტურობა, საზღვრავს საბოლოო შედეგსაც. აღქმა კი დიდწილად დაფუძნებულია წამლის ზომაზე, ფორმასა და ფერზე. მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ დეპრესიის მკურნალობისას ყვითელი ფერის აბები ყველაზე მეტად ეფექტურია, ხოლო წითელი აბები ადამიანებს ფხიზლად ამყოფებს და ამხნევებს. მწვანე აბები მოუსვენრობას აცხრობს, თეთრი კი — კუჭთან დაკავშირებულ დაავადებებს შველის. რაც უფრო მეტ პლაცებო აბს იღებს ადამიანი, მით უფრო ეფექტურია შედეგი — ვინც დღეში ოთხჯერ იღებს, უკეთესი შედეგი აქვს დღეში ორჯერ მიმღებთან შედარებით. ასევე ბრენდული სახელის მქონე აბებს უკეთესი შედეგი აქვს იმ წამლებთან შედარებით, რომლებსაც წარწერა საერთოდ არ აქვთ.

ხშირად პლაცებოს ჩვეულებრივი წამლის გამოსაცდელადაც იყენებენ. ახალი წამლის ტესტირებისას პაციენტთა ნაწილს პლაცებოს ასმევენ, ნაწილს — ნამდვილ წამალს და შედეგებს აკვირდებიან. თუკი წამალს გაცილებით უკეთესი შედეგი ექნება, ვიდრე პლაცებოს, ხდება მისი აღიარება ვარგისად.



# ყველაზე ძვირფასი ლითონები

**ყველა ლითონი შეიძლება ორ ჯგუფად გავყოთ — პირველ ჯგუფში შევიყვანოთ ის ლითონები, რომლებიც ბუნებაში არსებობს, ხოლო მეორეში ისინი, რომლებსაც ლაბორატორიაში ხელოვნურად იღებენ. ეს უკანასკნელი ძვირია პირველზე და მათ იზოტოპებს ეძახიან. ყველაზე ძვირფასი ხუთეული ასე გამოიყურება:**



## ოსმიუმი

ოსმიუმი ბუნებაში სუფთა სახით არ არსებობს. მას იღებენ ისეთ ლითონთან შერევით, როგორიცაა ირიდიუმი. ოსმიუმი ნაცრისფერ-ცისფერი ფერისაა და საკმაოდ მკვრივია. მას აქვს არასასიამოვნო სუნი, ზოგი ნივრის სუნსაც კი ადარებს. 1803 წელს ოსმიუმი აღმოაჩინეს ირიდიუმთან ერთად. ამერიკის შეერთებულ შტატებში ოსმიუმს იყენებენ მედიცინაში. მისი დახმარებით აკეთებენ წამალ კორტოზინს. ასევე ამ მეტალს მცირე რაოდენობით იყენებენ კატალიზატორად. 1 გრამი 19 ამერიკული დოლარი ღირს.





## როდიუმი

ეს არის ყველაზე ძვირფასი მეტალი მათ შორის, რაც ბუნებაში არსებობს. როდიუმი არის მბრწყინავი, ვერცხლისფერი ლითონი და მას, ძირითადად, საავტომობილო წარმოებაში იყენებენ; ასევე — საიუველირო ნაკეთობების დასამზადებლად. 1 გრამი როდიუმი 225 დოლარი ღირს.



## ოქრო

როგორც ცნობილია, ოქროს სუფთა სახით იღებენ. ის არის ერთგვაროვანი, გამძლე და კოროზიული. ერთი სიტყვით, იდეალურად ამზადებენ მისგან საიუველირო ნივთებს, მაგრამ ასევე იყენებენ სხვადასხვა დეტალების დასამზადებლად. ოქროს ფასი მუდმივად იზრდება და 1 გრამი 30-40 დოლარია.



## რუთენიუმი

რუსმა მეცნიერმა კარლ კლაუსმა რუთენიუმი 1844 წელს აღმოაჩინა. რუთენიუმი შედის პლატინის ჯგუფში. სანამ გამოიყენებენ, ქიმიურ დამუშავებას საჭიროებს, გამოიყენება საიუველირო წარმოებაში და ასევე ელექტრონიკაში. ასევე რუთენიუმს იყენებენ შესადნობად, რათა სხვა ლითონს აუმაღლდეს სიმკვრივე. 1 გრამი რუთენიუმი ღირს 15 დოლარი.



## პლატინა

იგი სუფთა სახით არ მოიპოვება, რადგან სხვა ლითონთა შედნობით მიიღება. პლატინას იყენებენ საიუველირო ნივთების დასამზადებლად; ასევე სტომატოლოგიაში და იარაღის წარმოებაში. ამ ძვირფასი ლითონის 1 გრამის ფასი 70 დოლარს შეადგენს.

# რა ღირს მაგიური ბრილიანტი?

**Sothebys აუქციონის სახლი ჟენევაში აუქციონზე ოთხ უჩვეულო ბრილიანტს გამოიტანს გასაყიდად.**

Sothebys ევროპის განყოფილების ხელმძღვანელის — დევიდ ბენეტის განცხადებით, აუქციონზე გამოტანილ იშვიათი სახის ბრილიანტების ქვებს შორის წარმოდგენილი იქნება რამდენიმე უნიკალური ექსპონატი, მათ შორის ყვითელი ბრილიანტისა და თეთრი, მრგვალი ბრილიანტის ბეჭედი.



**საყიდად გამოვიტანთ მართლაც უნიკალურ ძვირფასეულობებს. ორი მათგანის წონა 100 კარატს აღემატება.**

**„ამჯერად აუქციონზე ასი კარატი მაგიური ციფრია ქვებისთვის და, როგორც კი ბრილიანტი ამ წონას აღწევს, ის უნიკალური ქვების რიცხვში შედის“,** — განაცხადა დევიდ ბენეტმა.

აუქციონის მთავარი მშვენება იქნება სწორედ ყვითელი ბრილიანტის ბეჭედი, რომელიც საიუვილერო სახლ „ლორენს გრაფას“ ეკუთვნის. ეს უნიკალური ბრილიანტი 100,09 კარატს იწონის და ორგანიზატორები მის გაყიდვას 15-დან 20 მილიონ დოლარად ვარაუდობენ.

# შავი ქვიშის პლაჟი



**პანალუას შავი ქვიშის პლაჟი ჰავაის ერთ-ერთ კუნძულზე მდებარეობს. გარდა იმისა, რომ გამოირჩევა მართლაც საოცარი ფერის ქვიშით, სანაპიროს ახლოს მინერალური წყლებიც არის. სწორედ ამ მიზეზით, ადგილობრივ ენაზე კუნძულის სახელწოდება ნიშნავს „მყვინთავ წყალს“.** Punaluu Beach — ეს პლაჟი შავი ბაზალტის ქვიშით არის ცნობილი: ის უძველესი ვულკანური ლავის პროდუქტია, რომელიც ზღვამ გააგრილა. პლაჟს ხშირად სტუმრობენ მწვანე და ზღვის ბისა კუები. ბისები გადაშენების ზღვარზე არიან, ვინაიდან მათი კვერცხები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დელიკატესად მიიჩნევა. პანალუას პლაჟზე ქვეწარმავალს შეუძლია შავ ქვიშაზე მშვიდად ინავარდოს. ადგილობრივი აბორიგენების გადმოცემით, ქვიშა ვულკანების დიადი ქალღმერთის ნაწილია და მას, ვინც ქვიშას სამახსოვროდ წაიღებს, დიადი ქალღმერთის რისხვა... არ ასცდება. მუდმივი ვულკანური აქტივობის გამო, ჰავაის კუნძულებზე, შავის გარდა, თეთრი და მწვანე ქვიშაც შეგხვდებათ.



# ხე, რომელსაც სისხლი სდის

**სამხრეთ აფრიკაში ხარობს მცენარე სახელწოდებით Pterocarpus angolensis. მას ადგილობრივები სისხლის ხესაც უწოდებენ, რადგან მცენარეს სისხლისფერი წითელი წვენი სდის.**

როდესაც ხეს ჩეხენ, გარეთ წითელი წვენი მოედინება, რომელიც სისხლს მოგაგონებთ. ადგილობრივები წითელ წვენს სხვადასხვა მიზნით იყენებენ. მაგალითად, ცხოველის ქონთან ერთად მისგან კანის მოვლისთვის კოსმეტიკურ ნაწარმს აზადებენ; ზოგიერთს სჯერა, რომ ის სხვადასხვა დაავადებას კურნავს. ამასთან, ამ ხისგან უმაღლესი ხარისხის ავეჯი მზადდება.

ხე სიმაღლეში საშუალოდ 12-დან 18 მეტრამდე იზრდება, მუქი ყავისფერი ძლიერი ქერქი აქვს და ყვითელ ყვავილებს ისხამს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყველაზე იღბლიანი ქათამი

**31 წლის ჩინელი ჰუანგ ლინგიონგი საკუთარი ავტომობილით მშვიდად მგზავრობდა, როდესაც მოულოდნელად წინ ქათამმა გადაურბინა. ინციდენტი ძიანსის პროვინციაში მოხდა.** ქათამი რომ გადარჩენილიყო, მამაკაცმა რამდენიმე მანევრის გაკეთება მოასწრო. ქათამი ავარიას უვნებელი კი გადაურჩა, მაგრამ ავტომობილს უზარმაზარი ხვრელი დაუტოვა. **„ძლიერად დავამუხრუჭე, რადგანაც ცხოველები და ფრინველები მიყვარს; არ მინდოდა, ქათამს რამე შემთხვეოდა. მოგვიანებით, ავტომობილზე უზარმაზარი ხვრელი დავინახე, რომელშიც ქათამი იყო გაჭედილი. ვიფიქრე, რომ ავარიას ემსხვერპლა, თუმცა კაკანი დაიწყო და მისი გადარჩენა შევძელი. ეს ჩემთვის კარგი გაკვეთილი იქნება, სხვა დროს უფრო დაკვირვებით ვივლი“,** — ამბობს იგი.





## ბუ თუ თუთიყუში?

**კაკაპო უნიკალური ფრინველია. ის ძალიან განსხვავდება თავისი ნათესავებისგან. პირველი და, ალბათ, ყველაზე დიდი განმასხვავებელი ნიშანი არის ის, რომ კაკაპო ვერ დაფრინავს.** ევოლუციის დროს ისე მოხდა, რომ ფრენაზე პასუხისმგებელი კუნთები ატროფირდა და ჩიტებს დაეკარგათ ფრენის უნარი. საქმე ისაა, რომ ფრინველები ცხოვრობენ იზოლაციაში ახალ ზელანდიაში და მათ არ იციან მტაცებლები. ერთადერთი, რაც კაკაპოს შეუძლია, არის ხეზე აძრომა და იქიდან პლანირება.

ის ყველაზე დღეგრძელი თუთიყუშია. ფრინველის წონაა 4 კილოგრამი, ხოლო სიცოცხლის ხანგრძლივობა კი 95 წელს აჭარბებს.

კაკაპო წარმოადგენს ცოცხალ არომატიზატორს, — მას სასიამოვნო სუნი აქვს. ალბათ, ეს არის ბუნებრივი ინსტინქტი, რომელიც მიანიშნებს სხვა თუთიყუშებს მის აქ ყოფნაზე.

ბოლო და განმასხვავებელი ნიშანი კი არის მისი თავის მსგავსება ბუსთან. პრაქტიკულად მთელ სიცოცხლეს კაკაპო იმ ტერიტორიაზე ატარებს, რომელიც სავსეა ხეებით და ბუჩქებით. ფრინველის ეს სახეობა გადაშენების პირასაა, არსებობს მისი მხოლოდ 100 ეგზემპლარი. მიზეზი კი საკმაოდ ბანალურია: ევროპელებმა ახალ ზელანდიაში შეიყვანეს მტაცებლები — ვირთხები, რომლებიც ჭამენ მათ კვერცხებს და ნადირობენ დიდ ფრინველებზე.

# მეხსიერების 10 რეკორდი

**როგორც პრაქტიკიდან ჩანს, ცოტახანში ადამიანის შთამომავლები გონებაში იმაზე მეტ ინფორმაციას ჩაიტევენ, ვიდრე ჩვენ ვახერხებთ. ევოლუციის პროცესში ადამიანის მახსოვრობის უნარი მხოლოდ იზრდება, მაგრამ არსებობენ გამონაკლისები, რომელთა შესაძლებლობები გამაოგნებელია.**



იან ქრისტიან სმეტსი არის სამხრეთ აფრიკელი პოლიტიკოსი, რომელმაც ხანდაზმულ ასაკში მოახერხა 5000-ზე მეტი წიგნის დამახსოვრება.

იაპონიელმა ჰიდეაკი ტომოერიმ შეძლო, სრული სიზუსტით დაემახსოვრებინა 40 ათასი სიმბოლო.

1967 წლის 14 ოქტომბერს ანკარის მცხოვრებმა მეჰმედ ალი ჰალისიმ 6 საათში მოახერხა ყურანის 6666 ლექსის თქმა.

ვალერი ლავრინენკოს გააჩნია ციფრების დამახსოვრების უნიკალური უნარი. 100 ნიშანს იგი 2,5 წუთში იმახსოვრებს, 200-ს – 3 წუთში. ამასთან ერთად, სრული სიზუსტით შეუძლია აღწეროს ადამიანი, რომელმაც დავალება მისცა, და დაასახელოს რიცხვების ნებისმიერი რიგითობა.

ცუდი არაა თავში სატელეფონო წიგნაკის ქონა. 26 წლის ჩინელმა ჰუ იანლინმა ზეპირად იცის ქალაქ ჰარბინის 15 000 ნომერი. პაულა პრენტისს, რომელიც კუნძულ ტასმანიის მკვიდრია, დამახსოვრებული აქვს ტელეფონის 128 603 ნომერი; მან იცის აბონენტების სახელები, მისამართები და ორგანიზაციების დასახელებები. გასაოცარი ის არის, რომ საკუთარი პირადი ნომრის ფურცელზე დაწერა უწევს, რადგან ვერ იმახსოვრებს.

სამველ ჰარიბიანს შეუძლია წარმოთქვას 1000 სიტყვაზე მეტი მსოფლიოს 10 სხვადასხვა ენაზე.

1988 წლის 25 ოქტომბრიდან 13 ნოემბრამდე ბარბარა მურიმ თავისი მეხსიერებიდან შეასრულა 1852 სიმღერა.

ამერიკის მოქალაქემ დეივ ფეროუმ 1996 წლის 24 ივნისს გინესის მსოფლიო რეკორდების კანადურ მუზეუმში თანმიმდევრობით დაასახელა 52 სრულიად შემთხვევით აჩეხილი ბანქოს ფურცლები და დაუშვა მხოლოდ 6 შეცდომა.

ლეოპოლდ ჰერდმა, რომელიც საფეხბურთო კლუბ „გურნიკის“ ბილეთების გამყიდველია, 12-წლიანი მუშაობის განმავლობაში მოახერხა არამხოლოდ ყველა მატჩის შედეგებისა და დეტალების დამახსოვრება, არამედ შემოსავლის რაოდენობაც ყოველი მატჩიდან.

ინგლისელ დომინიკ ო’ბრაიანს წარმოუდგენელი შესაძლებლობა აქვს. 1994 წლის მეხსიერების მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულს შეუძლია ერთ საათში ისწავლოს 300 უცხო სიტყვა, ხოლო რამდენიმე დღეში ილაპარაკოს ახალ ენაზე. ო’ბრაიანს აკრძალული აქვს მსოფლიოს ნებისმიერ კაზინოში შესვლა, რადგან მის ზეგანვითარებული მეხსიერებას შეუძლია დარჩენილი ბანქოების უშეცდომოდ დათვლა.

# მოგზაურობა პენსიით




**ოდესლაც გიუნტერ ჰოლტორფმა და მისმა ცოლმა კრისტინამ გადაწყვიტეს, თავიანთი მერსედესით — G 300GD-თი ემოგზაურათ აფრიკაში. მოგზაურობის ხანგრძლივობა, მათი გეგმით, 18 თვეს შეადგენდა, საბოლოო ჯამში კი ის 23 წელი გაგრძელდა, ამ პერიოდში წყვილმა 800 ათასი კილომეტრი გაიარა და 200 ქვეყანა მოინახულა.**

მოგზაურობის დაწყების წინ ცოლ-ქმარმა მანქანა ორადგილიანად გადააკეთა და სხვადასხვა აღჭურვილობით დატვირთა. მათ მანქანას, რომელიც საბოლოო ჯამში 23 წლის განმავლობაში ემსახურათ, სახელიც კი უწოდეს – ოტო. მიუხედავად იმისა, რომ საწვავი საკმაოდ ძვირი ჯდებოდა, წყვილს არც კი უფიქრია მანქანის შეცვლაზე და ამ ხნის განმავლობაში არც მანქანას უღალატია მათთვის.

წყვილს არასოდეს ჰყოლია სპონსორი და მათ მთელი თავიანთი მოგზაურობა წინასწარ შეგროვებული საპენსიო თანხიდან დააფინანსეს. ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც ამ იდეას მხარდაჭერას უცხადებდა, იყო მერსედესბენცი და გასულ წელს მის მუზეუმს შტუტგარტში გადაეცა კიდეც ოტო – გიუნტერისა და კრისტინას ერთგული მეგობარი.

საინტერესოა, რომ საკუთარი გეგმებისა და მარშრუტის შესახებ ისინი არასდროს საუბრობდნენ. ერთი მხრივ, არ ჰქონდათ სურვილი; მეორე მხრივ კი, თვლიდნენ, რომ ამით უფრო დაცულები იქნებოდნენ გზაზე. შემთხვევით ნაცნობებს თავიანთი გეგმების საერთო მონახაზს უყვებოდნენ, დეტალების გარეშე. ზოგიერთი მათგანი კი შემდგომ ამ გასაოცარი ადამიანების შესახებ სტატიებს წერდა როგორც ჟურნალ-გაზეთებში, ასევე ბლოგებსა და ინტერნეტ საიტებზე.

2010 წელს კრისტინა გარდაიცვალა, მას სურდა, რომ მის ქმარს მოგზაურობა გაეგრძელებინა და ბოლო 1 წელი გიუნტერი თავის შვილ მარტინთან ერთად აგრძელებდა სხვადასხვა ქვეყნის მონახულებას.















ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## როგორ აშენდა პირამიდები

**მკვლევარებმა გამოიცნეს, თუ როგორააშენეს ეგვიპტელებმა პირამიდები.** მეცნიერებს წლების განმავლობაში აინტერესებდათ, როგორ ზიდავდნენ მუშები უზარმაზარ ქვის ლოდებს. როგორც ამბობენ, ამის პასუხი ძალიან მარტივია — ტრანსპორტირებაში მათ ტენიანი ქვიშა ეხმარებოდა. პირამიდების მშენებლობისთვის ძველ ეგვიპტელებს უმძიმესი ქვის ლოდები უდაბნოში გადაჰქონდათ. მეცნიერების გუნდმა ამ გზის გამეორება სცადა. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ უზარმაზარი ლოდების ტრანსპორტირებისთვის მარტივი საშუალება სწორედ ტენიანი ქვიშაა. ეგვიპტელები მძიმე საგნებს მარხილზე ათავსებდნენ, მუშებს კი ნესტიან ქვიშაზე სიარული უადვილდებოდათ. მარხილის წინ მიწას წყლით ასველებდნენ, რათა მუშებს მარხილი უფრო სწრაფად გადაეადგილებინათ.

# «ჭკვიანი» კონტაქტური ლინზები სისხლში გლუკოზას გააკონტროლებს

**Google-ს ახალ გამოგონებაში მრავალფუნქციური სათვალე google glass ინტეგრირებულია კონტაქტურ ლინზაში. ამ ლინზას სისხლში შაქრის გაზომვა შეუძლია.**



უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში მრავალ ადამიანს პირველი და მეორე ტიპის დიაბეტის დიაგნოზი დაუდგინდა. აშშ-ში ტესტირებულ პაციენტთაგან 90-95% მეორე ტიპის დიაბეტით არის დაავადებული. მოსახლეობის 8%-ზე მეტი მიიჩნევს, რომ დიაბეტი აქვს.

სისხლში გლუკოზის დონის კონტროლი მეტად მნიშვნელოვანი, მაგრამ მტკივნეული და შრომატევადი პროცესია. თან აუცილებელია ანალიზი დღეში რამდენიმეჯერ ჩატარდეს. Google-მა ახლახან წარმოადგინა ამ პრობლემის მარტივად გადაჭრის მოწყობილობის პროტოტიპი. კონტაქტურ ლინზაში ჩაშენებული მიკროსქემა სისხლში შაქრის შემცველობზე ინფორმაციას პირდაპირ თვალის გარსიდან იღებს.

ჩვეულებრივ, მცირე რაოდენობის სისხლის ნიმუში თითიდან აიღება ლანცეტისა და გლუკოზმეტრის კომბინაციის საშუალებით. იმათთვის, ვინც ხშირი პაციენტია, ანუ დიაბეტით დიდი ხანია ავადობს, სისხლის წამოსვლის ადგილის პოვნა ძნელდება. ამისთვის გლუკოზის კანქვეშა მონიტორინგი არსებობს, მაგრამ იგი საჭიროებს შესაბამისი მოწყობილობის კანში ჩამონტაჟებას და ამ მოწყობილობის დაყენება-მოსაშორებლად ქირურგიულ ჩარევას.

სისხლში შაქრის სწორად კონტროლი ძალზედ საპასუხისმგებლო საქმეა, ბევრი ადამიანი კი ამას შეცდომით აკეთებს. ისინი, რომლებიც თავიანთ დაავადებას სათანადო ზედამხედველობას არ უწევვენ, უფრო დიდი რისკის წინაშე არიან, ვიდრე სიბრმავე, თირკმლის უკმარისობა ან მცირე უკიდურესი ამპუტაციებია. იმისთვის, რომ დიაბეტიანებისთვის სისხლში შაქრის დონის კონტროლი გაიოლდეს, ბევრი მკვლევარი სისხლის გამოყენების გარეშე ალტერნატიულ გზებს ეძებს.

ერთ-ერთი მეთოდი შარდის, ნერწყვისა და ცრემლის შემოწმებას ითვალისწინებს. Google-ის პრობლემის გადაჭრა არის სენსორული ლინზა, რომელიც ნიმუშად ცრემლს იყენებს და გლუკოზის დონის მუდმივ გაზომვას მარტივად უზრუნველყოფს.

რბილ კონტაქტურ ლინზაში ჩაშენებულია კომპიუტერული მიკროსქემა, სენსორი და გადამცემი ანტენა. სენსორი წამში ერთხელ ინფორმაციას იღებს და უსადენო კავშირით სიგნალს მიმღებს (მაგალითად სმარტფონს) გადასცემს. ეს ინფორმაცია, აგრეთვე, პირდაპირ შეიძლება გადაიგზავნოს პაციენტის მკურნალ ექიმთან. მომავალში იგეგმება, პროტოტიპებს დაემატოს მცირე ფოტოდიოდი, რომელიც გაანათებს და მომხმარებელს შეატყობინებს, თუ სისხლში შაქრის რაოდენობა ნორმაზე ნაკლები ან მეტია, რისთვისაც შესაბამისი დაუყოვნებლივი ზომების მიღებისკენ მოუწოდებს. ლინზის ტექნოლოგია ისეთია, რომ მომხმარებელს ხედვაში ხელს არ უშლის. მომხმარებელი ხედავს ისე, როგორც ჩვეულებრივ ტრადიციულ კონტაქტურ ლინზაში.

ამჟამად, Google-ს მეცნიერები და აშშ-ის საკვებისა და წამლების ადმინისტრაცია ლინზის პროტოტიპის შემდგომ საფეხურზე აყვანის შესახებ მსჯელობენ. წლებია საჭირო იმისთვის, რომ კონტაქტური ლინზის პროტოტიპი კლინიკური გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს. Google კავშირებს ამყარებს პოტენციურ პარტნიორებთან, რათა ეს დიაბეტით დაავადებულთათვის ხელმისაწვდომი საშუალება გახდეს.



# დაცემინების დროს გული ჩერდება?

**არსებობს მოსაზრება, რომ, როცა ადამიანი აცემინებს, მისი გული წამიერად ჩ ერდება.**

აზრი იმის შესახებ, რომ დაცემინების დროს გული ჩუმდება, ჯერ კიდევ ადრეული შუასაუკუნეების ევროპიდან მოდის, როცა ადამიანებს სჯეროდათ, რომ დაცემინებას ადამიანის სიკვდილამდე მიყვანა შეუძლია, რადგან ძალიან ბევრ ჰაერს ამოისუნთქავს.

იმ დროს არავინ იცოდა, რომ ეს, უბრალოდ, ცხვირიდან უცხო სხეულების „გამოყრისკენ" მოწოდებული რეფლექსია. მგრძნობიარე ნეირონები აღიქვამენ ამ გაღიზიანებას და ტვინს სიგნალს უგზავნიან, რომ გულმკერდი შეიკუმშოს, ხოლო ფილტვებმა ჰაერი ამოისუნთქოს 50-120 მ/წმ სისწრაფით.

თუმცა ერთ რამეს ტვინი ნამდვილად არ აკეთებს, ის არ „უბრძანებს" გულს გაჩერებას. რაც უნდა ძლიერად აცემინოს ადამიანმა, გულისცემა არ შეწყდება. ამავე დროს, არაა გამორიცხული, რომ, გულმკედში წნევის ცვლილების შედეგად, რასაც სისხლის მიმოქცევაზე გავლენის მოხდენა შეუძლია, გულმა ფეთქვა „გამოტოვოს".

საინტერესოა, რომ ძველ საბერძნეთში დაცემინება ღვთიურ ნიშნად მიიჩნეოდა. მაგალითად, ძვ. წ. აღ. 401 წელს ათენელი მხედართმთავარი ქსენოფონტე სიტყვით გამოდიოდა და თავის მეომრებს სპარსელებთან ომისკენ მოუწოდებდა. სიტყვის დასრულებისას ორატორმა დააცემინა. ჯარისკაცებზე ამან შთაბეჭდილება მოახდინა და ჩათვალეს, რომ ქსენოფონტეს სიტყვებით ღმერთები მათ სოლიდარობას უცხადებდნენ.

# რა ღირს ნახევარტონიანი თევზი?

**ახალ ზელანდიაში 56 წლის ქალმა დაიჭირა თინუსი, რომელიც თითქმის ნახევარ ტონას იწონიდა. დაჭერილი თევზი ექსპერტებმა ორ მილიონ დოლარად შეაფასეს.**

იმისათვის, რომ წყლიდან გიგანტური თევზი ამოეთრიათ, დონას და მის მეგობრებს მასთან 4-საათიანი ბრძოლის გადატანა მოუხდათ. მათ გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლეს დაჭერილი თინუსის გულადი და უშიშარი ქალბატონის ნავზე ამოტანა.

ეს უცნაური შემთხვევა რეინგის კონცხთან ახლოს მოხდა. 56 წლის ოკლენდელი დონა პასკო მეგობრებთან ერთად საკუთარი პატარა იახტით თევზაობდა. უცებ ანკესი რაღაცას მოედო. დონა





ვერც კი იფიქრებდა, თუ ამოდენა თინუსის ანკესით დაჭერა შესაძლებელი იქნებოდა. რა თქმა უნდა, მარტო ვერაფერს გახდებოდა და ნადავლიც ხელიდან წაუვიდოდა, მაგრამ ერთობლივი ძალებით დონამ და მისმა მეგობრებმა მოახერხეს მისი ამოტანა იახტაზე.

ამ თევზისგან შეიძლება 1769 ქილა კონსერვის ან 2875 ცალი ბუტერბროდის მომზადება. მაგრამ დონა პასკომ თევზის გაყიდვაზე უარი თქვა, მან გადაწყვიტა, ის თავისთვის დაეტოვებინა, თუმცა მეტად არაჰუმანური მიზნებისთვის — ქალი აპირებს მისგან სამახსოვრო ფიტული გააკეთოს.

დონა პასკო ელოდება თავისი რეკორდის დადასტურებას. ის, სავარაუდოდ, მიიღებს სერტიფიკატს International Game Fish Association-ის საერთაშორისო ასოციაციისგან, რადგან ქალის მიერ დაჭერილი წყნარი ოკეანის ცისფერი თინუსი, რომელსაც „ზღვის პიკასოს" ეძახიან, ორჯერ დიდია თინუსზე, რომელიც გასულ წელს იაპონიაში აუქციონზე 1,09 მილიონ დოლარად გაიყიდა და რომელიც მაშინ მსოფლიო სენსაცია გახდა.

# ყველაზე მაღალი პატარძალი

**მსოფლიოში ყველაზე მაღალი პატარძალი 18 წლის ბრაზილიელი ელისანი და კრუს სილვაა, იგი 2 მეტრი სიმაღლისაა.** გოგონას სიმაღლეში ზრდა ჰიპოფიზში (ტვინის ფუძეზე არსებული ჯირკვალი) არსებულმა სიმსივნემ განაპირობა. ქირურგებმა სიმსივნე ამოჭრეს.



გოგონა სიმაღლის გამო პრობლემებს აწყდება — ვერ მგზავრობს საზოგადოებრივი ტრანსპორტით, სკოლაში სიარულზე უარი თქვა, რადგან კლასელები დასცინოდნენ, სახლში გადაადგილება უჭირს, მუდამ მოხრილი დადის, რადგან ჭერს თავი არ მიარტყას. ელისანი დებთან და მშობლებთან ერთად ცხოვრობს, თუმცა სიყვარულში გაუმართლა და საყვარელ მამაკაცზე თხოვდება.

მისი რჩეული ფრანსინალდო და სილვაა, რომლის სიმაღლე 164 სანტიმეტრია. ბიჭმა შეყვარებულს ცოლობა უკვე სთხოვა. ელისანმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ საქორწილო კაბა უკვე შერჩეული აქვს.

# აქვს კი საქართველოს სოფელს განვითარების პერსპექტივა?

**გვესაუბრება აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე.**



**— საქართველოს საპატრიარქომ რუბრიკით „ჩვენი ფასეულობანი“ გამოსცა წიგნი სახელწოდებით „სოფლის მეურნეობა“, რომლის სამეცნიერო რედაქტორიც თქვენ ხართ. გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრება ამ წიგნზე და, ზოგადად, საქართველოს სოფლის მეურნეობაზე.**

— დიდი მადლობა „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციას სოფლის მეურნეობის პრობლემების გაშუქებისთვის. საზოგადოება დაიღალა უაზრო ქაქანით რაღაც მოგონილ პრობლემებზე — მოსმენებზე, ანტიდისკრიმინაციულ კანონსა და „ნაციონალების“ მიერ შემოგდებულ „პრობლემებზე“.

ამ დროს კი საქართველოს სოფელი არასოდეს ყოფილა ისეთ კატასტროფულ მდგომარეობაში, რომელშიც დღესაა. 20 წელზე მეტია, ვმათხოვრობთ მსოფლიოში, რათა შიმშილით არ დავიხოცოთ, საქართველო აწარმოებს იმ პროდუქციის მხოლოდ 18-20 პროცენტს, რომელსაც მოიხმარს...

წიგნის გამოცემის ორგანიზება ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ბაკურ გულუამ ითავა. მან ავტორებად ცნობილი მეცნიერები და დარგის სპეციალისტები მიიწვია, განხილულია ყველა საკითხი, რომლებითაც დღევანდელი საქართველოს სოფლის მეურნეობა ხასიათდება: კლიმატიდან დაწყებული ყველა ძირითადი კულტურა, როლებითაც საქართველო მსოფლიოში არის ცნობილი.

ყურძნის უნიკალური ჯიშები საშუალებას იძლევა, ვაწარმოოთ ღვინის ცნობილი ბრენდები: ხვანჭკარა, ქინძმარაული, ხიხვი, ოჯალეში, რქაწითელი, აღარაფერს ვამბობ ფართო მოხმარების ისეთ ცნობილ ღვინოებზე, როგორებიცაა წინანდალი და ცოლიკაური. სამწუხაროდ, მსოფლიომ ნაკლებად იცის, რომ ღვინის დაყენების (ტექნოლოგიის) სამი ხერხიდან ორი ქართულია (კახური და იმერული), არ იცნობს ქართული ქვევრისა და საწნახლის დამზადების ხერხებს და მათშიქართული ტექნოლოგიით დამზადებულ ღვინოებს.

ჯერ კიდევ 1960-იანი წლების მეორე ნახევარში თბილისში გამართული ღვინის საერთაშორისო კონფერენციის დელეგატებმა აღნიშნეს უნიკალობა ქართული მევენახეობა-მეღვინეობის, რაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სერიოზული ბაზაა.

**— ე. ი. მცდარია პოზიცია, რომლის მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკა დოტაციურია, რომ მას განვითარების არავითარი შანსი არ აქვს და ა.შ.?**

— მოდით, საკითხს სხვა კუთხით შევხედოთ: ქვეყანა, რომელიც აწარმოებს თუნდაც თავისი მოსახლეობისთვის საჭირო მარცვლეულს, ითვლება უსაფრთხო ქვეყნად.

ხორბალი ქართული ფლორის ერთ-ერთი უძველესი მცენარეა და იგი ხორბლის „ერთ-ერთი გვარის პირველადი გენოცენტრია“, სხვა ქვეყნებში არ გვხვდება უძველესი ქართული ჯიშები „იფქლი“, „ასლი“, „დიკა“, „მასა“ და ა. შ. ეს კი პირდაპირ მიგვითითებს, რომ მარცვლეულზე საკუთარი ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილების პოტენციური შესაძლებლობა გაგვაჩნია. ეს ყველაფერი წიგნში აღნიშნულია.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხორბლის ენდემური სახეობების გამოყენებით მიღებულია 25-ზე მეტი საწარმოო მნიშვნელობის ჯიში და მრავალი ასეული სასელექციო საწყისი მასალა.

მკითხველი უთუოდ მიაქცევს ყურადღებას, რომ „საქართველოს ხორბლის სახეობების საფუძველზეა შექმნილი „პური ჩვენი არსობისა“ — რბილი ხორბალი“. ჩვენი მეცნიერი-გენეტიკოსების მიერ აღდგენილია რბილი ხორბლის ისტორია, რომელიც, გარკვეულწილად, ადამიანთა კულტურის ისტორიაცაა.

აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ ახალი ჯიშების მიღებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა მსოფლიო დონის ისეთმა მეცნიერმა, როგორიც იყო პროფესორი ლეონიდ დეკაპრელევიჩი, ასევე, მისმა მოწაფეებმა, პროფესორებმა ვლადიმერ მენაბდემ, პეტრე ნასყიდაშვილმა და სხვა სწავლულებმა.

ვიმეორებ, მეცნიერების ამ მიღწევათა პრაქტიკული გამოყენებით ჩვენ შევძლებთ ქვეყნის მარცვლეულით უზრუნველყოფას.

**— რა გვიშლის ხელს, ბატონო ნაპოლეონ, ამის გაკეთებაში?**

— სამწუხაროდ, ხელისშემშლელი ფაქტორი ბევრია, მათ შორის, თუნდაც ის, რომ საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა. ერთ სულზე გაანგარიშებით სახნავი მხოლოდ 0,14 ჰექტარია (მაშინ, როცა მსოფლიოს სტანდარტით, საშუალოდ 0,45-0,5 ჰექტარია საჭირო) არსებობს რელიეფური პრობლემებიც, რომლებიც მექანიზაციის ფართოდ გამოყენების საშუალებას არ იძლევა (მცირე კონტურიანობა, ვერტიკალური ზონალობა და ა. შ.).

**— მაინც რამდენი შეგვიძლია ვაწარმოოთ?**

— სიმინდის ჩათვლით, მარცვლეულის სარეკორდო წარმოება საქართველოში 650 ათას ტონას არ ასცდენია, გვჭირდება 1,3-1,4 მილიონი ტონა! (აქ შედის საფურაჟე მარცვლეული), ამიტომ საბჭოთა პერიოდში (მაშინ ე. წ. გეგმური ეკონომიკა იყო) სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანილი მარცვლეულით ვავსებდით დეფიციტს... დღეისთვის ჩვენი წარმოება 200 ათას ტონას არ აღემატება...

**— გამოდის, რომ საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ყოველთვის ექნება?**

— ალბათ, ყურადღება მიაქციეთ, რომ საპატრიარქოში გამოცემულ წიგნში სხვა მნიშვნელოვან კულტურებზეცაა საუბარი. ესაა ღვინო, ჩაი, ციტრუსები, ეთერზეთები, ადრეული ბოსტნეული და ბაღჩეული, ნატურალური და გადამუშავებული ხილი და ა.შ.

მინდა ერთი საგულისხმო ინფორმაცია მოგაწოდოთ: დღეს მსოფლიოში საკუთარი წარმოების მარცვლეულით მხოლოდ 18 ქვეყანა იკმაყოფილებს სრულად თავის მოთხოვნილებებს, 42-მდე ქვეყანა იმპორტ-ექსპორტით აბალანსებს თავის მოთხოვნილებებს, 35-მდე ქვეყანა არ შიმშილობს, 55 ქვეყანა ნახევრადშიმშილობს და 28-30 ქვეყანაა ისეთი, რომლებიც შიმშილობს. სამწუხაროდ, ასეთ ქვეყნებს შორისაა საქართველოც. თუ ჩვენ წარმოებას გადავხედავთ და გამოვრიცხავთ სამოწყალოდ შემოსულ დახმარებებს, ჩვენი ქვეყანა შიმშილობს, ამიტომ, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს საექსპორტო პოტენციალს (თუნდაც იმ დონით, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს გვქონდა), შევძლებთ, იმპორტ-ექსპორტით სრულად დავაბალანსოთ მოთხოვნილებები და დადებითი სალდოც გვქონდეს.

**— წიგნში წარმოდგენილ ავტორებზე რას იტყვით?**

— ბევრი მათგანის ავტორიტეტი საერთაშორისო დონისაა, მე აბსოლუტურად ვენდობი მათ მეცნიერულ ალღოს, დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც მათ სტატიებშია.

**— წიგნში სხვა საინტერესო სტატიებიცაა. მაგალითად, ქართული სამზარეულო, სტუმარმასპინძლობა, წყლის რესურსები და ა. შ.**

— წიგნის ხიბლიც ეგაა, რაც გამოცემის ორგანიზატორების პროფესიონალიზმსა და მაღალ გემოვნებაზე მეტყველებს. წიგნი ძალიან მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული, შესანიშნავი ფოტოილუსტრაციებით არის გაფორმებული.

და საერთოდ, ქართველი უნდა მიუბრუნდეს წიგნიერებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სიბრძნე და გონიერება, რომლითაც ერი ფასდებოდა, შარშანდელი თოვლივით გაქრება.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## გიორგი თავდგირიძე უსახლკაროდ დარჩა

**სამხედრო ექსპერტ გიორგი თავდგირიძეს აღსრულების ბიურო ბინიდან ასახლებს. მას კუთვნილი სახლი ბანკმა აუქციონის წესით ჯერ კიდევ შარშან, დეკემბერში, გაუყიდა.**

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში იმდენი პრობლემა მქონდა, ბინა ბანკში ჩავდე და 55 ათასი დოლარის კრედიტი ავიღე. 27 ათასი დოლარი გადახდილი მაქვს, მაგრამ ბოლო ხანს თანხას ვეღარ ვიხდიდი, საერთო ჯამში, საცხოვრებელი სახლი აუქციონზე 50 ათას დოლარად გაიყიდა“ — განაცხადა მან. მისი თქმით, 116 კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლი, რომელიც უკვე ექსპერტს აღარ ეკუთვნის, დიღმის მასივში მდებარეობს და ხუთოთახიანია. გიორგი თავდგირიძეს მეუღლე და 11 წლის გოგონა ჰყავს. „დღეს აღსრულების ბიუროს ვთხოვე, რომ რამდენიმე დღე მაცალონ, რათა თავშესაფარი მოვძებნო. კარავს ხომ არ გავშლი. რამდენჯერ მივმართე თავდაცვის სამინისტროს, რომ სამსახურში აღვედგინე. მე რომ სამსახური მქონოდა, იქნებ ეს ვალიც გადამეხადა და უსახლკაროდ აღარ დავრჩებოდი“, — აღნიშნა გიორგი თავდგირიძემ. გიორგი თავდგირიძის ხუთოთახიანი ბინის საბაზრო ფასი 75-78 ათას დოლარამდე მერყეობს.

## მზე ჩასვლის შემდეგაც მნათობად რჩება

### ნუცა ჭაჭიას გახსენება



**არიან ადამიანები, რომელთა ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ (არა აქვს მნიშვნელობა, ეს ადრე მოხდება თუ გვიან) რჩება დიდი იარა, სიცარიელე, რომელსაც ვერავინ შეავსებს.**

**ორმოცი დღე გავიდა, რაც დამსახურებულმა ექიმმა, დიდი სამამულო ომის ვეტერანმა, ღვაწლმოსილმა ქალბატონმა ნუცა ჭაჭიამ სამუდამო სასუფეველში დაიმკვიდრა ბინა. მისმა გარდაცვალებამ ყველას, ვინც კი მას იცნობდა, გული დასწყვიტა; ყველას მოაკლდა მისი ხელისა და გულის სითბო და დარჩა მხოლოდ მოგონებები კეთილშობილ, უაღრესად თბილ და ულამაზეს ქალბატონზე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მზე ჩასვლის შემდეგაც მნათობად რჩება.**

## შეღავათები ომის მონაწილეებისა და მათთან გათანაბრებული პირებისთვის

**დედაქალაქში მოძრავ მიკროავტობუსებში ომის მონაწილეებისა და მათთან გათანაბრებული პირებისთვის 20 მაისიდან შეღავათები ამოქმედდა.**

თბილისის მერიის ცნობით, ომის მონაწილეება და მათთან გათანაბრებული პირები სამარშრუტო ტაქსებში მგზავრობის ღირებულების ნახევარს გადაიხდიან, მეორე ნახევარს კი — დედაქალაქის მთავრობა აანაზღაურებს.

„ამჟამად თბილისში 17 ათასამდე ომის მონაწილე და მათთან გათანაბრებული პირია რეგისტრირებული. 20 მაისიდან თითოეულ მათგანს ახალი სამგზავრო ბარათის აღება ვაჟა-ფშაველას 99 ნომერში მდებარე სპეციალურ სერვისცენტრში შეეძლება. ამ შეღავათით სარგებლობისთვის უკვე არსებული ბარათები ომის ვეტერანებმა და მათთან გათანაბრებულმა პირებმა მიმდინარე წლის 20 ივლისამდე ახალი ბარათებით უნდა შეცვალონ."— განაცხადეს მერიაში.

## სიმაღლეში მომატება — სწრაფად და ეფექტიანად

3-5სმ-ით მომატება კურსით 3-25 წლამდე. ძვლის მკვებავი ვიტამინების, მინერალების ნაკრებით, ვარჯიშებითა და მასაჟით, ზრდის ზონების გააქტიურებით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება 5-15კგ-მდე თვეში ჯანმრთელობისთვის უვნებლად, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით; მადის დარეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, ჰორმონალური და ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება.

მკურნალობა — მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით.

**218-46-08, 558-15-63-33**
**ექიმი ნინო**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გაზეთი
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894